

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი



Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Arnold Chikobava Institute of Linguistics

Тбилисский государственный университет имени
Иванэ Джавахишвили
Институт языкознания имени Арнольда Чикобава

K. V. LOMTATIDZE

Works
III

К. В. ЛОМТАТИДЗЕ

Труды
III

Tbilisi 2021 Тбилиси

ქეთევან ლომთათიძე

შრომები

III

თბილისი 2021

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჭ ო

ა. აბრეგოვი (მაიკოპი), ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), ლ. ავიძბა (თბილისი),
ა. არაბული (თბილისი), ბ. ბერსიროვი (მაიკოპი), თ. გამყრელიძე (თბილისი),
გ. გოგოლაშვილი (თბილისი), კ. ვამლინგი (შვედეთი), ხ. თაოვი ((ნალჩიკი),
ს. პაზოვი (კარაჩაევსკი), ბ. უტიე (საფრანგეთი), ლ. ჭკადუა (სოხუმი),
ზ. ჭუმბურიძე (თბილისი), ა. ხალილოვი (გროზნო), ა. ჰარისი (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

მ. ბუკია, თ. გვანცელაძე, ნ. ფონიავა, ვ. შენგელია, მ. ჩუხუა
ნ. მაჭავარიანი (მთავარი რედაქტორი)

ტომის რედაქტორი ვ. შენგელია

E d i t o r i a l C o u n c i l

A. Abregov (Maykop), I. Abdulaev (Makhachkala), L. Avidzba (Tbilisi),
A. Arabuli (Tbilisi), B. Bersirov (Maykop), T. Gamkrelidze (Tbilisi),
G. Gogolashvili (Tbilisi), K. Vamling (Sweden), Kh. Taov (Nalchik), S. Pazov
(Karachaevsk), B. Outtier (France), L. Chkadua (Sokhumi), Z. Chumburidze (Tbilisi),
A. Khalilov (Grozny), A. Harris (the USA)

E d i t o r i a l B o a r d

M. Bukia, T. Gvantseladze, N. Poniava, V. Shengelia, M. Chukhua
N. Machavariani (Editor-in-chief)

Editor of the Volume V. Shengelia

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN (მრავალტომეული)
ISBN (ტომი III)

ქეთევან ლომთათიძე

აფხაზური და აბაზური ენების
ისტორიულ-შედარებითი
ანალიზი

I

ფონოლოგიური სისტემა და
ფონეტიკური პროცესები

თბილისი 2021

K. V. LOMTATIDZE

HISTORICAL-COMPARATIVE
ANALYSIS OF ABKHAZIAN AND
ABAZA

I

PHONOLOGICAL SYSTEM AND PHONETIC
PROCESSES

К. В. ЛОМТАТИДЗЕ

ИСТОРИКО-СРАВНИТЕЛЬНЫЙ
АНАЛИЗ АБХАЗСКОГО И
АБАЗИНСКОГО ЯЗЫКОВ

I

ФОНОЛОГИЧЕСКАЯ СИСТЕМА И
ФОНЕТИЧЕСКИЕ ПРОЦЕССЫ

Tbilisi 2021 Тбилиси

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	11
I. აფხაზურისა და აბაზურის ურთიერთობა და დიალექტური შედგენი- ლობა	14
II. აფხაზური და აბაზური სამწერლობო ენები.....	22
1. აფხაზური სამწერლობო ენა	22
2. აბაზური სამწერლობო ენა	27
III. ვოკალური სისტემა.....	30
1. ზოგადი შენიშვნა.....	30
2. ა ხმოვანი	30
3. ორი აა (ა) ხმოვანი.....	31
4. სამი ა-ს საკითხისათვის	36
5. „ოთხი“ ა-ს საკითხისათვის.....	38
6. ირაციონალური გ ხმოვანი.....	38
7. ე ხმოვანი	48
8. გრძელი ე ხმოვანი	52
9. ო ხმოვანი	52
10. გრძელი ო ხმოვანი	55
11. ძ ნახევარხმოვანი (სონანტი).....	56
12. ი ხმოვანი (და მისი გრძელი სახეობა).....	56
13. უ ნახევარხმოვანი (სონანტი).....	62
14. უ ხმოვანი (და მისი გრძელი სახეობა)	62
IV. ფონეტიკური პროცესები ხმოვნებსა და დიფთონგებში	66
1. ფონეტიკურ პროცესთა ხასიათი ხმოვნებსა და დიფთონგე- ბში თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში.....	66

2. ისტორიულად მომხდარი ფონეტიკური პროცესები (ხმოვნებსა და დიფთონგებში) და მათი შედეგები	73
V. მახვილი	96
1. მახვილის ბუნებისა და ადგილისათვის	96
2. თანამახვილი	107
3. სინტაგმური მახვილი	107
4. მახვილი კომპოზიტებში	108
5. მახვილის სიტყვათა და ფორმათგანმასხვავებელი ფუნქციის საკითხისათვის	111
6. მახვილის მოქმედების ნიადაგზე (მისი არსებობის პირობებში) მომხდარი ხმოვნის რედუქცია	121
7. მახვილის მიხედვით სხვაობა დიალექტებში	124
VI. კონსონანტური სისტემა	131
1. ზოგადი შენიშვნა	131
2. სონანტები	131
3. ხშულები	138
ა. ხშულთა სისტემა	138
ბ. წყვილბაგისმიერი ხშულები: ბ ფ კ	139
გ. ენაკბილისმიერი ხშულები: დ თ ტ	141
დ. ენაკბილისმიერი ხშულები: ლაბიალიზებული დ თ ტ	142
ე. წინაენისმიერ სისინა აფრიკატა სამეული ძ ც წ	149
ვ. შიშინა აფრიკატა სამეულები	150
ა. რბილ შიშინა ჯ ჩ ჭ აფრიკატა სამეული	150
ბ. მაგარ შიშინა ჯ ჩ ჭ აფრიკატა სამეული	150
ზ. სისინ-შიშინა (ნახევარ-შიშინა) აფრიკატა სამეული ძ ც წ	151
თ. წინაენისმიერ ლაბიალიზებულ აფრიკატა სამეული ძ ც წ	153
ი. უკანაენისმიერი ხშულები	156
ა. უკანაენისმიერ ხშულთა სამეული გ ქ კ	156

b. უკანაენისმიერ ხშულთა ლაბიალიზებული სამეული ბ ჟ კ	157
c. უკანაენისმიერ პალატალიზებულ ხშულთა სამეული ბ ჟ კ	157
კ. ფარინგალური ხშულები	158
4. სპირანტები	163
ა. სპირანტთა სისტემა	163
ბ. კბილბაგისმიერ სპირანტთა სამეული ვ ჭ ჭ	163
გ. წინაენისმიერ სისინა სპირანტთა წყვილეულები	167
დ. წინაენისმიერ შიშინა სპირანტთა წყვილეულები	168
a. წინაენისმიერი რბილი შიშინა ქ შ	168
b. წინაენისმიერი მაგარი შიშინა ჟ შ	168
ე. სისინ-შიშინა (ნახევარ-შიშინა) სპირანტთა წყვილეულე- ბი ზ ს	168
ვ. წინაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები	170
ზ. უკანაენისმიერი სპირანტები	174
თ. ლარინგალური სპირანტები	176
ი. ლარინგალური უ სპირანტოიდი ტაპანთურ დიალექ- ტში	179
5. ე. წ. გემინირებულ „თანხმოვანთა“ საკითხი	187
6. სხვა ენათაგან შეთვისებული თანხმოვნები აბაზურში	191
7. თანხმოვანთა ტაბულები დიალექტთა მიხედვით	193
VII. ფონეტიკური პროცესები თანხმოვნებში	202
1. სპონტანური ფონეტიკური პროცესები	202
ა. ლატერალების მოშლა წინარე აფხაზურ-აბაზურში	202
ბ. უკანა რიგის თანხმოვანთა (ლარიგალებისა და ფარინგა- ლების) მოშლის ტენდენცია	203
გ. ლაბიალიზაცია	204
დ. დელაბიალიზაცია	206
ე. პალატალიზაცია	206
ვ. სპირანტიზაცია	207

ზ. აფრიკატიზაცია.....	207
თ. შერწყმა	208
ი. სისინ-შიშინა სიბილანტთა მოშლა.....	208
2. პოზიციური ფონეტიკური პროცესები (ხმოვნის რედუქცია და მით გამოწვეული ცვლილებები; კომპლექსის გამარტივება; ასიმილაცია; დისიმილაცია; დელაბიალიზაცია; აუსულატში: დაყრუება ბგერისა, სპირანტიზაცია, კომპლექსში ხშულთა გამარტივება; აქცესიური კომპლექსის სუპერაცია; ბგერათგადასმა; ბგერათმონაცვლეობა; წ სონანტის გაორკეცება ხმოვანთა შორის).....	210
VIII. კომპლექსები.....	219
1. კომპლექსთა ბუნებისათვის.....	219
2. ე. წ. „პირვანდელი“ კომპლექსები.....	221
IX. აფხაზურ-აბაზურ ძირთა და ფორმანტთა ამოსავალი ტიპი	227
X. დიალექტური მეტყველების ნიმუშები.....	230
1. აბჟურული დიალექტი	230
2. ზიფური დიალექტი.....	233
ა. ააცის კილოკავი	233
ბ. ლიხნის კილოკავი	237
გ. ოთჰარის კილოკავი.....	240
3. აშხარული დიალექტი.....	242
ა. კუვინსკის კილოკავი.....	242
ბ. აფსუის კილოკავი	244
4. ტაპანთური დიალექტი	248
ა. ყუბინა-ელბურგანის კილოკავი	248
ბ. ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავი	252
რეზიუმე რუსულ ენაზე	256
ტომის რედაქტორისაგან	289

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ცდას. პირველ წიგნში შევიდა ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, მეორეში შევა გრამატიკული წყობის საკითხები.

ფონოლოგიური სისტემის საფუძვლებისა და ფონეტიკურ პროცესთა ანალიზმა, ბუნებრივია, მოითხოვა გრამატიკული წყობის არაერთი საკითხის გაშუქება ისტორიული ასპექტით.

ადრე უმწერლობო ენათა ისტორიის გათვალისწინება აშკარა სიძნელეებს აწყდებოდა. ამიტომ იმთავითვე დასახულ იქნა მიზნად შეძლებისდაგვარად სრულად ყოფილიყო გამოყენებული ამ შემთხვევაში ერთადერთი სანდო წყარო – დიალექტთა მონაცემები.

ამის შესაბამისად 1935 წლიდან შევუდექით აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შესწავლას. ამის პირობა და შესაძლებლობა შექმნა არნ. ჩიქობავას ინიციატივით კავკასიურ ენათა კათედრის ჩამოყალიბებამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1933 წელს (სადაც აფხაზური ენის კურსს კითხულობდა ს. ჯანაშია, რომლის ყურადღებით და ხელმძღვანელობით ავტორი დიდად არის დავალებული) და 1937 წ. მისივე ინიციატივით კავკასიურ ენათა განყოფილების შექმნამ ენათმეცნიერების ინსტიტუტში (მანდელ „ენიმიკი“-ში).

1935-36 წლებში ვსწავლობდით აბჟურ დიალექტს, 1937-38 წლებში – ბზიფურ დიალექტს, 1939-სა და 1941 წლებში – ტაპანთურ დიალექტს, 1939-40-41 წლებში – აშხარულ დიალექტს. გაფანტვით მოსახლე აშხარელთა მეტყველებას ვაკვირდებოდით 1947-სა და 1958 წლებში (აბაზური დიალექტების მასალა მოპოვებული გვაქვს თითქმის ყველა ძირითადი სოფლის მიხედვით).

ჩატარებული მუშაობის შედეგები ნაწილობრივ არის გამოქვეყნებული ცალკეულ ანგარიშთა, სტატიათა და მონოგრაფიათა სახით.

წინასწარი მასალის შეგროვება-შესწავლა, დასრულებული ამ სამი ათეული წლის წინათ, საფუძვლად დაედო წარმოდგენილ ენობრივ მიმოხილვას.

თვით აღნიშნული დიალექტოლოგიური მასალა (დართული სათანადო მონოგრაფიებს), განსაკუთრებით აბაზურისა, კერძოდ აშხარული დიალექტისა, ჯერჯერობით რჩება ამ დიალექტთა ერთადერთ დიალექტოლოგიურ წყაროდ და, შეიძლება ითქვას, მას უკვე ისტორიული დოკუმენტაციის ხასიათი ეძლევა.

აბაზური დიალექტების მასალის ანალიზი დიდ სიმწიფესთან არის დაკავშირებული მისი ნაირგვარობისა და ენათა თუ დიალექტთა ამჟამინდელი ინტენსიური ურთიერთქმედების გამო.

აქ მხედველობაში გვაქვს, ერთი მრივ, ჩვენ მიერ ორმოციან წლებში ფიქსირებულ ენობრივ ფაქტთა დაყოფა მთქმელთა ასაკობრივ ფენათა მიხედვით, ცხადია, თუ ორმოციან წლებში რომელიმე კილოკავის 60-70 წლის მთქმელებში გავრცელებული იყო ესა თუ ის ფონეტიკური სახეობა, ან ფორმათა წარმოება, დღეს, ამ თაობის შეცვლის გამო, სათანადო კილოკავში აღნიშნულ მოვლენებს ვეღარ დავადასტურებთ.

მეორე მხრივ, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ მწიგნობრობა აბაზურ ენაზე, რომლის ფუძე-დიალექტი ტაპანთურია, ორმოციან წლებში ის-ის იყო ფეხს იდგამდა და წიგნის ენის (ე. ი. ტაპანთური მეტყველების) გავლენა აშხარულ დიალექტზე ამდენადვე განსხვავებული ხასიათისა იყო. დღეს კი, როცა აშხარელებში აბაზური სალიტერატურო ენა ფართოდ გავრცელდა სკოლის, რადიოს, პრესისა და სხვ. საშუალებით, ბუნებრივია, აშხარულმაც იცვალა სახე (ტაპანთური დიალექტის დამახასიათებელი ბგერების გამოთქმაც და ტაპანთურის ენობრივი ფორმებიც შეიჭრა აშხარელთა ენაში). თავის მხრივ აბაზური სალიტერატურო ენაც თავისებურად გამოიყურება, რამდენადაც აშხარელთაგან გამოსულმა ლიტერატურულმა მუშაკებმა მათთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები ტაპანთური „გაფორმებით“, ე. ი. გამწიგნობრებული სახით წარმოგვიდგინეს (ამ რიგის ფაქტები უკვე არც ერთ დიალექტს აღარ განეკუთვნება: ამოსავალი აშხარულია, – ტაპანთურისთვის უცხო, – გაფორმება ტაპანთურია, – აშხარულისთვის უცხო).

ამ მოვლენებში გარკვევა ამ ენობრივ ნარევ ფაქტთა მეტად ფაქიზ ანალიზს მოითხოვს, რაშიც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება უკვე ორმოციან წლებში ფიქსირებულ დიალექტურ ტექსტებს (ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობთ, რომ დიალექტური თავისებურებები სრულად იყოს გამოვლენილი. ამ მხრივ მხოლოდ პირველი სამუშაოებია ჩატარებული).

აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლისას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლიდით მონათესავე ენათა მონაცემებს. ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ეს მონაცემები გათვალისწინებული გვაქვს, მაგრამ ამჯერად წინ არის წამოწეული თვით განსახილველ ენათა საკუთარი ცვლილებების გზები.

ბევრი საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება ავტორისათვის, თუმცა ამ რთულ საკითხთა მიებისთვის ნიადაგი ერთგვარად შემზადებული გვეჩვენება.

აქ არსებითია აღნიშნულ (და მთლიანად, აფხაზურ-ადილურ) ენათა ფონოლოგიური სისტემის, კერძოდ, ე. წ. „მონოვოკალიზმის“ საკითხი,

რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია ენის ტიპოლოგიის პრობლემებით დაინტერესებულ ენათმეცნიერთა, და, რის საფუძველზედაც არის ცდები ახსნან, მაგ., ინდოევროპულ ენათა ამოსავალი ფონოლოგიური სისტემის რთული მონაცემები.

წინამდებარე ნაშრომში, ამ რიგის საკითხებს, რა თქმა უნდა, ვერ აღვძრავდით (განგვსაზღვრავდა თვით ჩვენი უშუალო ამოცანის ხასიათიცა და გამოკვლევის მოცულობაც). იგი საგანგებო ძიების საგანი უნდა იყოს.

და, საერთოდაც, მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასმულ საკითხებზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა და სარწმუნო შედეგის მიღება მხოლოდ მის შემდეგ შეიძლება, რაც გამოწვლილვით იქნება შესწავლილი აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენათა (ცალ-ცალკე და მთლიანადაც) როგორც თანამედროვე, ისე ისტორიული ვითარება.

I.

აფხაზურისა და აბაზურის ურთიერთობა და დიალექტური შედგენილობა

აფხაზური და აბაზური იმდენად ერთმანეთთან მჭიდროდ მდგომ ენობრივ ერთეულებს წარმოადგენენ გრამატიკული წყობის, ძირითადი ლექსიკური ფონდისა და თუნდაც ფონოლოგიური სისტემის მიხედვით, რომ მოულოდნელი არაფერია იმაში, თუ მათ სპეციალისტები განიხილავენ ერთი და იმავე ენის დიალექტებად (აფხაზურს ვუწოდებთ ამ საერთო ენას, თუ – აბაზურს)¹. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ აბაზური ენის დიალექტებში ექცევა აშხარული დიალექტი, რომელიც მთელი რიგი მისი არსებითი მხარის განმსაზღვრელი მომენტების მიხედვით მიჰყვება აფხაზურის დიალექტებს (ე. წ. „პირაქეთა დიალექტებს“).

ყველაზე მეტი სხვაობა აფხაზურსა და აბაზურს შორის მაინც თავს იჩენს ფონეტიკაში, მაგრამ ამ მომენტის მიხედვით მათი ენობრივი განცალკევებულობის შესახებ მსჯელობა საკმარისი არ შეიძლება იყოს, რამდენადაც ფონეტიკაში (ფონოლოგიური სისტემის მიხედვითაც კი) სხვაობა ყველა დიალექტს ახასიათებს და, მეტიც, – ერთი და იმავე დიალექტის თქმებსაც (რომ აღარაფერი ვთქვათ ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობისა თუ სქესის წარმომადგენელთა ენის შესახებ).

მიუხედავად საერთო ფონოლოგიურ-გრამატიკულ-ლექსიკური საფუძვლის შესახებ აქ თქმულისა, აბაზური (მისი ტაპანთური დიალექტი მაინცადამაინც) საკმაოდ სხვაობს აფხაზურისაგან. ამას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, აბაზურის ადილურ ენათა (განსაკუთრებით კი ყაბარდოულის) გავლენის ქვეშ მოქცევა (რამაც რიგი ცვლილება გამოიწვია გრამატიკული წყობის მოვლენებსა – თუმც შედარებით უფრო „ზედაპირულ“ მოვლენებსა – და ლექსიკურ შემადგენლობაში) და, მეორე მხრივ, აფხაზურ და აბაზურ სამწერლობო ენათა სხვადასხვა, საკმაოდ პოლარულ დიალექტურ ერთეულებზე დაფუძნება-განვითარება.

აფხაზი თავის თავს უწოდებს „აფს¹გ¹უა“-ს (ბზიფ. აფს¹გ¹უა), მრ. რ. აფსაჯა, აფსაქა. 1970 წლ. აღწერის მიხედვით საბჭოთა კავშირში აფხაზთა რიცხვი 84 ათასამდე აღწევს. აფხაზები სახლობენ აფხაზეთის ავტონომი-

¹ მაგ., K. Bouda. Das Abasinische, eine unbekannte abchasische Mundart. ZDMG. B. 94, 1940.

ურ სს რესპუბლიკაში (საქართველოს სსრ) კომპაქტურად ძირითადად – ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონებში¹.

აფხაზურ ენაში ამის კვალობაზე გამოიყოფა ორი მთავარი დიალექტური ერთეული: ა ბ ჟ უ უ რ ი და ბ ზ ი ფ უ რ ი. აბჟუელები შედარებით უფრო მრავალრიცხოვანნი არიან და თვით დიალექტის შიგნითაც სხვაობა ნაკლებ შესამჩნევია. აბჟუურის თქმათა შორის ყველაზე არსებითი სხვაობა თავს იჩენს კბილბაგისმიერი მკვეთრი ჭ სპირანტის მიხედვით. ეს სპირანტი ერთადერთ აჭა („წვრილი“) სიტყვაში დაცულია ზოგი სოფლის (ჭლოუ, ტამიში...) მეტყველებაში, სხვაგან კი – გადასულია ჰ ხშულში.

აფხაზური სამწერლობო ენა დაფუძნებულია შედარებით მარტივი ფონოლოგიური სისტემის მქონე აბჟუურ დიალექტზე.

ბზიფური დიალექტი აბჟუურ დიალექტს ძირითადად უპირისპირდება მთელი რიგი ფონემებით. აბჟუურისაგან განსხვავებით ბზიფურის კილოკავებში გვაქვს წინაენისმიერ სპირანტთა და აფრიკატთა სისინ-შიშინა რიგები (ზ' ს' ძ' ც' წ' ზ' ს') და თავისებური ფარინგალური ფშვინვიერი სპირანტის მარტივი და ლაბიალიზებული სახეობები (ზ' ზ'). მარტივ სისინ-შიშინა სიბილანტთა ((ზ' ს' ძ' ც' წ') მიხედვით იგი უპირისპირდება აბჟუურის მსგავსად აბაზურ დიალექტებსაც.

ბზიფური დიალექტი აბჟუურთან სხვაობას ავლენს ფონეტიკურ პროცესებშიაც (უმთავრესად დროთა წარმოებისას) და ცალკეულ ლექსიკურ მასალაში.

თვით ბზიფური დიალექტი იძლევა კილოკაური დაყოფის მეტად ჭრელ სურათს. სხვაობა კილოკავთა შორის ძირითადად მოდის ფონოლოგიურ სისტემაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი სოფლის მეტყველებას ემჩნევა ნარეკობა თქმათა მიხედვით და, რომ ახალგაზრდობა თანდათან გადადის სამწერლობო ენის უფრო მარტივ სისტემაზე, მაინც ხერხდება ამ დიალექტის საკმაოდ გამოკვეთილ ტერიტორიულ კილოკავებად დაყოფა. ამ დაყოფის საფუძველია იმავე სისინ-შიშინა სიბილანტთა ქონა-არქონის ფაქტი.

ბზიფური დიალექტის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ამოსავალ ჯ, ჯ' ფარინგალური ხშულების ცვლის შედეგად მიღებული თავისებური ფარინგალური ზ ზ' სპირანტების არსებობა. ისინი აბჟუური დიალექტებისაგან განსხვავებით ბზიფურის ყველა კილოკავში დასტურდება.

გარდა ამისა, ბზიფური დიალექტის ნიშანდობლივი თავისებურებაა სისინ-შიშინა სიბილანტების ქონა, ოღონდ სწორედ მათი ამჟამად გამოყე-

¹ აფხაზები აგრეთვე სახლობენ თურქეთში, სადაც ისინი გადასახლდნენ მუჰაჯირობის დროს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ხანიდანაა შემორჩენილი აფხაზებით დასახლებული რამდენიმე სოფელი ბათუმის მახლობლად.

ნების მხრივ საჭირო ხდება კილოკაური დაყოფა. ეს სიბილანტებია სისინ-შიშინა მარტივი **ზ ს ძ ც წ** და ლაბიალიზებული **ზ ს**.

მთის სოფლების (როგორცაა: ოთჰარა, ბლაბურხვა...) ყველაზე უკეთ დაცულ მეტყველებას კარგად აქვს შემონახული ყველა ეს სპეციფიკური თანხმომავანი – **ძ ც წ ზ ს ზ ს** (არას ვამბობთ ფარინგალურ **ხ წ** სპირანტებზე, რომლებიც ყველა კილოკავშია და, რა თქმა უნდა, აქაც). ზოგ კილოკავს დაუკარგავს სისინ-შიშინა **ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი** სპირანტები, ზოგს კი ეს უკანასკნელები დაცული აქვს, მაგრამ დაუკარგავს მარტივ სისინ-შიშინა სიბილანტთა რიგი. ახალგაზრდათა მეტყველებაში – უმთავრესად ბარის სოფლებისა – ყველა ეს სისინ-შიშინა რიგის სპირანტ-აფრიკატები მოშლილია (შენარჩუნებულია ოდენ **ხ წ**).

სისინ-შიშინა სიბილანტთა რიგის მიხედვით დღევანდელ ბზიფურ დიალექტში ჩვენ გამოვყოფთ **ს ა მ** ძირითად კილოკავს¹:

1. ოთჰარის (ტათჰარა) კილოკავი, რომელშიაც დაცულია ბზიფური დიალექტის ყველა ფონემა – **ძ ც წ ზ ს ზ ს ხ წ**².

2. ლიხნის კილოკავი, რომელშიაც დაცულია – **ძ ც წ ზ ს ხ წ** (აკლია: **ზ ს**)³.

3. ააცის (ქართული ისტორიული წყაროებით: ადაცო) კილოკავი, რომელშიაც დაცულია – **ზ ს ხ წ** (აკლია **ძ ც წ ზ ს**)⁴.

მეოთხე კილოკავად, პირობით, შეიძლება გამოგვეყო ყველა დანარჩენი ბზიფელის მეტყველება (უფრო ახალგაზრდა თაობისა), რომელსაც ოდენ ფარინგალური **ხ წ** სპირანტები-ღა აქვს შემორჩენილი.

მარტივი სისინ-შიშინა სიბილანტთა რიგი (**ზ ს ძ ც წ**) გარდა ბზიფური დიალექტისა (კერძოდ, მისი ოთჰარისა და ლიხნის კილოკავებისა) დღეს არ მოეპოვება არც ერთ სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტსა თუ კილო-თქმას. ამდენადვე ამ დიალექტის ჩვენება უაღრესად ფასეულია არა თუ აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა ისტორიის თვალსაზრისით, არამედ აფხაზურ-ადილურ ენათა ისტორიისათვის საერთოდ.

რაც შეეხება ლაბიალიზებულ **ზ ს** სისინ-შიშინა სპირანტებს, ისინი საკმაოდ შერყეულან, ზოგ დიალექტში აღარც გვხვდება. მაგრამ უდავოა, რომ ყველა აფხაზურ-აბაზურ დიალექტს ჰქონდა. ამკარაა, რომ აბჟურს

¹ შდრ. სხვაგვარი დაყოფა: X. C. Бражба, Бзыбский диалект абхазского языка, თბილისი, 1964, გვ. 20-26.

² იხ. ჩვენი, საანგარიშო მოხსენება აფხაზური ენის ბზიფურ კილოზე მუშაობის შესახებ. ენიმკის მოამბე, ტ. IV, 3, 1939.

³ იხ. ჩვენი, აფხაზური ენის შესასწავლად სოფ. ლიხნში საზაფხულო მივლინების ანგარიში. ენიმკის მოამბე, ტ. II, 3, 1937.

⁴ დიალექტთა და ძირითად კილოკავთა მეტყველების საილუსტრაციოდ ბოლოს ერთვის ავტორის მიერ ყველა ხსენებულ პუნქტში ჩაწერილი ტექსტები.

დაუკარგავს ისინი, ხოლო აბჟურის კვალს მიჰყვება ბზიფური დიალექტის ლ ი ხ ნ ის კილოკავიც.

მეტად თავისებურია ა ა ც ი ს კ ი ლ ო კ ა ვ ი ს ვითარება. მარტივი სახის სისინ-შიშინა სიბილანტთა უქონლობით ამ კილოკავის მეტყველება გვერდით უდგას აბჟურსა და, ასევე, აბაზურ დიალექტთა მეტყველებას, მაგრამ, საფიქრებელია, რომ აქ განსხვავებულ ამოსავალთან გვექონდეს საქმე. ამას გვაფიქრებინებს ის რეფლექსები, რაც სათანადო სისინ-შიშინა ბგერათა შესატყვისად ჩამოყალიბებულა, ერთი მხრივ, აშხარულ-ტაპანთურ-აბჟურში და, მეორე მხრივ, ააცის კილოკავში (იხ. ქვემოთ, გვ. 209). ააცის კილოკავის ვითარება უფრო გვიანდელი ჩანს.

ა ბ ა ზ ე ბ ი თავიანთ გამაერთიანებელ სახელწოდებად იყენებენ სახელწოდებას „ა ბ ა ზ ა“-ს. მათი საერთო რიცხვი საბჭოთა კავშირში 1970 წლ. აღწერის მიხედვით 26 ათასამდე აღწევს. ისინი კომპაქტურად არიან დასახლებული ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში (სტავროპოლის მხარე, რუსეთის სფსრ) მდინარეების დიდი და მცირე იენჯუგის, ყუბანისა და გუმის სანაპიროებზე. გაფანტვით აბაზები გვხვდებიან ადიღეს ავტონომიურ ოლქსა და ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიურ სს რესპუბლიკაში, მაგრამ აქ მათ თანდათან ავიწყდებათ დედაენა და ერწყმიან ადიღელებს.

ა ბ ა ზ ა იყოფა ორ ჯგუფად. ესენია: ტ ა პ ა ნ თ ე ლ ე ბ ი (უფრო მრავალრიცხოვანნი – სახლობენ 14 აულში) და ა შ ხ ა რ ე ლ ე ბ ი (სახლობენ ოთხიოდე აულში). შესაბამისად ამისა გამოიყოფა ორი დიალექტი: ტ ა პ ა ნ თ უ რ ი და ა შ ხ ა რ უ ლ ი. აბაზური სამწერლობო ენა შექმნილია ტაპანთური დიალექტის საფუძველზე.

აშხარულ დიალექტზე ტაპანთური მეტყველების დიდი გავლენის მიუხედავად, აღნიშნულ დიალექტთა შორის სხვაობა მაინც (მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ტაპანთურისაგან განსხვავებით აშხარულში კბილბაგისმიერ სპირანტთა – ვ ჭ ჭ – სამეულის არსებობა; დ თ ტ ენაკბილისმიერი ლაბიალიზებული სამეულის სპორადულად შემონახვა, თუმცა მათ მოსდის დელაბიალიზაციაც – დ → დ, თ → თ, ტ → ტ; ლაბიალიზებულ აფრიკატთა ოდენ ერთი, უფრო სისინა რიგის – ც ძ წ – არსებობა; ბზიფურის მსგავსად ფონოლოგიური გარჩევა წინაენისმიერ ლაბიალიზებულ სპირანტთა ორი რიგისა...), ფონეტიკურს პროცესებში, გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში.

აღნიშნულ მოვლენათა მიხედვით აშხარული დიალექტი სიახლოვეს ავლენს აფხაზურის დიალექტებთან. ამდენადვე, ტაპანთური დიალექტი, საერთო ენობრივი საფუძვლის ერთიანობის მიუხედავად, განკერძოე-

ბულად დგას როგორც აფხაზურის აბჟურ-ბზიფური დიალექტებისაგან, ისე აშხარულისაგან¹.

მას, როგორც თავისებურ დიალექტს, დანარჩენ დიალექტებთან შედარებით, სხვაობა იმთავითვე უნდა ჰქონოდა (ძირითადად ეს ეხება ვ ჭ ჭ სპირანტთა ს ა მ ე უ ლ ის უქონლობას ტაპანთურში). მთელი რიგი ცვლილებები კი საერთოდ აფხაზურ-აბაზურ ამოსავალთან შედარებით ტაპანთურში წარმოქმნილია დამოუკიდებელი განვითარების შედეგად. ამას კი თავის მხრივ ხელი შეუწყო ტაპანთელთა აფხაზური ენობრივი ურთიერთობისაგან ჩამოშორებამ და ადიღურ ენათა გავლენის ქვეშ მოხვედრამ.

სახელწოდება ტ ა პ ა ნ თ ა ოსური წარმოშობისაა (შდრ. ოს. ტაპან „ბრტყელი“) და დაბლობსა და მის მკვიდრზე მიუთითებს.² აფხაზები მას „აშ“^გ-ს, ბზ. „ას“^გ-ს („აშ“^ად“^გ-ს || „აშ“^დგ“-ს) ემახიან (აშ“^გ – „მინდორი“), ხოლო ა ბ ა ზ ა ს – აშ“^რგ“^ა“-ს³ (ბზ. ას“^რგ“^ა).

ტაპანთელები ჩრდილოეთში გადასულნი არიან შედარებით ადრე, – არაუგვიანეს მეთოთხმეტე საუკუნისა, ხოლო აშხარელები ბევრად გვიან,

¹ დიალექტთა შორის არსებულ ყველა სხვაობას აქ ვერ გამოვუდგებით. ისინი დაწვრილებით იქნებიან დახასიათებული ქვემოთ თავ-თავის ადგილას.

² ქართულ მწერლობასაც შემოუნახავს მითითება ამ ტოპონიმზე, მაგ., შაჰნავაზიანში ვკითხულობთ:

ვახტანგ გუარგასალ მეფემან დაიპყრა ხაზარელია;
რუსნი დაჰფანტა, ყივჩაყნი, უომრად მათ არ ელია;
თარაყან მოკლა, ბაღათარ, საქმე ქნა საზარელია;
ყაბარდის მეფე შეიპყრა, თქუა: „წასულას ნულარ ელია!“
ჩერქეზი¹, დაიონავრა², მინდორი სულა დაფანტა³ (ხაზგასმა ჩვენია – ქ. ლ.).
შეიპყრა ციხე ქალაქი, მებრძოლი ყუელგნით დაფანტა;
ჰმალს შეაჯერა კუეთანი⁴, დაჭრა, დახია, დაფარტა;
მას არ მიაჩნდა სულდგმული სწორად, მართ ვითა აპანტა.

დედანშია: 1. ჩერგეზი, 2. დაიონვარა, 3. თაფანტა (ხაზგასმა ჩვენია! – ქ. ლ.), 4. კუეთინი. იხ. ფეშანგი. შაჰნავაზიანი. გიორგი ლეონიძისა და სოლ. იორდანაშვილის რედაქციით. სახელგამი, თბილისი, 1935, გვ. 8.

შაჰნავაზიანის აღნიშნულ ადგილზე მიგვითითა ივ. გიგინეიშვილმა და როგორც იგი მართებულად ვარაუდობს, თაფანტა, რომელიც გამომცემლებს დაფანტა-თი შეუცვლიათ, უნდა აღნიშნავდეს სწორედ „ტაპანთა“-ს. პოემის შემდეგს გამოცემაში უნდა აღდგეს დედნისეული წაკითხვა.

მოყვანილ ადგილში საგულისხმო ისიც არის, რომ ავტორს თაფანტას ერთგვარ დახასიათება-განმარტებისას მითითებული აქვს მსაზღვრელი მ ი ნ დ ო რ ი, რაც ტაპანთას მნიშვნელობას ეგუება, შდრ. თუნდაც მისი აფხაზური სახელწოდება აშ“-დ“ = აშ – მ ი ნ დ ო რ ი“.

³ ამ ტერმინთა შესახებ იხ., А. Н. Генко, Абазинский язык. Грамматический очерк наречия Тапанта, москво, 1955, გვ. 7-9.

მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული (თანაც – არაერთდროულად). ამითვეა გამოწვეული ტაპანთურის ესოდენ დაშორება სამხრული – აფხაზური – დიალექტებისაგან.

აშხარელებს ჯერ კიდევ ცოცხლად აქვთ შენარჩუნებული კონტაქტი თავიანთ წინანდელ საცხოვრისთან. აბაზას გვერდით აშხარელი თავის თავს აშკარა (ა) უა-ს, ე. ი. მთიელს უწოდებს, რაშიაც ასახულია მისი მთიულური წარმომავლობა. ამავე დროს იგივე აშხარელი თავის თავს აფსა უა-საც, ე. ი. აფხაზსაც უწოდებს.

ამისივე გამოძახილი უნდა ყოფილიყო ის, რომ მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან წლებში აშხარელთა სამოციოდე კომლი გადმოსახლდა აფხაზეთში მთიანი სოფლის ფსხუს (ფსჰ) მიდამოებში (სადაც ჩვენ 1947 წელს ჩავიწერეთ კიდევ მათი მეტყველების ნიმუშები), ოღონდ შემდგომში მათი უმრავლესობა დაიფანტა; შეერივნენ ბარის აფხაზური სოფლების მოსახლეობას (ნაწილიც უკან დაბრუნდა).

ტაპანთურის კილოკავებად დაყოფა, – ასევე აშხარულისაც, – დიდ სიძნელეებს აწყდება, რამდენადაც ეს დიალექტები დიდი ნარეკობით ხასიათდება და, შესაბამისად, ესა თუ ის მოვლენა (უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისა) შეიძლება გავრცელებული იყოს არა „ჰორიზონტალურად“, გეოგრაფიული მასშტაბის მიხედვით, არამედ „ვერტიკალურად“ – ერთსა და იმავე გეოგრაფიულ პუნქტში – თაობათა მიხედვით.

სპეციალურ ლიტერატურაში ტაპანთური დიალექტი სამ ენობრივ ერთეულად – თქმად – არის დაყოფილი. ესენია: ფსიჟ-ელბურგანისა (= დუდარგყვა-ბიბერდისა), ყუბინა-ინჯიქკუნისა (=ყუბინა-ლოუქეთკუნისა) და კრასნი ვოსტოკისა (= გუმლოქთისა)¹.

ვფიქრობთ, ფონემათა ამა თუ იმ ვარიანტებისა და მათი გამოყენება-გავრცელების მიხედვით ტაპანთურში თქმათა გაცილებით მეტი რიცხვი შეიძლება გამოვყოთ, მაგრამ ეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შესაძლოა ერთი სოფლის მეტყველებაშიაც დადასტურდეს და ამდენადვე ვერ გამოდგება ტერიტორიულ კილოკავთა დაჯგუფების კრიტერიუმად.

ტაპანთური დიალექტის კილოკავებად დაყოფას საფუძვლად უნდა დაედოს წინაენისმიერ ლაბიალიზებულ სიბილანტთა რეფლექსები, კერ-

¹ იხ. ა. გენკოს ხსენებ. ნაშრ., გვ. 12 და შემდ.

ამის თაობაზე იხ. ჩვენი, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, ტექსტებითურთ, თბილისი, 1944, § 2. მითითებულ ადგილას ტაპანთურის კილოკავებად დაყოფის საკითხში – და სხვა ენობრივ მოვლენათა განხილვისასაც – ვეკამათებოდით გ. სერდიუჩენკოს, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, მოყვანილ დებულებათა ავტორია ა. გენკო, რის გამოც შემდეგში ჩვენ მივუთითებთ ამ პირველ წყაროს.

ძოდ, მათი ს რ უ ლ ი დ ე ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ფ ა ქ ტ ი (ე. ი. – ს° || შ° → შ°, ზ° || ჟ° → ჟ°, ძ° || ჯ° → ჯ°, ც° || ჩ° → ჩ°, წ° || ჭ° → ჭ°).

ამის მიხედვით ტაპანთურში გამოიყოფა ორი კილოკავი: 1. **ფსიჟ-კრასნივოსტოკისა** (რომელსაც ახასიათებს გარკვეული რ ი გ ი ს ს ი ბ ი - ლ ა ნ ტ თ ა ს რ უ ლ ი დ ე ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი ა, მიუხედავად იმისა, რომ კილოკავის შიგნით არსებობს სხვადასხვა სისტემის მიმდევარ ინდივიდთა ჯგუფები) და 2. **ყუბინა-ელბურგანისა** (რომელშიაც არ ხდება მითითებულ ფონემათა სრული დელაბიალიზაცია)¹.

აშხარული დიალექტი წარმოდგენილია კომპაქტურად სამ აულში. ესენია: აფსუა და ახალი და ძველი კუვინსკი (ჯ°ჟ°), რომლებიც დიდი ხანი არაა, რაც ერთმანეთს გამოეყო. მათთანვეა აული ა ბ ა ზ ა ქ თ ი, რომელშიაც აბაზები (ნარევი შედგენილობისა) ყაზარდოელებთან ერთად სახლობენ. აშხარულში გამოიყოფა ორი მთავარი კილოკავი: **კუვინსკისა** და **აფსუისა**. თავისებური თქმაა აბაზაქთის აბაზური მეტყველება, როგორც ნარევი მეტყველება. მას ემჩნევა ტაპანთურთანაც მეტი სიახლოვე (ტაპანთელებთან ნარევიობის გამო), მაგრამ მაინც აშხარულ დიალექტს განეკუთვნება².

ა ფ ს უ ი ს ა და კ უ ვ ი ნ ს კ ი ს კილოკავები მნიშვნელოვან სხვაობას გვიჩვენებენ როგორც ფონოლოგიურ სისტემაში (მაგ., აფსუის კილოკავს ახასიათებს ყველა სხვა დიალექტისა და თქმისთვის უცნობი მაგარი ლაბიალიზებული შ°, ჟ° სპირანტები – ფონემურად ბზიფური დიალექტის შიშინა ლაბიალიზებული შ°, ჟ°-ს შესაბამისი), ისე ფონეტიკურს პროცესებში, გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში (ხშირ შემთხვევაში შეინიშნება აფსუის კილოკავის მეტი მიდრეკილება ტაპანთური დიალექტის ენობრივი მოვლენებისაკენ)³.

ეს სხვაობა ისეთი მრავალფეროვანი და ზოგჯერ არსებითი ხასიათისაც არის, რომ სხვა განზომილებაში აქ არა თუ კილოკავებზე, არამედ შესამჩნევად დაპირისპირებულ დიალექტებზედაც შეიძლება დასაპარაკი, მაგრამ ამავე დროს აფსუის და კუვინსკის მეტყველებას აქვს რიგი ისეთი გამაერთიანებელი თავისებურებანი იმავე ფონოლოგიურ სისტემაში, ფონეტიკურ პროცესთა მიმართულებაში, გრამატიკულ წყობასა და ლექ-

¹ დაწვრილებით ამ საკითხებზე იხ. ქვემოთ, გვ. 154-155; 166-167; 184-189.

² იხ. ჩვენი, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, ტექსტებითურთ, თბილისი, 1954, წ., გვ. VIII, X; იქვე, აშხარული ტექსტები, გვ. 47, შენ. 1.

ა. გ ე ნ კ ო ა ბ ა ზ ა ქ თ ი ს მეტყველებას ტაპანთურ დიალექტს, კერძოდ, მის კრასნი ვოსტოკის კილოკავსაც კი განუკუთვნებდა, იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 12.

³ დაწვრილებით ამ საკითხებზე იხ. ჩვენი, აშხ. დიალ., § 56.

სიკაში, რომ სავსებით ბუნებრივი გამოდის მათი ერთ ენობრივ ერთეულად გაერთიანება¹ (რომელსაც ცალკე რაიმე სხვა ენობრივ ერთეულსაც ვერ ვუწოდებთ სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებთან მიმართებით).

ეს რთული სურათი შედეგია წარსულში მათ მიერ განვლილი ასევე რთული ისტორიული გზისა; აფხაზ-აბაზა ტომთა როგორც ერთმანეთთან, ისე ადიღური (თუ სხვა) ენობრივი ერთეულების წარმომადგენლებთან შერევისა.

¹ იქვე.

II.

აფხაზური და აზაზური სამწერლობო ენები

1. აფხაზური სამწერლობო ენა. აფხაზური ენა ერთ-ერთი ახალდამწერლობიანი ენაა.

აფხაზურ ენაზე დამწერლობის შექმნა და აფხაზური ანბანის შემუშავება დაკავშირებულია აფხაზური ენის მეცნიერულ შესწავლასთან.

1861 წ. ცნობილი რუსი კავკასიოლოგი პ. უსლარი შეუდგა აფხაზური ენის შესწავლას და 1862 წ. ქ. თბილისში კიდეც გამოაქვეყნა (ლითოგრაფიულად) აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა, რომელიც ხელმეორედ უკვე სტამბურად გამოიცა თბილისშივე 1887 წ.¹.

აფხაზური ენის რთული ფონეტიკური სისტემის გამოსახატავად მან გამოიყენა რუსული გრაფიკა. თავისებური აფხაზური ბგერების გადმოსაცემად მთელ რიგ შემთხვევაში დიაკრიტიკული ნიშნები დაურთო რუსულ ასოებს და, გარდა ამისა, რამდენიმე ასო შეურია ლათინური და ქართული ანბანებიდანაც.

ანბანის შედგენისას საფუძვლად აიღო მის მიერვე „ქართულ-კავკასიურად“ წოდებული ანბანის სისტემა (იგულისხმება ხშულთა სამეულბერივი სისტემის ქართულ ანბანში ასახვის წესი).

პ. უსლარის მიერ შემუშავებულ აფხაზურ ანბანს ჰქონდა 55 ასო (ანბანში არაა შეტანილი, მაგრამ ე. წ. „ყელისმიერი“ ა-სათვის საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული აქვს **ა**).

ანბანი შედგენილი იყო უფრო რთულ ფონოლოგიური სისტემის მქონე დიალექტზე დაყრდნობით, თუმცა ყველა ფონემა, პ. უსლარის ღრმა რწმენის მიუხედავად, ამ დიალექტისა – და არც საერთოდ აფხაზურისა – მაინც არ არის მის მიერ აღრიცხულ-გამოხატული. თავი რომ დავანებოთ ნახევარხმოვან **ჟ**-ს, პალატალიზებულ და ლაბიალიზებულ უკანაენისმიერ თანხმოვნებს, პ. უსლარის ნაშრომში საკუთარი ნიშნით არაა წარმოდგენილი საერთო აფხაზური **ჟ**, **ჯ**, ბზიფური დიალექტის – **ზ**, **ძ**.

იმავე ხანებში გენერალ ბართოლომეის მეთაურობით შეიქმნა აფხაზური ანბანის დამმუშავებელი კომისია დ. ფურცელაძისა და ვ. ტრიროგოვის შემადგენლობით. კომისიას დახმარებას უწევდნენ აგრეთვე ი. გეგია, გ. ქურციკიძე და ს. ეშბა.

¹ П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание, I. Абхазский язык, Тифлис, 1887.

პირველ ხანებში კომისიამ შეიმუშავა საკუთარი სისტემის ანბანი „ზიფური გამოთქმის“ მიხედვით და შეადგინა საანბანო წიგნი, მაგრამ შემდეგ კონსტანტინე და გრიგოლ შერვაშიძეების რჩევით, როგორც ბართოლომეი აღნიშნავს, კომისიამ იგი შეცვალა „საერთო-აფხაზური გამოთქმით“ და ანბანიც, როგორც კომისიის მიერ დამუშავებული ანბანი, დაეყრდნო უფრო მარტივ ფონეტიკურ სისტემას, გამოყენებულ იქნა 52 უსლარისეული ნიშანი. ამგვარად, პირველი აფხაზური საანბანო წიგნი გამოქვეყნდა 1865 წ. ქ. თბილისში.

საყურადღებოა ამ წიგნის წინასიტყვაობაში ბართოლომეის განცხადება, რომ ანბანს საფუძვლად დაედო „საერთო-აფხაზური გამოთქმაო“¹. ზგერითი სისტემის მიხედვით იგი თითქოს ეყრდნობა ძირითადად აბჟურის ფონემურ შედგენილობას (გამორიცხულია ანბანიდან უსლარისეული წ' ც' ს' და აგრეთვე ზ' ძ' – ზიფურისთვის დამახასიათებელი), მაგრამ დატოვებულია ზ' ზ' და ს' – დამახასიათებელი ისევ ზიფური დიალექტისათვის (კერძოდ, მისი აწინდელი ოთჰარისა და ააცის კილოკავებისათვის).

ბართოლომეის ანბანში მიღებული „საერთო-აფხაზური გამოთქმის“ შესაბამისი სისტემა დამახასიათებელი ჩანს იმხანად აფხაზეთის ცენტრალურ ნაწილში მოსახლე აფხაზთათვის (დაახლოებით იგივე სისტემა დღეს ააცის კილოკავში).

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებისათვის აფხაზური ენის სამი დიალექტური ერთეული მაინც არის სავარაუდებელი: ა ბ ჟ უ უ რ ი (აღმოსავლეთით), გ უ მ ი ს თ ი ს ა (ცენტრალურ ნაწილში) და ბ ზ ი ფ უ რ ი (დასავლეთით).

გ უ მ ი ს თ ი ს, ე. ი. ცენტრალური ნაწილის, დიალექტური თავისებურებანი ფონოლოგიურ სისტემაში მეტ-ნაკლებად ახლოს მდგომი ჩანს აბაზურის აშხარული დიალექტის თავისებურებისა. არსებითად ეს სისტემა ჩანს ამოსავალი აბჟურისთვისაც, მაგრამ აბჟურს უფრო ადრე უცვლია სახე, – გამარტივებულა.

ბართოლომეის ანბანში მოცემულია ხელნაწერის სახით აფხაზური მასალა, ამ მასალის თარგმანი რუსულად და ქართულად. ჯერ მოცემულია ცალკეული სიტყვები, შემდეგ – ფრაზები, მოკლე მოთხრობა-დარიგებანი და დართული აქვს აფხაზურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი (არა ანბანთ რიგზე) – ძირითადი ლექსიკური ფონდის შემცველი 2800-მდე სიტყვა. ესენია: საზოგადო სახელები, რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები, ზმნები (ზმნები წარმოდგენილია პირველი პირის ფორმით!). ბო-

¹ Абхазский букварь. Составлен под руководством И. Бартоломея, тбилиси, 1865, წინასიტყვაობა.

ლოს დართული აქვს გ. ქურციკიძის მიერ შეგროვებული ოთხმოცდაათამდე ანდაზა თარგმანითურთ.

ამდენად მასალა არც თუ მცირეა და დიდ ინტერესსაც აღძრავს იმდროინდელი აფხაზური მეტყველების დახასიათების თვალსაზრისით.

ხსენებული საანბანო წიგნი ენობრივი ნორმების მიხედვით უფრო ბზიფური დიალექტისაკენ იხრება. განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსიკური მონაცემები. მასში გვხვდება საკმაო რაოდენობით სიტყვები, რომლებიც დღეს ან სულ არ იხმარება, ან მეტად – იშვიათად (მაგ. ადქანრა „ქალაქი“, ანხან „ქორწილი“... ქართულიდან შესული: ასარკალ, გალაბა, აბამბელ, აჩეთ, აკაკაჟ, ამაწავ, აინდრა, აწკგწკაშარა და მრ. სხვა).

ძირითადად აღნიშნულ საანბანო წიგნში მოცემული ენობრივი ნორმები ახასიათებდა იმ მცირეოდენ ბეჭდურ პროდუქციას, რაც მაშინ გამოდიოდა (ანბანის შემადგენლობა ასევეა შემორჩენილი ოთხთავშიც, რომელიც 1912 წ. გამოვიდა).

აღნიშნული ცდის შემდეგ თანდათან იწყო გამოსვლა (თბილისში) აფხაზურმა საანბანო წიგნებმა. 1892 წ. გამოვიდა კ. მაჭავარიანისა და დ. გულიას საანბანო წიგნი. იგი ძირითადად ეყრდნობოდა ბართოლომეის კომისიის მიერ მიღებულ ანბანს. ზოგი რამ ცვლილებაც იყო შეტანილი. ეს ცვლილება იმაში გამოიხატა, რომ ამოღებულ იქნა ხ (x) ასო და ამით უფრო დაუახლოვდა აბჟურ დიალექტის გამოთქმას. პ. უსლარისა და ი. ბართოლომეის ანბანთაგან განსხვავებით შეცვლილია ზოგ შემთხვევაში ასოთა გამოსახულება. ამ მიზნით გამოყენებულია (ოდნავ შეცვლილი) ის სისტემა, რაც ზავადსკიმ მიიღო 1887 წ. (მ ი ლ ე რ ზ ე დაყრდნობით).

1909 წ. გამოქვეყნდა ა. ჭოჭუას საანბანო წიგნი: მასში შემდგომი დაზუსტება ჰპოვა აფხაზურმა ანბანმა. ავტორი შენიშნავს, რომ ეს საანბანო წიგნი განხილულ იქნა საგანგებო კომისიის მიერ. პრაქტიკამ აუცილებელი გახადა ანბანში ცვლილებების შეტანა ასოთა განლაგებისა და მართლწერის შეცვლის მხრივ. მართლწერა შეიცვალა სოხუმის აფხაზური კომისიის მიერ მიღებული წესის შესაბამისად. აქ უკვე გარკვევითაა ორიენტაცია აღებული აბჟურ დიალექტზე. ანბანიდან ამოღებულია არა მარტო ხ, არამედ ზ და ს-ც. ა. ჭოჭუას საანბანო წიგნის ენა უფრო აბჟურისაკენ იხრება, თუმცა აქა-იქ ბზიფური ფორმებიც იჩენს თავს.

1913 წ. შეიქმნა „ბზიფის კომიტეტი“, რომელმაც ბზიფური დიალექტის ფონეტიკური სისტემის მიხედვით ლათინური ანბანის საფუძველზე დაამუშავა ანბანი, მაგრამ ამ წამოწყებამ გავრცელება ვერ პოვა.

აფხაზური ენა ერთ-ერთი მდიდარი ფონეტიკური სისტემის მქონე ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორისაც კი. ამ სისტემის შესაფერისი ანბანის დამუშავება – ცალკეული სპეციფიკური ბგერისათვის შესაბამისი ნიშნის დაძებნა – გარკვეულ სიძნელეებს ხვდებოდა. 1926-28 წ. იყო ცდა

გამოეყენებინათ (უკვე არსებული ძირითადად რუსული გრაფიკის მქონე ანბანის გვერდით) ნ. მარის მიერ შემუშავებული აფხაზური ანალიზური ანბანი – ლათინური გრაფიკის მქონე, შევსებული დიაკრიტიკული ნიშნებით, მაგრამ ვერც ეს ანბანი დაინერგა.

1929 წ. იაკოვლევა აფხაზურისთვის დაამუშავა იმავე ლათინურის საფუძველზე 56 ნიშნის შემცველი ანბანი. ამ ანბანს იყენებდნენ 1938 წლამდე. 1938 წ. დამუშავებულ იქნა აფხაზური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე, – ისიც 56 ნიშნის შემცველი, რომელიც გამოიყენებოდა 1954 წლამდე. 1954 წ. იგი შეცვლილ იქნა რუსული გრაფიკის საფუძველზე დამუშავებული ახალი ანბანით, რომელიც ნაწილობრივ ეყრდნობა ადრე არსებულ რუსული გრაფიკის მქონე ანბანს.

ამჟამად მოქმედი ანბანი შეიცავს სულ 40 ნიშანს. მათგან 25 რუსული ასო გამოეყენებულა სათანადო აფხაზური ფონემების გამოსახატავად ყოველგვარი განმასხვავებელი ნიშნის გარეშე (ესენია: а а, н б, в ვ, г გ, დ დ, е ე, ж ჟ, з ზ, и ი, კ კ, л ლ, მ მ, н ნ, о ო, პ პ, რ რ, с ს, ტ ტ, უ უ, ფ ფ, ხ ხ, ц ც, ч ჩ, ш შ, ხ გ); (სამი ასო ასევე მარტივია დამატებული (ჯ ძ, ი ჯ, ლ ჯ); ათი კი წარმოადგენს სახეცვლილ რუსულ ასოებს (ესენია გ დ, ზ ჩ, ლ კ, მ ყ, ნ ფ, ტ თ, ხ ჰ, ი ჯ, ყ ჰ). ამათ გარდა არის ორი ნიშანი, რომლებიც ცალკე ფონემას არ აღნიშნავენ: ა ლაბიალიზაციის გამოსახატავად და ხ სილბოსთვის. ამ უკანასკნელთა ზემოთ მოყვანილ თანხმობების გამომხატველ ასოებთან შეერთებით, ე. ი. ორ-ორი ნიშნით, გადმოიცემა თვრამეტი ფონემა (ესენია: гь გ, гь ლ, ძა და, ძხ ჯ, ჯა ჟ, ჯა ძ, კხ კ, კ ხ, ყ თ, თ თ, ხ ჰ, ი ჯ, ყ ჰ, შხ შ, შა შ).

ამგვარად, ზემოაღნიშნული ანბანით გამოიხატება თანამედროვე აფხაზური ენის 56 ფონემა. ანბანს აქვს მთავრული ასოები.

არ აღინიშნება ნახევარხმოვნები (ა, უ) და უკანაენისმიერთა (გ კ ქ ღ ხ) და ფარინგალური ყ-ს ლაბიალიზაცია საგანგებო ნიშნით. ლაბიალური კომპლექსი ამ შემთხვევაში გამოხატულია ყ (უ) ასოთი (гь, кь, къ, гь, хь, къ).

რუსული ენის к т п აფხაზურ ანბანში შეეფარდა მკვეთრ კ ტ პ-ს, ხოლო ფშვინვიერები განსხვავებული ნიშნებით იქნა გადმოცემული. რუსული ენის ж და ш შეეფარდა სათანადო მაგარ ვარიანტებს. რუსული სიტყვების რუსულივე ორთოგრაფიით გადმოცემა აფხაზურ ანბანში არ ხდება (მაგ., я, ю, ё, ш-ს და სხვათა შემცველი სიტყვები იწერება ისე, როგორც ეს შეეფარდება აფხაზურ მართლწერას, მაგ., ასე: иа, иу, ио, шыч...). გამონაკლისს ქმნის რბილი ль, მიუხედავად იმისა, რომ თვით აფხაზურ გამოთქმას რბილი л არ ეგუება, ნასესხებ სიტყვებში რბილი л (ль) აისახება.

აფხაზური სამწერლობო ენის საფუძვლად, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღებულია აბჟურული დიალექტი, მარტივი ფონეტიკური სისტემის მქონე.

აფხაზური სამწერლობო ენა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იქცა აფხაზური ხალხის კულტურული წინსვლის მძლავრ იარაღად. აფხაზურ ენაზე მიმდინარეობს პირველდაწყებით სკოლებში სწავლება; ქ. სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში იკითხება აფხაზური ენისა და ლიტერატურის კურსები აფხაზურ ენაზე სათანადო განყოფილების სტუდენტათვის. აფხაზურ ენაზე ქვეყნდება სახელმძღვანელოები პირველდაწყებითი სკოლისათვის როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური. აფხაზურ ენაზე სახელმძღვანელოები არსებობს აფხაზთმცოდნეობაში პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტათვის.

აფხაზურ ენაზე ითარგმნება და გამოდის სოციალ-პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტები, მარქსიზმის კლასიკოსთა თხზულებები. აფხაზურ ენაზე ითარგმნება სხვადასხვა ენიდან მხატვრული ნაწარმოებები (კლასიკური, საბჭოთა პერიოდისა...). გამოდის რესპუბლიკური გაზეთი АҧСНЫ КАҧШ („წითელი აფხაზეთი“) და რაიონული გაზეთები. აფხაზურ ენაზე წარმოებს რადიოგადაცემა (ქართულ და რუსულ გადაცემებთან ერთად). ქ. სოხუმში არსებობს სახელმწიფო თეატრი, სადაც ჩამოყალიბებულია აფხაზური დასი (არის ქართული დასიც). აფხაზური დასი დგამს როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ პიესებს. აფხაზური დასის შექმნამ ხელი შეუწყო აფხაზური დრამატურგიის განვითარებას, რომელიც ასახავს თანამედროვე და ისტორიული ხასიათის თემატიკას.

აფხაზური მწერლობის ფუძემდებელია დ. გულია. აფხაზური ხალხური შემოქმედების შეკრება-გამოცემასთან ერთად დ. გულიამ პირველმა დაიწყო აფხაზურად ლექსის წერა და საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ მწერლობასა და სამწერლობო ენასაც. დ. გულია დამაარსებელია პირველი აფხაზური პერიოდული ორგანოსი, რომელსაც АҧСНЫ („აფხაზეთი“) ეწოდებოდა და რომლის რედაქტორიც თვითვე იყო. მან პირველმა შექმნა ლიტერატურული წრე, სადაც არა ერთმა და ორმა აფხაზმა პოეტმა და მწერალმა აიდგა ფეხი.

აფხაზური მწერლობის განვითარებაში გ. გულიასთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი უდევთ ა. ჭოჭუას, ივ. კოდონიას, ლ. კუწნიას, ივ. ჭანბას, ივ. პაპასკირს, მ. ჰაშბას, ბ. შინქუბას, ივ. თარბას, ლ. ლაბახუას და სხვ.

აფხაზურ ენაზე გამოდის მწერალთა კავშირის ორგანო Алашара („სინათლე“), საბავშვო ჟურნალი Амцабз („ალი“).

აფხაზური სამწერლობო ენა გამდიდრდა და დაიხვეწა ახალი ყოფის ასახვასთან დაკავშირებით. ინტერნაციონალური სიტყვები, ახალ ცნებათა

აღმნიშვნელი ლექსიკა აფხაზურში შედის ძირითადად რუსული ენიდან, და აგრეთვე ქართულიდან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მუშაობა, რაც ჩატარებულია და ტარდება ახალ ცნებათა გამოსახატავად თვით აფხაზური ენის საშუალებათა გამოყენებით (მაგ. შედეგი – ალწშა, მოწოდება – ააფხარა, კინოსურათი – აკინოსახა, მოხსენება – აჟახა, მეურნეობა – ანხამჯა, ხელმძღვანელობა – ანაჰგარა, მდგომარეობა – თაგელაზააშა, ურთიერთობა – ეფხეაზააშა, საწარმოები – ანაჰლაკქა და მრ. სხვ.). მუშავდება და გამოდის თარგმნითი, ტერმინოლოგიურ-ორთოგრაფიული და სხვ. ლექსიკონები.

აფხაზური ენა არაა სიტყვაწარმოებითი აფიქსებით მაინცდამაინც მდიდარი. მრავალფეროვანი სინამდვილის ასახვის საჭიროებამ აუცილებელი გახადა საშუალებების დაძებნა. ახალი ფუნქციებით აღიჭურვა რიგი სიტყვაწარმოებითი ელემენტი (მაგ., სუფ. -რა, -ხა, -ტ და სხვ.), გაფართოვდა მათი გამოყენების არე.

2. აბაზური სამწერლობო ენა

აბაზური ერთ-ერთი ყველაზე ახალდამწერლობიანი ენაა. აბაზური სამწერლობო ენის განვითარებას საფუძველი ეყრება აბაზური დამწერლობის შექმნის მომენტიდან. იგი შეიქმნა 1932-33 წლ. ლათინური გრაფიკის საფუძველზე, 1938 წ. იგი შეიცვალა რუსული ანბანის მიხედვით დამუშავებული სისტემით.

აბაზური სამწერლობო ენა ეყრდნობა ტაპანთური დიალექტის, კერძოდ, მისი ყუბინა-ელბურგანის კილოკავის მეტყველებას, თანაც ამ მეტყველების ე. წ. შიშინა ვარიანტს, რაც გულისხმობს პარალელურად, სხვადასხვა მთქმელის ენაში არსებული ძ° || ჯ°, ც° || ჩ°, წ° || ჭ° და მისთანათა რიგიდან შიშინა ჯ° ჩ° ჭ°... სახეობათა არჩევას, რითაც აბაზური სამწერლობო ენა მნიშვნელოვნად შორდება აფხაზურ სამწერლობო ენას (ამ უკანასკნელში ლაბიალიზებულ აფრიკატთა სისინა სახეობებია გამოყენებული სალაპარაკო ენის საერთო ნორმის შესაბამისად).

სპეციალურ ლიტერატურაში თვლიან, რომ აბაზური სამწერლობო ენის საფუძველი ტაპანთურის ფსიჟ-ელბურგანის კილოკავიაო, მაგრამ ამ შემთხვევაში ანგარიში არ ეწევა იმ ფაქტს, რომ ფსიჟის მეტყველებას ახასიათებს კრასნი ვოსტოკის მეტყველების მსგავსად სრულად დელაბიალიზებული სახეობები გარკვეული რიგის ჟ°, შ°, ჯ°, ჩ°, ჭ° ფონემებისა, ე. ი. მათ ნაცვლად ფსიჟელთა მეტყველებაშიაც კრასნი ვოსტოკელთა მსგავსად გამოიყენება ჟა, შა, ჯა, ჩა, ჭა, რაც უცხოა როგორც სხვა ძირითადი სოფლების (ყუბინა, ელბურგანი, ინჯიქკუნი...) მეტყველებისათვის, ისევე სამწერ-

ლობო ენისათვის, ამდენადვე შეუძლებელია სამწერლობო ენის საფუძვლად ფსიქის მეტყველება მივიჩნიოთ ისევე, როგორც შეუძლებელია იგივე ფსიქის მეტყველება კილოკაურად გავუთანაბროთ ელზურგანის მეტყველებას.

თანამედროვე აბაზური ანბანი შეიცავს რუსული ანბანის ყველა ასოს და დამატებით I ნიშანს. მათი კომბინაციით გამოიხატება მეტად რთული ფონოლოგიური სისტემა აბაზური ენისა (უკვეთ: ტაპანთურის ფონემატური შედგენილობისა). მათი შეერთებით აბაზურში (resp. ტაპანთურში) მოქმედი სამოცდათერთმეტი ფონემიდან გამოხატულებას პოვენს სამოცდაექვსი (ოცდარვა ორნიშნისა: გვ გ°, გვ ღ, გვ გ', გლ ზ, ძვ ჯ, ძვ ძ, ჯვ ჟ, ჯვ ჟ°, კვ ქ°, კვ ყ, კვ ქ, კლ კ, ლვ ლ', ლლ ლ, ლლ პ, ტლ ლ', ტლ ზ, ტლ ტ, ქლ ჭ, ჯვ ხ°, [| ხ', ხვ ჳ, ხვ ხ' [| ხ', ხლ ჳ, ქლ ლ', ქლ ჳ, ქვ შ°, შლ ჳ, ხლო თორმეტი – სამნიშნისა: გვ ღ, გვ ღ', გლ ზ°, ძვ ჯ, ძვ ჯ°, კვ ყ, კვ ყ', კლ კ°, კლ კ', ხვ ჳ°, ხლ ჳ°, ქლ ჳ'). აბაზურს აქვს მთავრული ასოებიც.

აფხაზურისაგან განსხვავებით რუსული ენის კ ტ პ აბაზურში გამოყენებულია ფშვინვიერ ქ თ ფ სახეობათა გამოსახატავად, რაც დიდად აშორებს ამ სამწერლობო ენათა წერის სისტემებს ერთმანეთს.

აბაზური ორთოგრაფიის მიხედვით რთული შენაერთი გამოსახულების მქონე ფონემათა ერთად თავმოყრისას (გაორკეცებისას) წერაში სრული სახით გადმოიცემოდა მხოლოდ მეორე მათგანი, პირველი კი იწერებოდა მხოლოდ ერთი თავკიდურა ნიშნით (მაგ. ჯ°ჯ° არა – ძვძვძვარა იწერებოდა ასე: ძვძვარა, რაც გარკვეულ სიმძელეებსაც ხვდებოდა სხვადასხვა შინაარსის სიტყვა-ფორმათა აღრვის მხრივ). ამჟამად არის ტენდენცია ორივე კომპონენტი დაიწეროს სრულად. ასევე პირველ ხანებში გარჩეული არ იყო მაგარი და რბილი ჯ (გადმოიცემოდა ძვ შენაერთით). ერთი და იმავე x, ხვ ნიშნებით გადმოიცემა განურჩევლად, ერთი მხრივ, ხ, ხ° და, მეორე მხრივ, შუაენისმიერი – ხ', ხ° სპირანტები.

აბაზური სამწერლობო ენა ინტენსიურად ვითარდება. პირველდაწყებით სკოლებში სწავლა მიმდინარეობს აბაზურ ენაზე. გამოდის შესაბამისი სახელმძღვანელოები. აბაზურ ენაზე (რუსულის, ჩერქეზულის, ყარაჩაულის გვერდით) წარმოებს რადიოგაცემა, გამოდის საოლქო გაზეთი, კარაჩაევსკის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე იკითხება აბაზური ენა.

აბაზურ სამწერლობო ენაზე გავლენას ახდენს რუსული და ყაბარდოული (ჩერქეზულ-ყაბარდოული). რუსული სიტყვები უმთავრესად აბაზურში ადილურ ენათა გზით შესულა.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს აბაზური სამწერლობო ენის დახვეწა-გამდიდრებისათვის. იკრიბება და ქვეყნდება ხალხური შემოქმედების ნიმუშები. გამოდის თარგმნითი ლიტერატურა საზოგა-

დოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა, მხატვრული. გამოქვეყნდა რუსულ-აბაზური და აბაზურ-რუსული ლექსიკონები.

ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ და ეწევიან მწერლები და პოეტები: ი. თაბულოვი, პ. ცეკოვი, კ. ჯეგუთანოვი, ბ. თჰაიწუხოვი, დ. ლაგუჩევი, ჰ. ჯიროვი, მ. ჩიკატუევი, მ. თლაბიჩევა და სხვ.

სკოლის, რადიოს, წიგნის აბაზური სამწერლობო ენა ფართოდ მკვიდრდება აშხარელებშიაც, რაც მეტად სწრაფი ტემპით იწვევს აშხარულის დიალექტურ თავისებურებათა წაშლას.

III.

ვოკალური სისტემა

1. **ზოგადი შენიშვნა.** კონსონანტიზმის უაღრესი მრავალფეროვნების პირობებში განსაკუთრებით თვალში საცემი გამოდის აფხაზურისა და აბაზური ენების ვოკალური სისტემის სიმარტივე. მიუხედავად ამისა მთელი სირთულე ამ ენათა აგებულების რკვევისას უკავშირდება ხმოვანთა საკითხს.

მათში ჩატარებულ ცვლილებათა შედეგად მეტწილ შემთხვევაში ძირეულად შერყეულია ძირთა და ფორმანტთა ტიპები; შეცვლილია მათი როგორც ვოკალური, ისე კონსონანტური სახე.

ხმოვნურ ნაწილში მომხდარ ცვლილებებს წარმოუქმნია ახალი ბგერითი სახეობები, რომლებიც ფონემებად ვერ ქცეულან. ამასთანავე ხმოვნურ კომპლექსებში ცვლილებათა მიმართულება როგორც სხვადასხვა ენობრივ მონაცემებში, ისე ცალკეულ დიალექტურ ერთეულში იმდენად მრავალფეროვან სახეს იღებს, რომ ხშირად ქმნის დაუძლეველ სირთულეებს.

აფხაზურ-აბაზურისათვის ძირითად ხმოვნებად დღეს უნდა ჩაითვალოს **ა** და **გ**. მათი კომბინაციები უმთავრესად **ა**, **ჟ** ნახევარხმოვნებთან (ან სათანადო პალატალიზებულ და ლაბიალიზებულ თანხმოვნებთან) ქმნის **ე** **ო** **ი** ხმოვნებს (გრძელი სახეობებითურთ) სხვადასხვა დიალექტურ ერთეულში სხვადასხვა მასშტაბით.

ზემოთქმულის გამო საჭიროდ მივიჩნით **ა**, **ჟ** ნახევარხმოვნები (resp. სონანტები) ხმოვანთა სისტემასთან ერთად განგვეხილა.

ზოგი, კერძოდ, ამოსავალი ლარინგალური ბუნების მქონე თანხმოვანთა დაკარგვის ნიადაგზე წარმოქმნილა **აა** ხმოვნური ტიპი (აფხაზურსა და მასთან მრავალმხრივ საერთო ნიშნების მქონე აშხარულშიაც).

2. **ა ხმოვანი.** იგი აფხაზურსა და აბაზურში დაბალი აწეულობის ვიწრო ხმოვანია. ქართული ენის **ა**-სთან შედარებით შესამჩნევად ნაკლები ღიაობა ახასიათებს და ამდენადვე შედარებით წინ ნაწარმოები ხმოვნის შთაბეჭდილებასაც ახდენს. იგი ძირითადი და ფართოდ გავრცელებული ხმოვანია ენაში. წარმოადგენს აფხაზურ-აბაზურში არსებულ რიგ სხვა ხმოვანთა საფუძველს (იხ. **გ**, **ე**, **ო**...).

ა ხმოვანი გვხვდება ყველა პოზიციაში: სიტყვის თავში – **აბ** (ტაპ. აბა)¹ „მამა“, **არაზ** „აქეთკენ“ ..., სიტყვის შუაში – **ა**-ნაპკ „ხელი“, **ა**-ხაწა (ტაპ. ჯაწა) „კაცი“ ..., სიტყვის ბოლოს – **ა**-ლაბზ „ჯოხი“ ...

¹ საილუსტრაციო მასალის დასახელებისას მიუთითებლად (პირველ რიგში) მოგვყავს სალიტერატურო აფხაზური (და საერთო აფხაზურ-აბაზური) ლექსიკური

ა ხმოვანი სხვადასხვა პოზიციაში განსხვავებულადაც გამოითქმის იმის და მიხედვით, თუ რა თანხმოვნის მეზობლად გვხვდება. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ სიტყვის შიგნით (თანხმოვანთმორის მოქცეული) ა ხმოვანი მინიმალური ღიაობით გამოითქმის. მაგ., აფხ. აბას („ასე“) ზმნისართში მეორე ა ჩვენ უფრო ვიწროდ გვესმის, ვიდრე პირველი ა აბასს). ასევე ვიწროდ ისმის ა ა-დაჟჷ („მდევი“) სიტყვაში და სხვ.¹

ტაპანთურ დიალექტშიაც გარკვეულ პოზიციაში (ჩვეულებრივ **ც**-სთან, იშვიათად **ჰ**-სთან...) გვესმოდა ა ვიწრო **ჰ**-ს სახით².

საკმაოდ გავრცელებული ხმოვანთა ასიმილაციისა და რედუქციის შედეგად ა ხმოვანი სისტემებზე ექვემდებარება ცვლილებებს (იხ. აქვე, ფონეტიკური პროცესები ხმოვნებსა და დიფთონგებში). იგი ასეთი ცვლილებებისაგან დაცულია თავკიდურ პოზიციაში (და აგრეთვე ხშირად ლარინგალურ სპირანტთან, ან აფხაზურის – აა კომპლექსში).

3. ორი აა (ა) ხმოვანი. აფხაზურში საკმაოდ გავრცელებულია ორი ა. ზოგჯერ აა, შესაძლოა, გრძელი ჰ-ს შთაბეჭდილებას ახდენდეს. ეს მაშინ არის, როცა აა უმახვილოა. მათი დანაწევრებული გამოთქმა უფრო ისმის, როცა მახვილიანია. ნ. მარი გრძელი ჰ-ს გვერდით ასეთ შემთხვევაში იყენებდა დიფთონგური (აჰ, აა) გამოხატვის წესს³.

აა პირველყოვლისა მიღებულია **ჰ** ლარინგალური სპირანტის დაკარგვისა და მის გარემოცვაში მყოფი ა ხმოვნისაგან⁴ (ვინაიდან აფხაზურში ლარინგალურ თანხმოვნებს მხოლოდ ა ხმოვნური ვოკალიზაცია ახასიათებს). ამ ნიადაგზე I პ. მრ. რ. ნიშანი (ა)ჰ მჟღერით დაწყებულ გარდამავალ ზმნათა ძირებთან უშუალოდ შეხვედრისას აა-ს სახით არის წარმოდგენილი⁵. იგი გვხვდება აფხაზურის დიალექტებსა და აშხარულ დიალექტში (განსაკუთრებით მის კუვინსკის კილოკავში). რამდენადაც ტაპანთურ დიალექტში (და აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავის ზოგი მთქმელის ენაში) **ჰ** დღესაც დაცულია, ბუნებრივია, სათანადო შემთხვევებში აა (ა) არ გვექონდეს⁶.

ერთეულები. თუ წყარო საგანგებოდ არაა აღნიშნული, იგულისხმება, რომ მაგალითი დადასტურებულია არსებულ თარგმნით ლექსიკონებში.

¹ შესაძლოა ამ რიგის მოვლენას გულისხმობდა ნ. მარი, როცა დასუ („ყოველი“) სიტყვას დაურთო შენიშვნა: – но „а“ не открытый-ო. იხ. მისი, Абхазско-русский словарь. Ленинград, 1926, გვ. 35¹⁵.

² შდრ. ჩვენი, ტაპ. დ., გვ. 47-48.

³ იხ. მისი, Абх.-русс. сл. გვ. 1, 2, 3...; შდრ. მისივე, Абхазский аналитический алфавит, 1926, გვ. 37.

⁴ შდრ. А. Н. Генко, Абхазский вокализм. – ИАН, 1928.

⁵ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნაში, ენიმკის მოამბე, ტ. XII, 1942, გვ. 9, შენ. 1.

⁶ ქ. ლომთათიძე, ტაპ. დ., გვ. 28...; მისივე, აშხ. დ., გვ. 11.

აა გვხვდება როგორც სიტყვის თავში, ისევე შუაში და ბოლოში: ააბბ „რვა(ნ“), ააგარა „მოტანა“, „მოყვანა“, ააძარა „აღზრდა“...; ა-ბააბა „სველი“, ა-ფსაატ „ფრინველი“...; ა-ხაა „სატკივარი“, ააბაა „წაღა“...

აა-ს იძლევა ამოსავალი (ა)ჟ||ჟ(ა)-ს მსგავსად მისივე წყვილული ფშვინვიერი ლარინგალური სპირანტი (ა)ჟ||ჟ(ა), მაგ. აკგლააარა||ა-კგლჰარა (ტაპ. კგნჰარა) „ჟუჟრუტანა“¹ (← *ა-კგლაჰარა).

ასევე ზოგ სხვა სიტყვაშიაც აფხაზურ დიალექტებში აა-ს პარალელურად გვხვდება ჰა, აჰ: ა-ხააბთრა, ბზიფ. ა-ხააბთრა (ეს სახეობა არც სამწერლობო აფხაზური ენისთვის არის უცხო) „ვაჭრობა“, ა-თააცა, ბზიფ. ა-თააცა „ოჯახი“... მაგრამ ტაპანთურ დიალექტში ამ შემთხვევებში მჟღერი ლარინგალური ჟ სპირანტი დასტურდება (ხააბთრა, თააცა) და, საფიქრებელია, სწორედ რომ მათში აა მომდინარეობდეს არა ჰ-საგან, არამედ ჟ-საგან².

მაგრამ ფშვინვიერი ლარინგალური ჰ სპირანტის რეფლექსადაც რომ შეიძლება აა (ჰ) მივიღოთ, ამას აკგლჰარა || აკგლააარა-ს გარდა ნათელს ხდის ზოგი დიალექტის სხვა მონაცემებიც. მაგ., აბჟუური დიალექტის თქმებში პირველი პირის ნიშანი ჰ ზოგჯერ აა-დ წარმოგვიდგება არა ოდენ ძირისეული მჟღერი თანხმონის წინ, არამედ ყველა პოზიციცაში. დადასტურებულია, მაგ.: იყაჰწაზ („რაც ჩვენ გავაკეთეთ...“) ფორმის პარალელურად იყააწაზ და მისთ.³

აა (ჰ) გვხვდება ცალკეულ შემთხვევებში ყ ბგერის ხმოვანთმორის (აყა) დასუსტებისა და სრული დაკარგვის საფუძველზე. იგი ხშირი მოვლენაა აფხაზურ სასაუბრო ენაში, განსაკუთრებით ზოგ ხშირად ხმარებულ გამოთქმაში, მაგ., ებააჟ(←||ებაყაჟ||აბაყაჟ||აბაყოჟ)? „სადაა არის?“, უბრაა (←||უბრაყა), ჟაა (←||ჟაყა) „იქვე“... ბზიფ. დიალექტში – აბხაა (←||აბხაყა) „მდინარისკენ“ (= მდინარის სათავისკენ), „წყაროსკენ“ და სხვ. ასეთი სახეობები სამწერლობო ენაშიაც იჩენს თავს: აბააჟ, იფერნე იცეატ – გ. აჟ⁴. 1581, – „სადაა, გაფრინდა და წავიდა“, ჟააგ

¹ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში. – ენიმკის მოამბე, ტ. II, 1938, გვ. 193.

² ზემოხსენებულ ნაშრომში („ძირ. დრ. წარმ.“) იმის გამო, რომ ტაპანთურის მჟღერი ჟ სპირანტი მაშინ ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობი იყო, სათანადო შემთხვევებში ბზიფური მონაცემების მიხედვით აა-სთვის ჰ სპირანტი გვქონდა ნავარაუდევი. როგორც ირკვევა, თვით ბზიფურ ვარიანტებში ჰ (ხააბთრა, თააცა) მიღებული ჩანს ასიმილაციით.

³ მ. ც ი კ ო ლ ი ა, გალის რაიონის აფხაზური მეტყველება. – საქართვ. სსრ მეცნ. აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXX, სოხუმი, 1959, გვ. 199.

⁴ დ. გ უ ლ ი ა, აჟაბჟ კაჟიჟა („პატარა მოთხრობები“), 1942 წ.

ლწ²გჷარა ნალგრჷგცტ – ib. 31³², – „იქაც მან (ქ) თავისი ტირილი განაახ-
ლა“...

დასტურდება აშხარულ დიალექტშიაც: არი ზშგზ, დაბაჷტ, დგს³გრბს! – აშხ. ტ.¹ 44⁶ – „ეს ვინც მოკლა, ის სადაა, მიჩვენეთ!“ არაა უთა-
ლარი... ib. 17¹⁴ – „აქ თუ ჩახვალ...“, ჷჷ იშთგდწედ იგ³ამ იგ³ზ ილაგარნგს –
ib. 67¹⁴ – „იქვე დადო მარცვალი, დასაფქვავად რომ წაილო“ (შდრ. იქვე:
ჷწყა გ³გდმლაგედ – ib. 67¹² – იქ³ვე¹ არ დაფქვა“), აჷაა დშ³გუნაზ... – ib. 4⁹ –
„იქვე შიგ (ოთახში) რომ იყო...“ (შდრ. ქ³არიმ აჷწყა დგტან – ib. 54⁸ – „ქერი-
მი იქვე იჯდა“) და სხვ., ოღონდ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც,
რომ აშხარულში -ყ ა თანდებულის შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს -ჭა-
ც².

ასეთივე შედეგი მიიღება ბზიფ. დიალექტში ზმნის პირობით ფორ-
მაში ზ სპირანტის გაუჩინარებისას (ვ. კონჯარიას ცნობით): დააჷჷარ
(შდრ. დააჷჷარ) „თუ მოვა...“. იზ³ბჷჷარ (შდრ. იზ³ბჷჷარ) „თუ ნა-
ხავთ...“.

ასევე ცალკეულ სიტყვებში, უმთავრესად ნასესხებ მასალაში, აა მი-
ღებულია თანხმოვანთა ჩავარდნის (ან ი, უ ხმოვანთა – აფხაზურ ნიადაგ-
ზე – ჯ³ჷ-ს ჩავარდნისა და ა ხმოვანთან ასიმილაციის) ნიადაგზე: ა-მაჷთ
„მანეთი“ (შდრ. მანათი), ა-ლუმაათ (||ალუმანათ) „ლიმონათი“, ა-მაამგნ
(შდრ. ტაპ. მიმუნ), ა-ზანაათ (რუს. занятие) პროფესია“, ა-თაარგზ (ა-
თაჷრგზ || ა-თოჷრგზ) „ისტორია“, მაამგლ „ბუასილი“³... განსაკუთრებით
ეს მაშინ ხორციელდება, როცა ა ხმოვნის გვერდით ლ სპირანტია: ა-ბლაჷმ
„ბალღამი“, აკ³მაან „კუმღანი“...

ზოგჯერ გამსესხებელი ენის მასალაში არ ჩანს წყარო ორი ა-სათვის,
აფხაზურში კი ორი ა არის: ა-გ³აბალაა „ხელგობი“ (შდრ. ქართ. დიალ. გო-
ბელა!), ა-ყ³არაან „ყვავი“ (შდრ. ყორანი) და მისთ.

ორი ა ან გაგრძელებული ზ (თუმცა ძალზე გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ უ ლ ი ც !)
გვხვდება აფხაზურში ზოგიერთ ემოციურად დატვირთულ სიტყვაში. ეს
ინტონაციური სიგრძის მოვლენა არ შეიძლება გავათანაბროთ ზემოთ გან-
ხილულ ფაქტებთან, რამდენადაც მას საფუძველი არა აქვს ამა თუ იმ ფო-
ნეტიკურ პროცესში, არამედ გამოწვეულია სათანადო შინაარსის ინტენსი-
ური გამოხატვის, განსაკუთრებული გახაზვის, მიზნით, ასეთია მაგ.:
ზმნისართი დ³არა „მალიან“, რომელიც დ³არა-ს სახითაც გვხვდება
(აბაზურში სწორედ ეს სახეობაა გავრცელებული). ასევეა ზმნისართი

¹ ასე აღვნიშნავთ აშხარულ ტექსტებს, რომლებიც ერთვის ჩვენს მონოგრაფიას
აშხარული დიალექტის შესახებ (1954).

² ჩ ვ ე ნ ი, აშხ. დ., გვ. 207.

³ სასაუბრო ენაში, საკუთარ მასალაში ამის მაგალითს იშვიათად იძლევა:
ადაჷჷმა → ააჷჷმა „და“, დადასტურების შორისდებული ააჷჷ! → ააჷ! „ჰო“, „დაიხ“!

ფ შ ა ლ ა „წყნარად“, რომელიც ხშირად ფ შ ა ა ლ ა-ს სახითაც გვევლინება (შდრ. ანდაზა: აგ°გრღ°არახ° ფშაალა ჴცა, აგ°აყრახ° ჴცეცაკჳ! „ლხინში ნ ე - ლ ა წადი, ჭირში იჩქარე!“).

ამითვე უნდა აიხსნებოდეს ნასესხებ გ ი ა უ რ სიტყვაში ა-ს ფრიად გაგრძელებული გამოთქმა: გ ა ა უ რ (გ ა უ რ)-ის სახით (უარყოფითი და-ხასიათებისას).

ტაპანთურ დიალექტში, იმის გამო, რომ **ჭ** სპირანტი დაცულია, აა (ა) სათანადო შემთხვევებში (იხ. აქვე, გვ. 34) არა გვაქვს (მხედველობაში არ ვიღებთ ინდივიდუალური ხასიათის ფაქტებს), ოღონდ ზოგი ტაპანთელის მეტყველებაში (თანაც არა სისტემებში) შეინიშნება გრძელი ა (ა რ ა ო რ ი ა!): ზმნის ფორმის ბოლო დახურულ მარცვალში არსებული ა ხმოვანი გამოითქმის გაგრძელებულად. ეს ხშირად შეგვინიშნავს აორისტის ფინიტური წარმოებისას, რამაც ასახვაც პოვა ჩვენ მიერ ჩაწერილ ტაპანთურ ტექსტებში, მაგ.: ბაყბაყ... დეჭაყრახანტ, ათქან-თეს ს ა ბ გ ჟ თ ა დ გ ბ ა მ ხ ა ტ – ტ. ტ.¹ 40²²⁻²³ – „ბაყბაყი... დაღარიბდა. მედუქნე ძლიერ გამდიდრდა, აჭკუნ... ფხეზუ იბანტ. აფხეზუ იბანუ, უსთაზუ აქმანტ გნგს დგანტ – ib. 46¹⁸⁻¹⁹ – ყმაწვილმა... სიზმარი ნახა. სიზმარი რომ ნახა, ოსტატისთვის სა-თქმელად წავიდა“ და სხვ.

ამ შემთხვევაში გრძელი ა-ს წარმოქმნისათვის ხელი შეიძლებოდა იმ გარემოებასაც შეეწყო, რომ სათანადო წარმოებებში დაკარგულია ფუძისეული ა ხმოვნის მომდევნოდ სუფიქსისეული -**მტ** (||-ად)-ის **მ** ელემენტი, მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ბ ო ლ ო კ ი დ უ რ ა დ მოქცეული თანხმოვნის, კერძოდ **ტ** (||**დ**) ხშულის, პოზიცია. ეს ფაქტი გარკვეულ ანალოგიას უნდა პოულობდეს აშხარულ დიალექტში დადასტურებულ ფონეტიკურ პროცესთან მსგავსსავე ზმნურ წარმოებებში (იხ. აქვე, გვ. 52).

ორი ა (ან გრძელი ა) გრამატიკულად, ორი ა მორფემის შეერთებით, ან ორ კიდურ ა ხმოვანთა შერწყმით ა რ მ ი ი ღ ე ბ ა (არც აფხაზურში და არც აბაზურში). ყოველ ასეთ შემთხვევაში უშუალო მეზობლობაში მდგომი ორი ცალკეული ა-საგან რჩება მხოლოდ ერთი², ოღონდ ის ჩვეულებრივ მახვილის მატარებელია და ფონეტიკურ ცვლილებასაც ხშირად გაურბის (იხ. აქვე, მ ა ხ ვ ი ლ ი).

¹ ასე აღვნიშნავთ ტაპანთურ ტექსტებს, რომლებიც ერთვის ჩვენს მონოგრაფიას ტაპანთური დიალექტის შესახებ (1944).

² G. D u m é z i l, Études Abkhaz (Documents Anatoliens... V). პარიზი, 1967, გვ. 10; K. В. Л о м т а т и д з е. Система гласных абхазского языка. Вторая региональная научная сессия по историко-сравнительному изучению иберийско-кавказских языков. Тезисы докладов, თბილისი, 1967, გვ. 5.

პ. უსლარს (და მასზე დაყრდნობით ზოგ სხვა ავტორსაც) ა ხმოვ-
ნითდაწყებულ ფუძეებში ზოგადობა-განსაზღვრულობის ა- პრეფიქს და-
რთული ფორმები აფხაზურისთვის მოცემული აქვს ორ ა-ნიანი სახეობით:
ააბ „მამა“, ააბხ^ა „მამამთილი“, ააბდგუ „პაპა“, ააბჯარ „აბჯარი“, ააზ^ა „სი-
ტყვა“, ააჰ^ა „ხმალი“, აან „დედა“... ააფს'ტუ^ა „აფხაზები“, აარბაღ^ა „მამალი“,
აას^ა „სიმღერა“ და ზოგიც სხვა (თუმცა თვით კი შენიშნავს ეს გრძელი ა
არისო)¹.

ა. გენკომ მართებულად შენიშნა, რომ ორი ა უსლარის მიერ ზემოთ
მოყვანილ მაგალითებში არ დასტურდება გამოთქმაშიო². საკვირველია,
რომ დ. გულიამ, რომელმაც საგანგებო შრომა უძღვნა პ. უსლარის ცნობილ
გამოკვლევაში არსებულ არაბუნებრივსა და მცდარ ფორმებს, არაფერი
თქვა აღნიშნული ფაქტის გამო³.

ბ. მარს ზემოთ განხილული და მათი ტიპის სიტყვები საერთოდ ერ-
თი ა-თი აქვს სალექსიკონო ფორმად მოცემული⁴ (ან, აბ, აჩა, აბჯარ...); იმ-
ვითა შემთხვევაში ორ ა-ნიან ფორმასაც ტოვებს უსლარზე ან სხვა ავტორ-
ზე მითითებით (მაგ. ა-ანდგუ „ბებია“, ა-ანც^ა „დედები“...). თავის მხრივ
ასეთი სიტყვები ორი ა-ნით მოცემული აქვს: აბ „მამა“ სიტყვისთვის მრავ-
ლობითში აბაც^ა-ს პარალელურად – ა-აბაც^ა. „მამალი ცხოველისთვის“
მრ. რ. აბქ^ა-ს პარალელურად – ა-აბქ^ა, „მწარისთვის“ – ა-აშა = აშა.

საყოფადღებოა, რომ ბ. მარს აბხ^ა („მამამთილი“) ან ანხ^ა, ბზ. ანხა
(დედამთილი“) სიტყვებთან დაკავშირებით იქვე უწერია „форма с а- –
апѣа требует, как а-абѣа, resp. а-абѣа исследования“⁵-ო და ცოტა ქვემოთ:
„ни с дополнительным префиксом а – а-абѣа, ни с долгим а – абѣа я не
слыхал“⁶-ო⁶.

ბ. მარის იმავე ლექსიკონის შებრუნებულ ვარიანტში⁷, რომლის შე-
ბრუნება-შედგენაზე მუშაობდნენ თვით აფხაზები ვ. კუკბა და ა. ჰაშბა,
ყველა ზემოთ აღნიშნული სიტყვა საყოველთაოდ გავრცელებული ა-ნიანი
სახეობებით აქვთ შეტანილი.

რაც შეეხება აა- საწყისის მქონე ფუძეთა სალექსიკონო ფორმით
გადმოცემას (ე. ი. ზოგადობის ა- პრეფიქს-დართულად), ბ. მარი საყოველ-

¹ იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 7.

² იხ. მისი, Абхаз. вокализм, გვ. 53.

³ Д. Г у л и я, Материалы по абхазской грамматике (Дополнения и разъяснения к книге П. К. Услара „Абхазский язык“). Сухуми, 1927.

⁴ იხ. მისი, Абх.-русск. сл.

⁵ იქვე, გვ. 138^B, 1-3.

⁶ იქვე, გვ. 139^B, 9-11.

⁷ Труды яфетического семинария. III. Русско-абхазский обратный словарь (по „Абхазско-русскому словарю“ Н. Марра, с указателем к нему составили В. Кукба и А. Хашба), под редакцией К. Дондуа. Ленинград, 1928.

თაოდ გავრცელებული ერთ ა-ნიანი სახეობების (აბხა „რკინა“, აძშა „მაგი-და“, ადგარა „უარესობა“, აძმსგ „პაჭიჭი...“) გვერდით იძლევა, უსლარის მსგავსად, ფუძისეული ხმოვნის ასიმილირებულ ეფ-სახეობასაც ა-პრეფიქსის დართვით: ა-ეაბა, ა-ეაგარა, ა-ეაძმსგ. ა-ეაძშა... (თანაც, როგორც ა მ ა დ ა რ ა სიტყვის მიხედვით ჩანს, ნ. მარს ასეთი ფორმები ა-ეფ-დან მომდინარედ მიუჩნევიან. მას უწერია: აძმადარა ← ა-ეაძმადარა).

ეს ვარიანტები შებრუნებულ ლექსიკონშიაც ეგრევეა გადატანილი.

ბუნებრივი გამოთქმისათვის ყველა ამ შემთხვევაშიაც ერთ ა-ნიანი (და უასიმილაციო) სახეობებია დამახასიათებელი (აძშა, აძმადარა...). იშვიათად, განსაკუთრებული გახაზვის მიზნით, შეიძლება გავიგონოთ ა-ს გამოცალკევებით, უკვე ასიმილირებული ფორმები ა-ეფ...-ს ტიპისა, რის საფუძველიც უნდა ვეძიოთ იმ ფაქტში, რომ აფ-ს შემცველ ფუძისეულ კომპლექსში ასიმილაციის პროცესი უკვე ჩატარდა და ასეთ მზამზარეულ სახეობას დაერთო შემდეგ ა-პრეფიქსი, რაც ჩვეულებრივ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

4. სამი ა-ს საკითხისათვის. სამი ა (აა) არასოდეს არ გვხვდება აფხა-ზურში (და მით უმეტეს აბაზურში).

სამი ა მორფემა, ისევე როგორც ორი აა მორფემა, ერთად შეხვედრისას წარმოგვიდგება ისევე ერთი ა-ს სახით. ასე მაგ., (აბაზურ) ანდაზაში – ჟეჭა ჟეჯე ძეჭეჭეთენ, აძშა ჟ - ა - ბ ა მ კ ვ ნ! (– „თუ შენი თანამგზავრის (ამხანაგის) იმედი არა გაქვს, დათვს ნუ ეო მ ე ბ ი“) ზმნის ფორმა „ჟაბამკენ“-ში წარმოდგენილი ა-პრეფიქსი შეიცავს: 1. ნივთთა კატეგორიის სახელის („დათვის“) ირიბი ობიექტური პირის ა-პრეფიქსს, 2. მიცემით-სამიმართებო ა-პრეფიქსსა და 3. საურთიერთო კატეგორიის ა-პრეფიქსს (იხ. აქვე, ქვემოთ, გვ. 86-87).

სამ ა-ს მოველით აა (ა)-ზე (იხ. ზემოთ) რომელიმე ა ხმოვნის წინ ან მომდევნოდ დართვისას, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც იგივე ორი აა (ან ა) გვრჩება¹.

მათი ასეთი თავშეყრის გარემო იქმნება ზოგადი ფორმისა და განსაზღვრულობის, რიგითი რიცხვითი სახელისა, III პ. მხ. რ. ნივთთა კატეგორიისა და მსგავსი ა-პრეფიქსის აა- (ა)-თი დაწყებული სახელისა თუ ზმნის ფუძესთან უშუალო შეხვედრისას; ა-ზე დაბოლოებულ ფუძეთა აა (ა)-ს შემცველ სუფიქსურ ელემენტთა დართვისას და ა. შ. (მაგ. აანდა ← *ა-აანდა „ლობე“, დააძეფტ ← *დ-აააძეფტ „მან (ნ) გაზარდა ის (ად)“, დცაანძა ← *დცა-აანძა „მის (ად) წასვლამდე“...).

3. უსლარი ზემოთ განხილული ა-თი დაწყებული ფუძეების ანალოგიურად ზოგად, სალექსიკონო და განსაზღვრულ ფორმაში აა (ა)-თი და-

¹ შდრ. * დასახ. ნაშრ., Dumézil, გვ. 10; იხ. ჩვენი, Система гласных..., გვ. 5.

წყებულ ფუძეებს გადმოსცემს აწ-ს მეშვეობით, მაგ., აწ „ურთხელი“, „ღვე-
დი“¹, რაც ბუნებრივ გამოთქმას (ამჟამად ყოველ შემთხვევაში) არ ეგუება.

მათი ასეთი გადმოცემა წესად არის გატარებული ჟ. დიუმევილის მიერ გამოქვეყნებულ აფხაზურ ტექსტებში², მაგ., უგზ^არა-წნძა (ხაზგასმა ჩვენია! – ქ. ლ.) – გვ. 47⁹; გვ. 63⁹ – „ამ დრომდე“, სლგქ^ას^ა-წნძა – ib. 98¹⁹ – „სა-
წამ მას (ქ) შევხვდები“, აძგ^აწნძა – ib. 102⁴² – „(ჩემ მიერ) წყლის მოტანამდე“, „საწამ წყალს მოვიტან“, შა^ა-წნძა – ib. 124²² – „გათენებამდე“. ა-
წმთა – ib. 127⁵ – „მის დროს“, „იმ დროს“, აწ^არლა – ib. 147¹ (ბოლოდ.) – „ძლივს“, შდრ. იქვე – წარლაწ^ა – 183¹² (ქვემ.).

თითო-ოროლა შემთხვევაში ასე აქვს გადმოცემული ზოგ სხვა ავ-
ტორსაც მსგავსი ფაქტები, მაგ., ს. ჯანაშიას მიერ შეკრებილ აბჟურ ტექ-
სტებში³ გვხვდება: შერაწ – გვ. 219¹⁶ – „შერიები“ აძვჟაწ – გვ. 230¹⁴ – „ამ-
ვიბჟელები“, ახუნაწ გვ. 233² (ქვემ.) „ზეგანზე მცხოვრებნი“ (თუმცა შდრ.
იქვე: ახუნაა – გვ. 235¹⁵, აჟ^აწაა – გვ. 226¹¹!).

აქ გასათვალისწინებელია ზოგი გარემოება. ერთი მხრივ, უნდა ვი-
ფიქროთ ამას ხელს ის უწყობს, რომ სპეციალისტები მორფმათა
გამოყოფის მიზნით ახდენენ აღნიშნული ფორმების დანაწევრებას
(ს.ლგ:ქ^ას^ა-წნძა...“), მეორე მხრივ, ეს იმის გამოც ხდება, რომ ჭირს აღნიშ-
ნული გაგრძელებული აი-ს ზუსტი გადმოცემა ორი აა-თი თუ გრძელი წ-
თი, – თანმიმდევრული გადმოცემის პრინციპი ირღვევა. საყურადღებოა,
მაგალითად, რომ წა- აწ- იმავე ავტორებს მაშინაც აქვთ გამოყენებული,
როდესაც სამი ა-სათვის (ან ა + წ-, წ +ა-სთვის) საფუძველი აღარ არის, არა-
მედ იგულისხმება მხოლოდ ორი (აა), აწ გრძელი წ, შდრ. ფსწაწა⁴ „მათ
სიკვდილამდე“, საწჟეძტ⁵ „მოვდივარ“, „მოვალ“, დაწაძტ... დაწაჟაწ^ა... –
„ის (ად.) მოვიდა... (თითქოს) რომ მოდის...“.

აქაც ცალკეა გამოსაყოფი ის შემთხვევები, როცა ერთგვარი ემოციუ-
რი დატვირთულობის ნიადაგზე ხდება ასეთ პირობებში ა ხმოვნის უ ს ა -
ზ ღ ვ რ ო დ გაგრძელება. მისი გრაფიკული გამოხატვა შესაძლებელიც
არის. ასეთი რამ ჩვენ სასაუბრო ენაში შეგვინიშნავს შაწაწა („დილამდე“,
„გათენებამდე“ – ჩვენ მას პირობით გადმოვცემდით ასე: შაწაწა)⁷, ხ^აწაწა
(„საღამომდე“), წარლაწ^ა (ძლივს“) ზმნისართებში. და ეს ხდება მაშინ, რო-

¹ იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 118.

² იხ. მისი დასახ. ნაშრ..

³ ს. ჯ ა წ ა შ ი ა, შრომები. IV, 1968.

⁴ G. D u m é z i l, დასახ. ნაშრ., გვ. 184⁸.

⁵ П. К. У ч л а п, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

⁶ ს. ჯ ა წ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 214¹³.

⁷ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში. – ენიმ-
კის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 133.

ცა მთქმელს სურს გახაზოს „ძალზე გახანგრძლივებული დრო“, „ძალზე მნელი რამ (საქმე)“.

5. „ოთხი“ ა-ს საკითხისათვის. იგივე (იხ. აქვე, ზემოთ, გვ. 36) უნდა გავიმეოროთ „ოთხი“ ა-ს ან ორი გრძელი ზ-ს ერთად თავმოყრის შესახებ. ასეთ შემთხვევებში გვაქვს ისევ აა ან აა (გრძელი), მაგ., ძწანძა „გაყინვამდე“ ← * ძწაა + აანძა; ძწანძა¹ „მის (ნ) მოსვლამდე“ ← * ძაა + აანძა (შდრ. ძ ძირეული ელემენტის შემცველი იგივე ფუძე ძააძანძა).

6. ირაციონალური გ ხმოვანი. აფხაზურსა და აბაზურში ირაციონალური გ ხმოვანი მეორე ძირითადი ხმოვანია. იგი ამ ენათა ა ხმოვანზე უფრო ვიწროა. მისი რაობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული სპეციალურ ლიტერატურაში. ზოგჯერ ერთი და იმავე ავტორის მიერ, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ კი, რაც უდავოდ აღნიშნული ხმოვნის რთული გამოვლინების ხასიათი აიხსნება.

უკვე პ. უსლარის მსჯელობიდან აფხაზურში ხმოვანთა სისტემის შესახებ ის დასკვნა შეიძლება გამოიტანოს კაცმა, რომ გ (ირაციონალური ხმოვანი) თანხმოვანთგასაყარია და ხმოვანთა სისტემაში არ შედის. იგი გარკვევით წერს: ა ი უ ხმოვნებით შემოისაზღვრება წმინდა ძირეულ ხმოვანთა რიცხვი ენისაო².

ა. შიფნერი გ-ს ა-საგან მომდინარედ ვარაუდობდა³. ფ. ბორკი ასევე მიუთითებს გ-ს ა-საგან მომდინარეობაზე⁴. ძირითად ხმოვნად აქვს გ ჩათვლილი აფხაზურში ნ. მარს⁵. გ. დეეტერსიც გარკვევით აღნიშნავს ორი ძირითადი ა და გ ხმოვნების არსებობას აფხაზურში⁶. სივიწროვის მიხედვით ფონოლოგიურად დაპირისპირებული ორი ა და გ ხმოვანი მიიჩნია ნ. ტრუბეცკოიმ აფხაზურისთვის დამახასიათებლად⁷.

ა. გენკო, მართალია, გარკვევით ლაპარაკობს გ-ს როგორც ფონემის შესახებ აბაზურში და ასევე აფხაზურშიაც, თვლის ამ ენებს ა და გ ხმოვან

¹ ჟ. დ ი უ მ ე ზ ი ლ ს ასეთი შემთხვევა გადმოცემული აქვს აა-თი: ძწანძა. იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

² პ. უ ს ლ ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

³ იხ. მისი წინასიტყვაობა პ, უ ს ლ ა რ ი ს შრომისა. Mémoires de l'Académie impériale des sciences de St.-Petersbourg, VII^e série. T. VI, № 12 et dernier. Ausfürlicher Bericht über des Generals Baron Peter von Uslar's Abchasische Studien. Von A. Schiefner. St.-Petersbourg. 1863, გვ. VI.

⁴ F. B o r k. Zur Lautlehre des Abchasischen. Beiträge zur Sprachwissenschaft. Teil III. Miscelen. Königsberg, 1909, გვ. 3.

⁵ Н. Я. М а р р, Абхазский аналитический алфавит. Труды яфетического семинария. I. ლენინგრადი, 1926, გვ. 36-37.

⁶ G. D e e t e r s, Der abchasische Sprachbau. Nachrichten von d. Gezellschaft d. Wissenschaften zu Göttingen. Phil.-Hist. Klasse, 1931.

⁷ Н. С. Т р у б е ц к о й, Основы фонологии. Москва, 1960, გვ. 108-109.

ფონემის მქონე ენებად¹, მაგრამ ამავე დროს, ამ საკითხის საგანგებო განხილვისას მიდის იმ დასკვნამდე, რომ **გ** აბაზურში (და ასევე აფხაზურში) ფონემა არ არის. ამის საფუძვლად იგი ამ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ცალკე აღებული თანხმოვანი და იგივე თანხმოვანი **გ**-სთან ერთად არ იძლევიან მნიშვნელობათა მიხედვით დაპირისპირებას².

სხვა აფხაზურ-ადიღურ ენათა მსგავსად ა. კუიპერსი აფხაზურში უშვებდა ორ ღია (**ა**) და დახურულ (**გ**) ხმოვანს³, ხოლო შემდეგ, როგორც ცნობილია, ყაბარდოულისთვის იგი მონოვოკალურ (**ა** ხმოვანი) სისტემას აღიარებს და როგორც წინა ნაშრომში, აქაც მას მორფემის ღიაობად თვლის⁴.

აბაზურში ე. წ. ზმნური ენდოგენური კომპლექსის განხილვისას ვ. ალენი მიდის იმ დასკვნამდე, რომ კომპლექსის შიგნით ერთ მარცვალს ექნება მთავარი მახვილი. ყოველი მარცვალი იქნება **ღ ი ა ა ნ დ ა ხ უ რ უ** - ლი ტიპისა. **ღ** ზედმღრგთხდ (ალენისეული გადმოცემით!) – „მან (მ) ვერ დააბრუნებინა მათ უკან იგი (ნ) მისთვის (ქ)“ – ზმნურ კომპლექსში მარცვალთა გამოყოფასთან დაკავშირებით იგი წერს: კითხვაზე რამდენი მარცვალია მასში, პასუხი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვმარტავთ მარცვალს. თუ „მარცვალს“ განვმარტავთ ფონეტიკურად, ანუ როგორც სონორობის მწვერვალს, პასუხი იქნება ალბათ **ხ უ თ ს ა** და **ე ქ ვ ს ს** შორის, იმის და მიხედვით გვესმის თუ არა ხმოვნური გადასვლა **თ-სა** და **ხ-ს** შორის. თუ, მეორე მხრივ, ნებისმიერ თანხმოვანს (მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი გადასვლები ზოგიერთ გარემოში) „თავდა-

¹ იხ. А. Н. Генко, Абх. вокализм да мисиვე უფრო გვიანდელი ნაშრომი გვ. 20... აქ, მაგ., ვკითხულობთ: „...признанные нами за фонемы **а** и **ы**...“ გვ. 20; „Основных, имеющих полное фонематическое значение гласных в абазинском, как указано было выше, имеется всего два **а** и **ы**, оба кратких“, გვ. 25.

² „Поскольку в абазинском языке не имеется случаев смыслового противопоставления согласного сочетанию данного согласного с **ы**, есть основание считать абазинский язык редким типом языка с одной единственной гласной фонемой (именно **а**)“ (ხაზგასმა ჩვენია! ქ. ლ.). იხ. მისი, Фонетические взаимоотношения абхазского и абазинского языков. მისი, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXVIII, სოხუმი, 1957, გვ. 199.

აქ გ ე ნ კ ო აბაზურს თვლის ერთი (**ა**) ხმოვნის მქონე ენად არა იმიტომ, რომ **გ** ხმოვნის მხრივ აფხაზურში სხვა ვითარებას ვარაუდობდეს (**გ** ხმოვანთან დაკავშირებით იგი აფხაზურზედაც ასევე მსჯელობს), არამედ იმიტომ, რომ აფხაზურში **ა**-ს გარდა ვარაუდობს **აა** ხმოვანს (იხ. ზემოთ).

³ Aert H. Kuipers, The North-West Caucasian Languages. Analecta Slavica. I, ამსტერდამი, 1955, გვ. 198-199.

⁴ Aert H. Kuipers, Phoneme and Morpheme in Kabardian. Ianua Linguarum. Studia memoriae Nicolai van Wijk dedicata. Edenda curat Cornelis H. van Schooneveld. Nr. VIII. 1960. Mouton & co-'s-Gravenhage.

პირველი ხმოვნის“ პოტენციალურ მატარებლად მივიჩნევთ, ფორმა $t e r t m e t m a r c v l i a n i$ იქნება. ხოლო თუ „მარცვალს“ ფონოლოგიურად განვსაზღვრავთ, რომ იგი შეიცავს V ელემენტს, ფორმა $e r t m a r c v l i a n a d$ მოგვევლინებაო. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე იგი ლოგიკურად მიდის ხმოვან-სისტემის რედუქციამდე ერთ წევრად ყველა პოზიციაში; ხოლო ერთწევრიანი სისტემის თავიდან ასაცილებლად – ხმოვანთა სრულ გამორიცხვამდე. გამოიყოფა უბრალოდ მარცვლები თანხმოვანთა რიცხვის შესაბამისად. ამის კვალობაზე სათანადო მაგალითი გადმოცემული აქვს როგორც – $g' d' z d m l r' t o x d$. სხვა მაგალითები კი, მაგ., $d l g' l a z a d$ – „ის (ქ) გაიზარდა“, $d z a z' a s z' d$ – „შენ (მ) მე გითხარი ის“ – ტიპისა ასე: $d l' l z' d$, $d z' t' s z' d$ (რომლებშიაც ქვეშ მიწერილი ნიშანი მიუთითებს ღიაობაზე), ხოლო $d l g' d g' l d$ – „ის (ად) მასთან (ქ) დადგა“ ტიპისა ასე: $d l' d g' l d$. სხვა ზმნურ კომპლექსებში, რომლებშიაც არა გვაქვს თანხმოვნური არტიკულაცია საწყისი მარცვლების სისტემაში, იგი იძულებულია გამოიყენოს ნულოვანი წევრი, როგორც $d i a o b i s$ მატარებელი და ფორმა $a z' a - r' z e s' f z a b$ „მე მათ ხმალს გავუკეთებ“ – წარმოგვიდგინოს ასე: $\# z' - r' z' s' f z b$ ¹.

აქ დასმულ რიგ საკითხს რომ ამჯერად თავი დავანებოთ, ნათქვამიდან აშკარად ხდება, რომ $d a x u r u l i$ ტიპის ხმოვანი (თუ მარცვალი), რომელიც შეიძლება სიმბოლიზებულ იქნეს g -ს სახით, ვ. ალენის მიხედვით გამოხატვას (ასეთსა თუ ისეთს) მაშინ შეიძლება პოვებდეს, როცა იგი მახვილიანია.

არაორგანულად თვლის უმახვილო g -ს აფხაზურში q . დიუმეზილი².

¹ „The penultimate solution seems logically to lead to a reduction of the vowel-systems to a single term in all positions – or perhaps better, avoiding the establishment of one-term systems, to a complete elimination of vowels (and consequently of consonants). One would simple have syllables, to the number of the consonants in the present statement; with in the complex one syllable would bear main stress; and any syllable would be of either 'open' or 'close' type. 'Open' syllables would have exponents comprising a consonantal articulation followed or not followed by an close vocalic articulation; in accordance with the rules discussed on p. 142, but with the added specification of a close vocalic articulation in stressed position¹.

On this interpretation the example discussed above would be represented as $y g' y z d m l r' t x d$; and other examples restated (using subscript o to indicate 'openness') as follows; – $y l a' l a h a d > y l' l h d \dots$ In other than endogeneous (თუ: ეგზოგენურ?! – ქ. ლ.) verbal complexes f zero term would be required in the system of initial syllables, as a carrier of 'openness' without a consonantal articulation; a form such as $a h^w a - r z a' s c' y p a b$ might then be represented as $\# h^w - r z s c' y p b \dots$ ” იხ. W. S. Allen. Structure and System in the Abaza Verbal Complex. Transactions of the Philological Society. Hert-ford.1956, გვ. 171.

² იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 10.

გ ხმოვნისა, და საერთოდ ხმოვნების, თანამედროვე ვითარების აღწერისას, მათი რაობის ძიებისას აუცილებელი ხდება მომარჯვებულ იქნეს ისტორიული თვალსაზრისი. საჭირო ხდება ხშირად დადგენილ იქნეს ცალკეულ გრამატიკულ კატეგორიათა ამოსავალი სახეობები, რომ ნათელი იყოს ფუნქცია მათში მონაწილე ხმოვანი ელემენტებისა და შესაძლებლობა მოგვეცეს განვსაზღვროთ კიდეც მათი ადგილი და ღირებულება ენაში.

გ ხმოვნის საკითხი აფხაზურ-აბაზურში მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ინტენსიური მახვილის მოქმედების ნიადაგზე წარმოქმნილ ფუძეთა გაცვეთასა, თანხმოვანთა შეჯრასა და მათ ურთიერთ შეწყობაზე, ერთი მხრივ, ხმოვან ბგერათა მონაცვლეობაზე, მეორე მხრივ.

გ-სთან შედარებით **ა** ხმოვანი აფხაზურ-აბაზურში უფრო ღიაა, მაგრამ ორივე მათგანი ამ ენებში საერთოდ ვ ი წ რ ო ხმოვნებია (რაც, ჩვენი აზრით, ქმნიდა შესაძლებლობას გარკვეულ პოზიციებში მათი ხშირი მონაცვლეობისათვის, კერძოდ **ა** → **გ** პროცესისათვის).

ამჟამინდელი ვითარების აღწერის მიხედვით **ა**-სა და **გ**-ს შორის, გამოყენების თვალსაზრისით, თითქოს მნიშვნელოვანი სხვაობა წარმოჩნდება: **ა** ყ ვ ე ლ ა პ ო ზ ი ც ი ა შ ი ა; მას აკისრია არა ერთი აფიქსის ფუნქცია მაშინ, როცა **გ** შეუღლდულად გვხვდება და ხშირად ფიქრობენ, რომ მოკლებულია მნიშვნელობის განმასხვავებელ და სიტყვისა თუ ფორმის წარმოების ფუნქციას.

გ ხ მ ო ვ ა ნ ი ა რ გ ვ ხ ვ დ ე ბ ა თ ა ვ კ ი დ უ რ პ ო ზ ი ც ი ა შ ი .

ამ დებულებასთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ ზოგი ფაქტი, რაც ახსნას მოითხოვს.

ა) ნ. მ ა რ ს თავის აფხ.-რუსულ ლექსიკონში შეტანილი აქვს **გ** საწყისი ხმოვნით სამიოდე სიტყვა (უმთავრესად ზმნისართები): **გ**ზგ² „ათასი“, **გ**ზქ²ნგ² „მუდამ“, **გ**შთა „ახლა“, „აწ“ („მერმე“). ისინი აშკარად ახლადწარმოქმნილი (სასაუბრო ენის) დიალექტური ვარიანტებია. **გ**ზქ²ნგ² || **გ**სქ²ნგ²-ს გვერდით არსებობს **ე**ზქ²ნგ²⁴⁵ || **ესქ**[**ე**]ნგ² | **ესქ**²ნ²ა²გ²¹... რაც მიღებულია გამოთქმაში პარალელურად არსებული **ესქ**²ნ²ა²გ² ← **მასქ**²ნ²ა²გ²-საგან, რომელშიაც ამოსავალი **მ**- დიფთონგის ცვლილების შედეგად (იხ. ქვემოთ, ფონეტიკური პროცესები ხმოვნებსა და დიფთონგებში) მიგვიღია **მესქ**²ნ²გ², ხოლო ამ უკანასკნელი სახეობიდან **მ**-ს ჩამოშორებით შემოგვრჩა **გ**სქ²ნგ² (|| **გ**ზქ²ნგ²)...

გ შ თ ა ზმნისართს ჩვეულებრივ უშოთა || უშოთა-ს სახით ვხვდებით, იგი მომდინარეა უ ა ჟ² - შ თ ა-საგან, რომელშიაც ჯერ **ჟ**² არის გაუჩინარებული (**შ**-სთან მეზობლობაში ასიმილაციით), ხოლო შემდეგ უ ა შ თ ა-

¹ ასეთი ეთავკიდურიანი ვარიანტი ნ. მ ა რ ს ა ც მოჰყავს. იხ. იქვე, გვ. 14a.

ს უქმთა-დ ცვლილების ნიადაგზე სასაუბრო მეტყველებაში უ-ც შორდება ხანდახან და შემორჩება გ შ თ ა.

რაც შეეხება ნ. მარის მიერ მოყვანილ გ ზ გ ო გ სახეობას ზ ქ ო გ (ათა-სი“) რიცხვითი სახელისას, იგი კავშირში ჩანს, როგორც ამას შესაძლებლად თვლიდა უსლარი, ზ ე გ ო გ (|| ზ მა გ ო გ || ზ ა გ ო გ) „ყველა“-ს აღმნიშვნელ სიტყვასთან¹. ამ ფუძეს კი დიალექტებში, მაგ., აზნარულში **ღგ**-პრეფიქსიანი (ფუძის თანხმომავანგაორკეცებული) **ღ გ ზ ზ ა გ ო გ**||**ღ გ ზ ზ ე გ ო გ** სახეობები მოეპოვება² (შდრ. აფხაზურშივე არსებული **რგ**-პრეფიქსიანი ფორმებიც – **რგზზაგ**³. აქაც, საფიქრებელია, იმავე ფუძის გაცვეთის გზით **ღგ**-პრეფიქსიანი ვარიანტიდან შემოგვრჩა ნ. მარის მიერ მოყვანილი გ ზ გ ო გ სახეობაში თავკიდურად **გ**.

ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში პრეფიქსული ელემენტის **გ** ხმოვნითი ნაწილის შენარჩუნებას, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ორი თანხმოვნის შეჯრამაც.

ბ) ცნობილია, რომ ამ ენებში III პ. ნომინატივის (**დ**-ს) რიგის პრეფიქსი **ღგ** (**ღ**-) აღარ იქნება ზმნის ფორმაში, თუ ამ პრეფიქსის გამომწვევი სახელი (ან მისი ფარდი შესიტყვება) უშუალოდ დგას ზმნის ფორმის წინ, შდრ., ერთი მხრივ, **ღცეღტ აჩგ** „წავიდა ცხენი“ და, მეორე მხრივ, – **აჩგ ცეღტ** „ცხენი წავიდა“ და მისთ.

რიგ ზმნას კი, რომელსაც პირის ფორმაში პირის ნიშნის შემდეგ **მახვილიანი გ** ხმოვანი მოსდევს (ასეთ ზმნებს მახვილი ზოგადი ფორმის **ა** პრეფიქსზე აქვს ყოველთვის მასდარში აფხაზურში და **გ** ხმოვანი არსად ჩანს. იხ. აქვე, მახვილი), როგორცაა, მაგ., აფხ. სტყოუპ „ვარ“, „ვიმყოფები“, **ღტყოუპ** „ის ნ) არის (იმყოფება)“ და მისთ., ზემოთ განხილული თანმიმდევრობისას (**ღ**- პირის პრეფიქსის უქონლობის ვითარებაში) ზმნის III პ. ფორმა „თავკიდური“ **გ** ხმოვნით წარმოგვიდგება: აყარგლ დგუგ ოგ ახშცბა მანაგ.შ ო ტყოუპ – ანდაზა – „დიდ ყვერულს რომ პატარა ქორისა ეშინია (ისედაც) არის“, ახგ ტყაზარ ახგლფა ახალოღტ⁴ – ანდაზა – „თავი იყოს და ქუდი მოერგებო“, აუნ აშ ო გღწა! – „სახლის კარი მიხურე!“ და სხვ.

მაგრამ არც ამ შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ, რომ **გ** თავკიდურად გვხვდება, რადგანაც სათანადო მაგალითებში ზმნის ფორმა ცალკე გაფორმებული არაა, იგი მჭიდროდ უკავშირდება წინამავალ სახელს და მასთან არის გაერთიანებული.

¹ იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 136.

² ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აშხ. დ., გვ. 32.

³ X. C. Бражна, Бзынск. д., გვ. 176.

⁴ სასაუბრო ენაში აქ ჩვეულებრივ ა ხ გ - ყ ა ზ არ გვესმის, რაც გამოწვეულია სინტაგმაში გაერთიანებული ორი კიდური **გ** ხმოვნის შერწყმით (გრძელი **გ** არცერთ კონტექსტში არ არსებობს).

მაინც როგორ უნდა გადაწყდეს ამ რიგის (იგულისხმება ზოგი ზმნის ძირის თავში და ლოკატიური და სხვა პრეფიქსების წინ გამოვლენილი) **გ**-ს საკითხი; ჩავთვალოთ იგი ფონემურობის თვალსაზრისით უბრალოდ „ნულოვან“ მონაცემად ან „არახმოვნულ“ მარცვლოვნობად?

ვ. ალენის მეტად მიმზიდველსა და თითქოს მწყობრ სისტემაში, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ციტატის მიხედვით ზემოთ გავეცანით, ამ რიგის ფაქტებისათვის ადგილი არ რჩება.

ამავე დროს თვით მას იმავე შრომის 137 გვერდზე „ქონა-ყოლა“ ზმნის ძირად („წაღება“ ზმნის **გა-** ძირის **მსგავსად!**?) გამოყოფილი აქვს **გმა**. რა არის ეს **გ გმა** „ძირში“? თვით ვ. ალენის პოზიციაზე დადგომით, იგი არ შეიძლება „თანხმოვნის“ მარცვლოვნობად ჩავთვალოთ, რადგან **მ** ძირეულ სონანტს **ა**-ს სახით (ე. ი. **ლია მარცვლოვანი** ტიპის სახით) მარცვლოვნობა ისედაც აქვს.

საქმე ის არის, რომ ეს **გ** არის **გმა** ზმნაში და არც სხვა, ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში ძირში არ შედის; იგი ნიშანია ფუძის მაწარმოებელი, გარკვეული პრეფიქსისა (იხ. აქვე, ქვემოთ).

ფართო გამოყენება აქვს **გ ხმოვანს** როგორც მახვილიანს, ისე უმახვილოს¹ აფხაზურსა და აბაზურში სიტყვის (თუ ფორმის) შიგნით (მარცვალი ღია იქნება თუ დახურული). მაგ., ა-კკკა (ტაპ. კკკა) „ძუძუ“, ა-ლგმჰა „ყური“, ა-ცცცა (ტაპ. ცცცა) „ბოლოვი“, ა-ხგზა (ტაპ. ჰგზა) „საბანი“, ა-ხგსგჰ (ტაპ. ხგსგჰ) „მსროლელი“, აქგრგგლარა „ზედ დადგმა“..., (ტაპ.) აძგრგრთა უნამძასკა უკალთა შტგტუმგზენ! – ანდაზა – „სანამ წყალში გასავლელ ფონს არ მიაღწევ, კალთას ნუ აიწევ!“...

რთული სწორედ **გ**-ს რაობის განსაზღვრა ამ პოზიციაშია.

ხშირად გვხვდება **გ** სიტყვის ბოლოს, ოღონდ უნდა გაიხაზოს, რომ იგი აქ, ღია პოზიციაში, ჩვეულებრივ მახვილიანია, მაგ., ა-ძგ „წყალი“, ა-თძგ „კედელი“, ტაპ. „სახლი“, „შენობა“, ეცგ, აცგ „გუშინ“, ა-ხამგ (ტაპ. ჰამგ) „ქურქი“, ა-კგმჰგ „ჩოხა“, ა-ჯგმშგ („ხახვი“...

ა. გენკო უპირისპირებდა რა ამ მხრივ ერთმანეთს აფხაზურსა და აბაზურს, მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ აფხაზურისაგან განსხვავებით აბაზურს ბოლოვიდურ პოზიციაში (იგი საერთოდ ღია მარცვალზე ლაპარაკობს!) უმახვილო **გ** არა აქვს, მაშინ როცა მორფოლოგიური ინტერესები ზღუდავენ აფხაზურს ამ პოზიციაშიც შეინარჩუნოს უმახვილო **გ ხმოვა-**

¹ უმახვილოს რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ სიტყვა-ფორმის მთავარ (ძირითად) მახვილს, თორემ არც თუ იშვიათად **გ**-ს, რომელსაც ძირითადი მახვილი არა აქვს, თანამახვილი დაჰყვება ხოლმე. თანამახვილი იმ **გ ხმოვნის**ათვის არის მეტწილად დამახასიათებელი, რომელსაც შედარებით მარტივ ფუძეში ძირითადი მახვილი მოსდიოდა და ფუძის გავრცობისას მახვილმა გადაინაცვლა ადგილი.

ნიო. ამის საილუსტრაციოდ ასახელებს ისეთ წარმოებებს, როგორცაა: აქტაყნე „სოფლად“, აკუნე „ყოფნით“, აგვჩანე „ჩაცმულად“, „მორთულად“, აგვზდანე „კარგად“ და მისთ. (რომლებიც აბაზურში – კერძოდ, ტაპანთურში – სხვაგვარად არის ნაწარმოები).

აქ ისევ გასათვალისწინებელია ამ ფორმებში მახვილის საკითხი. აფხაზურში (და აბაზურშიც), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადი მახვილის გვერდით სიტყვაში (ნაწარმოებ ფორმებში) შეიძლება თავი იჩინოს თანამახვილმა. სწორედ ეს თანამახვილი ახასიათებს ზემოთ მოყვანილ ბოლო, ღია მარცვლის გ ხმოვანს (აგვზდანე...) აფხაზურში, რაც ხდება საფუძველი მისი შენარჩუნებისა. როგორც კი ეს თანამახვილი (ძირითადი მახვილის ინტენსიური მოქმედების შედეგად) კიდევ უფრო შესუსტდება ბოლო ღია მარცვლის გ-ზე, მაშინ აფხაზურშიაც გაუჩინარდება გ ხმოვანი. მაგ., ამახტგ-ში („შესაკერი“) გ ხმოვანზე თანამახვილის შესუსტებით მივიღეთ ამახტ, აფხთგ-დან („მღიერი“) – აფხთ და მისთ.

რომ ს რ უ ლ ი ა დ უ მ ა ხ ვ ი ლ ო გ ხმოვანი ბოლო, ღია პოზიციაში ჩვეულებრივ არც აფხაზურშია დამახასიათებელი, ნათელი ხდება აგ და აგ დიფთონგთა სხვადასხვა პოზიციაში გავრცელების მაგალითზე (იხ. აქვე ი, უ).

ამ, ზემოთ განხილულ ორ პოზიციაში (სიტყვა-ფორმის შუასა და ბოლოში) გ ხმოვანი, კერძოდ უმახვილო (უმახვილო გ ხმოვანში შემოდის მახვილიანი გ-ც გარკვეული ფორმების მახვილის გადანაცვლების შემდეგ) მეტად დაუდევარი ბგერაა, რაც აძლევს საფუძველს მკვლევრებს იგი განიხილონ როგორც ნულოვანი მონაცემი და არ შეიტანონ ხმოვანთა სისტემაში. მაგრამ ეს ვითარება გამოწვეულია არა გ ხმოვნის „ფონემურობა-არაფონემურობით“, არამედ ინტენსიური მახვილის მოქმედებით, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლიანად „ანგრევს“ ფუძეთა ამოსავალ ხმოვნურ სახეს; იწვევს ფუძეთა შეკუმშვას და, ბუნებრივია, თუ პირველ რიგში უმახვილო ხმოვანს ამოაგდებს (შდრ. ანაპგ, მაგრამ – მრ. რ. ანაპგ + ქან...). ეს პროცესი ორივე ენისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა აბაზურში იგი უფრო ინტენსიურად ტარდება.

ინტენსიური მახვილის ასეთი მოქმედება მარტო გ ხმოვანს არ ეხება აფხაზურსა და აბაზურში. იგი პ რ ი ნ ც ი კ შ ი ასეთსავე შედეგს იწვევს ა ხმოვანთან დაკავშირებითაც. შდრ. მაგ., ამსთხანგ („ლომის ჩასახელი კირ-ზა“) ← *აბგსთა + ხან + გა, აკგკმაც („მუშუს თავი“) ← აკგკა + მაცა და მისთ. (იხ. აქვე, მახვილი). თანამიმდევრულობა რომ დავიცვათ, ამ მხრივ იგივე დასკვნა უნდა გამოგვეტანა ა ხმოვნის მიმართაც.

ზემო თქმულის გამო არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თანხმოვანთა თავყრილობის საკითხს აფხაზურსა და აბაზურში.

აფხაზურ-აბაზურში თანხმოვანთა თავყრილობა (ერთ მარცვალში რამდენიმე თანხმოვნის გაერთიანება), ჩვენი აზრით, არაა დამახასიათებელი ამოსავალი ვითარებისათვის. ეს ამოსავალი ვითარება ასეთი თუ ისეთი სახით სხვადასხვა დიალექტურ ერთეულში, ან ამა თუ იმ სიტყვის სხვადასხვა ფორმაშიც დღესაც ნათლად არის შემორჩენილი (რის შედეგადაც ამოსავალი ხმოვნის სახის დადგენა დიდ წილ შემთხვევაში სიმწელებს არ წარმოადგენს).

აფხაზურ-აბაზურ ძირთა და ფორმანტათვის დამახასიათებელია CV ტიპი, ე. ი. ღ ი ა ტ ი პ ი ს მ ა რ ც ვ ა ლ ი. ამ ღია ტიპის მარცვალთა შეჯრა სიტყვათა და ფორმათა წარმოებისას ერთი მთავარი მახვილის ქვეშ იწვევს ხმოვანთა რედუქციას და თანხმოვანთა შეყრას. ეს თანხმოვანთა შეყრა ერთნაირად ასატანი არ არის ყველა კომპლექსში. თანხმოვანთა შეყრის „დაძლევა“ ხდება სხვადასხვა გზით: ან მარტივდება ამ ნიადაგზე წარმოქმნილი თანხმოვანთა კომპლექსი და ხშირად ხდება „შესაგუებელ“ თანხმოვნებად ცვლა (იხ. აქვე, კომპლექსები), ან კიდევ თავს იჩენს გ ხმოვანი თანხმოვანთა შორის, ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ო რ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს შ ე მ დ ე გ მ ე ს ა მ ი ს – ზ დ ვ ა რ ზ ე (ჩვეულებრივ მახვილიანი ხმოვნიდან გადათვლით წინ ან უკან).

ჯერ კიდევ ფ. ბორკი შენიშნავდა თანხმოვანთ თავყრილობისას გ ხმოვნის გამოვლენას, კერძოდ – ო რ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს წ ი ნ¹.

დამოუკიდებლად ამისა ვ. ალენმაც აბაზურისათვის დაადგინა ორი თანხმოვნის კანონი. ამის თაობაზე მის ნაშრომში, კერძოდ, ვკითხულობთ: ... ენდოგენურ კომპლექსში მხოლოდ ერთი მთავარი მახვილია; და ორი ხმოვან-სისტემის მიღებისას მხოლოდ მთავარ-მახვილიანი მარცვლები იყო მხედველობაში მიღებული. სხვა პოზიციებში ჩვენ ვამჩნევთ ხმოვნურ არტიკულაციებს, რომლებიც მთავარ მახვილიანი მარცვლის არტიკულაციის მსგავსია, სახელდობრ, – ღისა და ვიწროსი, მაგრამ ვიწრო არტიკულაციის შემთხვევაში, მათი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა ა ნ ა რ მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა (და არა უბრალოდ მათი კვალიტეტი) განისაზღვრება მათი თანხმოვნური გარემოთი; ასე რომ, ისინი შეიძლება მივიჩნიოთ (უბრალო) ხმოვნურ გადასვლად ორ თანხმოვნურ არტიკულაციას შორის... როცა ერთხელ დადგინდება პირობები ასეთი გადასვლებისათვის, აღარ იქნება საჭირო 'ვიწრო' ხმოვნური ტერმინი ასეთ პოზიციებში... ეს პირობები უაღრესად რთულია და ამომწურავი ფორმულირება ჯერ კიდევ შესაქმნელია. ყველაზე უფრო მისაღებია 'ორი თანხმოვნის კანონი', ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ მას სხვა, საწინააღმდეგო კანონები ზღუდავს (რომლებიც განსაკუთრებით ნახევარ ხმოვნის, ნარნარა და ნაზალთა არტიკულაციას ეხება); კანონი ასე შეიძლება ჩამოვაცალიბოთ:

¹ F. B o r k, დასახ. ნაშრ., გვ. 3-4.

თუ თანხმომზნურ არტიკულაციებს დავთვლით კომპლექსის ბოლოდან, ან რომელიმე ხმოვნური არტიკულაციიდან, რომელსაც მთავარი ან მეორეხარისხოვანი მახვილი აქვს, მეორე და მესამე თანხმომზნურ არტიკულაციებს შორის გვექნება ხმოვნური გადასვლა მეორეხარისხოვანი მახვილით¹.

ამის საილუსტრაციოდ მოყვანილი აქვს – დგ. დზ. მრგწ. სდ (რომელშიაც წერტილები მიუთითებს მეორეხარისხოვანი მახვილის მქონე ხმოვნურ გადასვლებს)– „ვერ დამრეს ადგილიდან“².

შემდეგ დასძენს რომ: ამ კომპლექსის პირველ ორ თანხმომზნურ არტიკულაციას შორის შეიძლება შევამჩნიოთ აგრეთვე უმახვილო ხმოვნური გადასვლა. ასეთი გადასვლები ნაკლებად ზოგად კანონებს ექვემდებარება, ვიდრე მეორეხარისხოვანი მახვილიანი გადასვლები³.

მიუხედავად „ორი თანხმომზნის კანონის“ მთელ რიგ შემთხვევებში შეზღუდულობისა, აშკარად არსებობს ტენდენცია გ-ს გამოვლენისა ორი თანხმომზნის შემდეგ მესამის ზღვარზე (იგი თავს იჩენს არა თუ ამა თუ იმ სიტყვა-ფორმის ფარგლებში, არამედ სინტაგმაში გაერთიანებული ორი სიტყვის ფონზედაც. შდრ., მაგ. ბჟჟგ („შვიდი ადამიანი“), ერთი მხრივ, სინტაგმებში: ბჟჟგ ფჰაც^ა („შვილი ასული“), ბჟჟგჰ^ასა („შვიდი ქალი“), და, მეორე მხრივ, სინტაგმებში: ბჟჟგ ხ^აც^ა („შვიდი კაცი“), ბჟჟგ ფაც^ა („შვილი ძე“)...

ამასთან დაკავშირებით გ ხმოვნის საკითხიც მოითხოვს სხვადასხვა ასპექტით განხილვას. ერთი მხრივ, იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც „თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ გ ა ს ა ყ ა რ ი“⁴ (ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ნასესხებ მასალაში). მეორე მხრივ, გ მიუცილებელი ძირითადი ხმოვანია ენობრივი სისტემისა (იმის და მიუხედავად ამა თუ იმ ფორმაში იგი შეიძლება იჩენდეს თავს თუ არა).

¹ W. S. Allen, დასახ. ნაშრ., გვ. 141-142.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ მაგრამ ხშირად ამ შემთხვევაშიც გარკვეული სიმნელის წინაშე აღმოვჩნდებით ხოლმე. მაგალითად, ა-თმგ (აფხ. „კედელი“, ტაპ. „სახლი“) სიტყვაში მრავლობითის წარმოებისას ძ-ს მომდევნო გ ხმოვნიდან მახვილის მრავლობითობის -ქ^ა სუფიქსზე გადანაცვლებით გ ჩავარდება, მაგრამ სამი თანხმომზნის შეყრისას გ ხმოვანი გამოვლინდება უკვე თ-სა და ძ-ს შორის ა-თემქ^ა („კედლები“; „სახლები“). არის ამ შემთხვევაში თ-ს მომდევნოდ გ გაჩენილი „თანხმომზანთგასაყარად“ სამი თანხმომზნის ერთად მოხვედრის გამო, თუ აქ, თანხმომზანთ შეჯერის პირობებში აღდგა ორი თანხმომზნის წინ ის გ ხმოვანი, რომელიც შეიძლება დამახასიათებელიც იყო ამ ფუძისთვის თ-ს მომდევნოდ.

გ ხმოვნის თანამედროვე აფხაზურ-აბაზური ფონემურობის განსაზღვრისას ისეთ დაპირისპირებულ წყვილებზე მითითება, როგორცაა: აფხ.: ათჷ „ჩირქი“, ათგ „სავსე“; აწჷ „ვაშლი“, აწგ „ჩხირი“, „შამფური“; აჭჷ „ახალგაზრდა“, აჭგ „პირი“...; ან აბაზ.: ჳჷ „ნაცარი“, ჳგ „ბეწვი“, მატყლი“; ჳჷ „წვიმა“, ჳგ „სახურავი“; შჷ „სპილენძი“, შგ „ადამიანი“... არ მიგვაჩნია გადამწყვეტად. იგი უფრო არსებითად არის ფესვგადგმული ენის სისტემაში.

ამ მხრივ საყურადღებოა მთელი რიგი ფაქტები:

ა. ერთგვარ დაპირისპირებას მიმართულების მხრივ ზმნის წინდებულებში (ე. წ. ფუძე-წინდებულებში) ქმნის ა/გ-ს მიმართება. საიქითო (ადიტიური) მიმართულების დროს (ე. წ. ხმოვნისანი) პრევერბი წარმოდგენილია ა განმოვანებით, ხოლო სააქეთო (აბიტიური) მიმართულების დროს მას უპირისპირდება გ ხმოვნისანი სახეობა (უმახვილო პოზიციაში – საერთო წესისამებრ – გ ხმოვანი გაუჩინარდება ხოლმე). შდრ. ათჷლარა („შიგ შესვლა“, ათჷწარა „შიგ შეტანა...“), და – ათგწარა „შიგნიდან გამოსვლა“, ათგხრა „შიგნიდან გამოღება...“ და მისთ.

ბ. აფიქსის ფუნქცია ეკისრება დღეს გ ხმოვანს აბჟურ-ბჟიფურ დიალექტებში და ნაწილობრივ აშხარულშიაც ვითარების ზმნისართებისა და აბსოლუტივის წარმოებისას. შდრ., ერთი მხრივ, იბზგმანგ „ის (ნ) კარგად...“, დცანგ „ის (ად) წავიდა რა...“, დცონგ „ის (ად) მიდიოდა რა...“ და, მეორე მხრივ, იბზგმან „ის (ნ) კარგი იყო“, დცან „ის (ად) წავიდა [და...]“, დცონ „ის (ად) მიდიოდა“...

გ. სამპირიან ათჷრჷ (ტაპ. ათრჷ) „მიცემა“ ზმნაში ირიბი ობიექტის პირის ნიშანს ახლავს გ ხმოვანი (იგი მახვილის მქონეა): აფგსთოდტ (ტაპ. აფგსთედტ) „შენ (მ) გაძლეე მას (ნ)“, დღგსთოდტ (მას (ქ) ვაძლეე მას (ად)“, ჟრგლთოდტ „ის (ქ) მათ აძლევს შენს (მ) თავს“ და ა. შ. ამ გ ხმოვანს ვერ ჩავთვლით ჟ, ლ, რ, ს... და სხვა თანხმოვან პირის ნიშანთა ხმოვნურ ელემენტებად (ან – თანხმოვანთგასაყარად). იგი გარკვეული ფუნქციის მატარებელია. ეს არის ე. წ. ირიბი მიმართების გამოხატვის ფუნქცია, რომელიც აუცილებელი ხდება ზმნაში ირიბი ობიექტის პირის ჩართვისას. ამ მოსაზრებას ნათელს ხდის მეორე სამპირიანი აჳარჷ („თხრობა“) ზმნა. მას ორპირიან აჳარჷ (თქმა“) ზმნასთან შედარებით უჩინდება ირიბი ობიექტის პირი, რომელსაც ასევე თან დაყვება ა ხმოვანი – ძველი სამიმართებო პრეფიქსის ნაშთი. შდრ., ერთი მხრივ, – დგჷ-ჳჷოდტ (შენ (მ) მას (ნ) ამბობ“ და, მეორე მხრივ, სამპირიანი – დგჷ-ჳჷოდტ „შენ (მ) მას (ნ) გეუბნება ის (ქ)“.

ამ შემთხვევებში ჩვენ წინ არის ერთი და იგივე სამიმართებო პრეფიქსი ა, რომელიც „მიცემა“ ზმნაში, ფართოდ გავრცელებული ხმოვან-მონაცვლეობის ნიადაგზე, გადასულა გ-ში. მისი არაფრად ჩაგდება, მიჩნევა

უბრალო ხმოვნურ გადასვლად თანხმოვანთა შორის, ენობრივი სისტემის უგულვებელყოფა იქნებოდა.

დ. ასეთივე, აფიქსისეული წარმომავლობის ელემენტია **გ** ხმოვანი რიგ ზმნებში, როგორცაა **გ-მა** „ქონა-ყოლა“, **გ-ყა** (ტაპ. ა-ყა) „ყოფნა“ და სხვ.

ე. ტაპანთურში „დაფრთხობა-შეშინება“ გარდაუვალი ზმნა არის რ ჰ ა რ ა, ზ ა რ ჰ ა რ ა. მისი კაუზატივია რ გ ჰ ა რ ა, ზ ა რ გ ჰ ა რ ა. ამ ფუძეთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობა **გ** ხმოვნის ქონა-არქონით გამოიხატება. ეს არ არის თავდაპირველი ფაქტი. აქაც ისეთივე ამოსავალი სახეობები უნდა გვქონოდა, როგორც დასტურდება აფხაზურში – გარდაუვ. ა რ - ჰ ა რ ა და კაუზატიურ-გარდამავალი – არგრჰარა, მაგრამ მისთვის ანგარიშგაუწევლობა მაინც შეუძლებელია დღეს.

ამრიგად, თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე აფხაზურ-აბაზურის ფონეტიკური სისტემისათვის **გ** ძ ი რ ი თ ა დ ი ხ მ ო ვ ა ნ - ფ ო ნ ე მ ა ა და მისი გამოთიშვა ენის ვოკალური სისტემიდან გაუმართლებელი იქნებოდა.

სხვა საკითხია ისტორიული ასპექტით განხილვა **გ** ხმოვნის საკითხისა აღნიშნულ ენებში. ისტორიული თვალსაზრისით ბუნებრივია დაისვას კითხვა მისი მეორეული წარმოშობის შესახებ.

კითხვის ასე დასმის შესაძლებლობას იძლევა შემდეგი:

მთელი რიგი ფაქტები იქითკენ მიაპყრობენ ჩვენს ყურადღებას, რომ **გ** მომდინარეა ა-საგან: სხვადასხვა დიალექტში და ერთსა და იმავე დიალექტშიაც სიტყვის სხვადასხვა ფორმაში ხშირად თავს იჩენს სწორედ ამოსავალი ა ხმოვანი **გ**-ს ადგილას;

დამახასიათებელია, რომ ა-ს **გ**-დ ცვლის ფაქტები დასტურდება მხოლოდ თანხმოვანთ შორის (სიტყვის შუაში) და სიტყვის ბოლოს, თანხმოვნის შემდეგ. თ ა ვ კ ი დ უ რ ი ა გ დ ა რ ს ა დ ი ქ ც ე ვ ა (გ, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთოდ არ გვხვდება თავკიდურ პოზიციაში). ეს იმას ნიშნავს, რომ ა → **გ** პროცესი შეპირობებულია ა-ს პოზიციით, ე. ი. **გ** პოზიციური წარმოშობისაა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ წილ შემთხვევაში ხერხდება **გ**-ს ა-საგან მომდინარეობის დადგენა (ხშირად ეს შედარებით ახალი ფაქტიც არის, შდრ. ე ფონემის გენეზისის საკითხი ტაპანთურში) და ჩნდება საკმაოდ დასაბუთებული ვარაუდი მისი მეორეული წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს შესახებ, ამ საკითხის გადაწყვეტა აფხაზურ-აბაზურ ენათა დონეზე მაინც ვერ ხერხდება (და, შეიძლება ითქვას, ძნელდება აფხაზურ-ადილურ ენათა მასშტაბითაც).

7. **ე ხმოვანი.** საშუალო აწეულობის წინ ნაწარმოები **ე** ხმოვანი აფხაზურსა და მის დიალექტებში, ასევე აზნარულ დიალექტში, საკმაოდ გა-

ვრცელებული ბგერაა (რასაც აპირობებს ზმნის ფორმებში მისი დიდი გამოყენება)¹. იგი გვხვდება ტაპანთურ დიალექტშიაც.

საკუთარ აფხაზურ-აბაზურ ლექსიკურ მასალაში ე მიღებულია ა ხმოვნისაგან პოზიციურად **ა** ნახევარ ხმოვანთან მოხვედრისას ან კიდევ პალატალიზებული თანხმოვნების გავლენით. თითქმის ყველა ამ ფუძეში, რომელშიაც ამჟამად ე გვხვდება, პარალელურად დასტურდება მისი ამოსავალი ა ხმოვნიანი სახეობები.

ა ხმოვანი პალატალური **ა** ნახევარ ხმოვნის მეზობლობაში ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე იქცევა ე-დ. ვინაიდან ასიმილაცია როგორც რეგრესული, ისე პროგრესული გარკვეულ პირობებში (კერძოდ, ინლაუტსა და აუსლაუტში) საკმაოდაა გავრცელებული, ა-საგან ე შეიძლება მივიღოთ **აა** აღმავალი და **აე** დამავალი დიფთონგის გარემოში: **აა** → **ეე**; **აა** → **ეე**. ამავე დროს არც თუ იშვიათია **ეა**, **ეე** დიფთონგების შემდგომი გამარტივება და **ა**-ს გაუჩინარება. ეს მოვლენა უფრო დამახასიათებელია **ეე** დიფთონგისათვის.

აა → **ეე** → **ე**: დცეაბტ (← დცააბტ) „ის (ად) წავიდა“, ძერდგრუეაბტ (← ძერდგრუააბტ) (ძერდგრუააბტ) „ის (ბ) მათ იციან“; ძლეაფოაბტ (← ძლეააფოაბტ) „ის (მ) მას (ბ) თესავს“; ლარეა სარეა – აშხ. ტ. 10,29 – „ის (ქ) და მე [და]“, ძჰეაბტ (← ძჰააბტ) – აშხ. ტ. 46,1 – „მან (მ) თქვა ის (ბ)“; ინეაბტ (← ინააბტ) – ტ. ტ. 15,37 – „ისინი მივიდნენ“; დჰარეაგ²ერაბტ (← დჰარააგ²ერაბტ) – ტ. ტ. 19,15 – „მათი (ნახვა) გაუხარდა“, სედრუ – აფს. ლ.² 100³⁰ – || ← სეიდროუ (ხ³ ლ.³ 18³⁷ (← სა ე[ხ]დგრ[უ]აუ) „რა ვიცი“ (შდრ. ქართულ სასაუბრო ენაში – „მერავი“ = „მე რა ვიცისა!“); სემტარეაბტ (← სეააბტ) – აშხ. ტ., 3,30 – „მე მათ დამაწვინეს“...

აა → **ეე** → **ე**: ეხ³ || ← ეხ³ || ახ³ „დღეს“, ეხ³ტ³ ეაჰარეს³ნგ... – აშხ. ტ. 32,10 – „დღეიდან მოკიდებული“, ეხ³ჰ³ – ტ. ტ. 140,12 – → || ეხ³ჰ³ ტ. ტ. 137,8 – „დღეს“ (← ეხ³ჰ³); ებ³ცა || ← ეებ³ცა ← ეაბ³ცა? „ისინი სად წავიდნენ?“, აეწ³ა ← ადეწ³ა ← ადაწ³ა „ვარსკვლავი“; ერ³ზნაკ || ← ეერ³ზნაკ || ← ეარ³ზნაკ „ერთბაშად“; ერ³ა⁴ || ← ეერ³ა⁵ || ← ეარ³ „ის (მ)“; ეენ³ლაგა (← ეან³ლაგა) – აშხ. ტ. 54,5 – „მან (ბ) როცა დაიწყო ის (ბ)“; ეერგ³ ← || ეარგ³ – ტ. ტ. 136,12 – „ისიც“; აუეს³ან – ტ. ტ. 70,24 – „ამ დროს, ამასობაში“ (← აუ³ე³დ³ს³ან); ეეც || ← ეეც³ || ← ეაეც³ „გუშინ“ და მრ. სხვ.

პალატალიზებულ თანხმოვანთა მეზობლობაში როგორც პრეპოზიციურად, ისე პოსტპოზიციურად (ოღონდ უშუალო კონტაქტში და ამავე

¹ П. К. У с л а р, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

² აფსუა ლაკჰ³ა (აფხაზური ზღაპრები), სოხუმი, 1940.

³ ივ. პ ა პ ა ს კ ვ რ, ხ³მერ ლეიჯა (აფხაზურ ენაზე), სოხუმი, 1949.

⁴ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, IV, 209,2.

⁵ იქვე, 209¹⁰.

დროს არა კიდურ პოზიციაში) არც თუ იშვიათია (განსაკუთრებით აფხაზურში) ა ხმოვნის ე-დ ცვლა. მაგ., ან`ეცა (← ან`აცა)¹ „რცხილა“; ან`ემთა || ან`ენტა (← ან`ამთა, ან`ანთა) – ib. – „მძიმე“; იწეგ` (← || იწაგ`)² „უფრო“; სეგ`გზახემ – აშხ. ტ. 4,³³ – „მე აღარ ვარ ცოცხალი“ (← საგ`გზახემ) და მრ. სხვ.

მსგავსი პროცესი შეინიშნება ჯ ლარინგალური ლაბიალიზებული სპირანტის მეზობლობაშიაც აფხაზურში, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ ჯ ლაბიალიზაციასთან ერთად ერთგვარად ავლენს პალატალურ ბუნებასაც³. ჯ-ს მეზობლობაში ა ისმის თითქოს გაუმლაუტებული, ე-სკენ გადახრილი: ამჟან → || ამჟან || ამჟენ „გზად“, „გზაზე“. აზავ → || აზავ || აზეჯ „ძვალი“; ანავს → ანავს || ანეჯს (შემდეგ „მერმე“, „გარდა“; ჯაჟან → || ჯეჟან „ოცი“ (და ამ ფუძიდან წარმოქმნილი სხვა რიცხვითი სახელები); აჩავრან → აჩავრან || აჩეჯრან (ნ. მ., დასახ. ლექს. გვ. 107) „ჭირნახული“; აჯადა → აჯადა || აჯედა (ს. ჯ. დასახ. შრ., გვ. 209,²⁵) „ზემოთ“, „აღმართი“...

ორ მხრივ ამგვარ პალატალურ მეზობლობაში აღმოჩნდა ა ხმოვანი, რომელმაც მოგვცა ე სასაუბრო ენაში: დერჯგ` (← დერჯგ`) „კვლავ“, აჯეჟ (← აჯაჟ) „ყვითელი“, აჯ`ეჟრა (← აჯ`აჟრა) „დატრიალება“, „დაბრუნება“ და მისთ.

რომ აფხაზურ-აბაზურისათვის უცხო იყო ე ხმოვანი, ამას ნათელყოფს ნასესხები მასალაც. სხვა ენათაგან ადრე შეთვისებულ სიტყვებში ე ხმოვანი ჩვეულებრივ გადმოცემულია ა ხმოვნით⁴, შდრ. მაგ., ქართულიდან აფხაზურში შესული: წესი – აწას, ჯიბე – აჯგბა, კამეჩი (მეგრ. კამბეში) – აკამბაშ, გამდელი (განდელი) – აგანდალ, მოწაფე – ამაწაფა, საკაცე – სასაკასა, ჩელტი – აჩაღტი, საწებელი – სამბაღ, ივანე – იჟანა (შდრ. რუსულის გზით შესული ივანს!)... ან კიდევ ტაპანთურში: იგივე წესი – წას; რუს. мешок – მაშაქ` და მისთ.

ამასთანავე ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ნასესხებ მასალაში ე ხმოვანი უკანაენისმიერთა და ფარინგალური ყ-ს მომდევნოდ გადმოცემულია იმავე ა ხმოვნით, მაგრამ იწვევს სათანადო თანხმოვანთა გაპალატალურობას (რაც უნდა მიუთითებდეს აღნიშნულ გარემოცვაში სხვა ენათა ე ხმოვნის დიფთონგურ გადმოცემაზე), შდრ. მაგ., ქართულიდან აფხაზურში შესული: კეტი – აკ`ატ, სარკე – ასარკან, სარეკელი – ასარკანღ,

¹ Н. М а р р. Абх-русс. сл., 1912, გვ. 131.

² ოთხთავი (აფხაზურ ენაზე) 1912, ოთხე 16,¹².

³ П. К. У с л а р, დასახ. ნაშრ., გვ. 7. პ. უსლარი საერთოდ ვერ ხედავს პალატალიზაციას ლაბიალიზებული თანხმოვნებისას.

⁴ А. Г е н к о, Абх. вокализм.

გედი – აგ^ად, გემო – აგ^ამა, სახე – ასა^ანა („სურათი“), უწყება – აუწყ^აბა და მისთ.¹

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ იოტაციის ელემენტი ახლავს აფხაზურში ზოგ ისეთ თანხმოვანსაც, რომელსაც აფხაზურის ფონოლოგიურ სისტემაში სილბო (ფონემათა დაპირისპირების თვალსაზრისით) არ ახასიათებს. ასეთი შემთხვევა გვაქვს, მაგალითად, ზოგი -მე-ზე დაბოლოებული გვარის აფხაზურად გადაღებისას: გოლანძმა (შდრ. გოლიაძე! ნ-ს განვითარება ძ-ს წინ, ალბათ, ამ გვარის სახელთა უფრო მეგრულის გზით მომდინარეობაზე მიუთითებს), კასლანძმა (შდრ. კასრაძე), ღუბელანძმა (შდრ. ღუბელაძე, მეგრ. ღუბელანძე!), ნაზანძმა (შდრ. ნოზაძე) და სხვ.²

ნასესხებ მასალაში რიგ შემთხვევაში გამსესხებელი ენის ე ხმოვნის ადგილას გვხვდება ირაციონალური გ ხმოვანიც (ჩვეულებრივ თანხმოვანთ შორის), რაც თვით აფხაზურ-აბაზურში ფართოდ გავრცელებული ა-ს გ-დ ქცევის პროცესის შედეგია, მაგ., ქართულიდან აფხაზურში შესული: შევარდენი – აშა^არდენ (← *აშა^არდან), მაკრატელი – ამარკატელ (← *ამარკატალ), მიზეზი – აშეზ (← *აშეზა) და სხვ.

ცალკეულ, არა წიგნის გზით, ადრე შესულ სიტყვებში ნასესხები ე აფხაზურშიაც ე-დგება დარჩენილი. ჩვეულებრივ ასეთი ე გამსესხებელ ენაშიაც და აფხაზურშიაც მახვილიანია. მაგ., საკუთარი სახელი პეტრე აფხაზურად გამოითქმის როგორც პეტრა (ერთ შემთხვევაში ბოლოკიდური უმახვილო ე გადმოცემულ იქნა ა ხმოვნით, მეორე შემთხვევაში თანხმოვანთ შორის მოქცეული მახვილიანი ე დარჩა ე-დგე). ასევე: ბერი – აბერ, ზეთი – აზეთ, ცემენტი – აცამეტ და სხვ.

ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ, ასე ვთქვათ, ე-ს შენარჩუნებისას მის მეზობლობაში გამოჩნდება ე-ც (ეა ან ეე დიფთონგის სახით). ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ „თერძი“ („თერზი“) სიტყვა აფხაზურში ათერზგ-ს გვერდით (იხ. აჟაბჟკაჟ. გვ. 36,2) გვხვდება ათედრზ-ის სახითაც (იხ. იქვე, გვ. 35,14; ხ^ა. ლ. გვ. 43,4).

ასევე უნდა იყოს შენარჩუნებული ე ქართულიდან შესულ „დედა“ სიტყვაში (დედამთილისადმი მიმართვისას). ჩვენ ს. ჯგერდეში ჩვეულებრივ გვესმოდა „დედა“ (თითქოს დარბილებული დ!)³.

¹ იქვე.

² ასეთი სახეობის გვართა წარმოქმნისას, შესაძლოა, ხელი შეეწყოს -ია-ზე დაბოლოებულ გვარის სახელებთან ასოციაციასთან.

³ დ-ს დარბილების თვალსაზრისით გვინდა აღვნიშნოთ ის აკუსტიკური შთაბეჭდილება, რაც ჩვენ მიგვიღია განსაკუთრებით აშხარელთა მეტყველებაზე დაკვირვებისას, დე თანამიმდევრობის წარმოქმნის ვითარებაში საკუთარი ენის ნიადაგზედაც (ჩვეულებრივ ეს პირ-კლასის ნიშანთა შეხვედრისას გვაქვს, მაგ. დეშთალეიტ „ის მას (მ) გამოედევნა“ და სხვ.). იხ. აშხ. ტ., გვ. 81, შენ. 1.

ბოლო ხანებში წიგნის მეშვეობით შესულ სიტყვებში ე ე-დგვა აფხაზურსა და აბაზურში გადმოცემული: ა-დელეგატ, ა-დეპუტატ, ა-სოვეტ, ა-ლიტერატურა, ტაპ. (სასაუბრო) ათვეთ („პასუხი“) და სხვ.¹

8. გრძელი ე ხმოვანი. ე ხმოვნის გრძელი სახეობა სასაუბრო ენაში წარმოიქმნება ხოლმე ე-ს შერწყმით დიფთონგთან ან ტრიფთონგთან. გრძელი ე ხშირად ისმის კიდურ ხმოვანთა შეერთებისას, მაგ., ემგრხებუქეფე (აბჟუური ტექსტები, შეკრებილი ავტორის მიერ) ← ემგრხებუქე ედფე ← ემგრხებუქა ედფე – „მას როგორც ხურავენ ისე...“, ედთენდახტ – აშხ. ტ. 30,7 – ← ედთე ედნდახტ ← ედთა ედნდახტ... „ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს“, ეცგრხ^აა^აა^ა ათძ^ა აბლ^აგ^ამ იკნაჰაჰ (კ^აგდგ^ა) – ტ. ტ. 79^ა – (← *ედეცგრხ^აა^აა^ა...) „ერთმანეთზე აკიდულ-ჩაკიდული კედელზე ჰკიდა (უნაგირი)“...

ე-ს გაგრძელებული სახეობა განსაკუთრებით დამახასიათებელია აშხარული დიალექტის აფსუსის კილოკავისათვის დროთა წარმოებებში, ძირის ბოლოკიდური ა ხმოვნისა და სუფიქსისეული -ეტ ელემენტის ფონეტიკურ ცვლილებათა ნიადაგზე. ეს ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით წარმართება და წარმოიქმნება პარალელური სახეობები დროთა დაბოლოებებში (განსაკუთრებით დინამიკურ ზმნათა აორისტში, რიგ სტატიკურ ზმნათა აწმყო დროში). ამოსავალი ზმნური დაღგამტ („მან ის გაათავა“) ფორმისაგან, სხვა დიალექტებში ცნობილ სახეობათა გარდა, აფსუსის კილოკავში გვხვდება და ლ გ ე ე ტ საფეხურის გავლით პ არ ა - ლ ე ლ უ რ სახეობებად გრძელი ე-ს შემცველი ვარიანტები: დაღგეტ, დაღგე, დაღგე, დაღგე, დაღგე..., რაც ერთგვარად დაკავშირებული ჩანს სუფიქსისეული ხშული ტ-ს (იქნება იგი წარმოდგენილი ფორმაში თუ არა) ხშვის მ ო მ ე ნ ტ თ ა ნ. ლარინგსში მომხდარ ხშვას სკდომა აღარ მოსდევს, დაბოლოება ერთგვარად „მოკვეთილი“ რჩება (ჩვეულებრივ ტ-ც აღარ ისმის) და წინამავალი ე ხმოვანი (ასიმილაციით მიღებული) გრძელდება².

9. ო ხმოვანი. საშუალო აწეულობის უკანა წარმოების ო ხმოვანი აფხაზურსა და აბაზურში პოზიციური წარმოშობისაა. იგი მიღებულია ა ხმოვნისაგან უ ნახევარხმოვანთან მეზობლობაში (ან სხვა, ლაბიალიზებული ბგერის ა-ზე გავლენით). ამ ნიადაგზე მიღებული ო ფართოდ გამოიყენება აფხაზურში და აშხარულ დიალექტში ზმნურ ფორმათა წარმოებისას. იგი შედარებით იშვიათად გვხვდება ტაპანთურ დიალექტში.

¹ რუსული ენის ა სათანადო ფუძეში აფხაზურში ე-თია გადმოცემული. აბაზურში, ორთოგრაფიულად ა-ს შენარჩუნების გამო, ბუნებრივია, სათანადო შემთხვევებში დაცულია ა.

² ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აშხ. დ., § 40, 41.

ა ხმოვანი **ჟ**-სთან (როგორც **ჟა**, ისე **აჟ** კომპლექსში) გარკვეულ პირობებში ნაწილობრივი ასიმილაციით იქცევა **ო**-დ, ვიღებთ **ჟო** ან **ოჟ** დიფთონგებს, ან ხდება მათი **ო**-დ შერწყმა (სადაც **ჟ** ცალკე კომპონენტად აღარ გამოდის).

აჟ → **ოჟ** → **ო**: **ეგზუგოჟი** || **ეგზუგაჟი** ← **ეგზუგოჟი** „კარგია ის (← დლაჟ[ტ] – აშხ. ტ. 71₃₁ – „მას (ქ) ის (ად) შეეძინა“, მ ო ჟ (← დლაჟ[ტ] – აშხ. ტ. 71,31 – „მან (ქ) ის (ად) შეეძინა“, მ ო ჟ - მ ო ჟ (← მაჟმაჟ) – ტ. ტ. 74,28 – შდრ. მამრ – ტ. ტ. 25₄ „არა“, **დრეზვრჟმწან!** – ტ. ტ. 3,10 – „შენ (მ) მათ არ დაუჯერო!“, **დსოჟჰარეჟენ**¹ – ტ. ტ. 113,13 – „მას (ად) თუ გათქვამ ჩემთან“ და მისთ.

ჟა → **ჟო** → **ო**: **ჟოხა** (ზუ. ჟოხა) || ← **ჟახა** („ამაღამ“, **ჟოწ** || ← **ჟაწ** „ხვალ“... **ჟორრ ჟემტალან ჟგ**! – აშხ. ტ. 26,2 – „შენ (მ) დაწეი და დაიძინე!“, **დააზგაჟრდტ** – აშხ. ტ. – „მას (ნ) მოვიტან“, **ჟოჟ** – აშხ. ტ. 32,22; **ჟოზ** – ტ. 82,25 – „ახლა“, „ამჟამად“, **ჟოწგან** – ტ. ტ. 60,30 – „ბოლოს“...

მეტნაკლები სისტემურობით შეიძლება გვხვდებოდეს **ო** ხმოვანი დიალექტთა მიხედვით, რაც იმითია გამოწვეული, თუ რა ფონეტიკური პროცესი ჭარბობს ამა თუ იმ დიალექტში. ძალზე გავრცელებულია, მაგალითად, **ო** აფხაზურ სამწერლობო ენაში, აზუურსა და აშხარულ დიალექტებში აწყო დროის ნაკვეთებში, სადაც იქმნება ა + ჟა ტრიფთონგი, რომლისაგანაც ვიღებთ ა + ჟო, ო + ჟო → ო-ს ან გამარტივებულ **ო**-ს². აშხარულ დიალექტში ზოგი სხვა ცვლილებებიც დასტურდება.

გარკვეულ ფორმებში (ზმნისა) მაგ., **დღღკჟაღტ** (მას (ად) ის (ქ) იჭერს“) ამოსავალი სახეობიდან აზუურ დიალექტში უფრო გავრცელებულია სუფიქსისეული ა-ს ასიმილაცია მომდევნო **ღ**-სთან (დღღკჟეღტ) მაშინ, როცა ბზიფურში ჭარბობს ამ ა-ს ასიმილაცია და შერწყმა წინამავალ **ჟ**-სთან (დღღკჟოღტ || დღღკოღტ) და სხვ.

როგორც ზმნურ ფორმებში, ისე ცალკეულ სახელთა ფუმეებში ადვილად ხერხდება **ო** ხმოვნის ამოსავალი ა **ჟ**, **ჟ** ა ან **აჟა** კომპლექსიანი სახეობების (პარალელურად) დადასტურება. **ჟ** ა კომპლექსიანი ვარიანტი, მაგალითად, უჩვეულო არ არის არც ა ო ჯ გ („ადამიანი“) სიტყვაში, რომელსაც უსლარი ერთადერთ **ო** ხმოვნიან სიტყვად მიიჩნევდა, თუმცა თანვე შენიშნავდა, მრავლობით რიცხვში მას **ო** აღარ აქვსო („вытрасываеt о“)³. ირკვევა, რომ ამ სიტყვის მრ. რ.-ში (აჟაა) **ო** კი არ „ამოვარდება“, არა-

¹ ზმნის პირიან ფორმებში ჩვეულებრივ ეს ცვლილება **ო** **ჟ** საფეხურით იფარგლება და არ გვამღვეს **ო**-ს, რაც დაკავშირებული ჩანს **ჟ**-ს ცოცხალ მორფოლოგიურ დანიშნულებასთან (პირთა შეპირისპირების დროს).

² ამ საკითხთა შესახებ იხ. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში. – ენიმკის მოამბე, ტ. II, 2, 1938.

³ იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 7-8.

მედ თვით მხ. რ.-ის ფორმაში **ო** მიღებულია **ჟ** ა-საგან (შდრ. აჟაჟგ || აჟოჟგ), რასაც ადასტურებს მრ. რ. ფორმა, რომელშიაც **ჟ** ა ამოსავალი კომპლექსის **ა** გადაურჩა ასიმილაციას (და შერწყმას) **აა** ხმოვნურ გარემოცვაში (იხ. აქვე, გვ. 71).

ო-ს წყარო, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, შეიძლება იყოს **ა** ხმოვანი ლაბიალიზებულ თანხმოვნებთან მეზობლობაშიაც (ჩვეულებრივ თანხმოვანთა შორის მოქცეული), მაგ.: ჟ^ოხ[°] || ← ჟ^ახ[°] „თხუთმეტი“, ტაპ. შკ[°]რკ[°]ა (← აფხ. აშკ[°]აკ[°]ა) „თეთრი“...

ო ხმოვანი სხვა ენათაგან ადრე შესულ სიტყვებში ჩვეულებრივ გადმოცემულია **ჟ** ა დიფთონგით¹, მაგ., **ორბი** – აჟარბა, **ოსი** (მეგრ. **ოფსი**) – ა-ჟაფს, მეგრ. **ოხვამე** – ა-ჟახ[°]ამა („ეკლესია“, „სალოცავი“), მეგრ. **ორთალი** – ა-ჟართალ („ქვევა“), **კოჭი** (მეგრ. **კონჭი**) – აკ[°]ანჭ[°], **კოჭობი** – აკ[°]აჭაბ || აკ[°]აჭაფ, რუს. **закон** – ა-ზაკ[°]ან, **ქოლგა** (დიალექტ. **ქორგა**) – აქ[°]არგა³ (ნ. მ. ლექს. 87).

რიგ ნასესხებ სიტყვაში გამსესხებელი ენის **ო** ხმოვნის ადგილას ზემოთ განხილული, მოსალოდნელი **ჟ** ა კომპლექსის ნაცვლად გვხვდება **ა**. ასეთი შედეგი მაშინ არის ხოლმე, როცა მის წინ დგას ბილაბიალური **ბ ფ ჰ**, ენა-კბილისმიერი **დ თ ტ** (ზოგჯერ), სონანტები **მ ნ ლ რ**, შიშინა აფრიკატები და სხვ. მაგ. **ზორბალი** – აზარბალ, **კუბო** – აკ[°]ბა || აკ[°]ბა, **ფონი** – აფან, **გემო** – ა-გ[°]მა (ტაპ. გ[°]მა), **მოწმობა** – ა-მაწმაბა, **სამურზაყანო** – სამგრზაყანა (აჟ[°]აბჟ კ[°]აჟ[°]. 49), **კოლოფი** – აკ[°]ალაფ, **ურო** – ა-ჟერა, მეგრ. **უნთო** – ა-ჟანთა, **ტორჩუა** (გვარი) – ტარჩუა, რუს. **пальто** – ა-პალტა (შდრ. ტაპ. სასაუბრო ენაში ადიღურის გზით შესული – ფალთო(ჟ)! ტ. ტ. 69,14), თურქ. **düşeme** – ადაშამს || ადამშამ („იატაკი“), **სოლი** – ასალ, **ჯინჯოლია** (გვარი) – ა-ჯგნჯალ... და მრ. სხვ.

მოყვანილ შემთხვევებში **ა** მიღებულია იმავე **ჟ** ა (←**ო**) კომპლექსისაგან **ჟ**-ს ჩავარდნის ნიადაგზე. **ჟ**-ს გაუჩინარება კი გამოიწვია მისმა შეხვედრამ იმ ბგერებთან, რომლებიც **ჟ**-ს ვერ ჰგულობს. ამის შედეგად ან **ჟ** გაუჩინარდება, როგორც ეს მოხდა კიდევ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, ან კიდევ იგი შეერწყმის ლაბიალიზაციის ელემენტად წინამავალ თანხმოვანს, რაც უკვე იძლევა ახალ ლაბიალიზებულ ბგერებს.

რომ აღნიშნულ პოზიციაში **ა** **ჟ**-ს გამარტივების ნიადაგზეა წარმოქმნილი, ცხადი ჩანს **ჯ ვ ა რ** სიტყვის მიხედვით. ქართულიდან შეთვისე-

¹ П. Ч а р а я, Об отношении абхазского языка к яфетическим. С.-П. 1912., გვ. 16; А. Г е н к о, Абх. вокализм.

² **ო**-საგან მომდინარე **ჟ**(ა) ლაბიალურ მომენტად შეერწყმის აღნიშნულ ენებში სათანადო წინამავალ თანხმოვნებს (იხ. აქვე, ქვემოთ).

³ შდრ. პარალელურადვე არსებული სხვა სახეობის მქონე ა ჰ ა რ გ[°].

ბული ეს სიტყვა ჯვ (resp. ჯუ) კომპლექსის არაბუნებრივობის გამო წარმოდგენილია ა - ჯ არ -ის სახით¹.

უ ა-ს ა-დ გამარტივების შემთხვევაში სათანადო თანხმოვნების მომდევნოდ თავს იჩენს საკუთარ აფხაზურ-აბაზურ მასალაშიაც (წარმოქმნილში გრამატიკული მოტივების საფუძველზე). ასე, მაგ., აწმყოსეული -უა სუფიქსი რ-ს შემდეგ მოხვედრისას ა-დგრ-რა „ცოდნა“, „ცნობა“) ზმნაში წარმოგვიდგება ოდენ ა-ს სახითაც: მსგზდგრ-ა-მ (აჟაბჟ კაჟა. 14) || მსგზდგრ-ა-მ² „ის (ნ) მე არ ვიცი“.

სხვა ენათა ო-ს ადგილას ნასესხებ სიტყვებში შეიძლება გ-ც აღმოგვაჩნდეს ზემოთ განხილულ სახეობათა შემდგომი ცვლილების ნიადაგზე: ო → უა → ა → გ, მაგ., ლომი – ა-ლემ ← || ბზ. ა-ლამ (← *ა-ლამ), ბოყვი → ა-ბგყ ← || ა-ბაყ, მორგვი – ამგრგ, საპონი – ა-საპენ ← || ბზ. ა-საპან, შდრ. აბაზ. საბენ, მოთქმა – ა-მეტკუმა³...

უმახვილო პოზიციაში ეს ა-ცა და, მითუმეტეს, გ-ც შეიძლება დაიკარგოს, მაგ., ამლადგრ (შდრ. პარალელურად – ა-მალადგრ!).

სხვა ენათაგან შესულ თითო-ოროლა სიტყვაში შემორჩენილია ზოგჯერ ო-ც, როცა იგი მახვილიანია, მაგ., მეგრ. მთა – ა-მრთა („შვილიშვილი“), стол – ა-სტრლ, თურქ. sofa – ასრჟ („აივანი“) და სხვ. ასეთ შემთხვევაში არაიშვიათად სასაუბრო ენაში შეიძლება დადასტურდეს დიფთონგური (ოუ) სახეობაც (მაგ., სტოულ და მისთ).

საბჭოთა პერიოდში სხვა ენებიდან (ძირითადად კი რუსული ენიდან) დიდძალი სიტყვები შევიდა აფხაზურსა და აბაზურში. ამ სიტყვებში, რამდენადაც ისინი შესულნი არიან წიგნის გზით და დამახასიათებლნი არიან სალიტერატურო ენისთვის, მეტნაკლებად დაცულია გამსესხებელი ენის ხმოვნებიც: ა-ურრკ, ა-ზვენრ, არადიო, ა-დოგოვრრ, აშკრლა, ა-კინრ, აბაზ. გრროდ და სხვ.⁴

10. **გრძელი ო ხმოვანი.** გრძელი სახეობა ო ხმოვნისა მიიღება პოზიციურად ა უ დიფთონგისა და აუა ტრიფთონგისაგან ასიმილაცია-შერწყმის ნიადაგზე (ო უ, ო უ ო საფეხურების გავლით). იგი გვხვდება აბჟურ-ბზიფურ და აშხაორულ დიალექტებში (განსაკუთრებით მის კუვინსკის კილოკავში) ზმნის დროთა წარმოებისას: უგზცრ ზაკგდ – აშხ. ტ. 15,¹¹

¹ ტაპანთურ დიალექტში გვიან წარმოქმნილ ჯ⁰ ჩ⁰ ჭ⁰ – ლაბიალიზებულ აფრიკატთა არსებობის პირობებში ეს სიტყვა ჯ უ არ -ის სახით არის მოცემული (ოლონდ იგი აქ უკვე ადიღურ ენათა სახეობას ეყრდნობა).

² აშხარულ დიალექტში ეს სუფიქსი სისტემებრ არის წარმოდგენილი ამ სახით თანხმოვანთა შემდეგ. იხ. ჩვენი, აშხ. დ., გვ. 123 და შემდეგ.

³ შდრ. А. Г е н к о, Абх. вокализм.

⁴ თუმცა ხალხურ ენაზე მოსაუბრე ამ შემთხვევებშიაც არაიშვიათად თავისებურად ეპყრობა ნასესხებ ხმოვნებს. მაგ., აფხაზურ სასაუბრო ენაში შეიძლება გავიგონოთ ა-კინ'ტა || ა-კინონ, აშკ'ალ და მისთ.

– „რისთვის მიდიხარ?“, დღქ¹ლრტ – ib, 15,15 – „მიემართებიან“, დჯარრ || დჯარრტ (← დჯარაუტ – ib, 65,5-6, „შორსაა“, დჯყრ აურ სკ გპ – ib,72,31 – „რაც არის ესაა“, უოჟჟ უტსა ლჰრდტ – ib, 26,35 – „ახლა ის (ქ) ასე ამბობს“, დემცადლრზ – ib, 32,15 – „ის (ად) როგორც ხნავდა“¹...

ტაპანთურ დიალექტში გრძელი რ თითქმის არც გვხვდება, რამდენადაც ტაპანთურში აღნიშნულ დროთა წარმოებაში სხვაგვარი პროცესები მიმდინარეობს.

11. **ა ნახევარხმოვანი** (სონანტი). შუაენისმიერი **ა** ნახევარხმოვანი ერთი ძირითადი ფონემათაგანია აფხაზურსა და აბაზურში. გვხვდება როგორც ძირეულ ელემენტად (მაგ., აა-ა-რა, ტაპ. შა-ა-რა „მოსვლა“...), ისე აფიქსად (მაგ. III პ. პრეფიქსი...).

საერთო წესის მიხედვით, ისიც გვხვდება უშუალო კონტაქტში თანხმოვნებთან (მაგ., აფა „მისი (მ) ძე“, აჩა „მისი (მ) ცხენი“...), რაც უფრო დამახასიათებელი ჩანს ტაპანთურისათვის. **ა** ფართოდაა გავრცელებული დიფთონგის (ან ტრიფთონგის) შემადგენელ წევრად, რაც უქმნის ხელსაყრელ გარემოს სხვადასხვა სახის ფონეტიკურ ცვლილებებს და ახალი, მეორეული ხმოვნების (ე, ი...) წარმოქმნას.

იგი არსებითად ვლინდება **აა** და **აი** დიფთონგებში (მაგ., აარა „ის (მ)“, ააცა „გუშინ“, აახა „რკინა“, ააწა „უმცროსი“), მაგრამ მეტნაკლებად თავს იჩენს მეორეული წარმოშობის კომპლექსებში, როგორცაა: აე, აი, აე, აი, აო, აი, აუ, აი, აი...

ვინაიდან ძირითადად **ა**-ს პოზიციურ ცვლილებებზეა დამოკიდებული **ი** (||**ი**) ხმოვნის წარმოქმნა აღნიშნულ ენებში, **ა**-ს შესახებ სათანადო მასალა განხილული იქნება **ი** (||**ი**) ხმოვანთან დაკავშირებით.

12. **ი ხმოვანი** (და მ ი ს ი გ რ ძ ე ლ ი ს ა ხ ე ო ბ ა). წინა წარმოების ზემო აწეულობის **ი** ხმოვანი (და მით უმეტეს გრძელი **ი**) აფხაზურ-აბაზურში პოზიციური წარმომავლობისაა. **ი** ხმოვნის საფუძველია უმთავრესად ერთ მარცვალში გაერთიანებული **ა** ნახევარხმოვანი და ირაციონალური **გ** ხმოვანი. ამ კომპონენტთა შედარებით თავისთავადი, არამონოფთონგური გამოთქმა უფრო თვალსაჩინოა **გ**-ს მახვილიანობის პირობებში. შდრ., ერთი მხრივ, იმცდტ, ტაპ. იმცატ (= აემცდტ, აემცატ) „ის (ნ) წავიდა“ და, მეორე მხრივ, – აჯყოჰპ, ტაპ. აჯყაპ (|| ააყაპ...) (უფრო იშვიათად – რყოჰპ...) – „ის (ნ) არის, იმყოფება“.

დიფთონგური **აი** (||**აი**) გვხვდება თ ა ვ კ ი დ უ რ ა დ (ჩვეულებრივ ეს ზმნური ფორმებია) და გარკვეულ შემთხვევებში (როცა იგი წინამავალ ხმოვანთან არ ერთიანდება მარცვალში) სიტყვისა თუ ფორმის შ ი გ ნ ი თ (მაგ., დ'აემბდტ „მან (მ) ის (ად) არ ნახა“... განსაკუთრებით **გ**-ს მახვილია-

¹ იხ. ჩვენი, ძირ. და დრ. წარმ. აფხაზურში, გვ. 196, 197... აგრეთვე – აშხ. დ., § 40, 41.

ნობის ვითარებაში – დ'მგმოჭპ „მას (მ) ის (ად) ჰყავს...), ა უ ს ლ ა უ ტ შ ი კი – ა რ ა ს ო დ ე ს, რაც გამოწვეულია იმით, რომ **მგ-** დიფთონგისეული **მ**, – სადაც ასეთი დიფთონგია მოსალოდნელი, – გაერთიანდება წინამავალ მახვილიან ხმოვანთან და მომდევნო **გ** გაუჩინარდება (ან გადაისმის **გ** მ-ს წინ). ამდენადვე **მგ** დიფთონგი სათანადო პირობებში წარმოგვიდგება **გმ** დიფთონგის სახით.

სიტყვის შიგნით, თანხმოვანთა შორის მოქცეული **მგ** დიფთონგი ზოგჯერ შეიძლება ისმოდეს გრძლადაც, მაგ., დრმზედტ და მისთ.

დამავალი **გმ** დიფთონგი თავკიდურ პოზიციაში არასოდეს არ გვხვდება. სამაგიეროდ ძალზე გავრცელებულია სიტყვისა თუ ფორმის შიგნით დაბოლოს. ასეთ შემთხვევაში ისმის გრძელი **მ**. მართებულად შენიშნავს ა. გენკო, რომ აქ **მ-ს** გავლენით **გ** ხმოვანს მოსდის ასიმილაცია და გვაძლევს **იმ-სო**¹, ე. ი. – გრძელ დიფთონგურ ხმოვანს, ოღონდ, მისი აზრით, ეს ხდება მახვილიან მარცვალში². ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნულ ნიადაგზე (ე. ი. ასიმილაციის ნიადაგზე) გაგრძელებული **მ** (როგორც მისი რეგრესული, **-გმ-**, ისე პროგრესული, – **მგ**, – მიმართულებებისა) შეიძლება მახვილიანობის პირობებში უფრო შესამჩნევი კი იყოს, მაგრამ გვხვდება უმახვილო მარცვალშიც.

ჩვეულებრივ გრძლად გამოითქმის **გმ**-საგან ასე მიღებული **ი** ნაცვალსახელთა ფუძეებში: არი || ← არგმ, აბრი || ← აბრგმ („ეს“), უგმ ← || ურ, ტაპ. აურ ← || აურგმ...³ გრძლადვე ისმის იგი III პ. (მ) ზმნურ ფორმებში – დგმგმტ, ტაპ. დგმგტ „მან (მ) ის (ად) წაიყვანა“, მთგმხუემტ, ტაპ. მთგმხმტ „მას (მ) ის (ნ) ამოაქვს“, მრგმთემტ, ტაპ. მრგმთატ „მან (მ) მათ ის (ნ) მისცა“ (შდრ. აჩანგ⁴ ართაგ⁴ მარბ¹ თენ ტ. ტ. 9,24 – „მან (მ) მათ რემა მისცა რა...“)⁴; აფხაზურის დიალექტებში აორისტიკისა, ხოლო ტაპანთურში აქმყოს ფინიტურ დაბოლოებაში – დაკგმტ „მან (ნ) ის (ად) დაიჭირა“, ტაპ. „ის (ნ) მას (ად) იჭერს“... (შდრ. დგცრ¹დ, დგცრ¹დთა... – ტ. ტ. 81,3 – „მიდის ის (ად), მიდის რა...“).

¹ А. Н. Генко, დასახ. ნაშრ., გვ. 32 (აქ გენკოს შეცდომით უწერია ასიმილაციის შესახებ „პროგრესული“-ო).

² იქვე.

³ А. Н. Генко, დასახ. ნაშრ., გვ. 32; ე. ლომთათიძე, ჩვენებით ნაცვალსახელთა და ადგილის ზმნისართთა ისტორიული ერთიანობის შესახებ აფხაზურში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტ. და ისტორ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XXV, სოხუმი, 1954.

⁴ წიგნის ენის პრაქტიკაში ზოგჯერ გრძელი **მ**-ს გადმოსაცემად წერენ ორ **ი**-საც, მაგ.: ჩეთ-ჩეთლა ისრითემტ „ნაწილ-ნაწილად მომცა“ – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954, გვ. 351,12; დირპ³ემტ – „მან (ად) მას (მ) სთხოვა“, იქვე, გვ. 455¹² (ბოლოდან).

განსაკუთრებით დამახასიათებელია გრძელი **ბ** აზნარული დიალექტის აფსუსის კილოკავისათვის სტატიკურ ზმნათა აწმოსა და დინამიკურ ზმნათა აორისტის ფორმებში: ჰარა ჯარაკ ჰადღქლარა ათაჯრ' – აშხ. ტ. 5630 – „ჩვენ სადღაც შორს უნდა წავიდეთ“, აბა აფჯა დფფსრ' – ib., 55,37 – „მისი (მ) მამა ადრე (უწინ) მოკვდა“...

საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის ა ბ ა- პრეფიქსი, საფიქრებელია, გ ბ ა სახეობის გავლით, პრევერბისეული თანხმოვნის მომდევნოდ მოქცეული, გამოითქმის გაგრძელებული რ ბ ა-ს სახით¹.

გაგრძელებული ი ისმის კითხვით ზაკრ', ტაპ. ზაწრა (= ზაწრეა) – „რა არის?“ – კითხვით სიტყვაში, -ტ'ი (ტაპ. -წ'ი || -ჭ'ი) რთულ სუფიქსში (არატ'ი „აქაური“, ახარატ'ი „შორი“, შორეული“, წფფბტ'ი „შარშანდელი“...), შემეერთებელი კავშირი გაფორმებულ რთულ რიცხვით სახელებში, როგორცაა, მაგ., ჯაჟრ'აბა (|| ჯაჟრ'აბა ← ჯაჟრ'აბა) „ოცდაათი“, შრ'ადგ (||შრ'ადგ) „ას ერთი (ად)“ და მისთ.

ასიმილაციის ნიადაგზე გრძელი გამოთქმით ხასიათდება იმ ზმნათა ძირეული ი ხმოვანი, რომლებშიაც **ბ**-სთან ერთად ირაციონალური **გ**-ც ივარაუდება (მაგ., ა-შორა „გაგზავნა“, „გაშვება“, არორა „გაჩენა“, ა-თორა „გაყიდვა“, „გაცემა“ (დასტურდება მისი ა-თედრა ← *ა-თადრა სახეობაც), აშორა „წყევლა“ (შდრ. დორნგ... – აშხ. ტ. – „ისინი გაყიდვიით...“, აზაზარ ისგრციდ, ისთრ'აშატ – ტ. ტ. 705 – „ზაზარში მივრეკავ, უნდა გაყვიდო“, მტჟ-გარა ჰადშორნ... – ტ. ტ. 8527 – „მან (მ) შეშის წასაღებად გამოგვგზავნა რა...“, „ჲდ, საბა, სჰაზრ'თა სფზმჰაზახზ...“ – ტ. ტ. 808 – „ჰე, მამა, რომელმაც გამაჩინე და არ გამზარდე“).

ასეთ შემთხვევებში იმდენად თვალში საცემია ეს სიგრძე, რომ წიგნის ენაში (განსაკუთრებით აფხაზურში) წესად არის ორი ი-ს წერა, მაგ., არიირა („გაჩენა“), აშორა² („წყევლა“).

ერთ მარცვალში გაერთიანებისას გრძლად შეიძლება გამოითქვას ორი დამოუკიდებელი მორფემისეული **ბ(გ)**, მაგ., ა ა დ რ ა („მოსვლა“) ზმნის ძირეული **ბ**-ს შეხვედრა ფინიტური წარმოების **-ბ[გ]ტ** სუფიქსთან ზოგჯერ გამოიხატება გრძელი **ბ**-ს სახით: დაარტ „ის (ად) მოვიდა“ (შდრ. ტაპ. დშარტ – ტ. ტ. 2815 – „მოდის“), თუმცა პარალელურად გვხვდება გამარტივებული „დააბტ“ სახეობაც.

ამ უკანასკნელი შემთხვევის მსგავსად ორი **-ბ[გ]**- პირის ნიშნის ერთად შეხვედრისას გაუჩინარდება ერთ-ერთი მათგანი³, მაგ. **-ბ[გ]-ბ**-ბობტ-

¹ იხ. ჩვენი, საურთიერთო... კატეგორია აფხაზურ-ადიღურ ენათა ზმნაში. იკვ. XII, 1960, გვ. 282.

² ბ. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ლექს., გვ. 237, 339.

³ შდრ. А. Н. Генко, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

ისაგან მიიღება „ე[გ]ბოჲტ“, თუმცა აქა-იქ შეუძლებელი არაა მათი გაგრძელებული ი-ს სახით გამოთქმაც.

გაბმული მეტყველების დროს ორი სიტყვის კიდურ ხმოვანთა შეხვედრისას ხშირად ადგილი აქვს ზემოთ განხილულ ასიმილაცია-შერწყმის ნიადაგზე წარმოქმნილ გრძელხმოვნიან სახეობებს, მაგ., ჟოზ'ჟა-იხტ – ტ. ტ. 45,23 – (← ჟოზ'გ მჟაიხტ) „ახლა მოვიდნენ...“ და მისთ.

მართალია, აფხაზურსა და აბაზურში მარტივი სახის ი ფონემა არა გვაქვს (ზემოთ განხილული ი დიფთონგური ბუნებისაა), მაგრამ ყურადღებას იქცევს ზოგ შემთხვევაში გამოვლენილი ი, რომელსაც ასეთი დიფთონგური ხასიათი არა აქვს. იგი არსებითად განსხვავებული, მარტივი ი ხმოვანია. ასეთი ი ზოგჯერ გამოჩნდება ხოლმე აბაზურ დიალექტში, იშვიათად კი – აფხაზურ დიალექტებშიაც. შეინიშნება, რომ იგი გ ხმოვნის (რამდენადაც სხვა ენობრივ თუ დიალექტურ ერთეულში გ- ხმოვანი სახეობა დაცულიც არის) გაპალატალეზულ რეფლექსს, როცა მას წ ი ნ მ ი უ - ძ ღ ვ ი ს სიბილანტები, – განსაკუთრებით – ს, წ, ძ, ჭ, სონორები – განსაკუთრებით – ნ, აგრეთვე (მ), რ და წინაენისმიერი ხშულები – დ, თ, ტ, – განსაკუთრებით – დ.

გ→ი-ს ასეთ პოზიციურ ცვლილებას ზოგ შემთხვევაში ჩამოუყალიბებია დიალექტურად გარკვეული სტაბილური სახეობა, ზოგჯერ კი იგი ინდივიდუალური, სპორადული ვარიანტის სახეს ატარებს.

აფხ. ა - ს გ ფ ს ა („თოვლ-ყინული“) სიტყვის ამგვარად მიღებული ტაპანთური სახეობაა სიფსა „ზვავი“. უდავოა, რომ მასში პირველ ნაწილად გამოდის ა-სგ (ზზ. ა-ს'გ) „თოვლი“, რომელიც ცალკე აღებული ტაპანთურშიაც გ ხმოვნიანი სახეობით (სგ) არის დაცული. „ს ი ფ ს ა“-ს გვერდით იმავე ტაპანთურში არის ს ა ქ ° ჰ ° ჰ ° ა რ ა, რაც უნდა ნიშნავდეს სწორედ „თოვლ-ზვავ“-ს (თოვლს, ურთიერთ ზედ დაცვივნულს).

ასეთი პროცესის არსებობისას ჩნდება კითხვა, ამავე ცვლილებით ხომ არ აიხსნება ის სხვაობაც, რაც დასტურდება ზმნისართულ ფუძეებში გამოყენებული „ყოველ“ ნაწილაკის შემთხვევაში აფხაზურსა და აბაზურში.

აფხაზურში ეს ნაწილაკი გვხვდება ა ა ს გ- || ა ა ს ს გ- (დესგდესგ- → ესგ- || ესგ-)-ს სახით: ა ა ს გ-მშ"ა „ყოველ-დღე“, ა ა ს გ-ჟოხა „ყოველ-ღამე“ და ა. შ. ტაპანთურში მის ადგილას გვაქვს ა ნ ს რ-, ა ნ ს რ-მშ, ა ნ ს რ-ჟაჯ..., ამხარულში ამ ნაწილაკს ტაპანთურისაგან განსხვავებით (და აფხაზურის მსგავსად) ნ არ ახლავს, თუმცა ტაპანთურის მსგავსად ი ახასიათებს, არის – ა ს რ - ა ს რ'-ჟოვგ გ – აშხ. ტ. 5010 – „ყოველ ღამეც“. აღნიშნული ნაწილაკის ფუძეში დიალექტთა მიხედვით სხვა ცვლილებებიც იქცევს ყურადღებას. კერძოდ, აფხაზურის დიალექტებში ა ხმოვნის წინ ა გვაქვს, მას ვერ ვხედავთ აბაზურ დიალექტებში, შეიძლებოდა გვეფიქრა, ეს ა ხომ არ არის გადასმული აბაზურში ს-ს შემდეგო (რამდენადაც თავკიდურად აღარაა),

მაგრამ ასეთი ვარაუდი გამორიცხული ჩანს იმის გამო, რომ ხსენებულ ფორმაში გამოვლენილი **ი** მარტივი ხმოვანია მაშინ, როცა გადასმის შედეგად რომ იყოს მიღებული, იგი დიფთონგური ბუნებისა იქნებოდა. აბაზურ ფორმაში თავკიდური **ჲ**-ს უქონლობა **ჲა** თავკიდური დიფთონგის ცვლილებით უნდა აიხსნას (იხ. იქვე, ფონეტიკური პროცესები ხმოვნებსა და დიფთონგებში).

აფხ. ა-წეს (ბზ. ა-წ'ეს') „ჩიტი“ სიტყვის ტაპანთური ვარიანტია – წ ი ს. მართალია, წ ი ს ტაპანთურში „ბელურა“-ს ნიშნავს, მაგრამ რომ ეს საერთო ფუძეა და ტაპანთურშიაც იგი „ჩიტის“ მნიშვნელობითაც უნდა გვხვდებოდეს, ამას ადასტურებს ტაპანთურში არსებული „ღამურას“ – ჟოჯენლა წის („ღამით || ღამის ჩიტი“) და სხვა რთული ფუძის შემცველ სიტყვებში არსებული წ ი ს.

ამავე ფონეტიკური სახის წ ი ს სიტყვა აფხაზურშიაც გვხვდება, თუმცა კატის მოსახმობად: „ფისო“, „ფისუნია“!

აფხ. ა-წესხა („მუწუკი“) ტაპანთურში წარმოდგენილია წ ი ს ჯ ა-ს სახით.

ასევე მარტივი **ი** გვაქვს აფხაზურ დიალექტებსა და აშხარულში გ ვ ა ლ ვ ი ს სარიტუალო მოწოდებაში: ძ ი ჟ ა რ ა!, ძ ი ჟ ა რ ა!. მთლიანად ამ გამოთქმის ყველა კომპონენტი შესაძლოა ნათელი არ იყოს, მაგრამ პირველ ელემენტად რომ ა-ძგ („წყალი“) სიტყვის ფუძე უნდა იგულისხმებოდეს, ეს უდავოა, როგორც რიტუალის მთელი კონტექსტის, ისე ამ მოწოდება-შელოცვის ტექსტში სხვა ადგილასაც გამოყენებული იმავე „წყალ“ ფუძის მიხედვით. მით უმეტეს, სარწმუნო ჩანს ეს, რომ ჩვენ მიერ ჩაწერილ ამ შელოცვაში ერთხელ აძგ („წყალი“) სიტყვა ცალკე ხმარებულიც კი „ძი“-ს სახით წარმოგვიდგა:

ძიჟარა, ძიჟარა!
ძამარკაკა, მარკა ძგჴხა^ა
აჰ იფჰა დგძჴმედტ
ჟა, ქა ტაკ! ჟა, ძი (sic!) ტაკ!
აძგხ აჰა ძგ ყარმან
ჩამბორაჰა ჩაფს, ჩაფს! (აშხ. ტ. 76).

ასეთი მარტივი **ი**-ს არსებობა გეოგრაფიულ სახელებში, როგორცაა რ ი წ ა, რ ი ლ მ ა (ფსკ^ა-ს მიდამოებში) უნდა აიხსნებოდეს რ-ს მეზობლობით.

აფხ. ა-გდგ („დოლა“) ტაპანთურში წარმოდგენილია გ დ ი-ს სახით.

გარდა ამ რიგის ფაქტებისა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სათანადო პოზიციამი გ-საგან მომდინარე **ი** შეიძლება გამოვლინდეს სპორადულადაც (როგორც პარალელური სახეობა). ასეთებია: ახშ ნნთგჴგრაკ...

უნასრშთამლან... აშნ ნაჭაგჟაჟრაკ, უნასრშთალ! – აშხ. ტ. 4,³² – „რძე თუ გამოედინა... არ გამომედვენო... სისხლი თუ გამოედინა, გამომედვენე!“, უი აწიჯან – აშხ. ტ. – „მის შემდეგ“, დაანწიკ – აშხ. ტ. 55⁶ – „სანამ ისინი მოვიდოდნენ“,... მურადი-შთა რმან – აშხ. ტ. 70²¹ – „განზრახული ჰქონდა“, უსყარატიკ – აშხ. ტ. – „იმოდენი“, ბლათიქ – ib. 54,³⁴ – „ცხვირსახოცი“ და სხვ.

„წიწილა“ სიტყვის ქჭეს სახეობის გვერდით ტაჰანთურში შეიძლება შეგხვდეს ქჭი ს სახეობაც და ა. შ.¹.

სხვა ენათა ი ნასესხებ მასალაში სხვადასხვანაირად გადმოიცემა იმისდა მიხედვით, რა გზით (რა დროს) არის შესული სიტყვა და რა ბგერითსა თუ მახვილიან გარემოშია მოხვედრილი იგი.

შედარებით ადრე, ზეპირი გზით შესულ სიტყვებში სხვა ენათა ი მოქცეული თანხმოვანთა შორის, გადმოღებულია ჩვეულებრივ ირაციონალური გ ხმოვნით (ამის მაგალითები ბლომად გვაქვს აფხაზურში), შდრ. ქართ. ბალიში – აბალგშ, მეგრ. ნაბზითი („მზითევი“) – ანაბზტ, მეგრ. ყვარული („ყვერული“) – აყარგლ, რიცხვი – არცხვ, რუს. прияник – აბაზ. ფრანგქ... ქართული სასაუბრო მეტყველების „მაშინა“ – აფხ. ამაშენა, ხოლო აბაზურში რუსული ენის გზით შესული იგივე სიტყვა ინარჩუნებს ი-ს და არის „მაშინა“ машина (რუსული ენის მეშვეობას ამ შემთხვევაში ნათელყოფს მაგარი შ-ც, ქართულისას კი რბილი შ!); ქართ. ჯიბე – აჯგბა, გვარის სახელი – აფხ. ა-ჯგნჯალ შდრ. ჯინჯოლია და მრ. სხვ.

თუ ნასესხებ მასალაში ი-ს წინ უძღვის უკანაენისმიერი ხშულები და სპირანტები (ასევე ყ-ც), ისინი გადმოცემულია სათანადო პ ა ლ ა ტ ა - ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ფონემებით (ასეთივე სურათია სიბილანტებშიაც), ხოლო ხმოვანი – იმავე გ-თი: კიბე – აკგბა, კირი – აკგრ, კინტირი (მეგრ.) – აკგნტგრ, ადგილი – ადგლ (აბაზურშიაც ადგლ), გირვანქა – აგგრუანქა, ქირა – ა-ქგრა, ქირსე (მეგრ.) – ქგრსა „შობა“ და სხვ.

ცალკეულ შემთხვევაში, გ-ს ა-დ ცვლის შესაძლო პროცესის გამო, ნასესხები მასალის ი-ს ადგილას შეიძლება ა-ც მოგვევლინოს, მაგ., მეგრ. მაკინდოლი – ამაკენდრლ || ამაკანდრლ („ოხრახუში“), აბაზ. გარუანქა (შდრ. ზემოთ აფხ. აგგრუანქა!).

უმახვილო მდგომარეობაში სხვა ენათა ი (გ საფეხურის გავლენით?!) სულაც გაუჩინარებულია: მიზეზი – სმზგზ, შინაყმა – ა-შნაყმა, დერგილა (ქართ. დიალექტური) – ადგრლ („პატარა დერგი“), ძიძა (მეგრ. ძიძე) – ა-ძძე, რუს. старшина – ა-სთარშინა || ასთარშენ[ა] და სხვ.

¹ მაგარი ჰ-ს (ან სხვა მაგარი სახეობის წინაენისმიერთა, კერძოდ, სიბილანტთა) მეზობლად, ბუნებრივია, ეს პროცესი არ გვხვდება (რა თქმა უნდა, მხედველობაში არა გვაქვს ი-ს მიერ გ-ს მიმსგავსების ფაქტები ასეთ გარემოცვაში – ეჭიდაადტ ← ეჭადაადტ „მასთან (მ) მოვიდნენ“ და მისთ.).

ზოგჯერ **ი** ასეთ ნასესხებ მასალაშიაც (ზეპირი გზით შესულში) შემორჩენილა, – უფრო ხშირად მახვილიანი, – მაგ.: ბრინჯი – აბრინჯ, ფირფიტა – აფერფრტა, რუს. писарь – აპისარ და სხვ.

უმახვილო **ია** ნასესხები მასალისა (ასევე რუს. **ия** ან **я**) შეიძლება გამარტივდეს: ან დაიკარგოს **ი** (resp. **ი**) და შემოგვრჩეს **ა** – ზიარება – აზარება, რუს. комиссия – აკამისა (|| აკომისია), რუს. акция – აბაზ. აქაცა¹ (მდრ. აფხ. აკაცია || ალაკაცია მეგრულიდან შესული); ან – შეიძლება ჩამოსცილდეს **ა** და შემორჩეს ოდენ **ი**, მაგ.: დიაკონი – ადიკ³ ან და მისთ.

ბოლო ხანებში, წიგნის ენის გავლენით, სხვა ენათაგან – ძირითადად რუსული ენიდან – შესულ სიტყვებში **ი** (ან რუს. **и**) ყველა პოზიციაში გადმოცემულია **ი**-ს სახით. აკინრ, აპოკრიშკა, ამაგაზინ... (შესაბამისად რუსული ორთოგრაფიით – აბაზურში).

13. **ჟ ნახევარხმოვანი** (სონანტი). წყვილბაგისმიერი **ჟ** ფართოდ გამოიყენება აფხაზურსა და აბაზურში. იგი გვევლინება ძირეულ ელემენტადაც (მაგ. ა-**ჟ**-რა „ქნა“ ზმნის ძირი. ტაპანთურში ამ ძირის მოქმედების არე შეზღუდულია და უმთავრესად ძირითადი მნიშვნელობიდან მიღებული დამხმარე სიტყვა-ნაწილაკების სახით იხმარება) და აფიქსადაც (მაგ. II კ. პრეფიქსი და სხვ.).

თანხმოვანთა თავყრილობის არსებულ წესთა მიხედვით იგი თანხმოვნებთან უშუალო კონტაქტშიც შეიძლება გვხვდებოდეს (მაგ. **ჟნ**ემ „მიდი (მ)“!), რაც უფრო დამახასიათებელია ტაპანთურისათვის. უმარცვლო **ჟ** გავრცელებულია როგორც დიფთონგის (ან ტრიფთონგის) შემადგენელი წევრი. მათში **ჟ**-ს მონაწილეობა ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ფონეტიკურ ცვლილებებს და ახალი, მეორეული ხმოვნების (**ო**, **უ**...) წარმოქმნას. მას არსებითად ვპოვებთ ა **ჟ**, **ჟ** ა, ა **ჟ** ა – დიფთონგებსა და ტრიფთონგში (ა³ჟრა, ტაპ. ზა³ჟრა „რეგება“, „შოვნა“, ა³ჟრა „სიგრძე“... ჟარა (მენ (მ)“, ჟა³წ³ „ხვალ“, დცა³ჟა – „ის (ად) მიდის რა...“), თუმცა დიალექტთა მიხედვით მეტ-ნაკლებად გამოვლინდება ხოლმე სხვა პოზიციური წარმოშობის კომპლექსებშიაც, როგორცაა: ჟგ, გჟ, ჟე, ეჟ, ჟო, ოჟ, ჟი, იჟ, ჟუ, უჟ...

რამდენადაც ძირითადად **უ**-ს პოზიციურ ცვლილებებზეა დამოკიდებული **უ** (**უ**) ხმოვნის წარმოქმნა აფხაზურსა და აბაზურში, სათანადო მასალაც **ჟ**-ს შესახებ განხილული იქნება **უ** ხმოვანთან დაკავშირებით.

14. **უ ხმოვანი (და მისი გრძელი სახეობა)**. უკანა წარმოების ზემო აწეულობის **უ** ხმოვანი (და მით უმეტეს გრძელი **უ**) აფხაზურ-აბაზურში **ი**-ს მსგავსად პოზიციური წარმოშობისაა. **უ** მიიღება ერთ მარცვალში გაერთიანებული **ჟ**-სა და ირაციონალური **გ**-საგან. აღნიშნულ კომპონენტთა

¹ აბაზურში, ადილურ ენათა მსგავსად, რუსული ენის **-ия** დაბოლოება თანხმოვნის, განსაკუთრებით **с. и**...ს მომდევნოდ სისტემურად ისმის როგორც **ა**.

შედარებით თავისთავადი, არამონოფთონგური გამოთქმა უფრო თვალსა-
ჩინოა **გ** ხმოვნის მახვილიანობის პირობებში: შდრ., ერთი მხრივ უმგელან
(= უმგგლან) „შენ (მ) არ ადგე!“ და, მეორე მხრივ, დ'უტემოუპ, ტაპ. დ'უტმაპ
„შენ (მ) გყავს ის (ად)“.

დიფთონგური **უგ** || **უ**, როგორც მახვილიანი, ისე უმახვილო, ჩვეუ-
ლებრივ გვხვდება თ ა ვ კ ი დ უ რ ა დ (ეს უმთავრესად ზმნის პირიანი
ფორმებია) და, გარკვეულ შემთხვევაში (როცა იგი წინამავალ ხმოვანთან
არ ერთიანდება მარცვალში) სიტყვისა თუ ფორმის შ ი გ ნ ი თ (მაგ.,
დ'უტერთოდტ, ტაპ. დ'უტერთიტ „მას (ად) შენ (მ) გაძლევენ“ და მისთ.). ზოგ-
ჯერ **უგ** ამა თუ იმ დიალექტურ მეტყველებაში ასიმილაციის საფუძველზე
გამოითქმის როგორც **უუ** (მაგ., უუზ'გ'გ'გ – ტ. ტ. 8,19 – „ახლაც“ ← უუზ'გ'გ'გ
← უაზ'გ'გ'გ, აუუდ – ტ. ტ. 104,31 – „ის“ ← აუუდ ← აუად...).

ა უ ს ლ ა უ ტ შ ი **იგ** დიფთონგისაგან განსხვავებით, თუმცა ი შ ვ ი -
ა თ ა დ (უფრო აფხაზურში) შეიძლება შეგვხვდეს მ ხ ო ლ ო დ მ ა ხ ვ ი -
ლ ი ა ნ ი **უგ**: აფხ. ა-დაუტ „დევი“ (აბაზურში სათანადო შინაარსით გამოი-
ყენება ანგჷ), ასევე იგი გვხვდება ზმნურ ფორმებში: კვრუტ! „იმუშავე!“ (= „რამე გააკეთე“), ბუტს უტ! – „შენი (ქ) საქმე გააკეთე!“..., აბაზ. ლ(გ)უტ „დო-
ლაბი“¹.

დამავალი **გუ** დიფთონგი თ ა ვ კ ი დ უ რ ა დ ა რ ა ს ო დ ე ს ა რ
გ ვ ხ ვ დ ე ბ ა. ჩვეულებრივია სიტყვისა თუ ფორმის შ ი გ ნ ი თ და ბ ო -
ლ ო პოზიციაში. **გუ** დიფთონგის ასიმილაცია-შერწყმის ნიადაგზე უ ის-
მის გრძლად² (გრძლად ისმის როგორც **გუ**, ისე **უგ** თანხმოვანთ შორის
მოქცეული). გრძლად წარმოითქმის ხშირად ა-დუ || ა-დგუ „დიდი“, ა-პა-
ტუ || ა-პატუ „პატივი“, ტაპ. სათუ || სათუტ „ვაჭრობა“ (შდრ. სათუ – ტ. ტ.
40,22...); გრძლად ისმის იგი ზმნის II პ. ფორმებში: ითუტუხუტუ ||
ეთუხუტუ (ტაპ. ეთუტუხიტ || ეთუხიტ) „შენ ის (ნ) ამოგაქვს“, ძალუტუცუტუ
|| ძალუტუცუტუ: „შენ (მ) ის (ნ) მისგან (ნ) გამორეკე“...

სათანადო პოზიციაში ხშირად გვაქვს გრძელი უ აწმყოსეულ ინფი-
ნიტურ წარმოებაში; მაგ., ყარუტ ზლუ – ტ. ტ. 30,23 – „რასაც ძალა აქვს“,
უარი ეგუტ'გ'დუ ამურად – ტ. ტ. 136,22 – „შენ (მ) რა განზრახვაც, მიზანიც,
გაქვს“ (= „რასაც იმედოვნებ“)...

აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავში გრძლად ისმის უ ზმნა-
თა აწმყოს ფინიტურ წარმოებაში, რომელშიაც ფინიტობის სუფიქსად ტ
ივარაუდება (შდრ. ზემოთ, ო, ე): უარს უტრცჰაუ – აშხ. ტ. 70,34 – „შენ (მ) სა-
ბრალო ხარ“ და სხვ.

¹ ასეა მაგ., იგი გადმოცემული რუსულ-აბაზურ ლექსიკონში (1956 წ.) – лубы,
შდრ. აბაზ.-რუსულ ლექსიკონში: лу (лу).

² А. Н. Г е н к о, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

გრამატიკულად ორი **ჟ**-ს (ასევე სამის) ურთიერთ შეხვედრისას ჩვეულებრივ ერთი მათგანი გაუჩინარდება (მაგ., არი იჟეძტ ← არი იჟჟეძტ) ბ. ჯ. ლექს. 270 – „ეს იზამს“, ფა დჟრჟეძტ ← ფა დჟრჟჟეძტ – ib. 269 – „ვაჟიშვილი შეგეძინება შენ (მ)“, მაჟაშტ ← მაჟაშაშტ – აბაზ.-რუს. ლ. – „შეიძლება“ და მისთ.). ასევე შეიძლება გამოთქმაში გაუჩინარდეს აფიქსი-სეული **ჟ** წინამავალ **ჟ**-სთან, ან ლაბიალიზებულ თანხმოვანთან მოხვედრისას¹, თუმცა, ამავე დროს ასეთი **ჟ** ხშირად გრძელდება (მაგ., დგწგჟ დალაგე ← დგწგჟაჟა... აშხ. ტ. 69³⁷ – „მან (ად) ტირილი დაიწყო“, სა აღუნედ სგჟგზოზენ, სგზგჟჟ, ჟარა ჟაკჟ – ტ. ტ. 34,¹¹ – „მე თუ ქვეყანაზე [ზედ]-ვარ, ვისთვისაც [ზედ]-ვარ, ვცხოვრობ, შენ (მ) ხარ“...).

სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს გადმოღებული **ჟ**-ც სხვა ენათაგან შესულ სიტყვებში. ადრე შესულ სიტყვებში იგი გათანაბრებული ჩანს ამ ენათათვის დამახასიათებელ **ჟგ** დიფთონგთან, და იმისდა მიხედვით თუ რამდენად შესაგუებელ კომპლექსს ქმნიდა **ჟ** (**ჟ**) წინამავალ თანხმოვანთან, შედეგებიც ჩანს მისი შესაბამისი. მაგ., აფხაზურში **ჟ** ნასესხები მასალისა გადმოღებულია **ჟ** (**ჟგ**)-თი უმთავრესად თავკიდურ პოზიციაში: მეგრ. უღუ – ა-ჟღ (= ჟღღ) „უღელი“ (შდრ. ტაპ. ფსგნჩ); ურო – ა-ჟრა (= ჟგრა), უწყება – ა-ჟწყაბა...

თითო-ოროლა შემთხვევაში სხვა ენათა თავკიდური **ჟ** ჟა კომპლექსითაც გადმოდის, მაგ., უთო (მეგრ. უნთო) – ა-ჟანთა (შდრ. ტაპ. აფთუ ყაბარდოულიდან), ქართ. დიალ., უსტა, მეგრ. უსთა – (თურ. usta), ა-ჟასთა „ხურო“...

ზოგჯერ, განსაკუთრებით მახვილიანი **ჟ**, არათავკიდურ პოზიციაშიაც შეიძლება დარჩეს **ჟ**-დვე: შუმა – ა-შჟმა, კოწახური – ა-კაწახჟრ...

ნასესხებ მასალაში სხვა ენის **ჟ**-ს გადმოცემისას ლაბიალური **ჟ** კომპონენტი **ჟგ** დიფთონგისა გაუჩინარებულია და შემორჩენილია მარტოდენ **გ** ხმოვანი ლაბიალური **ბ ფ ჰ**, სონანტური **მ ნ** თანხმოვნების, **ს** სპირანტისა და მისთ. მომდევნოდ, მაგ., ბჟუკი – ა-ბგჟ || ა-ბგჟ (ნ. მ. ლექს. 24), ხაჟაჟური – ა-ხაჟაჟურ, რუს. капуста – ა-კაპგსტა (სასაუბ.), ტაპ. კამბესთა..., იანვარი – მანარ (აფხაზური ხალხური გამოთქმით. შდრ., ასევე, მეგრ. იანარი)... უმახვილო პოზიციაში ხშირად ეს **გ**-ც აღარ ისმის, მაგ., გაბჟნია (გვარი) – გაბნრა და სხვ.

აფხაზურში ასევე იმ თანხმოვნების შემდეგ, რომლებსაც ლაბიალიზაციის ნიადაგზე ახალ ფონემათა რიგი ახასიათებს, როგორცაა: კბილბაგისმიერი (წინაენისმიერი) **დ თ ტ**, უკანაენისმიერები და მისთ. ზოგჯერ გაუჩინარებულია **ჟ** ელემენტი **ჟგ** დიფთონგისა: წურბელი – ა-წგრბელ, თურ. tütün, ქართ. თუთუნი – ა-თათგნ || ა-თგთგნ, ბათუმი – ბათგმ (აჟაბჟ

¹ А. Н. Генко, დასახ. ნაშრ., გვ. 35; ქ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. აშხ. დ., გვ. 115, შენ. 2, 3.

კაჭ. 179) – „ბათუმი“, ზოგჯერ მაინც ვერ გატარებულა უ-ს გადმოცემის ეს წესი და ჭ ლაბიალურ მომენტად შერწყმია წინამავალ თანხმოვანს. ამ ნიადაგზეა აფხაზურში მიღებული: ა-ჟ¹გნთხ¹ „ზუთხის“ მეგრული „ზუნთხი“ გამოთქმის საფუძველზე, ა-დ¹ქან „დუქანი“, შდრ. ქართ. „დუქანი“, თურქ. dükkân (ტაპანთურ დიალექტში ეს სიტყვა ადიღურ ენათაგან ჩანს შესული და „თქან“-ის სახეს ატარებს. აქაც, თავის მხრივ, ლაბიალიზაციის ხასიათი უშლის ხელს ჭ-ს გამოითქვას თ (←დ)-სთან და იგი გადაისმის ქ-ს შემდეგ, რომლის ლაბიალიზაცია აფხაზურ-ადიღურ ენებში ბუნებრივია), მეგრ. უღუ – ა-ჟ¹გ¹ღ¹ „უღელი“ და სხვ.

ბოლო ხანებში წიგნის ენის გზით შესულ სიტყვებში უ სხვა ენისა უთივია გადმოცემული ყველა პოზიციაში: ა-მინუთ, ა-კლუბ, ა-ჟურნალ, ა-ურრკ და მისთ.

¹ იხ. აქვე, ლაბიალიზაცია.

IV.

ფონეტიკური პროცესები ხმოვნებსა და დიფთონგებში

1. ფონეტიკურ პროცესთა ხასიათი ხმოვნებსა და დიფთონგებში თანამედროვე აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში. ფონეტიკურ პროცესებს ასეთი თუ ისეთი სახით ხმოვნებსა და დიფთონგებში ჩვენ უკვე გავეცანით ხმოვანთა აღწერისას, ვინაიდან აღნიშნულ პროცესთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იყო თვით ხმოვანთა დახასიათება და მათი წარმომავლობის ახსნა. ამიტომაც ქვემოთ ჩვენ შემოვიფარგლებით ზოგადად ფონეტიკურ პროცესებზე მითითებით და დიალექტებში ამ მხრივ ძირითად თავისებურებათა განსაზღვრით. საგანგებოდ შევჩერდებით ისეთ ცვლილებებზე, რომლებიც ისტორიულად უნდა მომხდარიყო დიფთონგებში და, კერძოდ, ა ხ მ ო ვ ნ ი ს გ ა რ ე მ ო ც ვ ა შ ი.

აღნიშნულ ენებში ერთ-ერთი გავრცელებული ფონეტიკური პროცესია ა ხმოვნის გ-დ დავიწროება სიტყვის შიგნით თუ ბოლოს. იგი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მახვილიან გარემოში, რამდენადაც მახვილიანობის პირობებში გ ხმოვნის შენარჩუნება მაინც ხდება, მაშინ როცა უმახვილო პოზიციაში ა → გ პროცესი ადვილად გვაძლევს ნულოვან შედეგს (იხ. აქვე, გ ხმოვანი, მახვილი).

აფხაზურსა და აბაზურშიაც საერთოდ დამახასიათებელია, – თუმცა მეტნაკლები გავრცელებით დიალექტებში, – ხმოვნების (არსებითად ა-სი და ასევე გ-სი) როგორც რეგრესული, აგრეთვე პროგრესული კონტაქტური ასიმილაცია ნაწილობრივიცა და სრულიც ძირითადად მ, უ ნახევარხმოვნებთან მეზობლობაში. შესაბამისად, ასიმილაცია-შერწყმის ნიადაგზე ჩვეულებრივ ვიღებთ დიფთონგებს (ეა, ეე, ოუ, უო...) და ი, უ „მონოფთონგებს“, თუმცა ისინიც არსებითად დიფთონგური ბუნებისანი არიან.

აბაზურ დიალექტებში, უფრო კი – ტაპანთურში, ამავე დროს ხშირია შემთხვევა შესაბამის პოზიციაში პარალელურად უასიმილაციო სახეობების შემონახვისა, როგორცაა: ალაჰჰჰდ „მან (მ) მას (ქ) ის (ნ) უთხრა“, უნაჰ! „მოდის შენ (მ)“ და მისთ.¹

ამასთან დაკავშირებით სადავოდ გვეჩვენება ერთ სიბრტყეზე დასმა ე. წ. „მონოფთონგური“ შერწყმის თვალსაზრისით აბაზურის (resp. ტაპანთურის) ათ ო ბ ა ხ დ-ისა („მან (მ) ნახა ის (ნ) კვლავ“) და

¹ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ტაპ. დ., § 16; მისივე, აშხ. დ., § 12, გვ. 30-35.

დ ზ ბ ო დ-ისა („მე ვხედავ მას (ბ)“)¹, რამდენადაც ტაპანთურშივე ჩვეულებრივია იმავე „და თ ბ ა ხ დ-ის გვერდით უასიმილაციო და თ ა მ ბ ა ხ დ (შდრ. მაგ., იხფახტუ და ბ ა ი რ ქ ა ც ა ხ ტ – ტ. ტ. 4420 – „მესამედ კვლავ-გააქანავა მან (ბ) ის (ბ)“...) და ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად მიღებული დიფთონგური შერწყმის სახეობა – და თ ე მ ბ ა ხ დ. ისინი (დათამბახდ || დათემბახდ || დათბახდ) თანაარსებობენ ენაში და, მაშასადამე, ძნელია დაპირისპირება დქაფდ (|| ← დქაფდ) „მან (ბ) ის (ბ) აუშვა“, მთაფდ (|| ← მთაფდ) „დაუშვა“ შერწყმის ტიპთან², მაშინ, როცა დ ზ ბ ო დ („მე ვხედავ მას“) ფორმამ გახმოვანების მიხედვით ტაპანთურში ს ხ ვ ა ვ ა რ ი ა ნ ტ ი ა რ ი ც ი ს; იგი ერთადერთია. შეიძლება მეტიც ითქვას: დზბოდ-ის ამოსავლად უთუოდ „იზბად“ სახეობის დაშვებაც³ არა ჩანს უდავოდ და გამართლებული. „იზბოდ“-ის ამოსავალი უნდა იყოს არა „მზბად“, არამედ „მზბოდ“, მომდინარე „იზბოტოდ“, „*მზბოტოდ“-ისაგან, რაც ...ა-ტა, ...ტა კომპლექსთა გ-ტგ, -ტგ → გ-დ გამარტივების მომასწავებელია და რასაც მხარს უჭერს დინამიკურ ზმნათა აწმყოს წარმოების ფაქტებიც ბზიფურსა და აზზარულ დიალექტებში⁴.

ა. გენკოსაც დაახლოებით ასე წარმოუდგენია ტაპანთურში დინამიკური ზმნის აწმყოს ფორმის ჩამოყალიბება⁵.

ასევე და თ ტ ბ ა ხ დ („შენ (ბ) ის (ბ) კვლავ ნახე“), რომელსაც პარალელურად უასიმილაციო და თ ა ტ ბ ა ხ დ სახეობაც აქვს, არ შეიძლება გავუთანაბროთ „იზბუნ“-ს⁶, რამდენადაც აქ ამოსავალია არა „იზბატუნ“, როგორც ამას ალენი ვარაუდობს, არამედ – იზბატუნ⁷ (რაც ჩვეულებრივი პარალელური სახეობაცაა) და მისგან მომდინარე მზბატუნ || მზბატუნ → მზბუნ⁸.

¹ შდრ. W. Allen, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

² შდრ. იქვე.

³ შდრ. W. Allen, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

⁴ ქ. ლომთათიძე, ტაპ. დ., გვ. 145, 146; მისივე აშხ. დ., გვ. 125.

დ ზ ბ ო დ სახეობისათვის რომ ამოსავლად „მზბად“ დაგვეშვა კიდეც (თუმცა ისიც მზბოდ სახეობის გავლით), რაც ფონეტიკურ პროცესთა თვალსაზრისით შეუძლებელი სრულიადაც არ არის, ა-ს ძირისეული ბა-ს კუთვნილებად ვერ მივიჩნევთ; იგი (ტა) სუფიქსისეული ა-სგან მომდინარედ უნდა ჩაგვეთვალა (შდრ. წარმოების ტიპით: [დ]გ³პაზდგ³რ-ა-მ – ტ. ტ. 72,28 – „არ ვიცით“).

⁵ A. H. Генко, Абз. яз., გვ. 161-162.

⁶ შდრ. W. Allen, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

⁷ ქ. ლომთათიძე, ტაპ. დ., გვ. 146-148.

⁸ ამდენადვე ალენის ხსენებულ ნაშრომში ძირითადი ალომორფის გამოყოფის მიზნით მოყვანილი სახეობები: აწმყოსათვის – დცად „მიდის“, მზ³თახად „ცოდება“, მლგად „მიაქვს“ (გვ. 137), მფხახად „თბება“ (გვ. 138), მსგ³ფხად „მომწონს“ (გვ. 148)... ან ნამყო-უსრულისა, აწმყოსა და მყოფადისათვის – დცატუნ „მიდიოდა“ (გვ. 152), დცატუნდ „წავა“ (გვ. 151), დგ³ცატუნდ „არ მიდის“ (გვ. 136),

ერთი და იგივე დიფთონგური კომპლექსების სხვადასხვაგვარი ცვლილებები (ნაწილობრივი ასიმილაცია-შერწყმა, ნაწილობრივი რედუქცია-შერწყმა ან სრული ასიმილაცია-შერწყმა) ყოველთვის ერთნაირად არაა გატარებული არც ყველა დიალექტში და არც სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიაში (ერთსა და იმავე დიალექტშიაც კი). ამაში გარკვეულ როლს უნდა თამაშობდეს როგორც ამა თუ იმ დიალექტური ფენის თავისებურება, ისე პროცესთა მიმდინარეობის სხვადასხვა პერიოდი და აგრეთვე ფონეტიკური გარემოცვა.

ასე, მაგ., -**ა** კავშირ-ნაწილაკის დართვისას აფხაზურს დიალექტებსა და აშხარულში **ა-ზე** დაბოლოებულ ფუძეებში ადგილი აქვს ნაწილობრივ ასიმილაციას (ლარე-**ა** სარე-**ა** – „ის (ქ) და მე“), აშხარულში ხშირად – **ე-ს** მომდევნოდ **ა-ს** სრული ჩამოშორებითაც (მაგ., ჯაწაკემ ხოჯე – აშხ. ტ. 52,³⁶ – „ერთი კაცი და მოლა“ და მისთ.), მაშინ, როცა ტაპანთურში ამ ნიადაგზე წარმოქმნილ ...**ა-მ** დიფთონგში **ა გ-დ** ვიწროვდება და შეიწყმის ლარემ სარემ (ლარე სარე)...

დიფთონგურ (ან ზოგჯერ – ტრიფთონგურ) კომპლექსთა რედუქცია-შერწყმა ფართოდ ჩანს ჩატარებული ტაპანთურში (და აშხარულშიაც), რასაც გამოუწვევია მნიშვნელოვანი ცვლილებები დროთა წარმოებებში აღნიშნულ დიალექტებში (იხ. ზემოთ, გვ. 66-67).

თუ, ერთი მხრივ, ტაპანთურში კავშირის გამოხატვისას ...**ა-მ** დიფთონგს მოუცია **გ** (**ღ**), მეორე მხრივ, იმავე ტაპანთურში ... **ა-მ** დიფთონგის ცვლილებები (მეტწილად დახურულ მარცვალში) განსაზღვრულია **ა-ს** რედუქციით (მანამ, სანამ ასიმილაცია მოხდებოდა). მაგ., აორისტის ფორმაში ამოსავალი ***დცა-მტ**¹-ისაგან მიგვიღია („დცატ) და ამ ნიადაგზე ერ-

დგმცატუზდ „არ მიდიოდა“, დგმცატუმა? „არ მიდის?“ (გვ. 137)... და მისთ. არ ჩანს ბუნებრივი. კერძოდ, ნამყო უსრულსა, აწმყოსა და მყოფადის ფორმაში ...**აჟა** (-ჟა) ხმოვან-სუფიქსიანი სახეობები დღეს ცოცხლად არის ენაში დაცული.

ჩვენ მიერ ჩაწერილ ტაპანთურ ტექსტებში თითქოს გვხვდება ალენის მიერ ნავარაუდევო სახეობებიც, მაგ., საზგფუშაჟად – ტ. ტ. 105,¹⁰ – „მას (ნ) ვეძებ“. ჭგმ³გ აჯაჰაჟ – ტ. ტ. 10,²⁹ – „სუნი ასდის“, ჟოწი ისჰაჟუშ – იბ. 40,³³ – „ხვალ საქსოვს გავდგამ“, შაბჟჟთა ბემწერგა^ა ეგლაჰაჟუშემ – იბ 68,³⁶ – „ძლიერ თუ არ იყვირე შენ (ქ), ის (ქ) ვერ გაიგონებს“, მაგრამ ეს არ გამოდგება ზემოხსენებული ამოსავალი სახეობის დასადგენად, რამდენადაც აქ **ჰ** და **ჭ** ლარინგალურ სპირანტთა ბუნებით არის განსაზღვრული ა ხმოვნის დაცვა; იგი სუფიქსს სულაც აღარ ერწყმის (იხ. აქვე, გვ. 71).

ძალზე იშვითად „**აზბაჟუნ**“ სახეობაც შეიძლება გამოერიოს მეტყველებებში, მაგრამ მას ტიპობრივად და, მით უმეტეს, ამოსავლად ვერ ჩავთვლით.

¹ მისი, როგორც ერთ-ერთი ვარიანტის, რეალური არსებობა აბაზურ დიალექტებშივე დასტურდება, მაგ., იშთარწამტ – აშხ. ტ. 63,¹⁴ – „ძირს დადეს, დაალაგეს“, იჯნაშჟლაჟ – იბ. 27,²⁹ – „ის (ნ) შიგ შევიდა“... ზოგი ტაპანთელი მთქმელის (უფრო ს. ელბურგანელთა) ენაში შეგვხვდებოდა ასეთი ამოსავალი ფორმები: დცამტ

თგვარი მოჩვენებითი დაპირისპირება აწმყოსა და აორისტს შორის თითქოს **მ**-ს ქონა-არქონით განისაზღვრება (შდრ. დცემატ || დცრტ „მიდის“, დცატ „წავიდა“).

აფხაზურის დიალექტებსა და აშხარულშიაც, მართალია, უფრო ნაწილობრივი ასიმილაციაა დიფთონგებში გავრცელებული, მაგრამ ჩვენებით სახელთა ფუძეებში **ამ** დიფთონგს ისეთივე შედეგი მოუცია ყველა დიალექტში უგამონაკლისოდ, როგორც ზემოთ კავშირის გამოხატვისას დავადასტურეთ ტაპანთურში, კერძოდ: არგმ (არმ) ← *არა-მ „ეს“, ანგმ (ანმ) ← *ანა-მ „აგერ ის“ და მისთ.

აფხაზურის დიალექტების მსგავსად ტაპანთურშიაც პრევერბისეული **ა** ხმოვნის პირ-კლასის **ი-**, **ჟ-** პრეფიქსებთან შეხვედრისას ჩვეულებრივია ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები (შდრ. მაგ., ტაპ. დკოჟწზოზთენ – ტ. ტ. 34,16 – „თუ შენ (მ) დაიჯერებ“, ძმაშთედწად ib 63,38 – „ძირს დადო მან (მ) ის“, აზშგ... ჩგჟან დგჟკ მთედგან – ib. 10,9 – „რმც... მან (მ) დიდ ქვაბში ჩასხა რა...“), ხოლო აშხარულში, პირიქით, ამ შემთხვევაში მიგვიღია ნარედუქციალ-შერწყმული სახეობები: დთგმტან || დთრტან (← დთამტან) – „მან (მ) ის (ად) შიგ ჩასვა რა...“, აზნა დგლგმგალან (← დგლამგალან) – „მან (მ) ის (ად) ტყეში შეიყვანა რა...“, დკუმწოზარი || დკუმწოზარი (← დკაჟმწოზარი) – „თუ არ გჯერა, არ დაიჯერებ, შენ (მ)“ ..., იყჟწწშა || იყწწშა (← იყაჟწწშა)... – „შენ (მ) რაც უნდა გააკეთო“... და მისთ.¹

ასეთივე შედეგი გვაქვს აფხაზურის დიალექტებში საურთიერთო-საორმხრივო **ა მ ბ ა-** პრეფიქსში, როცა იგი რთულფუძიან ზმნაში თანხმოდან-წინდებულის მომდევნოდ აღმოჩნდება (მაგ., ა-გ'გდრბა-კლარა ← *ა-გ'გდ-ამბაკვლარა „ურთიერთ-გადახვევა“ და სხვ.).

მთელი რიგი ამ ხასიათის ცვლილებები (როგორც ასიმილაციის, ისე რედუქციის მხრივ) შეინიშნება სასაუბრო ენაში სხვადასხვა სიტყვის კიდურ ხმოვანთა მეზობლობისასაც (განსაკუთრებით ფართოდაა ეს გავრცელებული აბაზურ დიალექტებში).

...ა	ა... → ... [ა]	ა...	(წაფხ' ამათა ² ← წაფხა ამათა... „მას (ნ) კლიტე ედო (ჰქონდა) რა...“).
...ა	ჟ... → ... [ა]	ჟ...	(ანგლ' უგრთა ³ ← ანგლა უგრთა... „აქედან შენ (მ) წყალზე გასვლით...“).

აქტ რფენგ – ტ. ტ. 41,9 – „წავიდა სოფელში (სოფლელებთან)“, დგზბამტ – ib. 42,3 – „ის (ად) ვნახე“, ირჟამტ აჟათ... აჟგ – ib. 43,15 – „შეჟამეს ამათ... ხორცი“ და სხვ.

¹ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. აშხ. დ., გვ. 35-36.

² მისივე, ტაპ. დ., გვ. 52; აშხ. დ., გვ. 37.

³ ტაპ. დ., გვ. 52.

...ა	დ... → ... [ა]	დ...	(აზ ¹ დჰ ¹ უშ ¹ ← აზ ^ა დჰ ^ა უშ ^ა „ის (მ) სიტყვას იტყვის...“).
...ა	ტ... → ... გ	ტ...	(შარდღ ტუზატსგშთგტ ² ← შარდა ტუზატსგშთგტ „ბევრი დაგითმე შენ (მ)“...).
...ა	ტ... → ... ო	ტ...	აბზგდარო ტბაადტ! ³ ← აბზგდარა ტბაადტ! „სიკეთე ნახე შენ (მ)“...).
...ა	ტ... → ... უ	ტ...	ტარუ ტგწ ⁴ ← ტარს ტგწ ^ა „შენი (მ) ვაშლი“...).
...ა	დ... → ... ე	დ...	(აბნე დგლო ⁵ ← აბნა დგლო „რაც ტყეშია“...).
...ა	დ... → ... ი	დ...	(ნგყ ^ა არ დცან ⁶ ← ნგყ ^ა არს დცან „სამგზავროდ წავიდნენ რა“...).
...გ	ა... → ... [გ]	ა...	აბჟ ⁷ ანრას... ← აბჟ ^ა ანრას... „როცა მათ ხმა გაიგონეს“...).
...გ	დ... → ... [გ]	დ...	(აძ ⁸ მაგუმცა ⁸ ← აძ ^ა მაგუმცა „ის (ნ) წყალს მიაქვს რა“...).
...გ	ა... → ... ა	ა...	(დნაპ ⁹ არსა დჩფატ ← დნაპ ^ა არსა დჩფატ. – ტ. ტ. 45,19 – „თავისი ხელი (მ) ასე ქნა“...) ⁹ .
...გ	ტ... → ... უ	ტ...	(ანრ აჭუ ტგ ^ე შუშამ ¹⁰ ← ანრ აჭე ტგ ^ე შუშამ „შენ ეს მეხი არ მოგკლავს“...).
...გ	დ... → ... ი	დ...	(რგვნ ¹¹ დცახტ ¹¹ ← რგვნ ^ა დცახტ „ისინი შინ წავიდნენ“...).
...ი(გდ)	ა... → ... [ი]	ა...	(არ ¹² აწლა ¹² ← არ ^ა არგდ აწლა „ეს ხე“... და მისთ).

ფონეტიკური პროცესები ხშირად შეზღუდულია ხოლმე გარკვეული გარემოთი. მაგალითად, აფხაზურის დიალექტებსა (და აშხარულშიაც) ფონემური ღირებულების აა (ა) არ ექვემდებარება არც რედუქციისა და არც ასიმილაციის პროცესს **დ**, **ტ**-სთან მეზობლობაში (შდრ. დვგსთაა-ტპ

¹ აშხ. დ., გვ. 37; ტაპ. დ., გვ. 53.

² აშხ. დ., გვ. 36.

³ იქვე, გვ. 33.

⁴ აშხ. დ., გვ. 34; ტაპ. დ., გვ. 51-52.

⁵ ტაპ. დ., გვ. 50; აშხ. დ., გვ. 32.

⁶ ტაპ. დ., გვ. 50-51; აშხ. დ., გვ. 33.

⁷ ტაპ. დ., გვ. 53; აშხ. დ., გვ. 36.

⁸ ტაპ. დ., გვ. 53;

⁹ ტაპ. დ., გვ. 51; აშხ. დ., გვ. 34.

¹⁰ აშხ. დ., გვ. 34.

¹¹ ტაპ. დ., გვ. 50-51; აშხ. დ., გვ. 34-35.

¹² ტაპ. დ., გვ. 52.

„ის (ად) ეშმაკია“, დგლბაჟდედტ „შენ (მ) ის გადაყლაპე“, უაამ! „მოდო“, და-
აგო რუპ „ის (ნ) ახლოსა“ და მისთ.¹

ასევე გამორიცხულია რაიმე ფონეტიკური პროცესი აღნიშნულ დიფთონგებში ა ხმოვნისა ჰ ლარინგალური სპირანტის გარემოცვაში (შდრ. ძჰაძჰდედტ „მან (მ) ჩვენ ის გვითხრა“, დკჰაჟდედტ „ის (ად) ძირს ვარ-
დება“, დცჰაძტ „მან (ად) მას (ნ) უკბინა“, ლგჰჰაძ ლარედ „ის (ქ) და მისი ქალიშვილი“...) აზჟურ დიალექტში და, ძირითადად, ბზიფურშიაც, თუმცა ბზიფურში ჰ-ს მეზობლობაში ზოგჯერ შეიძლება ა ხმოვნის რედუქციას ექნეს ადგილი (მაგ., იკჰასჰდედტ ← იკჰასჰაჟდედტ „მას (ნ) ვკიდებ“ და მისთ.).²

აბაზურ დიალექტებშიაც უჩვეულო არ არის ლარინგალური ჰ ჰ სპირანტების გარემოცვაში ა ხმოვნის რედუქცია, აშხარულში – ასიმილაციაც: ჰარაჰ ჰედჰაზმა? – აშხ. ტ. 56,⁹⁶ – „ჩვენ უარესი ვიყავით?“, ჰგჰჰ-ცჰჰაკ ჰგჰჰჰჰდედტ – ib. 18,⁵⁻⁶ – „ცუდი სუნი ამოგივიდა (პირიდან)“, დგჰმცჰჰუჰ (შდრ. ცჰჰარა!) – ib. 54,²⁷ – „ის (ად) რომ ილანძღობოდა“... ზაკგჰ გჰლგრდგრჰჰ – ტ. ტ. 13,¹⁷ – „არაფერი იციან მისი“, ათფჰჰ დგჰთგფჰჰ – ib. 15,²⁷ – „ქალიშვილი ვისი ასულიცაა...“, ...ცჰკნგჰჰჰუჰ... – ib. 20,¹³ – „...ის (მ) სადაც (და)კიდებდა...“, შჰზჰჰჰთა უმწგრჰჰა იგჰლაჰჰ – ib. 68,³² – „შენ (მ) ძლიერ თუ არ იყვირე, მას (ქ) არ ესმის, ვერ გაიგონებს“, ლარგჰ ილა-
ჰარგჰჰენ, დალფსჰჰჰ – ib. 105,¹⁹ – „მან (ქ) რომ გაიგონოს, გადაჰყვება“ და სხვ. თუმცა ამ დიალექტებშიაც სათანადო (მაპალატალეებელ და მალაბია-
ლებელ) ნახევარხმოვნებთან შეხვედრისას (ტაჰანთურში – განსაკუთრე-
ბით ძ-სთან) ჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჰ-სა და ჰ-ს გარე-
მოცვაში ა ხმოვნის უასიმილაციოდ და ურედუქციოდ შემორჩენაც, მაგ.:
დრგჰჰჰჰჰ – აშხ. ტ. 58,¹⁵ – „ის (ად) საბრალოა“, დან დლაჰაჰენ – ib. 52,³¹ –
„მისი დედა ისმენდა (...ესმოდა მას)“, ისხჰჰაძტ – ib. 67,²⁴ – „ვიყიდე“...³,
დგჰთგფჰჰჰ... – ტ. ტ. 15,²⁵ – „ვისი ქალიშვილიცაა“, სრგჰჰაძჰაჰა... – ib.
7,³³ – „შემიბრალებენ რა...“, იფჰაძჰ – ib. 7,²⁷ – „მისი უმცროსი ქალიშვი-
ლი“, აჰ ზაკ ჰაჰაძჰჰაჰა? – ჰა – ib. 16,³⁰ – „ბატონი რამეს გვეტყვისო?“,
ჰადსებ – ib. 97,¹⁷ – „შევეჭიდოთ ერთმანეთს“, აქეთ იგჰაშჰაჰჰ – ib. 95,³² –
„ის (ნ) სოფელს ამოწყვეტს“, უსეჰაიბტ – ib. 23,¹ – „შენ (მ) მე მაჯობე“,
დჰაძგად – ib. 57,²⁷ – „მან (მ) ის (ად) მოიყვანა“, ათაჰჰაჰა მადჰაჰა – ib. 80,³ –
„(მოხუცი) ქალები შეიკრიბნენ“, აგჰგჰჰაძჰაჰზენ... – ib. 66,⁵ – „ჯგუფი
მოგროვდა...“, დჰაჰჰმთებტ – ib. 68,²² – „მან ისინი გაუშვა“ და მრ. სხვ.

და ეს აიხსნება იმით, რომ ლარინგალურ სპირანტებს ახასიათებს
დ ი ა (ხ მ ო ვ ნ უ რ ი) ვოკალიზაცია (იხ. ზემოთ აა). ისინი ჩვეულებრივ

¹ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ძირ. დრ. წარმ., გვ. 193, 195, 209-211; 222, 230-237.

² ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, იქვე.

³ აშხ. დ., გვ. 112, 138, 130 (შენ.), 156.

ვიწრო ხმოვანს ვერ ჰგუობენ: მაგ., როცა ზმნის ფორმაში პირის ნიშნებს დაჰყვება **გ** ხმოვანი, I პ. მრ. რ. **ჰ** ნიშნით გამოხატულ ფორმაში **ა** ხმოვანი გვექნება ხოლმე (ან მომდევნოდ, ან წინ). შდრ. მსგომუპ („მე მაქვს ის“), მაგრამ **მჰ**მოუპ („ჩვენ გვაქვს ის“); ატტროთოტ („ისინი შენ გაძლევენ მას“), მაგრამ – **მტტ**ოთოტ („ჩვენ შენ გაძლევთ მას“) და მისთ. ძირითადად ეს წესი ასეა გატარებული ყველა დიალექტში.

თავკიდურ პოზიციაში **ა** ხმოვანი ჩვეულებრივ არ ექვემდებარება ასიმილაციის პროცესს არც ერთ აფხაზურ-აბაზურ დიალექტში¹. აფხაზურში ამას ისიც უწყობს ხელს, რომ **ა**-თი დაწყებულ სახელთა ფუძეებს თავკიდურად ახლავს ხოლმე ზოგადი, სალექსიკონო ფორმის პრეფიქსი **ა**-. ასეთი **ა**-ს შეერთებით მიღებული ერთი **ა** კიდევ უფრო მტკიცეა და ცვლილებებს გაურბის. ამიტომ გვაქვს უასიმილაციო ამაზბგ „უფროსი“, აფზბგ „უმცროსი“, ადდარა „ტვირთი“, აფააწა „შავი“, ატრა „წითლად ხვდომა“ და სხვ. მაგრამ როგორც კი ეგვე ფუძეები წინ რაიმე ელემენტს დაირთავს, ან მოგვევლინება მსაზღვრელად (რომელსაც მომდევნო ადგილი უჭირავს), ან აფხაზურში წარმოგვიდგება ზოგადი ფორმის **ა**-პრეფიქსის უქონლად, მაშინვე ამოქმედდება ფონეტიკური პროცესები და წარმოიქმნება ასიმილირებული სახეობები: **ემაზბგ** („ვინმე უფროსი“), **ეადარა** („რაც ტვირთი“), **ლაშ ემაზბგ** „მისი (ქ) უფროსი ძმა“, **ლაშ ეფზბგ** („მისი უმცროსი ძმა“), **რედარა** („მათი ტვირთი“), აწკგ **ეფააწა** („შავი კაბა“), **დლოტტ** („მას (ქ) ის (ად) შეეძინა“)... ასევე შდრ. **ატრა** („სიმაღლე“), მაგრამ: **ატრა ზოტროტ** („მთელი სიგრძე-სიგანით“, ზედმიწ.: „სიგრძე რომლის სიგრძეცა“) და მისთ.

აბაზურში ძირითადად თავკიდურ პოზიციაში (**ა**- განსაზღვრულობის პრეფიქსის უქონლობის პირობებშიაც) უასიმილაციო სახეობებია ხსენებულ შემთხვევებში ბუნებრივი, ასიმილირებული კი – არათავკიდურ პოზიციაში³, თუმცა იმავე აბაზურში (კერძოდ, ტაპანთურში) საერთოდ უასიმილაციო სახეობათა მეტი გავრცელების გამო არათავკიდურ პოზიციაშიც ხშირია **ა** ხმოვნის უასიმილაციო სახეობები (მაშინ, როცა აფხაზურში, თუ რაიმე გამონაკლისი არა – მაგა-

¹ ამ მხრივ საყურადღებოა აფხაზურში გაორკეცებული ფუძის შემცველი დადასტურებითი შინაარსის შორისდებულიც კი – **ააა** || → **ააე**.

² იშვიათ შემთხვევაში აფხაზურში შეიძლება უასიმილაციო სახეობა დარჩეს აღნიშნულ პირობებშიაც. მაგ., იგივე **ატ** ფუძე „სიგრძის“, „სიმაღლის“ შინაარსისა მსაზღვრელად გამოყენებული არ იძლევა **ოტ**-ს, მაგ., არფგს **ატ** („მაღალი ყმაწვილი“), დარა დატ(უ)პ „ის (ად) მაღალია“... (შდრ. ზემოთ – ზოტროტ!). აქ ერთგვარ შემაკავებელ როლს (ასიმილაციის მხრივ) შეიძლება თამაშობდეს ამ ფუძის ერთმარცვლოვნობა (შდრ. ტაპ.-შიც: ლებრა დატუპ – ტ. ტ. 13,36 – „მისი (ქ) ნაწნავი გრძელია“).

³ W. Allen, დასახ. ნაშრ., გვ. 152, შენ. 1.

ლითად, ზოგჯერ ერთმარცვლიანი ფუძე, ჰ და (ჰ) || აა გარემოცვა... – ზემოთ აღწერილ პირობებში ასიმილირებული სახეობები სასაუბრო ენაში ს ი ს ტ ე მ ა დ არის გატარებული).

ტაპანთურში, მაგალითად, ერთი მხრივ, გვხვდება ასიმილირებული: დჰასრტჰ – ტ. ტ. 32,25 – „მას (ად) ვიპოვი“, ყარტტ-ტაკ³ სრტხერტქენ... – ib. 3436 – „ცოტა ძალა თუ მომეცა“..., დჰადრუდ – ib. 143,12 – „მას (მ) ის შეხვდა...“, ადგზქა რედწბ – ib. 559 – „დევთაგან უმცროსი“, დრაშედწბან – ib. 779 – „ის მათი უმცროსი ძმა იყო“, უედგა!-ლჰან, ჰაჯა დედგანდ – ib. 933 – „მობრძანდიო!“ თქვა მან (ქ) და მოლა შევიდა“ და სხვ. მაგრამ, მეორე მხრივ, იქვეა უასიმილაციო: იზჰალრაჰტ – ტ. ტ. 7,24 – „მას მან (ქ) მიაწოდა ის“, აჰ მგჰგ დედჰტ – ib. 8,26 – „ბატონს სიძე შეეძინა“, ფა-ჰჰგნ დჰალჰტ – ib. 20,1 – „მას (ქ) ვაჟიშვილი შეეძინა“, დსტედმთ – ib. 9,12; 42,9 – „მან ისინი გაუშვა“, სსტმთხ!“ – ib. 14,5 – „გამიშვი!“ დსტელმთ – ib. 1434 – „მან (ქ) ის გაუშვა“, ზემჰს ლსტხსა დგგრდწი – ib. 14,8 – „თითქოს ყველაფერი იშოვაო, (ისე) უხარია“, სსტსშთერტქენ... – ib. 29,25 – „თუ თქვენ მე გამიშვებთ...“, აჯმა ადწბ – ib. 61,29 – „უმცროსი თხა“ და მრ. სხვ.

დიალექტებში დადასტურებული ასიმილაციის ზემოთ განხილული პროცესები ხმოვნებში შედარებით ახალი წარმონაქმნი ჩანს (ამაზე მეტყველებს ე, ო, ი, უ... ხმოვანთა არაფონემური ბუნებაც), უ ფ რ ო მ ვ ე - ლ ი ჩანს ხმოვანთა რ ე დ უ ქ ე ი ს პროცესი, რომელიც ძველადვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული და ახლაც მოქმედებს.

2. ისტორიულად მომხდარი ფონეტიკური პროცესები (ხმოვნებსა და დიფთონგებში) და მათი შედეგები. ზემოთ განხილული და ზოგი სხვა ფონეტიკური პროცესები, რომლებიც ამჟამადაც მოქმედებს აღნიშნულ ენებსა და მათ დიალექტებში, აღძრავს საკითხს, დღეს უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებული სიტყვაფორმები ან აფიქსები თავის მხრივ ხომ არ წარმოადგენს ადრე ჩატარებულ ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად მიღებულ სახეობებს და რა სახის ფონეტიკური პროცესები შეიძლებოდა ყოფილიყო ისინი?

ამ მხრივ ისევ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ა ხმოვნის, როგორც ძირითადი ხმოვნის საკითხს, მისი პოზიციის საკითხს.

ა ხმოვანი, როგორც თავშივე აღინიშნა, უადრესად „დატვირთული“ ფონემაა დღეს ამ ენებში.

გარდა იმისა, რომ იგი ძირითა თანმხლები ხმოვანია (საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძირებსა თუ აფიქსებში იგი ჩვეულებრივ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს მ ო მ დ ე ვ ე ნ ო დ დ გ ა ს, ე. ი. ძირთა და აფიქსთა სტრუქტურა მიჰყვება CV ტიპს: ცა-„წასვლა“, ჰა-„თქმა“, ჰა-„ჭამა“, გა-„ღება-ყვანა“..., -რა სუფიქსისეული ელემენტი და სხვ.), იგი აქ ფართოდაა გავრცელებული, როგორც აფიქსური ელემენტი.

ა, მაგალითად, არის:

1. განსაზღვრულობის პრეფიქსი ყველა აფხაზურ-აბაზურ ენობრივ ერთეულში (შდრ. მაგ., აფხ. უბრგჷ აჩნგ „იმ დღეს“ და სხვ.);
 2. აფხაზურში მის ფუნქციას შეადგენს სიტყვის სალექსიკონო, ზოგადი ფორმის გამოხატვა – ა-უაჰჰ „ადამიანი“, „კაცი“ (საერთოდ) ა-ხგ „თავი“ (საერთოდ)...;
 3. იგი გადმოსცემს ნივთთა კატეგორიის კუთვნილებას (მხ. რ.): აჩა(გ) ა-შაჰჰ „ცხენის ფეხი“ (=„ცხენი მისი-ფეხი“)...;
 4. იგია ნივთთა კატეგორიის III პ. მხ. რ. ნიშანი ზმნაში, მაგ.: დ-ა-გჷჷტ „მან (ნ) ის (ად) წაიყვანა“...;
 5. იგი აფხაზურ დილექტებში რიგობითი რიცხვითი სახელის მაწარმოებელია – ა-ხფა „მესამე“ (ნ)“...;
 6. იგი ზმნის სამიმართებო პრეფიქსია ირიბი ობიექტის თანმხლები – დ-ლ-ა-რ-ა-რ-ჰოტ (ტაპ. დ-ლ-ა-რ-ჰოტ) „ისინი მას (ქ) ეუბნებიან“...;
 7. ასევე „კუთვნილებით“ თუ სხვა სადეტერმინაციო ფუნქციით უნდა გამოიყოფოდეს იგი მთელ რიგ ზმნათა ფუძეებში, როგორებიცაა: მეშველი ზმნები – ა-ჰ, აჰ – „ყოფნა“, აყაზარა || ა-ყაზარა (ტაპ. აყაზ[ლ]არა) „ყოფნა-არსებობა“, ა-მაზარა (ტაპ. ა-მაზ[ლ]არა) „ქონა-ყოლა“ და მისთ...;
 8. იგი ცალკე პრეფიქსულ ელემენტად გამოეყოფა ზმნის საგარემოებო (საგარემოებო-მიმართებით, საგარემოებო-კითხვით) ელემენტებს, როგორიცაა: ა-ნ- („როცა“), ა-ხ- („სადაც“), -შა ← ა-შა- „როგორც“ (შდრ. აშხარული დიალექტის ფაქტები)...;
 9. იგი გამოდის აჷ-ს სახით საურთიერთო და ზოგ სხვა პრეფიქსებში, მაგ.: აჷ-აჷ-ც-ცრჷტ – „ერთად მივდივართ“ და სხვ...;
 10. აჷ-ს სახით ასევე იგი გვხვდება მთელ რიგ სიტყვათა ფუძეებში თავკიდურად – აჷჷალა „ხელცული“... და სხვ.
 11. ამასთანავე იგი ფუძის „განყოფილ“ თავკიდურ ნაწილად გვევლინება მთელ რიგ სიტყვებში, როგორიცაა აბ „მამა“, აჷ „ძველი“, აჷ „გრძელი“, აჷ „ნელი“ და მრ. სხვ.
- აქ ყურადღებას იქცევს, ჯერ ერთი, ის, რომ აღნიშნულ სიტყვათა ფუძეები (აბ, აჷ...) თავისი ტიპით (VC) ეწინააღმდეგება აფხაზურ-აბაზურის ძირთა საერთო თანხმოვნურ-ხმოვნურ ტიპს და, მეორე, – ხმოვან-მოზღვემა ა მხოლოდ პ რ ე ფ ი ქ ს ა დ გვხვდება.
- დგება კითხვა, ხომ არა გვაქვს ზემოთ წარმოდგენილ ფაქტებში მეორეული ვითარება, შეპირობებული გარკვეული ფონეტიკური პროცესებით?

საკითხის ასე დასმის რეალურობას მხარს უჭერს სხვადასხვა დიალექტსა თუ თქმაში გარჩენილი ცალკეული „ანომალიური“ ფაქტები.

მათი გათვალისწინების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ რომ: 1. ა ხმოვნის წინ ხშირად დაკარგულია (თ ა ვ კ ი დ უ რ პ ო ზ ი ც ი ა შ ი ა ნ

მორფემათა შეხვედრისას) **თანხმოვნური ელემენტი** (მეტწილად სონანტი), 2. **თავკიდურ პოზიციაში ხშირად დარღვეულა ჩვეულებრივი თანამიმდევრობა ა ხმოვნისა სონანტთან** (და ზოგ სხვა თანხმოვანთან) და ***ა-ს...** მოუცია **აფ...** და სხვ.

ამოსავალ ტიპად ყველა ამ შემთხვევაშიაც უნდა გვქონოდა CV (თანხმოვანი + ა).

რომ თავკიდურ პოზიციაში ა-ს შეიძლება ჩამოშორებული ჰქონდეს თანხმოვანი, ეს ნათელი ხდება ცალკეული სიტყვის ისტორიის გათვალისწინებით:

აფხაზურ დიალექტებში „ერთი“ რიცხვითი სახელი ნივთთა კატეგორიაში არის **აკვ**, ადამიანთა კატეგორიაში – **აძვ**. ტაპანთურმა დიალექტმა შემოგვინახა ამ ფუძეთა სრული, თანხმოვან-თავკიდურიანი სახეობა: **ზაკვ** და **ზაძვ**, რომლებშიაც ერთის აღმნიშვნელი ძირია **ზა** (მდრ. ყველა დიალექტში ერთნაირად დაცული „თერთმეტის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი ჟეფზა = „ათი-და-ერთი“!). მეორე ელემენტი -**კვ** („ცალი“), -**ძვ** („ვინმე“) აკონკრეტებენ ამ რიცხვითი სახელის ფუძეს. ამის კვალობაზე **აკვ**, **აძვ** ისტორიულად არ შეიძლება მივიჩნიოთ ა ხმოვნით დაწყებულ ფუძედ. მათ წინ დაკარგულა **ზ** თანხმოვანი.

ასევე გაცვეთილი ფუძის მქონე სიტყვა ჩანს **აჩა** „სხვა“, რომელიც თითქოს ა ხმოვნით იწყება. ამ სიტყვის პარალელური სახეობა გვხვდება **დაჩა**-ს სახითაც. თავკიდური ა ხმოვნიან ფუძედ ეს სიტყვა მის შემდეგ წარმოგვიდგა, რაც მას თანხმოვანი (**დ**) ჩამოშორდა. მისი ძირი **ჩა** არის, რაც დასტურდება ენაში დღემდე შემორჩენილი გამოთქმებიდან, მაგ. **ჩაანგ** ბზგაღლა! – საახალწლო მილოცვა – (გაისად კეთილად!“). ზედმიწევნით, **ჩაანგ** (გაისს“) ნიშნავს „სხვა ა (მეორე = მომავალ) დროს“.

არსებობს ა თავკიდურიანი ზმნა აშარა „მარგლა“. მას ეს ხმოვანი თითქოს არ შორდება (ლექსიკონებში – მაგ., ნ. მარისა, ბ. ჯანაშიასი – იგი ა ხმოვანზე არ არის შეტანილი, თუმცა ზმნის პირიან ფორმას ეს ა-შენარჩუნებული აქვს). ზმნა ლაბილური წყობისაა, გვაქვს: დ-აშოღტ „ის (ად) მარგლავს (საერთოდ“), ეწევა ამ საქმიანობას და-ღ-ლაშოღტ „ის (ქ) მარგლავს მას (მაგ. ყანას, სიმინდს)“. მაგრამ ენამ ცოცხლად შემოგვინახა მისი პარალელური **რ** თავკიდურ-თანხმოვნიანი სახეობა ისიც ლაბილური წყობისა **ა-რაშარა** „მარგლა“, დ-რაშოღტ „ის (ად) მარგლავს (საერთოდ“), ეწევა ამ საქმიანობას და – დ[გ]-ლ-რაშოღტ „ის (ქ) მარგლავს მას (მაგ., ყანას, სიმინდს...)“. ცხადია, თავკიდური თანხმოვან-ელემენტის (ამ შემთხვევაში **რ**-ს ან **ღ**-ს და სხვ.) ჩამოშორება-დაკარგვის საფუძველზე გახდა ეს ზმნა ა ხმოვნით დაწყებული.

ა თავკიდურ-ხმოვნიანი სიტყვაა **აფშ** „წითელი“, „წითური“, „ქლალი“. გარდა იმისა, რომ იგი ჩვეულებრივ მსაზღვრელად გვხვდება ფუძეებთან, მაგ. ა - ჩ ა ფ შ „ხორბალი“, ა - ხ ა ფ შ (ტაპ.) „ოქრო“, აფხ. ა - შ ა ფ შ

„დაფიონი“. ძირეული მასში -ფშ უნდა იყოს, ა- კი ნაშთი ჩანს ამ რთულ (აფშ) ფუძეში შემავალი პირველი ელემენტისა. ბუნებრივია, ვფიქრობთ, რომ ა-ს წინ ჩამოშორებულია ყ თანხმოვანი და ა ფ შ წარმოადგენს ამ ენებში პარალელურად შემორჩენილი ყაფშ(გ) („წითელი“) სიტყვის გამარტივებულ სახეობას.

ტაპანთურში აფხაზურისაგან განსხვავებით თითქოს არა ჩანს ა ყ ა - ლ ა რ ა „გახდომა“, „მოხდენა“... ზმნა და გარდამავალი სახეობა ამავე ზმნისა ა - ყ ა წ ა რ ა „ქმნა“, „გაკეთება“. ეს უკანასკნელი ძირითადად შეცვლილია ჩ ფ ა რ ა ზმნით (შდრ. ა - ჩ ა ფ ა რ ა „გაჭედვა“, „შეკაზმვა“).

ა ყ ა ლ ა რ ა ზმნის შინაარსი სხვადასხვანაირად შეიძლება გადმოსცეს ტაპანთურმა, მაგრამ ერთ-ერთი საშუალებაა „ა ლ რ ა“ ზმნის გამოყენება, მაგალითად ისეთ გამოთქმაში, როგორცაა: **აღღრნეს** აუაშუტ „შეიძლება“ = „რომ (ი ყ ო ს , ი ქ ნ ე ს) მ ო ხ დ ე ს იქნება“.

ეს **აღრა** ზმნა თავისი ფუძეს შეზრდილი ა ხმოვნით უნდა წარმოადგენდეს იმავე აფხ. ა - ყ ა ლ ა რ ა ზმნას ყ თანხმოვან-ჩამოშორებულს (*ყა-ლარა → *ალარა → აღრა).

აფხაზურში არის ა თავკიდურხმოვნიაანი ფუძე **აღა** „მეჩხერი“; „თხელი“, ითქმის კბილებზე, თმაზე. ამავე დროს აფხაზურშივე გვაქვს ა-**წაღა**, ბზ. ა-**წაღა** „თხელი“, ითქმის მაგ., ღომზე, ლობიოზე და სხვ. აქ ერთი და იგივე ფუძე უნდა გვექონდეს, ოღონდ პირველ შემთხვევაში **წაღა**-ს წ თავკიდურთანხმოვნიაან-ჩამოშორებული ვარიანტი. ამ ვარაუდს სავსებით ადასტურებს ტაპანთური, რომელშიაც ა ლ ა სულაც არ გვხვდება და **წაღა** გამოიყენება ზემოთ მოყვანილ ორსავე შემთხვევაში: 1. „მე ჩ ხ ე რ ი“ (კაბრა წაღა „თხელი თმა“...), 2. „თ ხ ე ლ ი“ (ძვა წაღა „თხელი წვნიანი“), (ა)წაღა კომპოზიტური წარმომავლობისა ჩანს. მისი მეორე -**ღა** ელემენტი გაორკეცებული სახით გვევლინება **ღღრა** ფუძის სახით „მარჩხი წყლის“, ტაპ. „ფონის“ გაგებით.

ა-თი დაწყებულ ფუძეებში ხშირად ჩანს ჩამოშორებული თანხმოვნები, კერძოდ **ა** სონანტი.

რაც შეეხება ზემოთ განხილულ პრეფიქსულ ა ხმოვანს, რომელსაც თითქოს ათი და მეტი ფუნქციაც დაეძებნა, ისინი თუ ერთი საერთო წყაროდან არ მომდინარეობენ, ყოველ შემთხვევაში ბევრი მათგანი ერთიანი საფუძვლის მქონეა. მაგალითად, რომ გ ა ნ ს ა ზ დ ვ რ უ ლ ო ბ ი ს ა და სიტყვის ზ ო გ ა დ ი, სალექსიკონო ფორმის პრეფიქსი (აფხაზურში) ერთი და იგივე მასალაა, ეს უდავოა. ისინი ასევე დაკავშირებული ჩანან ნივთის კატეგორიის კუთვნილებით პრეფიქსთან¹. სათანადო ადგილას ნაჩვენები

¹ А. Генко, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

გვაქვს, რომ რიცხვით სახელთა რიგობითის ფორმის მაწარმოებელი ა-აფხაზურისა იგივე კუთვნილების პრეფიქსია¹.

რაც შეეხება ჩვენებითობის ა-პრეფიქსს, ჩვენებითობის ელემენტად აფხაზურში ჩვენებით ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში გვაქვს, ერთი მხრივ, ა-პრეფიქსი, ხოლო, მეორე მხრივ, უა-პრეფიქსი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამ რიგს გვიჩვენებენ:

- I. ა-რგდ || ა-ბრგდ... (ხილული) „ეს“, ა-(ბა)რთ... „ესენი“
ა-რ ა || ა-ბრ ა... „აქ“
ა-(რ)ს || ა-ბ(რ)ს... „ასე“
- II. ა-ნგდ || ა-ბნგდ... (ხილული) „აგე ის“, ა-(ბა)ნთ... „აგე ისინი“
ა-ნ ა || ა-ბნ ა... „აგე იქ“
ა-ნს || ა-ბანს... „აგე ისე“
- III. უგ-დ (←უა-დ) || უგ-ბრგდ (←უა-ბრგდ)... „ის“, უგ-(ბა)რთ „ისინი“
უა-[რა] || უ(ა)-ბრ ა... „იქ“
უა-ს (←უა-ს)... || უ(ა)-ბანს... „ისე“...

აქ წარმოდგენილი სურათი შერეული ვითარების ამსახველი ჩანს. მნელი დასაშვებია, რომ I და II დამორების ჩვენებითი ზმნისართ-ნაცვალ-სახელები თავდაპირველ სურათს გვიხატავდნენ. ტაპანთურმა დიალექტ-მა ხაზი ერთგვარად გამართა. იქ გვაქვს:

მხ. რ.	მრ. რ.
ა-რგდ ა-ბარგდ „ეს“	ა-რათ ა-ბარათ
ა-ნგდ ა-ბანგდ „აგე ის“	ა-ნათ ა-ბანათ
ა-უგდ ა-ბანუგდ „ის“	ა-უათ ა-ბანუათ

და ამგვარადვე ზმნისართები².

აქ ჩვენებითობის ფუნქციით გავრცელდა ყველა შემთხვევაში ერთი ა-პრეფიქს-ელემენტი. საერთოდ ტაპანთურში დამახასიათებელი ჩანს ჩვენებითობის გამოხატვისას მითითების განსაკუთრებული, დამატებითი გახაზვა (შდრ. ა რ ა ხ ა რ გ დ „ეს“ = „ა ქ ე თ ე ს“, ა ნ ა ხ ა ნ გ დ „აგე ის“ = „აგე იქით, აგე ის“ და ა. შ.). ტაპანთურში ჩვენებითის შინაარსით ერთი ა-ს ასეთი განზოგადება აღნიშნულ ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში მეორეული მოვლენა უნდა იყოს.

საფიქრებელია, გვექონოდა ორგვარი დაყოფა: ერთი მხრივ, ა-პრეფიქსის შემცველი (რომელშიაც უნდა გაერთიანებულიყო ა-რა, ა-ნა) და, მეორე მხრივ, უა-პრეფიქსის შემცველი (შდრ. უგ-ბრა ← *უა-ბარა), თუმცა აფხაზურ-აბაზურის მორფემათა ტიპის გათვალისწინების საფუძველზე

¹ ტაპ. დ., გვ. 107.

² ტაპ. დ., გვ. 96.

ახსნას მოითხოვს როგორ დაუპირისპირდა **ჟა**- დითფონგური **ა**- ხმოვან-მორფემას.

ამ კითხვაზე ერთგვარი პასუხი შეიძლება გაგვეცეს აფხაზურ-აბაზურში ამჟამად თითქმის გაქვავებული სახით წარმოდგენილმა დროის ზმნისართა ფუძეებმა¹.

დროის (და ზოგ სხვა) ზმნისართებში დადასტურდა ერთი მეორის საპირისპირო ჩვენებითობის ორი პრეფიქს-ელემენტი: **მა**- და **ჟა**-. ეს დაპირისპირება საკმაოდ თვალნათლივ დაუცავს „წუხელ“ და „ამადამ“ ზმნისართებს, რომელთა საერთო ძირეული ელემენტია **ჯა** → **ხა**: **მა-ხა** (||← **მა-ჯა**) „წუხელი“ (= „იმ [გასულ]-დამეს“), **ჟა-ხა** (||←**ჟა-ჯა**) „ამადამ“.

სხვა დროის ზმნისართებში ასეთი მწყობრი წყვილი იშვიათად გვაქვს, მაგრამ ასეთი დაპირისპირების შესაძლებლობას ამართლებს „გუშინ“ **მა**-ცგ და „ხვალ“ **ჟა**-წგ ზმნისართებიც (თუ **ჟა** ა **წ** გ ნასესხებ მასალას არ წარმოადგენს).

აბაზურ დიალექტებში ასეთი დაპირისპირება შემოგვინახა „დღეს“ (აფხ. **მახ**ნ) ზმნისართმა: **მა-ხ**ტ^ნ (აშხ.) → **მა-ხ**წ^ნ (ტაპ.) „დღეს“ (გასულ დღეზე საუბრისას) და **ჟა-ხ**ტ^ნ → **ჟა-ხ**წ^ნ „დღეს“ (გასასვლელ დღეზე საუბრისას). **მა**- და **ჟა**-, როგორც ჩვენებითობის დაპირისპირებული შინაარსის გამომხატველი, ამ შემთხვევაში უდავოდ გამოიყოფა (ძირისთვის შდრ. **ა-შ**ა-**ხ**ნ „ორშაბათი“).

ამკარაა, რომ ის დაპირისპირება ჩვენებითობა-მითითებისა, რომელსაც ვპოულობთ დროის გაქვავებულ ზმნისართთა ფორმებში, უფრო ძველი სურათის ამსახველია, ვიდრე დღეს სხვადასხვა დიალექტში საკმაოდ შერეული სახით წარმოდგენილი დაპირისპირებანი ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების ფუძეებში.

თქმულის საფუძველზე ჩვენებით ზმნისართ-ნაცვალსახელთა ფუძეებშიაც უნდა გვქონოდა არა **ა**- და **ჟა**- მითითებითი ელემენტები, არამედ

***მა** და **ჟა**:- ***[ა]**ა-(ბა)-რა „აქ“
[**ა**]ა-(ბა)-ნა „აგე იქ“
ჟა-(ბა)-რა „იქ“.

ასეთი **მა**- ამოსავალი შეიძლება ვივარაუდოთ იმ **ა**- პრეფიქსისთვისაც, რომელიც გამოხატავს რ ი გ ი თ ო ბ ა ს, კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ა ს...

ყურადღება უნდა მიექცეს პირის ნიშანთა მხრივ ერთ უცნაურ მოვლენას: III პ. ნივთთა კატეგორიაში, როგორც ცნობილია, **ლ**-ს რიგის (ე. ი. „ერგატივის“ რიგის) პრეფიქსებში თავს იჩენს **ა**- კუთვნილების გამოხატვის ფუნქციით (აჩაგ აშაპგ „ცხენის ფეხი“), ირიბი ობიექტის აღსანიშნავად (დ-ა-ფნ^ნოტ „კითხულობს მას (ნ)“), სუბიექტის გამოსახატავად გარდამა-

¹ ე. ლ ო მ თ ა ი ძ ე, ზოგი ზმნისართის აგებულებისათვის აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში, იკვ, ტ. VI, 1954.

ვალ ზმნაში (ა-ა-ბოდტ „ის (ნ) ხედავს მას“), მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თუ ზმნა რთულფუძიანია (ორპირიანში), და სამპირიან გარდამავალ ზმნებში, საერთოდაც, ა-ს ნაცვლად გვევლინება **-ნა-** პრეფიქსი (შდრ. იყა-**ნა-**წედტ „მან (ნ) ის გააკეთა“, მბა-**ნა-**ჰედტ „მან (ნ) შენ ის გითხრა“...).

ა. გენკო ამახვილებს რა ყურადღებას ამ ფაქტზე, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ა-ს ადგილას **ნა-** ალბათ წარმოიქმნა სინტაგმის მცდარი დანაწევრებით, მისი პირველი წევრის (რომელიც გენკოს აზრით, შეიცავდა ზმნისართულ პრეფიქსს) ბოლო **ნ** თანხმოვნის ა პირის კუთვნილებით ნიშანთან შეერთებით¹. მაგრამ ამის დამადასტურებელი რეალური ფაქტები მას ვერ მოჰყავს. თანაც ძნელი სარწმუნოა, მორფემათა ფუნქციონალური აღრევის ნიადაგზე ენაში (ისიც ასეთი – აგლუტინაციური ტიპის ენაში!) წარმოქმნილიყოს ახალი მორფემა (ენაში შეიძლება ახალი ფუნქცია შეიძინოს აფიქსმა, მაგრამ ეს სხვა მოვლენაა).

ამავე დროს გაურკვეველი რჩება: თუ ასეთი სუფიქსური **-ნ-** ელემენტი ახასიათებდა რთულ ზმნათა ე. წ. „ზმნისართულ“ კომპონენტებს, რატომ რომელიმე სხვა პირის ფორმაშიც არ იჩინა მან თავი? ცხადია, საკითხს სხვაგვარი ახსნა სჭირდება.

ნა- პრეფიქსი რომ რთული შედგენილობის მორფემად დავსახოთ, ეს შეუძლებელი არაა, მაგრამ კითხვა გაჩნდება, რა ფუნქციისა უნდა ყოფილიყო ეს **ნ**, რომელიც ა-ს შეუერთდა? ერთადერთი რაც შეიძლება ადამიანმა ივარაუდოს, ესაა მისი ბრუნვის ნიშნად მიჩნევა და, რამდენადაც სწორედ აღნიშნულ პოზიციაში იგი ერგატივ-მოთხრობითს გულისხმობს, – მოთხრობითის ნიშნად, მაგრამ (სხვა დაბრკოლებებსაც, რომ თავი დავანებოთ) ეს „ერგატივის“ ნიშანი როგორ აღმოჩნდა იმის წინ (იგულისხმება ა-პრეფიქსი) რ ის ი ერგატივიც იგი შეიძლებოდა ყოფილიყო?

ამ ვითარებაში ისევ ჩნდება კითხვა, ხომ არ მომდინარეობს თვით ნივთთა კატეგორიის ა-პრეფიქსი – სუბიექტის ნიშანი – **ნა-**საგან, რომელიც სრული სახით შემოგვრჩა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ინლაუტში“?

აქვე წამოიჭრება კითხვა, ეს ა-სთვის აღდგენილი **მა-** და **ნა-** სახეობები რა კავშირშია ნაცვალსახელოვან ფუძეებთან, რომლებიც იმავე (და მათთან ახლო მდგომ) სონანტებს შეიცავენ?

ყოველ შემთხვევაში, ოდენ ა- ხმოვნის დაშვება პრეფიქსად ამოსავალი ვითარებისათვის საეჭვოდ მიგვაჩნია.

¹ „Форма *на* возникла повидимому, из *а* в результате неправильного морфологического членения синтагмы, путем отнесения к притяжательной частице *а* последнего звука некоторых наречного значения префиксов, оканчивающихся согласным *н*“. А. Генко, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

დიფთონგური (ან თანხმოვან-ხმოვნური) მარცვლის გამარტივების შედეგად ოდენ ა- ხმოვნის შემორჩენა (სხვა საწინააღმდეგო რეფლექსის – ა-ს რედუქციის – გვერდით) რომ საკმაო კანონზომიერებით ასახულა ამ ენებში, ამას ნათელყოფს რიგი ნათესაობის ტერმინისა და ზოგი სხვა ფუძის ანალიზი.

აფხაზურ ენაში „და“ და „ძმა“ შეიცავს საერთო -შა ძირს. „ქალის“ გამოსახატავად მას „დის“ სახელში ჰ⁰ (←*ჰ^ა) ელემენტი ემატება. გარდა ამისა მათ წინ უძღვის **აა**- პრეფიქსი (ალბათ წარმოშობით კუთვნილებითი მიმართების გამოხატველი) და სიტყვის ზოგად ფორმაში არის: ა-**აა**-შა „ძმა“, ა-**აა**-ჰ⁰-შა „და“. ეს ფუძე პირთა კუთვნილების ფორმის გამოხატვისას საერთო წესის (რაც იმაში მდგომარეობს, რომ პირის კუთვნილების პრეფიქსები დაერთვის ზოგადი ფორმის ა- პრეფიქს-ჩამოშორებულ მთლიან ფუძეს, მაგ.: ა-ნაჰგ – „ხელი“, – მაგრამ: **ლ**-ნაჰგ „მისი – ქ ა ლ ი ს – ხელი“...) საწინააღმდეგოდ, გვხვდება ფუძისეული **ა**-ს გარეშე, ოდენ ა-ხმოვან ელემენტის შემცველი: **ლ**-ა-შა „მისი (ქ) ძმა“, **ბ**-ა-შა „შენი (ქ) ძმა“..., **ს**-ა-ჰ⁰შა „ჩემი და“, **ბ**-ა-ჰ⁰შა „შენი (ქ) და“ და ა. შ.

აფხაზურში -**ა ა შ ა**, -**ა ა ჰ⁰ შ ა** ფუძეებს **ა** ჩამოშორდა პირკლასის კუთვნილებით თანხმოვან ელემენტთა წინ მირთვისას (არას ვამბობთ ნივთთა კატეგორიის შესახებ, რამდენადაც აქ ამ სიტყვის კუთვნილებითი ფორმა თავისი სემანტიკით არა გვაქვს). მოსალოდნელი იყო – **ს**-**აა**-შა, ***ს**-**აა**-ჰ⁰შა, **ლ**-**აა**-შა, ***ლ**-**აა**-ჰ⁰შა და ასე შემდეგ.

ტაპანთურ დიალექტში **ა**-ს დაკარგვის პროცესი უფრო ფართოდ ჩატარებულა. იქ არა თუ პირ-კლასის პრეფიქსთა მქონე კუთვნილებით ფორმებში ჩავარდა **ა**, არამედ, ზოგად, სალექსიკონო ფორმაშიაც, რომელსაც თავში არაფერიც არ ემატება. ე. ი. თავკიდურადაც აღარ გვაქვს იგი. არის ა შ ა „ძმა“ (← აფხ. ააშა), ა ხ შ ა „და“ (← ააშა ← აფხ. ააჰ⁰შა).

ამ ფორმათა ისტორიისა და **აა** დიფთონგის აღნიშნულ პოზიციაში ცვლილების შესაძლებლობის მხრივ ფრიად საყურადღებო ჩვენებას გვაწვდის აშხარული დიალექტი.

აშხარულ დიალექტში საერთოდ გავრცელებულია იგივე სახეობები ხსენებული ფუძეებისა, რაც ტაპანთურისთვისაა დამახასიათებელი (აშა, ააშა; რაშა, რააშა...), მაგრამ იქვე საკმაოდ ხშირად, ჩვეულებრივ „ძმა“ სიტყვის ფუძეში, კუთვნილებით ფორმებშიაც (იშვიათად ზოგად ფორმაშიაც) დაცულია **ა**-ს შე მ ც ვ ე ლ ი პ რ ე ფ ი ქ ს ი, ოღონდ გახაზვას მოითხოვს ის ფაქტი, რომ აქ **აა**-პრეფიქსულ ელემენტში **ა**-ს (ალბათ თავკიდურ პოზიციაში და კუთვნილებით პრეფიქსებთან შეხვედრისას შეუთავსებლობის გამო) **გადანაცვლებული აქვს ადგილი ა-ს შემდეგ და ვიღებთ იმავე პრეფიქსის აა- თანამიმდევრობას** (რომელიც ასიმინაციის ნიადაგზე **ეა**-ს სახითაც წარმოგვიდგება). ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ აშხარულ

ტექსტებში გვხვდება ამის დამადასტურებელი შემდეგი მაგალითები: იბ-თახზი, აძმანტ სგზზყალაპ – აშხ. ტ. 4,12 – „რა გინდა შენ (ქ), ძმ ა დ გა-გიხდები“, ლ ე ე შ ა დშააახაზ... – ib. 4,18 – „მისი (ქ) ძმ ა როცა მოდიო-და...“, ლ ე ე შ ა ექმთეეტ – ib. 4,26 – „მის (ქ) ძმ ა ს მან (მ) მისხა (წყა-ლი)“, ს ე ე შ ა დაგყახემ-იჰან... – ib. 5,34 – „ჩემი ძმ ა აღარ არისო“, ღრშა ე ე ე შ ა – ib. 10,16; – ib. 10,19 – „გრიშას ძმ ა“, ლაბ ე ე ე შ ა – ib. 12,4 – „მისი (ქ) მამის ძმ ა“, აფჰესფაგ ე ე ე შ ა-ეჰაბ დემთეეტ ფჰესნე – ib. 2631 – „ქალიშვილიც მან (მ) თავის ძმ ა ს მისცა ცოლად“, რყალაზი, ჰარს ჰაშაგ ე დემშნ, ჰარახ ე გ, ჰანგ ე იზგაკეშა? – ib. 88,10 – „რა მოხდა, ჩვენი ძმაც რომ მოკლა და ჩვენი საქონელი, ჩვენი რემა ვინ შეიძლო რომ გარეკოს?“ და სხვ.

ასეთი სახეობა დადასტურდა ჟ. დიუმეზილის მიერ გამოცემულ ტექსტებშიც¹.

აშხარელები „ბიძის“, „დედიძის“ სახელად ან შ ა -ს გვერდით გვი-სახელებდნენ აგრეთვე ან ლ ე ე შ ა -ს.

მოყვანილი სახეობის პრეფიქსი დადასტურდა „და“ სიტყვის ფუძე-შიაც: დაყნაშგლაზ, ე ე ხ შ - ე ჰ ა ბ ა დეჰნაშთა დემბეტ – აშხ. ტ. 61,24 – „რომ შევიდა შიგ, მან (მ) თავისი უ ფ რ ო ს ი და დაინახა, შიგ რომ იყო...“.

მა-ს ად-დ გადანცვლების ფაქტებს სხვასაც ვპოულობთ დიალექტებ-ში. „მწვანე“ სიტყვის ფუძეში აფხაზურის დიალექტებსა და ტაპანთურში-აც გვაქვს მა-, უნდა ვიფიქროთ, პრეფიქსული ელემენტი: აფხ. ა-მაწა, ტაპ. მაწა || მაჰა. აშხარულ დიალექტში ამ შემთხვევაშიც შებრუნებული თანა-მიმდევრობაა წარმოდგენილი: ამაწა – ყარანდამა ამაწა „მწვანე ფანქარი“².

აფხ. ა მ თ ა „კვლავ“, და ა მ რ გ მ სიტყვებში აბჟურ დიალექტში ადასტურებენ მათ და მარგმ სახეობებს³, თუმცა მათ თვით მიიჩნევენ გადასმულად, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ წარმოდგენილი ფორმით აბ-ჟურმა დიალექტმა ამ სიტყვებში ა მ ო ს ა ვ ა ლ ი ვარიანტები შემოგვინა-ხა მა დიფთონგისა.

აფხ. ა-მა-შა („სწორი“, „პირდაპირი“, „მართალი“) ტაპანთურში არის „რ-ად-შა“-ს სახით. საგულისხმოა, რომ რუსულ-აზაზურ ლექსიკონში ერ-თხელ „რ-ამაარა“-ც შეგვხვდა⁴.

¹ იხ. G. D u m é z i l, დასახ. ნაშრ., გვ. 1021– 10219.

² იხ. Абаз-русск. словарь, გვ. 48. ამ ადგილას აშხარული სახეობისათვის მოცემულია ა ე ჰ ა, მაგრამ აქ ჰ ა აზაზური ორთოგრაფიის მიხედვითაა შეცვლილი.

³ მ. ც ი კ ო ლ ი ა, აფხაზური ენის აბჟური დიალექტი. თბილისი, 1969, გვ. 026.

⁴ „Выпрямит спину“ – абгъа рйашара. იხ. Русско-абазинский словарь, 1956, გვ. 476.

მა თანამიმდევრობის **აძ** თანამიმდევრობად გადაწველების შესაძლებლობას მხარს უჭერს ნასესხები მასალაც. მაგ., რუსულიდან აბაზურში შესული სიტყვა **ящик** აბაზურად გადმოცემულია, როგორც **ა ძ შ ჩ ე ქ**¹.

მა (**აძ**) დიფთონგის პოზიციური მერყეობის თვალსაზრისით საყურადღებოა ის ცვლილებებიც, რაც თითო-ოროლა სიტყვაში იჩენს თავს ტაპანთურში.

აფხ. **აძქ** აწა („შავი“) სიტყვის **აძ**- ნაწილი, საფიქრებელია, **მა**-საგან მომდინარე პრეფიქსული ელემენტი (შდრ. ზემოთ **ა-მა-წა** „მწვანე“), ტაპანთურს -ქა- ძირეული ელემენტის შემდეგ გადაუსვამს და მიგვიცია – ქ^ა **აძქ** ა (← *ქ^ა-**აძ**-ქ^ა, ან – *ქ^ა-**აძ**-ქ^ა)². რომ ტაპანთურშიაც ხსენებული სიტყვის ფუძეში იგი პრეფიქსად უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებს ტაპანთურშივე არსებული „მაყვლის“ სახელწოდება – მღრაძქ^ა || მღღრ**აძქ** ა⁴ (= „მაყვალ-შ ა ვ ი“).

უკვე განხილულ დიალექტურ მონაცემებს რომ თავი მოვუყაროთ, გაირკვევა, რომ ამოსავალ **მა**- პრეფიქსულ ელემენტს სხვადასხვა დიალექტურ ერთეულში და ხშირად ერთსა და იმავე დიალექტშიაც მოუცია შემდეგი სახეობები: **აი**; (გ)**ა**, **ა(გ)**; ა...⁵.

სწორედ **მა**-ს ცვლილებათა აღნიშნული (და სხვა) სახეობები უნდა გახდეს დასაყრდენი, როცა ვიხილავთ **ა**-თი დაწყებული და მსგავსი ფუძეების ისტორიას. პრეფიქსულ ელემენტებში უფრო გავრცელებულია ცვლილება, რის შედეგადაც ვიღებთ **აძ**-ს, **ა**-ს, სუფიქსურში კი – **აძ**-ს (გ**აძ**-ს) ← **აძ**.

„დისა“ და „მმის“ ანალოგიური აგებულებისა, საფიქრებელია, ყოფილიყო ნათესაური ურთიერთობის სხვა სახელები, კერძოდ, „მამისა“ და „დედის“ აღმნიშვნელი ფუძეები. ასეთ ვარაუდს, პირველ ყოვლისა, აჩენს ორივე სახელის ფუძეში შემავალი თავკიდური **ა**: ან „დედა“, აბ „მამა“.

რომ აქაც **ა**-ს წინ დაკარგულია **ა**, ამას ამჟღავნებს ნივთთა კატეგორიის „დედის“ გამომხატველი ფუძის დღემდე შემორჩენილი **ა-ინ** (**ა-აინ**) სახეობა. ცნობილია ანდაზა: „ზგზგ-ხააჟ აჰგს **ა-ა-აინ-ნგჟგ** **ა-ა-აინ-ნგმგ** **ა-ა-აინ-ნგ**“ – „ენა-ტკბილმა ხბომ თავისი დედაც მოწოვა და არა-არა-თავისი დედაც“.

¹ იხ. Русско-абазинский словарь.

² ტაპანთურში სუფიქსალურ **-მა**-საც გადმოუნაცვლებია ფუძეში (ძირის შემდეგ). ამის ნიმუში ჩანს **მაძრა** (← ***მა-მა-რა**) „ადვილი“, „უბრალო“. მისი აფხაზური ვარიანტია **ა-მარგ-მა** (← ***ა-მა-რა-მა**).

³ Абаз.-русск. сл., გვ. 277.

⁴ Русск.-абаз. сл., გვ. 127. ჩვენ გვსმენია „მღღრ**აძქ** ა || იღღრ**აძქ** ა“-ც.

⁵ სხვა ცვლილებათა შესახებ იხ. ქვემოთ.

მოყვანილ ფორმაში ნივთის კატეგორიის კუთვნილების ნიშნად გამოიყოფა ა- პრეფიქსი, სიტყვის ფუძედ კი გამოდის **-მგ-ნ** (მრ. რ. – რ-ინ || რ-მგნ). დიალექტებში ამ ფუძის მოყვანილი სახეობა გვხვდება მეტ-ნაკლები სიხშირით. შემორჩენილია აბაზურ დიალექტებშიაც: „ემ, სან!... ბანგე, საყეყო კკკა სზერც'არენ!“ ისლამ ანტ არ. ისლამ ასეირ ზლაზ ასგს-ხ'ჟჟ ეკალთ მღლრარტ'ანტ **ა-ინაჟგ** მგ'მტ კკკა ირც'ემტ – აზხ. ტ. 28,34-36 – „ემ, დედა!... მოხვიდოდი და, სადაც ვარ, ძუძუს (აქ) მომწოვებდი!“ ისლამმა ეს გაიგონა, საოცარი პაწია ბატკანი კალთაში ჩაისვა და თ ა ვ ც ის - დ ე - დ ა ს მიუყვანა, მოაწოვებინა“; აზარბაჟქ'ა **რინ** ანტ – ib. 44,1 – „არწივების დედა მოვიდა“; **რინ** ააგვლან, უსას ააჰ'ემტ – ib. 29,15 – „მათი (ცხოველების) დედა ადგა და ასე უთხრა“¹.

მოყვანილ ფუძეში რომ ი (**მგ**) მომდინარეა **მა**-საგან, ეს უდავო ხდება ტაპანთური დიალექტის მონაცემებით. იქ ჩვენი მთქმელები სწორედ **ა-მან**, **რ-მან** სახეობებს გვისახელებდნენ. ამის გამოძახილი თავს იჩენს ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ტაპანთურ ტექსტებშიაც, მაგ.: „უზლაჰად ჩა'თა?“ – დეგუზუჰად აზა. – „აყარათეა **ამან** აკ'აბ სგ'ზლაჰად“ აჰ'ად – ტ. ტ. 121¹⁶⁻¹⁸ – „რომელი ცხენით მოხვედი?“-ო შეეკითხა მამა. – „ცხენი, რომლითაც მოვედი, ყარათეის [ცხენის სახელია! – ქ. ლ.] დედა არის-ო, თქვა“. იგი გვხვდება „აბაზური ზღაპრების“ გამოცემულ ტექსტებშიაც: „აჩჰეს ჰაზ-რიმზ **ამან** შ'აბჰჰთა იჩგ ზიდეგ... არი აჩჰესგ'ი **ამან** აფშხუმტ“² – „ამ კვიცის გამჩენი (დამბადებელი) დედა ძლიერ კარგი ცხენი იყო... ეს კვიციც თავის დედას დაემსგავსება“.

უნდა ვიფიქროთ, ამ ფუძის ნივთთა კატეგორიის ფორმაში პარალელურ სახეობად **მ**-ს შენარჩუნებას ხელი შეუწყო სწორედ წინამავალმა პრეფიქსმა თავისი ა ხმოვნური სახეობით (შდრ. ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსიანი სახეობები „და“ და „მმა“ სიტყვებისა აფხაზურში). აბსოლუტურ თავკიდურ პოზიციაში და თანხმოვნის მომდევნოდ მეტი იყო შესაძლებლობა მისი ჩამოშორებისა.

„დის“, „მმის“, „დედის“ ფუძეთა აგებულების გარკვევა, მათში ამოსავალი **მა**- პრეფიქსული ელემენტის აღდგენა და ცვლილებების გზის გათვალისწინება, სავსებით რეალურს ხდის თავკიდური ა ხმოვანი აზ („მამა“) სიტყვაში **მა**-დან მომდინარედ დავსახოთ და ისიც მსგავსი აგებულებისად მივიჩნიოთ (← ***მა-ბა**).

¹ ეს პრეფიქსი „დედის“ ფუძისა **ამ** სახეობით აქა-იქ შემორჩენილია „ბიძის“ – დედიმის“ და „დეიდის“ სახელებშიაც პარალელურ ფორმებად აფხაზურის დიალექტებში, შდრ. ა მ გ ნ შ ა, ა მ ნ შ ა (ა ნ შ ა, ა ნ ლ ა შ ა-ს პარალელურად) „დედიმმა“, ა მ ნ ლ ა ჰ შ ა (ა ნ ლ ა ჰ შ ა-ს პარალელურად) „დეიდა“.

² Абаза турыхква, 1955, გვ. 88, 4-7.

ზემოთ წარმოდგენილ ცვლილებათა გათვალისწინების თვალსაზრისით დიდ ყურადღებას იმსახურებს საურთიერთო კატეგორიის პრეფიქსი აფხაზურსა და აბაზურში.

აღნიშნული ფუნქციით აფხაზურში გამოდის პრეფიქსი **აფ**: **აფ**ქშარა „ერთმანეთის შეხვედრა“, **აფ**ცლაზრა „ურთიერთშეჯიბრება“, **აფ**ჟაფშარა „ერთმანეთის ყურება“, **აფ**ცცარა „ერთად (ერთმანეთთან ერთად) წასვლა“, **აფ**ზაზარა „ერთმანეთის ნახვა“ და სხვ. ამ რიგთან ჩანს დასაკავშირებელი ურთიერთ-ნათესაობის გამომხატველი ფუძეები – **აფ**ცალაცა „რძლები (ერთმანეთისათვის)“, **აფ**მაჰჰლაცა¹ „ქვისლები (ერთმანეთისათვის)“... და მთელი წყება სახელები, როგორცაა, მაგ.: **აფ**წბ „უმცროსი“, **აფ**ჰაბ „უფროსი“, **აფ**ც „უარესი“, **აფ**ლ : **აფ**ლრა („უკეთესი“), „უკეთესობა“ და მისთ.

ტაპანთურში ეს დიფთონგური პრეფიქსი ჩვეულებრივ გამარტივებული, **ა**-ს სახით გვევლინება (მის ერთ-ერთ სახეობაში, – საურთიერთოსაორმხრივო ფორმაში **აფა**- თითქმის მუდამ **აზა**-ს სახეს ატარებს): **აფ**ქშარა „ერთმანეთის შეხვედრა“, **აფ**წარა „ერთმანეთზე დადება“, **აფ**გგლრა „ურთიერთ-დგომა“, „შეკავშირება“, **აფ**შარა „ორად (= ურთიერთ-ორად) გაყოფა“, **აფ**აზარა „ერთმანეთის ნახვა“, **აფ**ადგრა „ერთმანეთის ცნობა“ და სხვ.

მაგრამ ტაპანთურშივე ამავე ფუნქციით გამოჩნდება აქა-იქ **აფ**-სახეობაც პრეფიქსისა, მაგ., **აფ**ზარა „ერთად, ურთიერთ-თავმოყრა“, „კრება“, **აფ**სრა „ომი“, „ჩხუბი“ (= „ურთიერთ-ცემა“), **აფ**გსრა „ერთმანეთისთვის სროლა“, **აფ**წბ || **აფ**ბა „უმცროსი“ და სხვ.

საგულისხმოა, რომ **აფ**წბ-ში („უმცროსი“), როგორც ვნახეთ, **აფ** პრეფიქსია ტაპანთურშიაც, მაგრამ იმავე აგებულების „უფროსი“ ტაპ.-ში უკვე წარმოდგენილია **აჰ**ბს-ს სახით (შდრ. აფხ. **აჰ**ჰაბგ!), თუმცა იქვე მოგვეპოვება ამავე ფუძის ზმნისართი **აჰ**ბს „უფრო“, „მეტად“.

აშხარულ დიალექტში ამ სიტყვათა ის სახეობა გვხვდება, რაც დამახასიათებელია, ერთი მხრივ, აფხაზური დიალექტებისათვის (**აფ**წბ || **აფ**წბა, **აფ**ჰაბგ || **აფ**ჰაბა) და, მეორე მხრივ, ტაპანთური დიალექტისათვის (**აჰ**ბა), მაგრამ აშხარულში მეტად საინტერესო, ამოსავალმა – **აფ**-პრეფიქსიანმა სახეობამაც იჩინა თავი ამ ფუძეებში: სგხვფაცა რჰჰა წაწარა ზლო **აჰ**ბგ აგებანგტი რაკუ, რეწბ დგაბჰჰ – აშხ. ტ. 58,14 – „ჩემს სამ ვაჟიშვილში ვაჟკაცობა უფროსსა და შუათანას აქვთ, მათი უმცროსი ნაკლუ-

¹ ზემოთ განხილულ ნათესაობის აღმნიშვნელ ფუძეთა მსგავსად მხოლოდობით ფუძეში აფხაზურში გვაქვს **აფ**ცლა („შილი“, „მაზლის ცოლი“). აბაზურში მხ. რ. ფუძეშიაც დასტურდება **აფ**ცლა, რაც მხ. რ.-ის ფუძისეული **ა**-ს (აფხაზურში) დიფთონგურ წარმომავლობაზე მიუთითებს. შდრ. ანალოგიური შეფარდება „მძის“ და „დის“ ფუძეებთან: **ა**-აშა || **აშ**; **ა**-აჰშა || **აჰ**შა.

ლია“; **ა** **ჰ** **ბ** **ა** ზიზმდრზრს ბზროჟჰ – ib. 47¹⁷ – „უ ფ რ ო ს ი ს (საერთოდ) ყურის გდება კარგია“; **ა** **ჰ** **ბ** **ა** **ე** **წ** **ბ** **ა** რგლა ს^ააჯალა! – ib. 60,²¹ – „უ ფ - რ ო ს - უ მ ც რ ო ს ო ბ ი თ ამოდით!“

ცხადია, ამ სიტყვებშიაც იგივე პროცესი მომხდარა, რაც „მმის“ სახე-ლის ფუძის ანალიზისას გამოვლინდა (I **ა**-**ა**-შა; II რ-**ა**-შა; III რ-**ა**შა → რ-**ე**შა).

ამოსავლმა ***ა**-საურთიერთო პრეფიქსმა¹ აფხაზურში და ზოგჯერ ტაპანთურშიაც მეტათეზისის საფუძველზე მოგვცა **ა****ე**-, მეორე მხრივ, იგივე ამოსავალი ***ა**-პრეფიქსი **ე**-ს რედუქციის საფუძველზე ტაპანთურში წარმოგვიდგა **ა**-ს სახით².

¹ ა. გენკოს აბაზურში (იგულისხმება ტაპანთური) საურთიერთო „გვარის“ ფორმანტად მითითებული აქვს **ა** (**ა**-სა და **ა****ე**-ს გვერდით) თავისი შრომის 70, 73 გვ.-ზე. ამ დანიშნულების ასეთი ფორმანტი ტაპ.-ში დღეს არსად გვხვდება. გენკოს მსჯელობაში ერთმანეთში ირევა პირის ნიშანი და საურთიერთო კატეგორიის პრეფიქსი. მის მიერ მოყვანილ მაგალითებში – **ა**ლალჟა „сходящиеся вместе“ (взаимно), **ა**ცგნხაჟ „вместе работающие“ (იქვე, გვ. 130), საურთიერთო კატეგორიას **ა**- გამოხატავს, **ე**- კი ნომინატივის რიგის პირის (მიმართებით-ნაცვალ-სახელური) პრეფიქსია. ეს თვით გენკომაც კარგად უნდა იცოდეს. სხვა ადგილას თვითვე აღნიშნავს გენკო, რომ, შესაძლოა, საურთიერთო ფორმის აფიქსიებული **ე** მრავლ. რ.-ის პირის ნიშნისეულ **ე**-დ გააზრების შედეგად დაიკარგაო. ამ დებულების დასაბუთებისათვის მას სჭირდება საურთიერთო პრეფიქსის, მისი აზრით **ა****ე**-ამოსავალი სახეობის მეტათეზისის დაშვება **ა****ე**-დ, რათა წარმოქმნილიყო შესაძლებლობა მისი პირისეულ **ე**-პრეფიქსთან შეხვედრისა, ხოლო ამ ენისთვის ორი **ა****ე**-ს მეზობლობის შეუთავსებლობის შედეგად ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, საურთიერთო პრეფიქსისეული **ე**-ს დაკარგვა მისი პირის ნიშანთან გათანაბრებით. იგი წერს: „Важным в грамматическом отношении обстоятельством служит невозможность сочетания двух *й* рядом, прежде всего в пределах одного слога... В этой же связи стоит, возможно, частичная утрата абазинским языком глагольного форманта взаимного залога *ай* путем замены его посредством *йа* с последующей затем утратой *й*, в результате осмысления его, как личного префикса 3-го лица мн. числа. (Так, повидомому, **ййаба-дырыйд йабадыр* давало закономерно *йабадырыйб*, откуда, по аналогии форм типа *дырыйб „они знают друг друга“ от первоначальной основы взаимного залога йабадыр давало закономерно йабадырыйд, откуда, по аналогии форм типа йыщыйд „они идут“ ~ х/щыйб „мы идем“*, получались формы типа *х/абадырыйб „мы знаем друг друга“* и отглагольное имя *абадырра „знать друг друга“*). იბ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 34-35.

მწელი სარწმუნოა, ენას ერთმანეთში აღრეოდა სხვადასხვა დანიშნულების აფიქსები და ამ აღრევის ნიადაგზე წარმოექმნა ახალი ვარიანტი აფიქსისა.

² საურთიერთო **ა****ე**-პრეფიქსის ამოსავალი **ა****ე**-სახეობის არსებობის თვალსაზრისით ეგების საინტერესო იყოს აშხარულში დადასტურებული იშვიათი ფორმა ს^ეგ^ედ^ელო (← ს^ეგ^ეზ-**ა**ლო): „ჩარა-ზ^ერა ზზგყას^ეწაზ ს^ეგ^ედ^ელო ააას^ეარჰ^ე-არაად“ იჰან... – აშხ. ტ. 583 – „ჰამა-სმა რისთვის მოაწყვეთ (გაკეთეთ), რისთვის-ხართ-შეკრებილნი მითხარით“-ო.

ასეთი სახეობა ამ პრეფიქსისა (ე. ი. ა-) იშვიათად აფხაზურშიაც გვხვდება, როცა საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის ფორმა **აბაშ** - რ ა („ურთიერთ-კვლა“) სიტყვისა გამოიყენება „ომის“ მნიშვნელობით და იგი ახალს, დამატებითს, ირიბი ობიექტის პირს იჩენს. შდრ. საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის ერთპირიანი ზმნა **ემაშტე** (= **ა-აბაშ-შტე**) „ისინი ერთმანეთს კლავენ“ და ამავე ფუძიდან ნაწარმოები ორპირიანი ზმნა „ე ო მ ე ბ ა“-ს მნიშვნელობით: **დ-რ-აბაშ-შტე** „ის (ად) მათ ეომება, ებრძვის“¹.

ამ ფორმაში ს ა უ რ თ ი ე რ თ ო კატეგორიის **აბ-ბა-** პრეფიქსს უნდა ემატებოდეს კიდევ სამიმართებო ა- პრეფიქსიც (წარმოშობით, ალბათ, ისიც ***ა** || ***ა** სახეობიდან მომდინარე!), რომლის მეშვეობითაც დაუკავშირდა სწორედ ხსენებულ ფორმას ახალი ირიბი ობიექტის პირი, მაგრამ ხმოვნურ მორფემათა აფხაზურ-აბაზურში შერწყმის წესის მიხედვით შეუძლებელი იყო აქ ორივე ა შემოგვრჩენოდა (ე. ი. სამიმართებო პრეფიქსისა და საურთიერთო კატეგორიისა).

რომ აღნიშნულ ფორმაში სამიმართებო ა-ც უთუოდ არის საურთიერთო პრეფიქსს დართული, ამას ნათელს ხდის ტაპანთური დიალექტის ფაქტები. ტაპანთურში „ერთმანეთთან ბრძოლის“ გამომხატველია **ა-ბა-კრა** („ურთიერთ-ჭერა“. უდრის აფხ. **აბ-ბაკრა-ს**). მას მასდარის ფორმაში მახვილი მოუდის ბოლოს, რამდენადაც ტაპანთურში საურთიერთო პრეფიქსს (ამ შემთხვევაში ა-ს) არ შესწევს ძალა მიიზიდოს მახვილი. ამავე საურთიერთო კატეგორიის აფიქსის შემცველი ფუძიდან (აფხაზური **აბაშ** ა შ რ ა -ს მსგავსად) ტაპანთური აწარმოებს „ეომება“ ზმნას (შდრ. აფხ. **დ-რ-აბაშ-შტე** ე ტ, ტაპ. **დ-რ-ა ბ ა კ ე ბ ა ტ**), მაგრამ ზემოთ მოყვანილ საურთიერთო ა ბ ა კ რ ა -საგან განსხვავებით ამ ზმნას უკვე მახვილი თავში მოუდის: **ა ბ ა კ რ ა** („შებრძოლება“). თავში მახვილის გადმონაცვლება ტაპანთურში ახასიათებს სწორედ ს ა მ ი მ ა რ თ ე ბ ო პრეფიქსს (სწორედ სამიმართებო პრეფიქსზე მოდის იგი). ასე რომ, მასში ივარაუდება ***ა-ა-ბა-კრა**. ამის კვალობაზე აფხაზურ „დ-რ-აბაშტე“-ის ა- პრეფიქსშიც შედის სამიმართებო ა- + საურთიერთო კატ.-ის **ა(ა)**- პრეფიქსები.

საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიაში საურთიერთო (* **აა-** →) **აა-** პრეფიქსი, როგორც უკვე აღნიშნულა, აფხაზურში რთულფუძიან ზმნებში ჩართული, გარკვეულ შემთხვევებში **ი-ს** სახითაცაა².

თავკიდური ა- ფუძეს განეკუთვნება ინვერსიულ **აჭრა** ზმნაში, რომელიც „წილად ხვდომას“, „რგებას“, „წილად მოსვლას“ აღნიშნავს და რომელიც თანდათან იღებს „პოვნა-შოვნის“ შინაარსსაც. ზმნის პირიანი

¹ იხ. ჩვენი, საურთიერთო... კატ., გვ. 282.

² იქვე.

ჯუწეწარს ათაჯტუბ – ib. 42-3 – „ყოველს [მათგანს] თავის ხმლით [მიბმულს] სძინავს, მათი ხმლების ამოღებით მათ თავი უნდა წაკვეთო“...

აფხ.-ში „მწარე“ არის **აშა**. ა თავკიდური განეკუთვნება ფუძეს (შდრ. **ა-აშოტუპ** „ის (ნ) მწარე“). ტაპანთურში ა-ს ადგილას გამოდის კვლავ **აა-: ააშა** (მწარე“): აჟა შარდალა **აჟყაყრეჟ** გნ **ა-ააშა** ხ ი ტ – ანდაზა – „სიტყვას ბევრჯერ რომ იტყვი (დალეჩავ), გამწარდება“.

თითქოს აფხაზურს უფრო ახასიათებს **აა-** პრეფიქსში **ა-**ს ჩამოშორება, – აბაზურს კი – გადასმა (თუმცა საყოველთაო კანონად ეს არ გამოდგება).

ზმნისართი **აწკჯს** (აწკჯს)... „შედარებით“, „უფრო“... **ა-** პრეფიქსითაა წარმოდგენილი აფხაზურის დიალექტებსა და ტაპანთურში. აშხარულ დიალექტში (რომელსაც საერთოდ უფრო ახასიათებს ამ მხრივ ნაკლებ გაცვეთილი ფუძეები) ამ შემთხვევაშიაც გვაქვს **აა-** პრეფიქსიანი ფუძე: **აარს ეაეკჯს** **ააგმრნააეტ** აბლაჯა – აშხ. ტ. 14,36 – „მას (მ) (უფრო) ვერ მოერია გველუშაპი“, **ააჟჯჯკრეკჯს** **აარა** დრნაეტ – ib. 156 – „შვიდს (კაცს) მან აჯობა (უფრო მოერია)“, „ტარა **აჟეცხკ** სარე ეკა სეხ“ აშაშა სგუბეტ, აჯ სარს სეკჯს ეკა აბ“ აბ“ **ააგჯ** ტა ყეეტ“ – 3 ა – ib. 101,33 – „შენთან შედარებით (უფრო) მე ძლიერი გეჩვენები, მაგრამ ჩემთან შედარებით უფრო (ჩემზე უფრო) ძლიერი ხალხიც არისო“ და სხვ.¹

პრეფიქსული **ა** ხმოვნის ამოსავლისა და მომხდარი ცვლილებების დადგენის ზემოთ წარმოდგენილ ფაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზმნური ფუძეების ანალიზისა და ე. წ. მიცემით-სამომართებო, კუთვნილებით-სამომართებო და მსგავსი პრეფიქსების აღდგენა-გამოყოფის თვალსაზრისით.

„ყოფნა“ მეშველი ზმნის **ს-აჟპ** „ვარ“, **ლ-აჟპ** „ის (ქ) არის“, **რ-აჟპ** „ისინი არიან“ და ა. შ. ძირად სპეციალისტები გამოყოფენ **ა** ხმოვანს, **-ჟპ-ს** კი მიიჩნევენ აწმყოს სუფიქსად. მაგრამ ირკვევა, რომ **-აჟპ-** (ლ-აჟპ, ა-აჟპ, შ-აჟპ...) მეშველი ზმნა რთული შედგენილობისაა და ისევე, როგორც **-აკგნ** („იყო“) მეშველი ზმნა, შეიცავს **ა-** პრეფიქსულ ელემენტს. იგი ერთვის ერთი მხრივ **-კ-** ძირს, ხოლო მეორე მხრივ **-ჟ-** ძირს. ასეთი დასკვნის შესაძლებლობას გვაძლევს აშხარული დიალექტი, რომელშიაც აწმყოს სუფიქსისეულ ელემენტად მიჩნეული **-ჟ-** გადაჰყვება ხოლმე ნამყოშიაც (ნამყო განუსაზღვრელში) **-კ-** მეშველ-ზმნური ძირის მსგავსად. აშხარულ დიალექტში, მაგ., იგი გამოვლინდა ნამყოს მნიშვნელობით **ონ** (←**ა-ჟ-ნ**) ფორმის სახით: ...იჟაზ ზედეშრაზ უდ **ონ** – აშხ. ტ. 74,6 – „...ის, რაც მოთხარა, როგორც იყო, ეს იყო“, აბნი **ონ** **აარს** დეზც შ“ **ააგჯ** – ib. 88,1 – „ეს იყო, მას (ად) რისიც ეშინოდა“.

¹ შდრ., მაგ., ასეთივე აგებულების **ა-ყარა** „ოდენი, ოდენობით“; **აა-ყარა** „შენ (ქ) ოდენა“...; ტაპ. **ა-თა-** „კვლავ“ და მისთ.

ა ხმოვანი ამ ენებში საერთოდ ძირის სახით არსად არ უნდა გქონდეს. აფიქსად კი იგი მრავალ შემთხვევაში გამოიყენება.

არსებობს ერთპირიანი ზმნა დ-ც აჭ ომტ „ის (ად) ლაპარაკობს“, ორპირიანად იგი იქცევა ა- პრეფიქსის – რომელიც წარმოადგენს მიცემით-სამიმართებო პრეფიქსს – დართვით და ვიღებთ ფორმას დ-ლ-ა-ც აჭ ომტ „ის (ად) მას (ქ) ელაპარაკება“.

ზოგჯერ (ზოგ ზმნაში) ეს სამიმართებო პრეფიქსი სრული აფ- დიფთონგის სახითაც შემოგვრჩენია. მაგ., ერთპირიანია ზმნა ა - ხ გ ს რ ა („სროლა“ ტყვიისა და მისთ.): დ-ხგსრეფტ „ის (ად) ისვრის (საერთოდ)“. მისგან ორპირიანი ზმნის (გარდაუვლისავე) წარმოება ხდება აფ- მიცემით-სამიმართებო პრეფიქსის დართვით: დ-რ-ეფ-ხგსრეფტ „ის (ად) მათ ესვრის“.

ასევე აშარგცარა (ტაპ. შარცრა) „ნადირობა“ გვამღვეს ერთპირიან ზმნას: დ-შარგცომტ (ტაპ. დ-შარცციტ) „ის (ად) ნადირობს“, მაგრამ „რა-ზედმე ნადირობა“ („მიპარვით ნადირობა“) არის აშმარგცარა: დ-რ-ეფ-შარგცომტ „ის (ად) მათ ზე ნადირობს“ და მრ. სხვ.

ცხადია, აღნიშული ა- სამიმართებო პრეფიქსის ამოსავალი სახე იყო დიფთონგური *აფ-, რომელსაც მოუცია ხან აფ-, ხან კი - ა-, მაგრამ ცვლილებები არც ამით დამთავრებულა.

როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. აქვე, გვ. 43-44), სამპირიან ი-ჟ-ა-ლ-ჰ ომტ „ის (ქ) შენ (მ) გეუბნება მას“ ზმნის მსგავსად მეორე სამპირიან „მიცემა“ ზმნაშიაც უნდა გვქონოდა სამიმართებო პრეფიქსი (ირიბი ობიექტის პირის შემდეგ) ა-, რომელსაც ა→გ ცვლილების ნიადაგზე მოუცია გ: ი-ჟ-ა-ლ-ოთომტ „ის (ქ) შენ (მ) გამღვეს მას (ნ)“.

რომ აქ მართლაც მიცემით-სამიმართებო ა- პრეფიქსი უნდა ყოფილიყო, ამაზე მეტყველებს ამ ზმნის მასდარის ფორმაში დაცული თავკიდური ა ხმოვნის მახვილიანობა (აფხაზურში) – ათარა (იხ. აქვე, მ ა ხ ვ ი - ლ ი), ხოლო თვით მისი არსებობა მასდარის ფორმაში ტაპანთურში ათრა (თუ სამიმართებო პრეფიქსი არა, – ტაპანთურში მასდარში მოველოდით „თარა“-ს. ეს კი შეუძლებელია, რადგანაც ამ ზმნამ ორპირიანი ფორმა ამ შინაარსით არ იცის)¹.

¹ ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს „თხრობა“ ზმნის მასდარის ფუძისა და მასში მახვილის ადგილის საკითხი. აქ გასარჩევი გვაქვს ორი ფუძე: ერთი – „ორპირიანი“ ზმნისათვის (აფხ. ა-ჰარა, ტაპ. ჰარა „თქმა“: დ-ლ-ჰრდტ, ტაპ. დ-ლ-ჰიტ „ის (ქ) ამბობს მას“) და, მეორე – „სამპირიანი“ ზმნისთვის. ამ უკანასკნელისთვის „აჰარა (შდრ. ათარა!) აღარ გვაქვს, რაც იმის შედეგი ჩანს, რომ ეს მასდარი უკვე მიიკუთვნა იმავე ძირიდან ნაწარმოებმა, ისევე ირიბი ობიექტისა და ამდენადვე იმავე სამიმართებო ა- პრეფიქსის შემცველმა ორპირიანმა გარდაუვალმა ზმნამ „თხოვა“-მ: დ-აჰ ომტ „ის (ად) თხოულობს (რადაცას)“ და ა. შ.

ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ი რ ი ბ ი ო ბ ი ე ქ - ტ ი ს შემცველ გარდაუვალ ზმნებში ჩვეულებრივ გამოვლინდება ხოლმე ირაციონალური გ ხმოვანი აღნიშნული ირიბ-ობიექტური პირის მომდევნოდ. მაგ. ა ვ ხ ა რ ა („წაკითხვა“): დ-რ-გ-ფხ-ოფტ აშყქა – „ის (ად) კითხულობს მათ (წიგნებს)“ და მისთ.

ა-საგან მომდინარე გ- ხმოვან-მორფემა გვაქვს, კერძოდ, ა მ ა ზ ა რ ა „ქონა-ყოლა“ ზმნაშია: დ-ლ-გ-მოჭპ „ის (ად) მას (ქ) ჰყავს“, დ-რ-გ-მოჭპ „ის (ნ) მათ აქვთ, ჰყავთ“ და ა. შ.¹. -გ- აქაც ა-საგან მომდინარე სამიმართებო *ა- პრეფიქსის ნაშთია.

ამავე თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ა ყ ა ზ ა რ ა „ყოფნა“ ზმნა, რომლის პირიან ფორმაში აფხაზურის დიალექტებში გვაქვს გ: დ-გ-ყა-ჭპ „ის (ად) არის, იმყოფება“ და რომლის ამოსავალი ა ხმოვნიანი სახეობა შემოგვინახა აბაზურმა.

ქ ფონემის გენეზისის გარკვევამ ტაპანთურ დიალექტში გამოამჟღავნა, რომ ამ ფუძეში -ყა- ძირთან ერთად შედიოდა ა- ხმოვანიც. სხვა შემთხვევაში ყ-საგან ქ-ს ვერ მივიღებდით (იხ. აქვე, ქ). ფუძე ზმნისა აქაც რთული ა-ყა შედგენილობისა გამოდის, რომლის თავკიდური ა- ხმოვანი პრეფიქსული წარმომავლობისაა. ძირი მისი „ადგილის“ გამომხატველი უნდა იყოს (ზმნაც „ ადგილას“ ყოფნას ნიშნავს), ხოლო ა- პრეფიქსი მის დეტერმინაციას ახდენს.

პრეფიქსული ა- → გ- გარკვეულ პოზიციაში, ფონეტიკურ ნიადაგზე შეიძლება სულაც გაუჩინარდეს. ასე, მაგ., დიალექტურ მეტყველებაში გვხვდება ხოლმე ზემოთ განხილულ ზმნათა ისეთი პირის ფორმები, რომლებშიაც ნულამდე დასულა სამიმართებო პრეფიქსი: აჭგა აჭალ-ნა-ჰტ (= აჭა-ლ-ა-ნა-ჰტ) – ტ. ტ. 110,23 – „სარკემ უთხრა მას (ქ) ის“ (შდრ. იქვე: აჭა-ჭ-ა-ლ-ჰანბ – ib. 113,16 – „ის (ქ) გეტყვის შენ (მ) მას“), ამარა ჭჭაჭჭარგგენ, აჭა-ჭ-ნაჰბ ib. 112,7 – „მზეს თუ შეეკითხები, შენ (მ) გეტყვის მას“, ძგ... ა-რ-ნა-თუმტ – აშხ. ტ. 4,38 – „მათ ის (ნ) მისცემ წყალს“ და მისთ.

აქ განხილულ მაგალითთა თვალსაზრისით გარკვეულ ახსნას პოულობს ზმნის ე. წ. საგარემოებო ელემენტთა აგებულებისა და მათ ფუძეში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების საკითხი.

საგარემოებო ელემენტებად ხშირად გვხვდება ახ-, აყ- (ადგილ-მიმართულებისა), -ან (დროისა), შა- (ვითარებისა) და სხვა პრეფიქსული ნაწილაკები ზმნაში. როგორც აშხარული დიალექტის მონაცემები მიგვითითებს, „ვითარების“ შა- პრეფიქს-ნაწილაკიც წინამავალი ა ხმოვნიანი

¹ გ-ს ასეთი მომდინარეობის მხრივ საყურადღებოა ის სპორადულად გამოვლენილი ფაქტებიც, როგორცაა მაგ., აშხარულ დიალექტში ფიქსირებული: დ-ლ-ა-მანგ დაადტ ლგშნგ – აშხ. ტ. – 1013 – „მას (ქ) ის (ად) თ ა ნ - ჰ ყ ა ვ და რ ა, მოვიდა შინ“.

უნდა ყოფილიყო: აზჟ' ანგძჳ აააგ°ალას°ე ერე ე-აზჟ-მტ°გმგზ – აზხ. ტ. 70₂₄ – „მან (მ) ნახევარი რომ შეჰამა, მოაგონდა ის (ნ) მას როგორც (რომ) არ ეკუთვნოდა“, აძ' აზჟელზ°უზ, აძგ° აზჟალთ°აზ (ააღვ°ალას°ახტ) – ib. 72,5 – „ის (ქ) წყალს როგორც (რომ) სვამდა, წყალიც როგორც (რომ) დაღვარა, მოაგონდა“, ძ-ჭაგარა და-შ-ცუზ... – ib. 69,14 – „ის (ად) წყლის მოსატანად როგორც (რომ) მიდიოდა...“ და სხვ.

ამისდა კვალობაზე ირკვევა, რომ ყველა საგარემოებო ელემენტს ერთნაირად წინ უძღოდა ა-პრეფიქსი: ა-ხ(გ||ა)-, ა-ყ(ა)-, ა-ნ(გ)-, ა-შ(გ)-.

როგორც ანალოგიური სხვა პრეფიქსებიც, ისიც *ა- ამოსავალს გვაპარაუდებინებს (თუმცა ასეთი სახეობა დღეს აღარ დასტურდება). შემდგომში ცვლილებები შორს წასულა: „ვითარების“ საგარემოებო პრეფიქსში ა- ხმოვანი აფხაზურის დიალექტებსა და ტაპანთურში (ზოგჯერ აზხარულშიაც) სულაც აღარ გვაქვს; მის ადგილას აქა-იქ გამოვლინდება გ ხმოვანი. მაგრამ ა- გ-დ იქცევა და სულაც იკარგვის სასაუბრო ენაში (არა იშვიათად წიგნის ენაშიაც) ყველა საგარემოებო ელემენტის წინ, მაგ., დ-ან-ალაგა („როცა მან (ად) დაიწყო ის“) შეიძლება წარმოგვიდგეს „დგნალაგა → დნალაგა“-ს სახით. ასევეა სხვა საგარემოებო პრეფიქსებშიც.

მოყვანილი მასალის საფუძველზე დასტურდება ამოსავალი ა-პრეფიქსის ცვლილებების შემდეგი სახეობები (შემორჩენილი ცოცხალ მეტყველებაში): ა- → || ა- → || ა- || ა- → გ- → 0.

და ცხადი ხდება, რომ გარკვეული დანიშნულების პრეფიქსები, მთელი მარცვლის შემცველი, ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ნულამდეც დასულან, მათი, ჯერ ერთი, პრეფიქსული პოზიციისა და, მეორე მხრივ, სიტყვის ფორმაში (ადგილის მიხედვით) ცვალებადი მახვილის ზეგავლენით.

ამით, როგორც ჩანს, მაინც არ ამოიწურება აღნიშნული პრეფიქსის მექონე ფუძეთა საკითხი. მათ რიგში ექცევა ზოგი ა- თავკიდური ხმოვნის მექონე ფუძე, რომელთაც მოსდევს რ, – ჩვენი ვარაუდით, – ერთიანი არ-პრეფიქსული ელემენტი. ესენია: არბა (ტაპ. || არგბა „მამალი“, არცნა (ზხ. არცნა), ტაპ. არცგნა „დედალი“, აფხ. არფგს (ზხ. არფგს' || არფას') „ყმაწვილი კაცი“ და სხვ.

ასეთი ფუძეები დადასტურებული აღნიშნული ფორმით ამა თუ იმ დიალექტურ ერთეულში, სხვა დიალექტურ ერთეულში (ან თვით იმავე დიალექტში) შეიძლება ზოგჯერ წარმოგვიდგეს განსხვავებული ფონეტიკური სახითაც.

მაგ., ტაპანთურში გვაქვს ზმნისართული არგ°ანგ „ახლოს“, „ახლო“ (შდრ. გამოცანა: არგ°ან არგჯარიტ, აჯარა არ-არგ°ანიტ „ახლოს ამორებს, შორს აახლოებს“), მაგრამ იმავე ტაპანთურში ეს არგ°ა- ფუძე გვევლინება „აგ°ა“-ს სახითაც, როცა გამოხატავს

„ახლობელს“, „მეგობარს“, მაგ. ანდაზაში: „ზაჟა ბაღამ ჯაღ ა დგგ დგმამ“ – „არა-სიტყვა-მტკიცეს (ე. ი. უპიროს) მეგობარი (ე. ი. „ახლობელი“) არ ჰყავს“¹.

ეგვევ ფუძე (აღა) „სიახლოვის“ გამომხატველი იმავე ტაპანთურ-ში გამოყენებულია მისალმება-მიპატიჟების ფორმულად: „ჟალ ექუმ სალ ჟაღა!“ – ტ. ტ. 100,20 – „გაგიმარჯოს, შენ (მ) მობრძანდი!“ „მობრძანდი“ ნიშნავს – „მოახლოვდი“. იგი ნაწარმოებია ადიღურ ენათა ყაიდაზე, შდრ. ყაბ. ყაბ ზ ლ'აღა! „მობრძანდი“, რომელშიაც ზ ლ'აღა არის „ახლობელი“, „ახლოს“.

აფხაზურშიაც -აღა- ფუძე „ახლოს“ შინაარსით გამოიყენება აა- და ნა- წინდებულებთან ერთად (ააღა-ნეაღა „ახლომახლოს“. ააღა ← *აა-ააღა „აქეთ-ახლოს“, *ა-ნეაღა ← *ა-ნა-ააღა „იქით-ახლოს“ და სხვ.).

აღნიშნულ ფუძეთა შეპირისპირების მიხედვით აშკარაა, რომ აქ პრეფიქსულ აა- (← *აა-) ელმენტს შეენაცვლა არ- სახეობა.

ამ პროცესის თვალსაზრისით მანიშნებელია ზოგი სხვა ფუძეც. „ხვლიკის“ სახელწოდება აფხაზურშია აანც'გმა („ზხ. აანწ'გმა), ხოლო ტაპანთურში – არც გმა. აქაც ისევ აა-||არ- შეეფარდა ერთმანეთს.

აფხაზურში გავრცელებული აარგმ („პატარა დოქი“, „თიხის ხელადა“) ჩვენ ერთ-ერთი ბზიფელისაგან ჩავიწერეთ არრგმ'-ის სახითაც (შდრ. ზემოთ, აბჟურული ერთ-ერთი მისი ვარიანტი, ალბათ, ამოსავალი – აარგმ – გვ. 82).

ბზიფურ დიალექტში ეს ორი ბოლო სიტყვა ა-ს პარალელურად ჯ-ს (ლარინგალურ-ლაბიალიზებულ სპირანტს) გამოავლენს: აჯრგმ', აჯ-ნწ'გმა (აჯენწ'გმა)².

ბზიფურ დიალექტში საერთოდ შეინიშნება ლარინგალური ჯ სპირანტის მოშლის გზაზე მისი ჯ → ა-დ ქცევა, მაგრამ აღნიშნულ სიტყვათა ფუძეებში ამ პროცესის გამოვლენის ფაქტს, მით უმეტეს არა ბზიფურ, არამედ სხვა დიალექტთა მონაცემებში, ვერ გავათანაბრებთ ბზიფურის ახალ ჯ → ა პროცესთან, რადგანაც ხსენებულ ფუძეებში ა სწორედ არა ბზიფურისთვის, არამედ სხვა დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი (სადაც ჯ-ს ასეთი ცვლილება არაა გავრცელებული). ამიტომაც აბჟურში არსებული ა-იანი სახეობა უფრო ძველია, ვიდრე ჯ-ს დეფორმაციის პროცესი ბზიფურში.

აქ საფიქრებელია ის კანონზომიერება იჩენდეს თავს, რაც შენიშნულია ა || ა' (→ა) || რ || ა... მიმართების სახით როგორც აფხაზურ-ადიღურ ენებში, ისე თვით აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში (იხ. აქვე, ქვემოთ)¹.

¹ ააღა, მრ., ააღა აცა აშხარელებმა განგვიმარტეს, როგორც „გათხოვილი ქალის ქმრის ოჯახი“.

² X. C. Бгажба, Бзыб. д., გვ. 113.

აფხაზურ-აბაზურ ფუძეებში ზემოთ დადგენილი **აფ-** || **არ-** მონაცვლეობის ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, ასეთ პრეფიქსულ ელემენტად გამოიყოს მთელ რიგ სიტყვებში თავკიდური **არ**. ასეთად გვეჩვენება ზემოთ დასახელებული **არბა**, **არცნა**, **არფგს**...

არბა „მამალი“ ძირეულ ელემენტად გამოგვაცოფინებს „**ბა**“-ს, რაც „მამა“ სიტყვის ძირს წარმოადგენს. **არცნა** (ზუ. არცნა) „დედალი“ ასევე ძირად შეიცავს „**ნა**“-ს, რაც „დედა“ სიტყვის ძირს ხვდება. **არფგს** (ყმაწვილი“) სიტყვაშიაც „მის“, „ვაჟის“ ძირია **-ფა** → **-ფგ**, სუფიქსი **-ს** (ზუ. -ს) მასში დემინუტივის მაწარმოებელია.

ასე რომ, სამსავე ფუძეში, რომლებიც ამოსავალში ისევ ნათესაური ურთიერთობის ტერმინებს წარმოადგენენ (იხ. ზემოთ, „მამა“, „დედა“, „და“, „ძმა“, გვ. 81-85), გამოიყოფა საერთო **არ-** პრეფიქსული ნაწილი, როგორც ეს (**აფ-** ← **აა-**ს სახით) გამოიყო ზემოხსენებულ სახელებში, ოღონდ მათში გამოიყოფოდა **აა-** (→**აა** || **აა**...); **არ-** პრეფიქსი მისი ვარიანტი ჩანს.

აღნიშნულ ფუძეებს გვერდში უდგას აგრეთვე ფრინველთა სახელწოდებები: **არ-ხ-გ-ნა** „რუხი შაშვი“ (შდრ. **არ-ც-ნა!**), კომპოზიტი – **აკ-ტ-არ-შა-ც** (ზუ. **აკ-ტ-არ-შა-ც**) „ვარია“ („ქათამი-დედალი“). მასში **-ც'** იგივე ძირია, რაც **არცნა**-ში; **შა** → **შა-** „გაჩენის“ ძირთან დაკავშირებული გამოდის (შდრ. **ა-ხ-შა-რა** „შთამომავლობა“, **ა-წ-შა** „ფური“...).

არცნა || **არცგნა** („დედალი ქათამი“) სიტყვასთან **არბა**, ტაპ. **არგბა-ს** („მამალი“) შედარება გვაფიქრებინებს, რომ **არ-** და **-ბა**-ს **არბა** ფუძეს გამორიცხული **არ** არის **-ცგ-** (← **ცა-**)-ს საპირისპირო რაღაც ელემენტიც ჰქონოდა, რომელიც გაცვდა და მისი ხმოვნური ნაწილი მახვილიანი **გ**-ს სახით შემოინახა ტაპ.-ის **არ-გ-ბა** სახეობამ.

ამ მხრივ ფრიად მანიშნებელია აფხაზურში „მამლის“ გამომხატველი ეგვეე ფუძე **-ლ'** (←**ლ-გ-**) ელემენტით გართულებული: **არ-ბა-ლ'**. ისიც თავისთავად „მამრ“-ზე მიუთითებს. ამიტომ სწორედ **არ-ბა-ლ'** ფუძე ჩანს **არ-ც-ნა**-ს სრული შესაბამისი. **-ც'** (ც'გ←ც'ა) „დედლის“ აღმნიშვნელია, ხოლო **-ლ'** (ლ'გ←*ლ'ა) „მამლისა“. ამ მხრივ მათ შორის თანაფარდობა ზუსტი გამოდის. ოღონდ დარღვეულია თანამიმდევრობა: შდრ.

არ-ც-ნა და **არ-ბა-ლ'**. ჩნდება კითხვა, ეს **-ლ'გ-** ელემენტი **ცგ-**ს მსგავსად (**არცნა** → **არ-ცგ-ნა**) ხომ არ დაისმოდა **-ბა**-ს წინ **-არ-**ის მომდევნოდ, ე. ი. ხომ არ იყო, ***არ-ლ'გ-ბა**, რომელიც თანხმოდანთა შეყრისას (**რლ'**) ჩავარდა და მისი არსებობის კვალი შემოგვრჩა მახვილიანი **გ** ხმოვნის სახით?

ზემოთ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე უნდა ხერხდებოდეს ასეთივე წარმომავლობის **არ-** პრეფიქსული ნაწილის გამოყოფა „მარჯვენისა“ და „მარცხენის“ აღმნიშვნელ ფუძეებში.

¹ ქ. ლომთათიძე, **ღ** || **რ** ბგერათმომართებისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში. სმამ, ტ. XXI, №5, 1958.

„მარჯვენა“ აფხაზურად არის **არღა**, ხოლო ტაპანთურში – **აღმა**. ორივე ამ ფუძეს უნდა განეკუთვნოს რთული ცვლილებების გზა. მათში, ორივეში, როგორც „მარცხენაში“, ისე „მარჯვენაში“, უნდა გვექონოდნა „მა“ ძირი „ხელის“ აღმნიშვნელი. იგი ორივე ენაშია შემორჩენილი „არ-მა“ („მარცხენა“) სიტყვაში, ხოლო „აღმა“-ში („მარჯვენა“) შერჩენია ტაპანთურს. ჩამოშორებია ეს ძირეული -მა აფხაზურ **არღა**-ს, მოსალოდნელი ***არღა-მა** ან ***არმა-ღა** სახეობებისა. აბაზურში რედუქცია მოსვლია მეორე მარცვლის ა ხმოვანს და ***არღა-მა**-საგან მიგვიღია **აღმა** *←**არღმა** (**არმა-ღმა** „მარცხენ-მარჯვენა“ კომპოზიტი დასტურდება აფხაზურის დიალექტებშიც). აქაც გაუჭირდა **რღ** კომპლექსს შეთავსება. შდრ. ზემოთ მოსალოდნელი ***არღმა**-ს გამარტივება. წინ დასმული მახვილის შემთხვევაში **რღ** კომპლექსში **რ** დაიკარგა (**აღმა** ← ***არღმა**), მომდევნო ხმოვანზე მახვილის დასმის შემთხვევაში **რღ** კომპლექსში **ღ** დაიკარგა (**არმა** ← ***არღმა**).

ამდენადვე, აღდგენილი ***არღა-მა** (ან || ***არმა-ღა**) „მარჯვენა“ რომ შევუპირისპიროთ „მარცხენას“ სახელწოდებას – **არმა**-ს, აშკარა გახდება მათს აგებულებაში დაუმთხვევლობა: „მარჯვენა“ ს ა მ ი კომპონენტისაგან შედგება: **ა[რ]**-, **ღ**-**ა**-, **მა**-, მაშინ როცა **არმა**-ში ორი მათგანი იგივეა: **არ**- და **მა**- და აღარ გვაქვს **ღა**-ს საპირისპირო მესამე კომპონენტი. შესაძლოა სწორედ ამ კომპონენტის არსებობაზე მიუთითებდეს არ გ მ ა „ცაცის“ სახელწოდებაში შემორჩენილი **გ** ხმოვანი, როგორც ხმოვნური ნაშთი მესამე მარცვლოვანი ძირეული კომპონენტისა.

შემადგენელთა სრული სახის მიხედვით არც აფხ. **არღა**-ს („მარჯვენა“) მოუღწევია ჩვენამდე. მასშიაც ფუძის გაცვეთის გარკვეული მანიშნებელი უნდა იყოს „მარჯვნივ“ ზმნისართის ფორმაში – **არგღა** (რახ) – შემორჩენილი **გ** ხმოვანი **არღა**-სთან შეპირისპირებით. აქაც ისმის კითხვა, ხომ არ არის იგი ხმოვნური ნაშთი მარცვლოვანი ძირეული -მა- → -მგ- კომპონენტისა, რომელიც შეიძლება აფხაზურში (ტაპანთურისაგან განსხვავებით) -ღა-ს წინ დაისმოდა და **რმ** თანხმოვანთა შეყრისას ჩავარდა (შდრ. ასევე ზემოთ **არბაღ**-თან დაკავშირებული კომპონენტთა თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობა).

წარმოდგენილ ფუძეთა ანალიზი, ვგონებთ, სარწმუნოს ხდის, რომ **აა**- → **აფ**- პრეფიქსულ ელემენტს შეენაცვლება **არ**- პრეფიქსული ელემენტი¹.

ამავე დროს ყურადღებას იქცევს ისეთი ცალკეული ფაქტებიც, როცა თითქოს ასეთ სავარაუდო პრეფიქსულ ელემენტში შესაბამისობა მაშინაც არის, როცა **რ** გადასმული არაა.

¹ შეიძლება გამორიცხული არ იყოს **ა**-ს სხვა სონანტიც, მაგ., **ლ**, **ნ** კერძოდ, დამატებით შესწავლას მოითხოვს: ხომ არ არის რაიმე კავშირი ზემოთ განხილულ (გვ. 57-58) **აასგ**- და ტაპ. **ანსი**- („ყოველი“) ნაწილაკის **ა**- და **ნ**-ს შორის.

ზემოთ მივუთითეთ, რომ არსებობს ზმნა **ა-რაშ^არა** („მარგვლა“), რომელსაც პარალელურ სახეობად მოეპოვება **რ-** ჩამოშორებული აშ^არა სახეობა (იხ. აქვე, გვ. 75-76). ტაპანთურში **რ^აშ^არა** სახეობის გვერდით ზოგი სოფლის მეტყველებაში (მაგ. კრასნი ვოსტოკისა) დასტურდება **ლ^აშ^არა-ც**, მაგრამ, რაც უფრო საყურადღებოა, აშხარულ დიალექტში ჩვენ ჩავიწერეთ ამ ზმნის **აფ-** პრეფიქსიანი **აშ^არა** ვარიანტიც. მაშ არის: **რ^აშ^არა || ლ^ა-შ^არა || აფ-შ^არა**.

გარდა თქმულისა, **აფ-** → **აფ**-... თავკიდური ელემენტის შესაბამისად თითო-ოროლა ფუძეში თითქოს თავს იჩენს ლარინგალური სპირანტის მქონე მარცვალის სხვადასხვა დიალექტურ მონაცემში.

ამ თვალსაზრისით საყურადღებო გვეჩვენება შემდეგი ფუძეები: აფხ.-ში არის ა-აჰ^ა ა (ვარცლი“, „გეჯა“). ტაპანთურში ამ მნიშვნელობით გამოდის **აჰ^ა**. ეს საერთო მონაცემი ჩანს. ლარინგალურ სპირანტებში მჟღერი და ფშვინვიერი სახეობების შენაცვლება შეუძლებელი არ არის (შდრ. აჰარა, ტაპ. აჰარა „სმენა“). საგულისხმოა ისიც, რომ ტაპ. **აჰ^ა**-ში ა ისევე განეკუთვნება ფუძეს, როგორც „ა-შა“-ში („ძმა“). ამ ტიპის სხვა, ანალოგიურ ფუძეთა მიხედვით ტაპანთურში უნდა გვევარაუდნა დაკარგულად **ა** (შდრ. -აჰ^ა → || აჰ^ა!). აშკარაა, რომ ტაპანთურში ფუძე ამ მხრივ გამარტივებულია, მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ზოგი ტაპანთელის ენაში **აჰ^ა**-ს მაგიერ დაგვიდასტურებია **ჰაჰ^აგ** სახეობაც.

ასევე აფხაზურში არის **აფმძა** („წაღები“). ამავე მნიშვნელობით ტაპანთურში **აფმძა**. ორივე ვარიანტში **აფ-ც** და **ა-ც** ფუძეს განეკუთვნება. ამდენადვე საფიქრებელია, რომ ტაპანთურში გვაქვს იგივე პრეფიქსული ელემენტი გამარტივებული სახით. ამ შემთხვევაშიც ზოგი ტაპანთელის ენაში თავს იჩენს **ჰაფმძა** სახეობა.

აქ უკვე მეორედ შეეფარდა **აფ-** || **აფ**- (ტაპანთურში) **ჰა**-ს (აქ დაისმის საკითხი ზოგი თავკიდურიანი **ჰა-** → აფხ. აა- სახელიც ასეთი შედგენილობის ხომ არაა?). ამავე კონტექსტში თავის ადგილს პოულობს ბზიფურ დიალექტში დადასტურებული **ჰ** (←**ჰ^ა**) აჯრემ^ა, აჯნწ^ა გმსიტყვებში აჯრემ^ა || არრემ^ა, აჯნწ^ა გმს სახეობათა შესაბამისად (იხ. აქვე, გვ. 94-95).

ამრიგად, **აფ-** პრეფიქსული ელემენტი¹ იძლევა სახელთა და ზმნურ ფუძეებში (რეალურად დადასტურებულ) შემდეგ სახეობებს: **აფ-** → **აფ**- || **ა-** || **ფგ** || **გ-** || **(0)** || **რა-** (**ლა-**) || **არ-** || **ჰა-** (→ აა?) || **(ჰა-)** || **აჯ-** (← **აჰ^ა**).

¹ რამდენადაც გავრცელების მიხედვით უპირატესობა **აფ-**ს ენიჭება.

V.

მახვილი

1. **მახვილის ბუნებისა და ადგილისათვის.** აფხაზურსა და აბაზურს შორის მახვილის მიხედვით არსებითად ერთგვარობაა. მახვილი არის ინტენსიური, მოძრავი¹.

მახვილი გვხვდება ყველა პოზიციაში (თავკიდურად, შუაში, ბოლოში): ადაჟ (ტაპ. ადა) „ბაყაყი“, აჟა „სიტყვა“, ალაგარა „დაწყება“, ა-გარა „აკვანი“, ა-დგრრა „ცოდნა“, ა-ლაზბ „ჯოხი“, ა-ნაპკ „ხელი“ და სხვ.

მახვილის გამოყენებასთან დაკავშირებულ კანონზომიერებათა რკვევისას აფხაზურ-აბაზურში დიდ სირთულეებს ვაწყდებით. ჭირს მწყობრი სისტემის დადგენა მახვილის მოქმედებისას. ამ სიმძლევს წარმოქმნის, ერთი მხრივ, თვით მახვილის ბუნება და, მეორე მხრივ, მისი შეწყობის ხასიათი რთულ სახელთა თუ ზმნურ მონაცემებში.

აფხაზურსა და აბაზურში მახვილის მატარებელი გამოდის ძირეული მასალაცა და ფორმანტებიც. ამასთანავე ფორმანტთა დიდ წილს შესწევს უნარი მახვილი მიიზიდოს. ზოგჯერ ერთსა და იმავე ფორმანტს ხან „შესწევს“ ძალა გადასწიოს თავისკენ მახვილი და ხან – არა. ამ ფაქტს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება აფხაზურ-აბაზური მახვილის მეტად ბუნდოვანსა და გართულებულ ვითარებაში გასარკვევად.

ადვილი წარმოსადგენია ამ სიჭრელეს მახვილის ადგილმდებარეობისა და გადანაცვლებათა პირობებში რა სახე შეიძლება მიეღო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირს ათეულამდე აფიქსი შეიძლება შეეწყოს პრეფიქსად და სუფიქსად და, რომ მათი ძალთა ფარდობა მახვილის გადაწევის მხრივ შენაერთში სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს. აქვე ანგარიშგასაწევია ამავე ნიადაგზე წარმოქმნილ დიალექტურ ვარიანტთა შერევისა და სხვადასხვა ხნოვანების ფაქტთა თანაარსებობის შემთხვევები, ზოგჯერ შემორჩენილი ფუნქციათა დიფერენციაციით.

მარტივ, არანაწარმოებ ფუძეებში მახვილი უნდა ჰქონოდა ძირისეულ ხმოვანს. იგი ღია მარცვალი უნდა ყოფილიყო: ჭა, ჩა, ცა, გა, კა... ტიპისა.

მიუხედავად იმისა, რომ მახვილის გამოსავლინებლად მარცვალთა გარკვეული ფონია საჭირო, აფხაზურ-აბაზურში მახვილი ინტენსიური

¹ ა. გენკო მიუთითებს, რომ აფხაზურის მახვილიან მარცვალში ტონს მეტი ამაღლება ახასიათებს აბაზურთან შედარებით. იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

ბუნების გამო ერთმარცვლიანი ძირის ხმოვნებიც მახვილის მქონენი გამოდიან.

გართულებულ ფუძეებში სიტყვაწარმოებისა თუ ფორმატცვისას მახვილის ადგილიც იცვლება: ზოგ შემთხვევაში მახვილი შერჩება ძირეულ ელემენტს (მაგ., **ეღღეღ** „მან (ქ) შეჭამა ის (ნ)“, **ეშჷჷ** „ჭამეთ!“...), ზოგ შემთხვევაში კი გადაინაცვლებს ძირიდან ხან ბოლოსაკენ, ხან – უფრო ხშირად – წინ (მაგ., **ა-ჷ-ჷეღღ** „მან (ნ) შეჭამა ის“, **ჷ-ჷარა** „ჭამა“ (ტაპ. ჷარა), **აგჷჷა** „შეჭამადი“ („მი-საჭამელი“), **აგ-ჷ** „ჭამე!“, **აბჷაჷარა** (ტაპ. აბჷჷრა) „ურთიერთ-ჭამა“, **ეღჷჷეღღ** „ერთმანეთი შეჭამეს“ და სხვ.).

ამასთანავე ხშირი მოვლენაა უმახვილოდ დარჩენილი ხმოვნის რედუქცია, შდრ. აქვე: **აგჷჷ** – (←**აგჷჷა**), ტაპ. **აბჷჷრა** (←**აბჷაჷარა**)...

მახვილის დიდი მოძრაობა სწორედ ამ ტიპის – მახვილიანი ღია მარცვლის მქონე მარტივ (თუ, არა მარტივ) – ძირებშია გავრცელებული.

შედარებითი სიმტკიცე და „უძრაობა“ ახასიათებს იმ ძირისეულ ან ფუძისეულ ხმოვანს, რომელიც ფუძის შ ი გ ნ ი თ, თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ შ ო რ ი ს არის მოქცეული, იქნება ეს დახურული მარცვალი თუ ღია, როგორცაა: ათგჷ „ადგილი“, ა-ჷგჷ „საქმე“, ა-შგჷლა „ფქვილი“, ა-ტატა „რბილი“, ა-ბჷგჷდა „კარგი“, ა-გარა „აკვანი“, ა-დგრა „ცოდნა“, ა-გგლ(ა)რა „ადგომა“...¹).

ამ შემთხვევაში მახვილის შედარებით უძრაობას რომ ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს თანხმოდანთ შორის მოქცეული ხმოვნის მახვილი შედარებით მეტი გამძლეობის უნარი შერჩეს ძირს, ნაკლებად გადაინაცვლოს ფორმის ცვლილებებისას (თუ, სიტყვათწარმოებისას), მაგ., აბჷგჷდა „კარგი“ (ზოგადი ფორმა), ბჷგჷდაჷ (განუსაზღვრ. ფ.), ა-ბჷგჷდაჷა (მრ. რ.)... (შდრ. ა-ლაბჷ, ლაბჷჷ, ა-ლაბჷაჷა...); ა-დგრა „ცოდნა“, „ცნობა“ (მასდარის ფ.), აგჷდგრაჷეღღ, ტაპ. აგჷდგრაჷე „ვიცი“ (აწმყო), ანგჷდგრა „როცა გავიგე“ (აორისტი, ინფინიტი), აგჷდგრაჷან „უკვე ვიცოდი“ (ნამყო უკვეობა, წ. წ.)... (შდრ. ა-ბარა „ნახვა“, „დანახვა“, აგჷბრაჷ || აგჷბრაჷეღღ, ტაპ. აგჷბრაჷეღღ „ვხედავ მას“, ანგჷბრა „როცა ის დავინახე“, აგჷბრაჷან „მე ის უკვე დამენახა“ და ა. შ.).

მახვილის სრულ უძრაობას არც ამ შემთხვევაში აქვს ადგილი². გარკვეულ ფორმებში ამ რიგის ძირ-ფუძეებშიაც შეუძლებელი არაა დავადასტუროთ მახვილის გადანაცვლების ფაქტები, მაგ., იმავე დგრა ძირიდან შეიძლება მივიღოთ მახვილგადაინაცვლებული (ჩვეულებრივ პრეფიქსულ წარმოებებში) ფუძეები: აფხ. აგჷბრაჷეღღ || აგჷბრაჷეღღეღ „ვერ გა-

¹ შდრ. А. Н. Генко, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

² А. Н. Генко, იქვე.

ვიგე“, „ვერ ვიცანი“, აბადდერრა¹ „ურთიერთ-გაცნობა“, ძალზდრააჟედ“ „რა ვიცი!“ და სხვ.

ასევე ა-ბზგდა (ტაპ. ბზგდ) სიტყვის ფუძე ჩვეულებრივ მახვილმტკიცეა, მაგრამ ზოგ წარმოებაში აქაც გვაქვს მახვილის გადანაცვლების შემთხვევები, მაგ., ტაპ. დსგმაბზგდ „ის (ად) მე კარგი მეჩვენება“ და სხვ.

დახურულ მარცვალში ხმოვნად ხშირად გ ვვევლინება (შდრ. ა-თგფ, ა-ჰგს...), რაც გამოწვეულია ამოსავალი ა ხმოვნის გ-დ დავიწროებით. ეს პროცესი შესამჩნევი ხდება განსაკუთრებით მახვილიან გარემოში, შდრ. ა-ჰგს „ხზო“, ა-ჰარ(ა) „ხზოები“, უგბგს || უგბას (← *უაბასა) „ასე“, აფხ. დცარგნ ← ტაპ. დცარან „ის (ად) წავიდოდა“ და მრ. სხვ. ასეთი მონაცვლეობა ფართოდაა გავრცელებული, თუმცა ტაპანთურში ამ მხრივ ზოგჯერ უკეთ არის შემორჩენილი ფუძის ა ხმოვან-სახეობა (ზოგჯერ – პირიქითაცაა). ბევრი ასეთი დახურულ მარცვლიანი ტიპი ღია მარცვლიანი ტიპისაგან მომდინარე ჩანს, მაგ., ტაპ. ბზგდ ← აფხ. ა-ბზგდა, აფხ. უგს ← აბაზ. [ა]უასა „ასე“, „ამგვარად“ და სხვ.

ზემოთქმულის საფუძველზე აშკარაა, რომ ძირითადად განსხვავებულად ფორმდება (სახელისა და ზმნის) ფუძეები მახვილის მხრივ სხვადასხვა კატეგორიაში, იმისდა მიხედვით შედარებით მტკიცე ძირისეული მახვილი ახასიათებთ მათ, თუ – მოძრავი.

ამ მხრივ, ცხადია, განსაკუთრებით ცვალებადია მახვილი სხვადასხვა ფორმაში, როცა საქმე გვაქვს არამტკიცე მახვილიან ფუძეებთან (ძირებთან).

ს ა ხ ე ლ თ ა ფ უ ძ ე ე ბ შ ი: ზოგადობისა (და განსაზღვრულობის) ა-პრეფიქსს აფხაზურში არამტკიცე მახვილიან ფუძეებში (ძირებში) ზოგჯერ შესწევს ძალა მიიზიდოს მახვილი, ზოგჯერ – არა, მაგ., ერთი მხრივ, მახვილიანია – ჰ-ლა „თვალი“, ჰ-წლა „ხე“, ჰ-ხ-თა „სიცივე“, ჰ-მცა „ცეცხლი“, ჰ-ხ-ნცა „რცხილა“, ჰ-სას „სტუმარი“, ჰ-ყაფშ „წითელი“... მეორე მხრივ, – უმახვილოა ა პრეფიქსი: ა-ლს „ძალი“, ა-ჩადს „სახედარი“, ა-ცაფხან „გასაღები“, ა-ჩგ „ცხენი“, ა-მხგ „ყანა“, ა-წალს „თხელი“, ა-ფაწს „ულვაში“...

ტაპანთურში განსაზღვრულობის ა-პრეფიქსი უფრო მეტი ძალით არის აღჭურვილი: მას ორსავე რიგის ფუძეებში (და ასევე შედარებით მტკიცე მახვილიან ფუძეებშიაც) შეუძლია მიიზიდოს მახვილი.

კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ფორმაში ჰ-ლა, ჰ-წლა, ჰ-სას ტიპის ფუძეებში პირის ნიშნის მომდევნოდ გ ხმოვანი გვაქვს (თუ ფუძეს ა ხმოვანი არ შეერჩა!) და იგი უთუოდ მახვილიანია: სგლა „ჩემი თვალი“, ლგ-ლა „მისი (ქ)

¹ ტაპანთურში ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი ძირეულ-მახვილიანი სახეობაა – აბადდერრა – რაც გამოწვეულია აფხაზურისა და ტაპანთურის სათანადო ფუძეების ნაწილობრივ განსხვავებული შედგენილობით.

თვალი“... სგწლა „ჩემი ხე“, ბგწლა „შენი (ქ) ხე“... სგსას „ჩემი სტუმარი“, ძგსას „მისი (მ) სტუმარი“...

ნივთთა კატეგორიის ა- პრეფიქსთან შეხვედრისას გ ხმოვანი აღარ არის და მახვილიც ამ პრეფიქსზე მოდის – აჩ[გ] ა-ლა „ცხენის თვალი“ და სხვ.

პირველი პირის მრ. რ.-ში გ-ს სანაცვლოდ მახვილიანი ა ხმოვანია პირის ნიშნის თანმხლებად: ჰალა „ჩვენი თვალი“, ჰასას „ჩვენი სტუმარი“ და სხვ.

დანარჩენ ფუძეებში, ე. ი. როცა მახვილი მომდევნო ხმოვანზეა – ან ფუძის შიგნით, ან ბოლოს – კუთვნილებით ფორმაში პირის ნიშანთან მახვილი აღარ არის არც აფხაზურში, არც აბაზურში და პირ-კლასის სათანადო პრეფიქსებს ხმოვანიც (გ ხმოვანი) ჩვეულებრივ¹ აღარ ახლავს, შდრ. სლა „ჩემი ძაღლი“, ლლა „მისი (ქ) ძაღლი“, ჰჩგ „ჩვენი ცხენი“, ბლგმჰა „შენი (ქ) ყური“, რფგწწა „მათი ცხვირი“, ლგარა „მისი (ქ) აკვანი“, რთფ „მათი ადგილი“, შთფ „თქვენი ადგილი“, რცაფხა „მათი გასაღები“, ს(გ)მხგ „ჩემი ყანა“, ძ(გ)მხგ „მისი (მ) ყანა“ და სხვ.

ამკარაა ამ რიგის შემთხვევებში ურთიერთკავშირი მახვილის უკან (ან შუაში, ან ბოლოში) დასმასა და პირ-კლასის პრეფიქსთა მომდევნოდ ხმოვნის უქონლობას შორის კუთვნილებით ფორმებში.

მახვილის გადანაცვლების მხრივ საყურადღებოა ისეთი ფაქტებიც, როცა ორ ხმოვან-აფიქსთაგან (გარკვეული ტიპის ფუძეებში) და მო უკიდებლად არც ერთს არ შესწევს ძალა გადასწიოს მახვილი (თავისკენ), მაგრამ ერთად თავმოყრისას და გაერთიანებისას უკვე მახვილის მატარებელი ხდებიან, მაგ., მასდარის ზოგად ფორმაში ზმნა ა-თალარა („შიგ შესვლა“) მახვილს იღებს ფუძისეულ თა მარცვლის ხმოვანზე. ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსს (ა-თალარა) ამ შემთხვევაში არ შესწევს ძალა გადმოსწიოს მახვილი (იგი უმახვილოდ რჩება).

იგივე ზმნა გართულებული საურთიერთო-სათანაო აძც- პრეფიქსით ასევე მახვილის მიხედვით უცვლელ მდგომარეობას ავლენს, გვაქვს: ჰ-აძც-თაღეძტ („ჩვენ ერთად შევედით შიგ“). მაშასადამე, არც აძც- პრეფიქსს შესწევს ძალა გადმოსწიოს თავისკენ მახვილი.

მაგრამ როცა აძც- პრეფიქსს დაერთვის ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსი, რომელიც რთულ -თალა- ფუძეში ცალკე ვერ ახერხებდა მახვილის გადმოწევას, უკვე ამ ორი ა ხმოვნის (ა + აძც-) გაერთიანებით მიღებული ა ძალამოსილია გადმოწიოს მახვილი და ვიღებთ „აძცთალარა“-ს (← ა + აძცთალარა).

¹ გარკვეულ თანხმოვან-კომპლექსთა შეყრისას შეიძლება გ გამოჩნდეს პირის ნიშნის შემდეგ (იხ. ზემოთ, გ) ამ შემთხვევაშიაც, მაგრამ მას მახვილი არ ექნება.

მრავლობითი რიცხვის წარმოება მახვილის მხრივ შედარებით მტკიცე კანონზომიერებით ხასიათდება. იმავე მოძრავ მახვილიან ფუძეებში, როცა სახელს ზოგად ფორმაში მახვილი თავიკიდურად მოუდის (ალა, ა-სას სიტყვათა ტიპს), მრავლობითის სუფიქსებს (-ქა, -ცა) არ შესწევს უნარი გადაწიოს (მიიზიდოს) მახვილი. არის: ა-ლაქა „თვალეზი“, ა-სასცა¹ „სტუმრები“ და მისთ.

უძრავი რჩება მახვილი მრ. რ.-ში, მით უმეტეს, ფუძის შიგნით მახვილის მქონე ფუძეებში: ა-თფქა, ა-გარაქა, ა-ლქცა (შდრ. ა-ლქ „ქურდი“)... თუმცა მრ. რ.-ის სუფიქსის დართვისას მახვილის უძრაობის პირობებშიაც შეიძლება მხ. რ.-ის ფუძისეული უმახვილო ბოლოკიდური ა ჩავარდეს, შდრ. ა-ხწა („კაცი“), მრ. რ. ა-ხწცა (←ა-ხწაქა).

რაც შეეხება ბოლომახვილიან ღია მარცვლიან ფუძეებს ა-ჩა, ა-ლა, ა-ცაფხა... ტიპისა, მრ. რ. ფორმაში ძირეული მარცვლიდან მახვილი სისტემებზე გადაინაცვლებს მრავლობითის სუფიქსის ხმოვანზე: ალაქა, აცაფხაქა, აფაწაქა, აფაცა (შდრ. აფა „ძე“), აუსთაცა (შდრ. აუსათა „ოსტატი“, „ხურო“) და სხვ. (გვხვდება გამონაკლისიც: ათფქა „ქალიშვილი“, მრ. რ. – ათფქაცა, აფქა „ასული“, მრ. რ. – აფქაცა).

ამავე დროს დასტურდება გარკვეული კანონზომიერება ხმოვნის რედუქციის მხრივ: მრავლობითის სუფიქსზე მახვილის გადაწევისას მხ.-ის ფუძის დამახასიათებელი ბოლოკიდური გ ხმოვანი უთუოდ ამოვარდება: აჩგ ~ აჩქა, ანაპგ ~ ანაპქა, ამხგ ~ ამხქა, აფსგ, ბზ. აფს'გ („მკვდარი“) ~ აფსცა (აფს'ცა)...

ეს წესი საერთოდ მოქმედებს ენაში, როცა მახვილიანი მარცვალი მოსდევს ასეთ ფუძეს: უაქა („ახლა“) და აქედან მიღებული უაქაშთა (← უაქაგ-შთა) „აწ“, უაქატგ (← უაქაგ – ტგ) „ახლანდელი“ და მისთ. ერ-

¹ ა ს ა ს (ასაცა)-სა და მისი ტიპის ზოგ სიტყვას ა- პრეფიქსის უქონლობის შემთხვევაში ახასიათებს ბოლოკიდურ-მახვილიანი გ ხმოვანი – სასგ, (აბაზურში ის არის სალექსიკონო ფორმაც). ა ხმოვანზე წინ მახვილის გადაწევისას როგორც მხოლოდობითში, ასევე მრავლობითში უმახვილოდ დარჩენილი გ ხმოვანი გაუჩინარდება.

აქა-იქ ასეთი რედუქცია ბოლოკიდურ ა ხმოვანსაც მოსდის, მიუხედავად იმისა, რომ სუფიქსისეული მარცვალი მათში მახვილს არ გადასწევს, მაგ. აფხაზურში მხ. რ.-ში არის ამაშა („ძმა“), ამაშა („და“) – ამაშაქა (← ამაშაქა, ამაშაქა (← ამაშაქა-ცა), ა-ხწა („მწყემსი“), მრ. რ. – ა-ხწცა (←ა-ხწა-ცა), ა-თერქა („თურქი“), მრ. რ. – ათერქცა (←ათერქაქა)...

დასტურდება ამის საპირისპირო ფაქტებიც იმავე აფხაზურში. მხ. რ. აზ („მამა“), აზ („დედა“) სიტყვებში მოკვეცილია აუსლაუტის უმახვილო ა. უნდა ყოფილიყო: აზა, აზა (შდრ. ტაპ. აზა). იგი მრ. რ. ფორმაში აღდგება: აზა-ცა, აზა-ცა. დაახლოებით ასეთივე მოვლენა უნდა გვექნოდეს „აფხაზის“ სახელშიაც: მხ. რ. აფსტა (← *აფს'აქა), მრ. რ. აფს'ა-ცა || აფს'ა-ქა.

თგვარ გამონაკლისს ქმნის აბჟუურ დიალექტში (და სამწერლობო ენაშიაც) აძჰაბგ („უფროსი“ ← || აფზბ). მათში მახვილი გადაინაცვლებს მრ. რ.-ის სუფიქსზე და თან აღდგება ამ ფუძეთა დამახასიათებელი ა ხმოვანი: აძჰა-ბაცჳ, აფზბაცჳ (შდრ. || აფზბცჳ).

-კ ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ფ ო რ მ ა შ ი, როცა ჩამოშორებულია ზოგადობა-განსაზღვრულობის ა- პრეფიქსი, ფუძეს აღუდგება ის მახვილი, რაც აღნიშნულ პრეფიქსზე მახვილის გადაწევამდე უნდა ჰქონოდა და აღდგება ის ხმოვანიც (ჩვეულებრივ გ), რაც ამ მახვილის გადაწევის შედეგად იქნა გაუჩინარებული, მაგ., ძღაბკ (აძღაბ) „გოგონა“, წლაკ (აწლა), სასკკ (ასას)...

მახვილიანი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი აღდგება ისეთ სიტყვებში, როგორცაა: აბ, ან, აჰ („მთავარი“, „ბატონი“)... ~ აჰჰკ, აბგკ, ანგკ...

აბ, ან სახელებს ზემოთ დასახელებულ ა ბ ა, ა ნ ა-ს გვერდით უნდა ჰქონოდა აუსლაუტში უფრო ვიწრო ხმოვნური ა ბ გ, ა ნ გ ვარიანტები (შდრ. ტაპ. ანგ!). ისინი სწორედ ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსის გარეშე უნდა ყოფილიყვნენ ამ სახისა და სწორედ ეს სახეობა უდევს საფუძვლად განუსაზღვრელ -კ სუფიქსიანი ფორმასაც (აბგკ, ანგკ). აჰ სიტყვაშიაც ამოსავალ ფუძედ ბოლო ა ხმოვანიანი სახეობაა სავარაუდებელი.

ამავე რიგს განეკუთვნება აჰკჳ („ყმაწვილი“, „ბიჭი“). ამ სიტყვაში ზოგადი ფორმის ა პრეფიქსზე მახვილის გადაწევამდე უნდა ყოფილიყო იგი ფუძის შიგნით გ ხმოვანზე, ხოლო ფუძის ბოლოკიდურად უნდა გვექონოდა ა ხმოვანი. იგი შემოინახა სწორედ -კ სუფიქსიანმა განუსაზღვრელმა ფორმამ – აჰკჳნაკ (შდრ. ტაპ. აჰკჳნკ). ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში სუფიქსი -აკ-ის სახით არის დართული, რაც ძნელი სარწმუნოა. რომ აქაც ეს სუფიქსი -კ-ს სახით გვევლინება და ამოსავალი ფუძე აჰკჳნა იყო, ცხადი ხდება ამ სიტყვის პრედიკატიული ფორმით – დჰკჳნო-ჟჰ ← დჰკჳნა-ჟჰ „ის ყმაწვილია“ – და ზოგი სხვა გამოთქმითაც, შდრ. მიმართვისას – აჰკჳნა-ხჰკჳ! – „ბიჭუნავ!“...

შედარებით მტკიცემახვილიან ფუძეებსა და ბოლო ხმოვანმახვილიან სიტყვებს ეს სუფიქსი მარტივად -კ-ს სახით ერთვის (შდრ. თგფ-კ, ხაწა-კ, ლაბა-კ... იშვიათ შემთხვევაში ამოსავალი ხმოვანი შეიძლება უკეთ იყოს დაცული, მაგ. აჩანგ „იმ დღეს“, მაგრამ – ჩანა-კ „ერთ დღეს“).

ასევე მრ. რ. ფორმაში შენარჩუნებულია სათანადო მრ. რ. ფუძისთვის დამახასიათებელი მახვილი – წლაჟჳ-კ, ხაგჳჟჳ-კ...

რამდენადაც თვით ეს -კ სუფიქსი წარმოშობით უკავშირდება „ერთის“ გამომხატველი რიცხვითი სახელის ა-კჰ ← ა-ჰ ფუძის -კჰ (← -კა) ელემენტს, ზოგჯერ (ჩვეულებრივ თანხმოვანთა შეყრისას) იგი შესაძლოა დაერთოს ხმოვნითურთ და შეინარჩუნოს თავისი მახვილიც, რის გამოც გვხვდება ასეთი ფორმებიც: მ(გ)შკჰ „ერთ დღეს“ (შდრ. აშშ „დღე“), მ(გ)ზკჰ (შდრ. მგზჰ „ერთ თვეს“ (შდრ. აშშ „თვე“)... ამავე დროს იშვიათი

არაა წინამავალი **გ** ხმოვნის კვლავ რედუქცია, მაგ., აბკჳ, შდრ. აბკჳ „(ვინ-მე) მამა ერთი“...

-**კ** სუფიქსი ოდენ ერთეულის გამოსახატავად შეიძლება დაერთოს სახელს. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ სახელის **ა**- განსაზღვრულობის პრეფიქსია გამოყენებული. შესაბამისად მახვილიც ისეთივე იქნება, რაც აღნიშნული ფორმისთვისაა დამახასიათებელი და -**კ** სუფიქსი მახვილში ცვლილებების გარეშე დაერთვის: ან(გ)ზკ („ერთი თვე“ განსაზღვრ.), აწლა-კ, ათგფ-კ და ა. შ.

ასეთი წარმოებები გავრცელებულია ტაპანთურში, თუმცა უცხო არც აფხაზურისთვისაა.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ - გ ა რ დ ა ქ ც ე ვ ი თ ფორმაში ის მახვილი შერჩება ფუძეს, რაც **ა**- პრეფიქსის გარეშეა მოსალოდნელი, როცა ეს ფორმა ნაწარმოებია აფხაზურში -**ს** სუფიქსით (ჩვეულებრივ), ან ტაპანთურში (ზოგჯერ აშხარულშიაც -**(შ)თა** სუფიქსით: ფა-ს ფა-(შ)თა, აბგ-ს, აბა-(შ)თა, ხაწა-ს, ჯაწა(შ)თა, სასგ-ს, სასგ-(შ)თა...

აშხარულ დიალექტში (ძირითადად კუვინსკის კილოკავში) და ზოგჯერ აფხაზურის დიალექტებშიაც ამავე ფუნქციით გამოდის -**ნგ** სუფიქსი. იგი ჩვეულებრივ (ეს უფრო მოძრავი მახვილის მქონე ფუძეებშია შესამჩნევი) მახვილს მიიზიდავს: წლა-ნგ, ფა-ნგ, სას-ნგ...

ტაპანთურში ი ნ ს ტ რ უ მ ე ნ ტ ა ლ ი ს ი ს, უ ქ ო ნ ლ ო ბ ი ს სუფიქს-ნაწილაკთა -**ლა**, -**და** (-**დცა**) დართვისას სახელს ის მახვილი შერჩება, რაც ამოსავალ ფუძეს აქვს (განსაზღვრულობის **ა**- პრეფიქსის გარეშე)¹. ეს წესი ტარდება აფხაზურშიაც, როცა სათანადო სუფიქსები უშუალოდ, შესაბამისი კუთვნილებითი პრეფიქსების გარეშე მიერთვის ფუძეებს: წლა-ლა, რახგ-ლა (არახ⁰ || რახგ⁰ „საქონელი“, „ნახირი“), ჩგ-ლა, შაპგ-ლა, წლაქა-ლა...; წლან-და, ჩგ-და, ჩქა-და და მისთ.

ტაპანთურისაგან განსხვავებით აფხაზურში -**ლა**, -**და** ელემენტები დამოუკიდებლად, პირის კუთვნილებითი პრეფიქსებით ფორმდებიან; აღარ არიან დაკავშირებული სახელის მახვილთან და, ბუნებრივია, მასზე გავლენასაც არ ახდენენ: აწლაქა რგლა („ხეებით“ – „ხეები მათით“), აწლაქა რგდა („უხეებოდ“ – „ხეები უმათოდ“)... ოღონდ, როცა მხ. რ. მესამე პირში **ა** (ან: **გ**) ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე შეხვდება ნივთთა კატეგორიის კუთვნილების **ა**- პრეფიქსის მქონე ინსტრუმენტალისისა და უქონლობის ელემენტებს, კიდურ ხმოვანთა შერწყმის საფუძველზე ისინი

¹ ზოგჯერ ნორმიდან გადახვევის შესახებ იხ. ა. გ ე ნ კ ო, დასახ. ნაშრ., გვ. 65, შდრ. აფხაზურშიაც: მშ-ლან „დღიურად“ (აშშ), ცგ-ლან „მეტად“ (← „ცუდად“), შდრ. ანგ-ლან „ცუდი“; შთახ-ლან „უკან“ (აშთახ- „უკან“, „ბოლოს“), მამალა „საიდუმლოდ“ (შდრ. ამაბა „საიდუმლო“, უჰ-ლან (საუბრ.) „უკანით“, კუდში“ (შდრ. აჰჰ „უკანა ნაწილი“), თუმცა არის უღ-ლან „წყვილად“, „ულლად“ (შდრ. აჰღ „უღელი“) და სხვ.

გაერთიანდებიან – ჩვეულებრივ წინამავალი ხმოვნის რედუქცია-შერწყმით – და მახვილიც საერთო ექნება – დარჩება სახელის მარტივი ფუძის მახვილი: აჟაჟგ აჟჟალა დედღგრკააჟედტ, აჩადა ალგმჰალა – ანდაზა – „ადამიანს მისი სიტყვით იცნობენ, სახედარს – მისი ყურით (შდრ., ალგმჰა „ყური“, აჟჟა „სიტყვა“), ტაპ. აგაძა ანაპალა ამათ რკჟედტ – ანდაზა – „სულელის ხელით გველს იჭერენ“ (შდრ. ანაპჟ „ხელი“), ზზგ-ხაალა ცაფხადა აზაა აშ ააჟგრტჟედტ – ანდაზა – „ტკბილი ენით უკლიტოდ კარს გააღებ“ (შდრ. აცაფხა „კლიტე“)...

თანდებულო, რომელიც მარტივად მიერთვის (მაგ. -ყა, -ნძა, -ძა...) სახელის ფუძეს (ამას მეტწილად ზმნისართებში აქვს ადგილი) სიტყვის ამოსავალი ფუძის მახვილში ჩვეულებრივ ცვლილებებს არ იწვევს: არაყა „აქ“, „აქვე“ აზნგ-ყა „მინ“, ჟოწგ-ნძა „ხვალამდე“...

როცა გამოყენებულია კუთვნილებითი პრეფიქსებით გაფორმებული „თანდებულები“, რამდენადაც ისინი ცალკე „სიტყვის“ სახით წარმოდგებიან, არავითარ გავლენას არ ახდენენ სახელის მახვილზე: აფჰგსბა ლყნგ, ტაპ. (ა)ფჰგსფა ლფნგ „ქალიშვილთან“ (= „ქალიშვილი მასთან“), აფჰგსბა ლზგ, ტაპ. აფჰგსფა ლგჯაზ „ქალიშვილისთვის“ („ქალიშვილი მისთვის“) და მისთ., ოღონდ ნივთთა კატეგორიის სახელებში მესამე პირის მხ. რ.-ში კუთვნილებითი ა-პრეფიქსის არსებობისას (როგორც ზემოთ ინსტრუმენტალისისა და უქონლობის ფორმებთან დაკავშირებით ვნახეთ) თუ სახელი ხმოვნით (ა, გ) მთავრდება, ხდება სახელისა და თანდებულის კიდურ ხმოვანთა შერწყმა და მიიღება გაერთიანებული ერთი ა ხმოვნიანი ფორმა, მაგრამ მახვილს სიტყვა მიიღებს თანდებულისას, როცა თანდებული უერთდება ღია-მარცვლიან ბოლო-მახვილიან სახელს – ათძაყნგ „კედელთან“ (ტაპ. ათძაფნგ „სახლთან“), შდრ. ათძგ („კედელი“, „სახლი“), ალაბაზგ „ჯოხისთვის“ (შდრ. ალაბა), ანაპაჰგ „ხელში“ (შდრ. ანაპჟ) და მისთ.

დანარჩენ შემთხვევებში სიტყვის ფუძეს შერჩება თავისი მახვილი, თუმცა, ერთდროულად ხშირად ისმის თანდებულის მახვილიც, რამდენადმე უფრო შესუსტებული: ალგმჰაჰგ, ალგმჰაყნგ „ყურში“, „ყურთან“ (შდრ. ალგმჰა), ამათაზგ „ტანსაცმლისთვის“ (შდრ. ამათა „ტანსაცმელი“)...

ცალკეულ შემთხვევებში (უფრო ზმნისართებში), პირიქით, თანდებულისეული მახვილი შეიძლება ისმოდეს უფრო ინტენსიურად, მაგ., აჯადაზგ „ზემოთ“, „ზემოთკენ“ (შდრ. აჯადა „ზემოთ“), ალადაზგ „ქვემოთ“, „ქვემოთკენ“ (შდრ. ალადა „ქვემოთ“), აშთაზგ „შემდგომ“, „მერე“ (შდრ. || აშთაზ „შემდეგ“) და სხვ.

სასაუბრო ენაში არც თუ იშვიათად თანდებულისეული გ ხმოვანი მახვილის შესუსტების გამო შეიძლება სულაც გაქრეს (მაგ., ამათაზგ → ამათაზგ[ე]...).

შესაბამის პირობებში ზემოთ განხილული ცვლილებები ხდება რომელიმე სხვა ნაწილაკთა სახელის ფუძის დართვისას ან სიტყვათა გაერთიანებისას, მაგ., კავშირ-ნაწილაკი - გ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ მი ი ზ ი დ ა ვ ს მ ა ხ ვ ი ლ ს მ ხო ლო დ ი მ ს ი ტ ყ ვ ა თ ა და ფორმათაგან, რომელთაც ბოლოკიდურ ხმოვანზე მოუდის მახვილი, მაგ., აჩა „პური“ – აჩაგ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ „პურიც“, ალაბა „ჯოხი“ – ალაბაგ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ „ჯოხიც“, ანაპგ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ „ხელიც“ (შდრ. ანაპგ)... ხშირად რედუქცია მოსდის არა მარტო გ ბოლოკიდურ ხმოვანს ამ შემთხვევაში მახვილის გადაწევისას, არამედ ა-საც: ლარგ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ „ისიც (ქ)“ (შდრ. ლარა „ის (ქ)“), უარგ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ „შენც (მ)“...

დანარჩენ შემთხვევებში - გ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ ნაწილაკს არ შეუძლია ძირითადი მახვილის თავისკენ გადაწევა, მაგ.: აფხ. ამცაგ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ „ცეცხლიც“ (შდრ. ამცა „ცეცხლი“), აკ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ „უნაგირიც“ (შდრ. აკ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ „უნაგირი“) და სხვ.

ზ მ ნ უ რ ფ ო რ მ ე ბ შ ი :

მახვილის მოძრაობის მხრივ დიდ სირთულეს ქმნის ზ მ ნ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ე ბ ი (რა თქმა უნდა, ეს პირველ ყოვლისა ვრცელდება ადვილად მოძრავ მახვილიან ფუძეებზე), რამდენადაც მათში წარმოდგენილია ფორმათ ცვლისა და ფუძეთა წარმოების სხვადასხვა ელემენტები, რომელთა მახვილის გადაწევის უნარი სხვადასხვა კომბინაციაში განსხვავებული გამოდის.

საერთო წესია ყველა დიალექტისათვის: ზ მ ნ ი ს ფ უ ძ ე ე ბ ს, რომელთაც მასდარისეულ - რ ა ს უ ფ ი ქ ს ი ს ხ მ ო ვ ა ნ ზ ე მოუდის მახვილი, პირიან ფორმებში ფუძის ბოლო (დია) მარცვალზე აქვს მახვილი (ე. წ. თანხმოვანზე დაბოლოებულ, ან ცალთანხმოვანი ძირებს სათანადო პირის ფორმებში გ ხმოვანი გამოაჩნდება).

ეს არის ზმნური ფუძის ძირითადი მახვილი. იგი თავს იჩენს აორისტიში, I მყოფადში, ნამყო განუსაზღვრელში, ბრძანებითის ფორმებში... და საერთოდ შედარებით მარტივი აგებულების დრო-კილოთა ფორმებში, მაგ., აბარა („ნახვა“, „დანახვა“), აორისტი – დგამედტ (ტაპ. დგამატ) „ის (ად) მან (მ) ნახა“, აპ ო ვ თ ა ვ ი ს კ ე ნ „თქმა“; დგლჰედტ (ტაპ. დგლჰატ) „მან (ქ) ის თქვა“...

ეს წესი გატარებულია ჩვეულებრივ (ბუნებრივია, იგი სისტემებზე გვხვდებოდა მარტივ ზმნურ ფუძეებში), თუ, რა თქმა უნდა, იგივე ფუძე ზმნისა არ იქნა გართულებული სხვა რომელიმე პრეფიქსული (ან უფრო იშვიათად, – სუფიქსური) ელემენტით, თუნდაც ხშირად ახალი პირის ნიშნითაც კი. შდრ.: ერთი მხრივ, ათაფსარა („ჩაცვენა“) – ათაფსედტ „ჩაცვივდა“ და, მეორე მხრივ, ათაფსარა („ჩაცვენა“) – ათაფსედტ (||ათაფსედტ) „მან (მ) ის ჩაყარა“ და მისთ.

ამ მხრივ შეინიშნება ერთგვარი კანონზომიერება: რთული ფუძის მქონე ზმნებში პირიანი ფორმების წარმოებისას ხშირად მახვილი მოუდის პირველი, პრევერბისეული კომპონენტის ხმოვანს, როცა მას სუბიექტის ნიშანი მოჰყვება ხოლმე. გასაგებია, ეს ჩვეულებრივ ეხებოდეს გარდაამავალ ზმნებს, შდრ. აჯაშარა („გაკვივრება“), მაგრამ – **იჯად-შედტ** || **იჯედშედტ** „მან (მ) გაიკვირვა ის“, ანწარა „ზედ დადება“ – **დანტწედტ** – „მან (მ) ის ზედ დადო“, აფხაწარა „გაგდება“ („გაძევება“) – **დღფხააწედტ** – „მან (მ) ის (ად) გააგდო“, ანყარა („მიჯახება“) – **დანტყედტ** – „მან (მ) ის (ად) მას მიაჯახა“, აკათარა („დაღვრა“) – **იკადთედტ** – „მან (მ) დაღვარა ის (ნ)“.

იგივე ზმნები, როცა გარდაუვალი შინაარსით გამოიყენება და, მაშასადამე, პრევერბისეული პირველი ნაწილის შემდეგ სუბიექტის ნიშანი არ დაისმის, მახვილს ფუძის ბოლო ხმოვანზე ინარჩუნებენ. შდრ.: აკათარა („დაღვრა“ გარდაუვ.) – **იკადთედტ** – „ის დაიღვარა“, ანყარა („მიჯახება“ გარდაუვ.) – **დანტყედტ** – „იგი (ად) მას (ნ) მიეჯახა“ და მისთ.

მრავლისაგან მრავალია ისეთი შემთხვევა, **ზ მ ნ ის ფ უ ძ ი ს ე უ ლ ბ ო ლ ო ხ მ ო ვ ა ნ ს ა ფ ხ ა ზ უ რ შ ი მ ა შ ი ნ ა ც მ ო უ დ ი ო დ ე ს მ ა ხ ვ ი ლ ი**, როდესაც მასდარის ფორმაში მახვილი აქვს არა მასდარისეულ-რა სუფიქსს, არამედ ზოგადი ფორმის **ა-** პრეფიქსს:

ანასკარა („იქით გაწევა“) – **დნასკედტ** „მან (ად) იქით გაიწია“;

კვაპარა („მოზელა“) – **დღლკვაპადტ** „მან (ქ) ის მოზილა“;

კვაბარა („დაბანა“) **დღლკვაბედტ** (მან (ქ) ის (ად) დაბანა);

სლაწარა („თესვა“) – **დღლედწედტ** „მან (მ) ის (ნ) დათესა“;

სლაგარა („ფქვა“) – **დღლაგედტ** „დაფქვეს ის“;

სლაშცარა („დაბნელება“) – **დღლაშცედტ** „დაბნელდა“;

სნაგმარა („მოთავება“, „დასრულება“) – **ინეგმედტ** მან (მ) ის დაამთავრა“ და სხვ.

აქაც ზმნის პირიან ფორმას შენარჩუნებული აქვს თავისი მახვილი, ხოლო მასდარის ფორმას მახვილი წინ გადაუწევია. მახვილის წინ ასეთი გადაწევის მოტივაცია თითქოს არა ჩანს. ერთი კი აღსანიშნავია, რომ მეტწილად მახვილის მოძრაობის ეს ტიპი მრავალმარცვლიან ფუძეებს ხვდება.

საგულისხმოა, რომ ტაპანთურ დიალექტში, სადაც მასდარის ფორმას **ა-** პრეფიქსი არ სჭირდება, ამ შემთხვევაშიაც მახვილის მხრივ იგივე ტიპია, რაც ზემოთ განხილულ პირველ შემთხვევაში გვქონდა, ე. ი. ამ ზმნებშიაც მახვილი მასდარის-რა სუფიქსის ხმოვანს მოუდის, შდრ. ლაგარა („ფქვა“), ლაწარა („თესვა“), ნასკარა („გაწევა“), კვაბარა („ბანა“) და სხვ.

არის დიდი წყება ზმნებისა, რომელთაც როგორც პირის, ისე მასდარის ფორმაში მახვილი წინ, ანლაუტის ა ხმოვანზე დაესმის:

სგხარა („დაკლება“) – **დღგხედტ** „მას (ქ) დააკლდა...“;

ავსრა („გვერდით ჩავლა“) – დავსგმტ „მან (ად) გვერდით ჩაუარა მას“;

ათჳარა („შებერვა“) – დათჳედტ „მან (ად) შეუბერა მას“;

ადგარა („დაწყება“) – დალაგედტ „მან (ად) დაიწყო ის“;

ალაწარა („ჩასმა“, „ჩარჭობა“) – დრგლედწედტ „მან (მ) ის მათში ჩასვა, ჩარჭო“;

ასრა („ცემა“, „დარტყმა“) – დტგსგმტ „მან (ად) შენ (მ) გცემა“;

ათარა, ტაპ. ათრა („მიცემა“) – დლგლთედტ „მან (ქ) მისცა ის“ და სხვ.

აქ უკვე პრინციპში სხვაობა აღარ გვაქვს დიალექტთა შორის (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კერძოული ხასიათის ცვლილებებს ამა თუ იმ ფუძეში). აღნიშნულ ზმნურ ფუძეებს ახასიათებს პრეფიქსული ელემენტი (ჩვეულებრივ ეს სამიმართებო პრეფიქსია). დასახელებულ პრეფიქსს კი შესწევს უნარი მიიზიდოს მახვილი.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ მოყვანილ ზმნათა ფუძეებში მახვილი წინ არის გადმოწეული (საფიქრებელია, – ზმნური ფუძის ბოლოკიდური ხმოვნისა, შდრ. ერთი მხრივ, აფხ. ალაწარა, ტაპ. ლაწარ – აფხ. დლედწედტ, ტაპ. დლედწატ „მან დათესა“ და, მეორე მხრივ, – ალაწარა – აფხ. დრგლედწედტ, ტაპ. დრგლადწატ „მან (მ) ის მათში ჩასა...“ და სხვ.

თუ სათანადო მახვილის გადამწევი პრეფიქსი (-ან სუფიქსი) არა, დასახელებულ ზმნათა ფუძეებსაც ამოსავალში ის მახვილი უნდა ჰქონოდა, რაც შედარებით მარტივი ფუძისათვის იყო დამახასიათებელი, ე. ი. მახვილი მოუდიოდა ძირეულ ღია მარცვალს. ამისდა კვალობაზე გამოდის, რომ მახვილის მხრივ განხილული ტიპის ზმნათა ამოსავალ ფუძეში საერთო სურათი გვქონდა, განსხვავებული ვითარება მიგვიღია: 1. ყველა დიალექტში ერთნაირად ფუძის გართულებისას გარკვეული აფიქსებით (ეს აფიქსებია: მთელ რიგ შემთხვევაში სიტყვაწარმოებითი პრეფიქსები: მიმართულების, ქცევის, პოტენციალისის, უნებურობის, კაუზატივის და მსგავს კატეგორიათა პრეფიქსები, რომლებიც წინ გადმოწევენ მახვილს; გარკვეულ შემთხვევებში მასდარისეული -რა სუფიქსი, დროისა და კილოთა მაწარმოებელი სუფიქსები..., რომლებიც ძირიდან უკან გადასწევენ მახვილს – მეტ-ნაკლები დიალექტური სხვაობით – შდრ. აფხ. აწმყო, დცა-ჴედტ¹ „მიდის“, დღლბა-ჴედტ „ის (ქ) მას (ად) ხედავს“, ნამყო უკვეობითი – აფხ. დღლბახ-ედტ, ტაპ. დღლბახ-ატ „ის (ად) მან (ქ) უკვე ნახა“...; 2. დიალექტების მიხედვით განსხვავებული, – მაგ.: ზოგადი, სალექს. ფორმა აფხ. ალაგარა, ტაპ. ლაგარ „დაფეკა“ და მისთ.

¹ ტაპანთურში სხვა ფონეტიკური ცვლილებებიც მოსვლია აწმყო სუფეს, შდრ. დციტ ← *დცგ-ჴგ-მტ ← დცა-ჴა-მტ...

ავხაზურში მასდარის ფორმაში ა- პრეფიქსზე მახვილის გადმონაცვლება (როცა სხვა შემთხვევაში მახვილი შერჩენილია ძირისეულ ბოლო ხმოვანზე) შედარებით ახალი მოვლენა უნლა იყოს.

რაც შეეხება იმ ზმნათა ფუძეებს, რომელთაც შედარებით სტაბილური მახვილი ახასიათებს, ე. ი. როცა მახვილის მატარებელი ფუძისეული ხმოვანი თანხმოვანთ შორის არის მოთავსებული (ადგრა „ცოდნა“, აგღლარა „ადგომა“, აცაჟარა „ლაპარაკი“, აკნაჰარა „ჩამოკიდება“, ახგფარა (ტაპ. ჯგფარა) „გადახტომა“...). აქ, ან წარმოშობით მტკიცე მახვილიანი ფუძე გვაქვს დ გ რ - ტიპისა, ან კიდევ ჩვეულებრივ რთული შენაერთი ფუძეებია, რომელთა შემადგენელ ნაწილებს ცალ-ცალკე უნდა ჰქონოდათ თავთავიანი მახვილი, ისევე როგორც ეს გვაქვს კომპოზიტ სახელთა ფუძეებში (იხ. აქვე, გვ. 108-111), ოღონდ გაერთიანებისას ერთ-ერთმა მათგანმა, აღნიშნულ (ამჟამად უკვე მტკიცე მახვილიანი) ფუძეებში კი წინამავალმა კომპონენტმა შეინარჩუნა მახვილი, ხოლო მეორე კომპონენტს ჩამოშორდა იგი, შდრ. ა-ხგ, ტაპ. ჯა „თავი“ (განზოგადებულად „ზე“) და - ა-ფარა „ხტომა“ (დ-ფედტ „გადახტა“) და ახალი რთული ზმნა - ა-ხგფარა „ზედ-გადახტომა“, გადაცილება“.

მახვილის მიხედვით ასეთი ცვლილება მეორე კომპონენტს სრულიად ბუნებრივია, მაშინ უფრო მოსვლოდა, როცა მას შედარებით ვიწრო და უფრო სუსტი (თუნდაც მახვილიანი) გ ხმოვანი ჰქონდა. ამ გზით წარმოიქმნა შედარებით ნაკლებ მერყევი ზმნური ფუძე - ხშირად დახურულმარცლიანი (მეორე კომპონენტის ხმოვნის უმახვილობით გამოწვეული რედუქციის შედეგად).

იმ შემთხვევაში კი, როცა ასეთი თხზული ფუძის დროს მეორე (ბოლო) წევრმა შეინარჩუნა მახვილი, წარმოიქმნა ადვილად მოძრავ მახვილიანი ფუძეები.

2. **თანამახვილი.** გავრცობილ ფუძეებს ჩვეულებრივ ერთი ძლიერი მახვილი აქვს, თუმცა არაიშვიათად მრავალმარცვლოვან ნაწარმოებ ფუძეში შეინიშნება თ ა ნ ა მ ა ხ ვ ი ლ ი. ჩვეულებრივ იგი მოუდის იმ ხმოვანს, რომელიც ფუძის ამოსავალ სახეობაში ძლიერი მახვილის მატარებელი იყო. ასეთ შემთხვევაში ამოსავალი ფუძის მახვილიანი ხმოვანი მახვილის გადაწვევისას სრულიად უმახვილოდ დარჩენილი, ჩავარდება (შდრ. მაგ., დალზდრააჟედ ← დალზდგრააჟედ, ტაპ. სედდრგუმა - ტ. ტ. 12,3 - სა-დ([ზ]დგრგუ(ა)-მა „რა ვიცი!“ და მისთ.), ან კიდევ შეინარჩუნებს ნაკლები სიმძლიერის თანამახვილს, მაგ., აჟგღლარა „ზედ-დგომა“ (შდრ. აგღლარა „დგომა“) და მისთ.

3. **სინტაგმური მახვილი.** როცა წინადადების შემადგენელი წევრები თავისი შინაარსით მჭიდროდ დაკავშირებულნი აღმოჩნდებიან ერთმანეთთან (რაც ხშირად ხდება მსაზღვრელ-საზღვრულის, ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების, ცალკე გაფორმებული თანდებულე-

ბისა და ზმნისართების და სხვა მეტყველების ნაწილთა სახელთან თუ ზმნასთან უშუალო შეხვედრისას), ცალკეული სიტყვის მახვილი კარგავს თავის გამოკვეთილობას და მეზობლად მდგომი სიტყვები გაერთიანდება ერთი მთავარი მახვილით. ამ ნიადაგზე ხშირი მოვლენაა წინამავალი სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნისა და მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის (ან დიფთონგის) ცვლილებები (რედუქცია, ასიმილაცია, შერწყმა).

აქ ზოგადად ისეთივე პროცესები იჩენს თავს (როგორც მახვილის, ისე მეზობელ ხმოვანთა ცვლილებების თვალსაზრისით), როგორსაც ადგილი აქვს რთულ ნაწარმოებ სახელისა თუ ზმნის ფუძეებში.

მაგალითად:

აფხ. დარანცა (= დარა ანცა) „როცა ისინი წავიდნენ“.

აფხ. აფქაფა (= აფა ეფა) „უმცროსი ვაჟი“.

აბაზ. წაფხამათა (= წაფხა ამათა) „კლიტე ედო ჰქონდა“ რა მას“.

აბაზ. რეფნაჰაჰტ (= რეფნაჰაჰტ) „მან (მ) მათთან თქვა“...¹.

აღნიშნული მოვლენა განსაკუთრებით თვალში საცემია სასაუბრო ენაში (თანაც საუბრის ჩქარი ტემპის დროს).

4. მახვილი კომპოზიტებში. რთული სიტყვის შემადგენელი ყოველი წევრი, დამოუკიდებლად აღებული, მახვილის მატარებელია, ოღონდ კომპოზიტად გაერთიანებისას ჩვეულებრივად ერთი წევრის მახვილი რჩება რთულ სიტყვაში.

ძალზე იშვიათია ისეთი გაერთიანება ორი სიტყვისა, როცა ორივე სიტყვის მახვილი თითქმის თანაბრად ისმოდეს, როგორცაა, მაგ., აფხ. ამცა-შარტრა „ტემპერატურა“ (ავადმყოფისა), შდრ. ამცა „ცეცხლი“ და აშარტრა „სიციხე“, „პაპანაქება“, ან ზოგჯერ (ნაწილობრივ) განმეორებული ფუძეები – აკა-შა-მგა „ირგვლივ“, ააგ-ააგ-ჰა „ძლივ-ძლივობით“...

შემორჩება ერთი საერთო მახვილი რთულ სიტყვებში როგორც მეორე წევრისა, ისე პირველი წევრისა, ოღონდ აქ (რიგ შემთხვევაში) გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომელი შემადგენელი წევრის მახვილია შედარებით ნაკლებ მოძრავი.

შ ე რ ჩ ე ნ ი ლ ი ა მ ე ო რ ე წ ე ვ რ ი ს მ ა ხ ვ ი ლ ი .

ამჯადგუ „შარა (გზა)“ = „დიდი გზა“: ა-ამჯა „გზა“, ა-დგუ „დიდი“.

აბნატრა „ტევრი“ = ტყე-ტევრი“; აბნა „ტყე“, „-ტოურა“ იგივე სიტყვაა, რაც ქართ. ტ ე ვ რ ი ².

ასასგაშ „სასტუმრო ჭიშკარი“: ასას „სტუმარი“, აგაშ „ჭიშკარი“³.

¹ А. Н. Генко, დასახ. ნაშრ., გვ. 66-67; ქ. ლ. ო. მ. ა. თ. ი. ძ. ე. ტაპ. დ., გვ. 48-52.

² ტ ე ვ რ ფუძეს აფხაზურში უნდა მოეცა ჯერ *ტ ა ტ რ [ა], ხოლო შემდეგ ასიმილაციის გზით – ტ ო ტ რ ა.

³ მოყვანილ კომპოზიტებში პირველ ან მეორე წევრად შემავალი კომპონენტი ხშირად თვით არის კომპოზიტური წარმომავლობისა.

ამშჳჳგს „დათვის ბელი“: ამშჳ „დათვი“, აჳჳგს („ბელი“) < „ხბო“.

ამაყჳჳჳჳჳჳრა (ტაჳ. მჳჳჳჳჳჳჳჳრა) „წელი“ = ქამრის შესაკრავი“: ამაყა (ტაჳ. მჳჳ) „ქამარი“, ა-ჳჳჳჳჳჳრა „შეკვრა“, „შესაკრავი“...

აჩადჳჳგს (ტაჳ. ჩადა-ჩგრ) „ჩოჩორი“: აჩად „სახედარი“, აჳჳგს „ხბო“ (ტაჳ. ჩგრ „შვილი პატარა“).

ამზათგ „ბადრი მთვარე“, „სავსე მთვარე“: ამზა „მთვარე“, ათგ „სავსე“ (თუმიტა შდრ. ამზათგმთა „ბადრი მთვარე“, ამზა-ჳჳ „ახალი მთვარე“: ამზა „მთვარე“, აჳჳ – „ახალი“).

ალაბაჳა, ტაჳ. ლაბაწს, ლაბაწსჳ „წვრილი ჯოხი“, „წკეკლა“: ალაბჳ „ჯოხი“, აჳა, ტაჳ. წს „წვრილი“.

ალაბა-კჳჳჳ „მოკლე ჯოხი“: ალაბჳ „ჯოხი“, აკჳჳჳ „მოკლე“.

აყარმწაწს „ბულბული“ – „სვიას ჩიტი“: აყარმ „სვია“, აწს „ჩიტი“.

ამაღრა-თშჳ „ვიწრო სახელო“: ამაღრა „სახელო“. ათშჳ „ვიწრო“.

აჳგთრათგ, ტაჳ. აჳთრალგწ „ბოსტნეული“: აჳგთრა (ტაჳ. აჳთრა) „ბოსტანი“, ზმწ. ფუჳე -თგ- „ამოღება“ (ტაჳ. – ლგწ- „გამოსვლა“).

აჳჳჳგს „ადამიანის შვილი“ = „ადამიანის სული“: აჳჳჳგ „ადამიანი“, აფსგ „სული“.

აჳჳსგჳ „ცხვრის ტყავი“: აჳჳს „ცხვარი“, აგჳჳ „ტყავი“.

აჳჳჳგჳჳ „ქეჩა“, „თეჩა“: აჳჳჳ „ნაბადი“, აგჳჳ „ტყავი“.

აჳჳსარგმჳ „ირმის ნახტომი“: აჳჳს „ცხვარი“, სარგჳ „გზა“ (რგმჳ „მათი გზა“).

აგჳრდაღგ „ტახტი“ = „საწოლის ფიცარი“: აგჳრთა „სამინებელი (ადგილი)“, „საწოლი“ (აგჳრთა „ქვეშაგებელი“), აღგ „ფიცარი“.

აჩგჳჳჳჳგა „სამურველი“: აჩგ „ცხენი“, აჳჳჳჳგა „სავარცხ(ნ)ელი“ („ფოცხი“).

ამჳჳჳჳჳჳარ „შემის ჳრა“, ამჳჳჳ „შეშა“, აფჳარ „ჳრა“.

ასგბგრა „თოვლის ჳვაგი“: ასგ „თოვლი“, აბგრა „ჳვაგი“, „მეწყერი“.

ალაჳარჳ „ლეღვის ტკბილისკვერი“: ალაჳჳ „ლეღვი“, –რჳ „გამხმარი“.

აჳრათაგლარა, ჩაგრაათაგლარა „მოსავლის, ჳირნახულის აღების (დრო)“: აჳრა, აჩაგრა „ჳირნახული“, „მოსავალი“, ათაგლარა – „შელაგება“ („მოსავლის, ჳირნახულის აღება“) და სხგ.

კ მ პ ო ზ ი ტ ს ა ქ ვ ს პ ი რ ვ ე ლ ი წ ე ვ რ ი ს მ ა ხ ვ ი ლ ი .

ანგშჩა „მენავე“ = „ნავის მწყემსი“: ანგშ „ნავი“, ანჩა „მწყემსი“.

ატგმჳჳარა „უცხო ადგილი“, ატგმ „უცხო“, ჳარ „ერთგან“, „ერთ ადგილას“, „სადღაც“.

ამშგწჳჳ „ზღვის ღორი“: ამშგწ „ზღვა“, აჳჳ „ღორი“.

არაგდ „წყრთა თითებდამუშტული“: არა „წყრთა“ აგდგ „დოლა“.

ამგლა-გმა „წმინდად დაფქვილი ფქვილი“, „ლინგი“: ამგლა „ფქვილი“, აგმა „წმინდად ნაფქვი“.

აშგრ-რჯა „ჩირი“, „ხმელი ხილი“: აშგრ „ხილი“, -რჯა „გამხმარი“ (შდრ. ზემოთ, ალაჰარჯა!).

მპკრა „უარყოფა“ = „უარის ჭერა“: მპ „უარი“, აკრა „ჭერა“.

ამშგნყეზ „ზღვის ბატი“: ამშგნ „ზღვა“, აყგზ „ბატი“.

ანგშახ° „სამიწე“ (წყევლა) = „მიწის კერძი“: ანგშ° „მიწა“, ახგ° „კერძი“...

აფშმა-ფჰგს „დიასახლისი“ = „მასპინძელი ქალი“: აფშმა „მასპინძელი“, აფჰგს „ქალი“.

აჩგტაჰ (ტაპ. ჩგშ°) „მხედარი“, „ცხენოსანი“ = „ცხენ-კაცი“: აჩგ „ცხენი“, ატაჰ (ტაპ. შგ°) „კაცი“, „ადამიანი“.

აჩგტარდგნ „ეტლი“ = „ცხენ-ურემი“: აჩგ „ცხენი“, ატარდგნ „ურემი“.

ამაცაზნაცა || ანაცაზნაცა „არათითი“ = „ბეჭდის თითი“: ამაცაზ „ბეჭედი“, ანაცაზ „ბეჭედი“, „სათითე“, ანაცა „თითი“.

ამასარ-გარა „მესერი“: ამასარ „მესერი“, აგარა „ღობე“.

აშხაჰა „ახალი მთვარე“: აშხა „მთვარე“, აჰა „ახალი“.

(ტაპ.) ნაპგ-შაპ „ხელ-ფეხი“: ნაპგ „ხელი“, შაპგ „ფეხი“.

ათმგ-გაზეთ „კედლის გაზეთი“: ათმგ „კედელი“, აგაზეთ „გაზეთი“.

მახვილის დასმის ამ წესს ფართო გამოყენება აქვს მაშინ, როცა კომპოზიტის მეორე წევრს აფხაზურში ცალკე აღებულს სალექსიკონო ფორმაში მახვილი მოუდის თავში, მაგ., აშაპგმათა „ფეხსამოსი“ = აშაპგ „ფეხი“, აშათა „სამოსი...“, აბგსთა-ფხა „თბილი ღომი“ = აბგსთა „ღომი“, აფხა „თბილი“... თუ მეორე წევრის მახვილიანი თავკიდური ხმოვანი სიტყვაწარმოებითი პრეფიქსია, ეს წესი ჩვეულებრივ აღარ ტარდება, შდრ.: ატჰასრა „ბუსკნაობა“ = „რქის ცემა“: ატჰჰა „რქა“, ასრა „ცემა“ და მისთ.

გვხვდება ისეთი ცალკეული შემთხვევებიც, როცა კომპოზიტში არც ერთი კომპონენტის მახვილი არ არის შერჩენილი და მას ახალი მახვილი აქვს. მაგ., აშხგშა „სკა“: აშხა „ფუტკარი“, აშზა „ფიჭვი“; ასფალ „თოვლის ფიჭვი“, „ფარტენა“, შდრ. ასგ „თოვლი“ და *ფალ გამოთქმაში: „ასგ ფალა-ფალა ჰა დაჟედტ, ან – „ასგ ფალა-ფალანგ ილქედჟედტ“ „ბარდნის“ და სხვ.

ამა თუ იმ წევრის მახვილის გაბატონებისას კომპოზიტში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბუნებრივია უფრო მტკიცე იყოს იმ წევრის მახვილი, რომელსაც ცალკე აღებულს შედარებით ნაკლებ მოძრავი მახვილი მოუდის. ეს ასეც არის, როგორც ამას მაგალითებიც გვიჩვენებს, მაგრამ ამ წესიდან გადახვევებსაც არა იშვიათად ვადასტურებთ, მაგ., აფხ. აჩგტარდგნ („ეტლი“) სიტყვის მეორე კომპონენტის მახვილი (ატარდგნ) უფრო მტკიცეა, ვიდრე აჩგ („ცხენი“) სიტყვისა, მაგრამ ამ შემთხვევაში კომპოზიტში გაბატონდა აჩგ სიტყვის მახვილი. ამ მხრივ უფრო თანამიმდევრული ჩანს ტაპანთური, რომელშიაც მახვილი მოუდის მეორე კომპონენტს (ჩაჰანდგრ).

ფუძეთა გ ა ო რ კ ე ე ბ ი ს ა ს კომპოზიტურ მონაცემებს იშვიათად შეიძლება შერჩეს ორივე წევრის მახვილი (იხ. ზემოთ); ჩვეულებრივ კი შერჩება მახვილი ერთ-ერთი წევრისა და იგი მეტ წილად მთავარი მახვილის როლში გამოდის (მეორე წევრს კი ხშირად შესუსტებული თანამახვილი შეიძლება ჰქონდეს):

ა) მთავარი მახვილი პირველი წევრისა: უოჟ'გ-უოჟ'გ (ხშირ-ხშირად, ლასსგ-ლას(ს)გ „ჩქარ-ჩქარა“, ახ'ჟგ-მეჟ „წვრილმანი“, ჟ'აზგკ-ჟ'აზგკ „ათ-ათი (ად)“, უეზგ'გ-უეზ'გ „მაცნ და მაცნ“, ე'ჰან-ე'ჰან || მაჰან-მაჰან „უფრო და უფრო“, ზეგ'გ-ზეგ'გ „სულ ყველა“ და მისთ.

ბ) მთავარი მახვილი მეორე წევრისა: ჟ'ბა-ჟ'ბა „ცხრა-ცხრა“, ახ'აჩა-ხ'აჩა „შხაპუნი“, ახ'აჭა-მ'აჭა „ჭია-ლუა“, აბაშა-მ'აშა „ამაოდ“ (შდრ. ბ'აშა „ამაოდ“), ჟ'აზგ-ჟ'აზგლა „ათ-ათობით (ად)“ (შდრ. ზემოთ, ჟ'აზგკ-ჟ'აზგკ!), ხარა-ხარა „შორი შორს“ და მისთ.

პირველ წევრზე მახვილი უფრო გ ბოლოხმოვნინებშია. ტაპანთურში უმახვილოდ დარჩენილ მეორე წევრს გ სულაც ეკვეცება, შდრ. ლასგ-ლას („ჩქარ-ჩქარა“). აფხაზურშიაც ამ შემთხვევაში სრულიად უმახვილოდ დარჩენილი გ ხმოვანი იკვეცება, მაგრამ თანამახვილის არსებობის შედეგად მეორე წევრს სუსტი მახვილი ხშირად აქვს, მაგ., აფხ. ლასსგ-ლას(ს)გ-ში, უოჟ'გ-უოჟ'გ-ში და მისთ.-ში პირველი კომპონენტის ძლიერ მახვილიან გ-სთან შედარებით მეორე კომპონენტის გ-ს თანამახვილი აქვს. ეს გ, მაგალითად, უფრო მაღალი ტონით გამოითქმის ვიდრე მის წინმდგომი უმახვილო ხმოვნები ა, ო, შდრ. ლასსგ-ლას(ს)გ, უოჟ'გ-უოჟ'გ!

5. მახვილის სიტყვათა და ფორმათგანმასხვავებელი ფუნქციის საკითხისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში თვლიან, რომ აფხაზურსა და აბაზურში მახვილი ასრულებს სიტყვათა და ფორმათგანმასხვავებელ ფუნქციას. მახვილის მიხედვით ასხვავებენ და უპირისპირებენ ერთმანეთს, მაგალითად, შემდეგ სიტყვებს: აც'ა „ძილი“, აც'ა „კანი“, „ტყავი“; ალა „თვალი“, ალა „ძალი“; აჰ'ა „ხმალი“, აჰ'ა „ღორი“; აჯრა „სირბილი“, აჯრა „წერა“; აცა „ბალი“, აცა „სასიმინდე“; ალაბა „ჯოხი“, ალაბა „ხვადი“... შეგვეძლო მნიშვნელოვნად გაგვევრცო ეს სია, შდრ. მაგ., აფხ. ამაყა „ქამარი“, ამაყა „ხნიერი (საქონელი)“; აფსთა „ტყვია“, აფსთა „ხეობა“; არაგ'ა „ბევრი“..., არაგ'ა „ნახშირი“; ახ'აშა „საწყალი“, ახ'აშა „პარასკევი“, ახ'აშა „ნამცევი“, „ნაფხენი“ და სხვ.

მახვილის მიხედვით ჩანს ერთმანეთს დაპირისპირებული განსხვავებული ფუნქციისა და მნიშვნელობების წარმოებები (ატ'არა „ჯდომა“, ატ'არა „საჯდომი“ (მაგ. ურემზე); აჩარა „ჭამა“, „აჩარა „ქორწილი“, „ქეიფი“ = „პურობა“ და სხვ.

სიტყვათა და ფორმათა მახვილის მიხედვით დაპირისპირების ამდაგვარი ფაქტები ტაპანთურის მასალაზე საგანგებოდ აქვს აღნიშნული ა. გენკოს. ზოგ ზემოთ მოყვანილ ფაქტთა გარდა მას დასახელებული აქვს,

მაგ., ტაპანთურში ჯმჟა „სახელური“, ამჟა „წალა“; ჳრ^ა „ძილი“, აჩ^ა „თივა“, „ჩირქი“; ჳშთაცარა „რისამე უკან (კვალზე) გამოდევნება, სვლა“, აშთაცარ^ა „ერთი-ერთმანეთის თანმიყოლებით სვლა“ და სხვ.¹

მაგრამ ასეთი ერთგვარი დამთხვევა ფუძეებისა შედეგია გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებისა. აღნიშნულსა და სხვა მათს მსგავს სიტყვებსა და ფორმებში მეტწილად მახვილი შენარჩუნებულია განსხვავებულ ადგილას მაშინ, როცა ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად ეს განსხვავებული შედგენილობის ფუძეები დამსგავსებიან ერთმანეთს.

თუნდ აქ მოყვანილი ტაპანთური დიალექტის მასალის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, აშკარა გახდება მათი მეორეული ურთიერთ დამთხვევა. იგივე სიტყვები და ფორმები ყველა სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტში (როგორც აბჟურსა და ზხიფურში, ისევე აშხარულში, და ზოგჯერ თვით ტაპანთური დიალექტის კილოკავებშიც) დღემდე წარმოდგენილია განსხვავებული ფუძეებით. შდრ. მაგ. აფხ. აც^ა (აჩ^ა) „ძილი“, მაგრამ „თივა“, „ჩირქი“ – ათ^ა; აშა „სახელური“, მაგრამ „წალა“ არის აჰმაა; „აშთაცარა“ (= აშთალარა) „რისამე კვალზე სვლა, გამოდევნება“, მაგრამ „ერთმანეთის უკან, კვალზე სვლა“ – „აჰშთაცარა“ (= „აჰშთანეღრა“) და ა. შ.

აშკარაა არა ოდენ მახვილით არიან ზემოთ მოყვანილი სიტყვები და ფორმები ერთმანეთს დაპირისპირებული.

არამარტო ტაპ. აც^ა („ძილი“) და აც^ა („თივა“, „ჩირქი“) სიტყვათა შემთხვევაშია შეუძლებელი მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია მივაწეროთ მახვილს (როცა აშკარაა, რომ საპირისპირო წყვილში ც^ა (||ჩ^ა) თ^ა-საგან მომდინარეობს), არამედ მახვილს ვერ მივაწერთ ასეთ ფუნქციას ვერც საერთო აფხ.-აბაზ. აც^ა („ძილი“), აც^ა (კანი“) სიტყვათა ტიპის ფუძეებში. არაფიქსირებული მახვილის მქონე ენის პირობებში ამ შემთხვევაში ჩვენ წინაა სხვადასხვა მახვილიანი, განსხვავებული ფუძეები და მათი ბგერობრივი დამთხვევა შემთხვევითია (ამაზე მიუთითებს ამ რიგის წყვილ სიტყვათა ფორმის ცვლაც).

ცალკეულ შემთხვევაში ამ რიგის სიტყვებშიაც შეგვიძლია ვივარაუდოთ განსხვავებული ფუძეები (არამარტო ისტორიული თვალსაზრისით). კერძოდ, ცნობილია, რომ „თვალი“-ის აღმნიშვნელი ფუძე ა ლ ა -ს გვერდით ა ზ ლ ა -ს სახითაც გვევლინება (შდრ. ანდაზა ატგ ა ზ ლ ა ანაღოჟ აჯგმშ, აჯგმშ აპ^არ^ა „ზუს თვალი რომ მიეცა, წარბი, წარბიო ამბობდა“). ამრიგად ა ლ ა („ძალდი“) უპირისპირდება არა ა ლ ა -ს, არამედ ა ზ ლ ა -ს.

უფრო რთულია ვითარება იმ შემთხვევებში, რომლებშიც ფუძეები თ ი თ ქ ო ს ს ა ე რ თ ო ა და სხვადასხვა წარმოებას თუ ფორმასა და შინაარსს მახვილიდა განასხვავებს. ასეთებია, მაგ., აფხ. ამაზარა „ქონა-ყოლა“,

¹ იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 63-64.

ამზარა „ქონება“; ააბ „რვა“ (ბ)“, ააბა „მერვე (ბ)“; არც° „სააქაო“, არც° „გამომდა“; აც°აა „ლაპარაკი“, აც°აა „გამოლაპარაკება“

ამ რიგის მრავლისაგან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ტაპანთური დიალექტიდან, მაგ., აშთალრა „უკან დადევნება“ და აშთალრა „ურთიერთ-დადევნება“; აცცარა „თან-სვლა“ და აცცარა „ერთად სვლა“, აშწაა „გამოგლეჯა“ და აშწაარ „დაგლეჯა“ და სხვ.

აქვეა მოსახსენებელი იმ რიგის ფაქტებიც, როცა ერთმანეთს უპირისპირდებიან მახვილის ადგილით ნაზმნარი ფუძის მასდარული ფორმა-რა სუფიქსის მქონე და იმავე ფუძის მიმდებარე-გასუბსტანტივებული ფორმა შემცველი იმავე -რა სუფიქსისა (შდრ. ატ°არ „ჯდომა“ და ატ°არა „დასაჯდომი“ ადგილი)...

ა. გენკო აბაზურში ასახელებს ამ რიგის შემდეგ წყვილებს: აფხ°ადარა „ანგარიში“, აფაძგრა „მცენარე“ ([ამო-]ზრდილი); ააარ (||წ°არა! – ქ. ლ.) – „ჯდომა“, ააარა (||წ°არა – ქ. ლ.) „დივანი (საჯდომი)“; ჩარ „ჭამა“, ჩარ „საჭმელი“; ააარ „წარმომავლობა“, ააარ „შთამომავლობა“, ააარ „გამრობა“, ააარა „გვალვა“; ბუგაბარ „კარგ-კეთება“, ბუგაბარა „გაკეთილება, კარგად ქცევა“¹.

ამგვარ მაგალითთა მოყვანა ბლომად შეიძლება როგორც აბაზურიდან, ისე აფხაზურიდან.

ზემოხსენებულთა რიგში გვხვდება (თითო-ოროლა განსხვავებული წარმოების გარდა) აგრეთვე: აფხ. აარ „დაწოლა“, აარა „ქვეშაგები „ლოგინი“ (= „საწოლი“. შდრ. ამავე მნიშვნელობით აიართა!), ალააპ°არა „ტანთ ჩაცმა“ = „შიგ გახვევა“, ალააპ°არა „ფუთა“, ბოხჩა, „ნაკრაული“ (= შ.შეხვეული“); აააპ°არა „შეკვრა“, აააპ°არა „კონა“...; აფხარ „თბობა“, აფხარ „სითბო“ (შდრ. იმავე მნიშვნელობით აფხარა), აფყარ „ჭრა“, „კვეთა“...; აფყარა „წესი“, „დებულება“ = „განაკვეთი“; ააგარ „მარხულობა“, ააგარა „მარხვა“ ახკარა „შემოღობვა“, ახკარა „შემოღობილი (ადგილი)“; ააარ „შრობა“, ააარა „მშრალი ადგილი“... ასეთივე დაპირისპირება უნდა გვქონდეს სიტყვებში: ალაგარა „ფქვა“ (შდრ. მახვილის ადგილის მიხედვით ტიპობრივ მოსალოდნელი სახეობა შემორჩენილი ტაპ.-ში ლაგარა!) და აა-ლაგარა („წისქვილი“).

აქ ორი მოვლენაა გასარჩევი ერთმანეთისაგან:

ა) **დღეს თითქოს მხოლოდ მახვილის მიხედვით განსხვავებული ფუძეები** (საერთო ძირის მქონე) **განსხვავებულად უნდა იყვნენ აგებული-ბითაც.** ამას ნათელყოფს ამ სიტყვათა და ფორმათა გამოწვლილვითი ანალიზი. მაგ., ააზარა და ააზარა იმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ააზარა-ს შეიძლება ჰქონდეს ააზარა (შდრ. ტაპ. ააზარა) ვარიანტი, რაც არ გვხვდება ა მ შ ა რ ა -ში. მაგრამ მთავარი ის არის, რომ თავკი-

¹ А. Н. Генко, იქვე, გვ. 64.

დური ა ხმოვანი ჯმაზარა-სი და აძაზარა-სი ერთი და იგივე ოდენობა არ არის. აძაზარა-ს თავკიდური ა ხმოვანი ზოგადი, სალექსიკონო ფორმის პრეფიქსია და იგი შორდება ფუმეს (შდრ. ანდაზა: მ ა ზ ა რ ა აპროტუპ „ქონება, სიმდიდრე – ბატონობა“) მაშინ, როცა ამაზარა-ს იმავე ზოგად, სალექსიკონო ფორმის მახვილიან ა პრეფიქსში შერწყმულია ფ უ ძ ი ს კუთვნილი ხმოვნითი ელემენტი ჭ (←ა. იხ. აქვე, გვ. 90), შდრ. ზმნური პირიანი ფორმა ძს-ჭ-მოტუპ „ის (ნ) მე მაქვს“.

ა ა ბ ა || ა ა ბ ა უპირისპირდებიან ერთმანეთს არამარტო მახვილით. ააბა („რვა (ნ)“) რაოდენობითი რიცხვითი სახელია. რიგობითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად უნდა დართვოდა რიგობითის ძველი ა- პრეფიქსი¹, რომელსაც ბოლოდან თან გადაუწევია მახვილი. უნდა მიგველო *ა-აა-ბა, მაგრამ აფხაზურში ხმოვანთა მეზობლობის წესის გამო (იხ. აქვე, გვ. 60) რიგობითის ა შერწყმია ძირეულ აა-ს და შეუნარჩუნებია თავკიდურად გადმოწეული მახვილიც, მივიღეთ *ა ა ბ ა. ასევეა წარმოქმნილი *ა ა რ ც°-ისგან ა ა რ ც°, ა- პრეფიქსის დართვით აარც° („გამოდმა“) ფუმეზე.

ა ც ა ჟ არა ~ ა ც ა ჟ არა არსებითად განსხვავებული მორფოლოგიური სტრუქტურის მასდარული ფორმებია. ა ც ა ჟ არა არის ერთპირიანი დც ა ჟ მოტ („ლაპარაკობს“) ზმნის მასდარი, ა ც ა ჟ არა კი – ორპირიანი დდ ა ც ა ჟ მოტ („იგი (ად) მას (მ) ელაპარაკება“) ზმნისა, რომელიც ირიბი ობიექტის პირთან ერთად დაირთავს სამიმართებო ა- პრეფიქსსაც. ამდენადვე ა ც ა ჟ არა-ს ა- თავკიდურ ხმოვანში შერწყმულია ორი ა სხვადასხვა ფუნქციისა.

ასევე ადვილად აიხსნება ის მრავალრიცხოვანი ფაქტი, რაც სხვადასხვა წარმომავლობის ზმნურ ფორმათაგან ნაწარმოებ მასდარებში ვლინდება ტაპანთურ დიალექტში. ა ც ც არა ~ ა ც ც არა ტიპის წარმოებებში პირველი მათგანი ა ც ც არა შეიცავს თავკიდურად ს ა მ ი მ ა რ თ ე ბ ო ა- პრეფიქსს, რომელსაც შესწევს უნარი გადმოწიოს მახვილი წინ (იგი ხშირად მახვილიანი ჭ-ს სახით გვევლინება პირიან ფორმაში, მაგ., დ-ლ-ჭ-ც-ცაპ ← *დ-ლ-ა-ც-ცაპ „იგი (ად) მას (ქ) გაჰყვება“), ხოლო მეორე მათგანს – ა ც ც არა-ს – თავკიდურად მოუდის ს ა უ რ თ ი ე რ თ ო ა- პრეფიქსი (სხვა დიალექტებში დღეს აძ-ს სახით წარმოდგენილი), რომელსაც არ შესწევს უნარი მახვილის თავის თავზე გადატანისა (შდრ. პირიანი ფორმა – ძ-ა-ც-ცაპ „ისინი ერთად წავლენ“).

ბ) დღეს მახვილის მიხედვით განსხვავებული წარმოებები ამოსავალი ფუმით არ უნდა ყოფილიყვნენ განსხვავებული. ამის ნიმუშია აჩარა „ჭამა“ და აჩარა „ქორწილი“, „პურობა“, „ჭამა“. აქ გარკვეული კანონზომიერებაც შეინიშნება მახვილთა განაწილებაში: მასდარის ფორმაში მახვილი

¹ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ტაბ. დ., გვ. 107-108; მისივე, აშხ. დ., გვ. 83.

მოუდის ბოლოს, მასდარის -რს სუფიქსს, ხოლო გასუბსტანტივებულ მიმღეობას (იმავე ზმნური ფუძისა) მახვილი დაესმის აღნიშნული -რა სუფიქსის წინ, ძირის ბოლო ხმოვანზე¹, მაგ., აფხ. ატ^აარს ~ ატ^აარს; აფყარს ~ აფყარს, ტაპ. ვშ^აარა ~ ვშ^აარა. ბჰარს ~ ბჰარს და მისთ.

ასეთ წყვილებს უდგას გვერდში ისეთი შემთხვევები, როგორცაა: აფხ. ალაფშ^არს „გამორჩევა“, ალაფშ^აგრს „არჩევანი“; აკჷჭ^არს „დანაოჭება“, აკჷჭ^არს „ნაოჭი“; აჯრს „წერა“, აჯგ^არს „წერილი“, ნაწერ^აი“; აწწ^არს „დამჟავება“, „დამწნილება“, აწწ^აგრს „მჟავა“, „სიმჟავა“ და მისთ.

ასეთ ფუძეებში გახმოვანების მიხედვითაც არსებული განსხვავება გამოწვეულია მასდარის ფორმაში მახვილის გადაწევით (რასაც მოჰყვა უმახვილო გ ხმოვნის სრული რედუქციაც).

ზემოთ მოყვანილ წესს არ ცვლის არც შემდეგი წყება სიტყვებისა: აფხ. არშ^არს „დუღება“, არშ^არს „ტიფი“, „ცხელება“; აჟრს „თხრა“, აჟრს „ორმო“, „თხრილი“ და მისთ. აქ ოღონდ ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ მიმღეობა-სუბსტანტივში მახვილი წინ, ა ხმოვანზე გადმოდის. ეს კი შეპირობებულია ძირეული ელემენტის თანხმოვნური სახეობით (ან უკეთ, მისი თანმხლები ხმოვნის სუსტი ხასიათით).

აღნიშნული რიგის წარმოებებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მახვილის მიხედვით ერთმანეთისაგან არ განირჩევა მასდარი და სუბსტანტივ-მიმღეობა. მაგ., ასეთებია: აფხ. აშ^აარა 1. „ზარმაცობა“, 2. „სიზარმაცე“; ალაჯგ^ანტ^არა 1. „არევა“, 2. „არეულობა“; აჟ^არა 1. „დაბერება“, 2. „სიბერე“ (შდრ. ტაპ. აჟ^არს ორივე მნიშვნელობით)².

მაგრამ აქაც არაა გამორიცხული გვექნოდა მახვილის მიხედვით სხვადასხვა სახეობა ფუძისა და, შესაძლოა, თავკიდურმა უფრო ძლიერმა პოზიციამ მახვილისა (იგულისხმება: *ა-აშ^აარა, *ა-ალაჯგ^ანტ^არა... შდრ. ტაპ. ალაშ^აატ^არს!) გამოიწვია ერთიანი ფორმის გაბატონება³.

და რომ მართლაც შესაძლებელია მახვილის მხრივ ასეთი აგებული-ბის ფუძეებში სხვადასხვა სახეობა გვექნოდა, ამას ადასტურებს წყვილე-

¹ А. Н. Генко, იქვე, გვ. 65.

² მახვილის ადგილის მიხედვით განსხვავება აფხაზურსა და ტაპანთურს შორის ორსავე შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ აფხაზურ ფორმაში შერწყმულია ზოგადი, სალექსიკონო ფორმის ა პრეფიქსიც, რამაც გამოიწვია მახვილის წინ გადმონაცვლება.

³ აღსანიშნავია, რომ ასეთი დარღვევები მახვილის მხრივ მეტწილად გამოვლინდება თანხმოვანზე ან თანხმოვან + გ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში (შდრ. აჟ^არს 1. „ქმნა“. 2. მოსავალი“, „ჭირნახული“; აფშ^არს 1. „ყურება“, 2. „სახე“, „შესახედაობა“...), თუმცა ერთეული ფაქტები აღნიშნული რიგისა შეიძლება შეგვხვდეს ნორმალური ტიპის (ა ხმოვანზე დაბოლოებულ) ფუძეებშიც, შდრ. აფხ. აჭ^აარა 1. „ჭამა“ და 2. „მჭამელი“ (ავადმყოფობის სახელწოდება, შდრ. მეგრ. „ჭკუ მ ლ რ ი“!); ალაშ^აატ^არა 1. „დაბნელება“ და 2. „სიბნელე“ და მისთ.

ბი: ალაშჷრა „შებინდება“ და ალაშჷრა „ბინდი“; აცცაკრა „აჩქარება“ და აცცაკვრა „საჩქარო“, „საშური“... აქ გ ხმოვანი რომელიც მ ა ხ ვ ი ლ ი ს მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი უ ნ და ყ ო ფ ი ლ ი ყ ო, შემოგვრჩა კიდეც (მახვილის წინ გადაწევის შემდეგაც).

და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა მახვილის მიხედვით განსხვავება ზმნის მასდარულ ფორმასა და შესაბამის მიმღეობა-სუბსტანტივს შორის მაშინაც კი, როდესაც დღეს ენაში საერთო მახვილის მქონე ერთიანი ფორმა გაბატონებული ორივე ფუნქციით (აჷრა, ააშარა, ალაშცარა, აჭარა...), ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ მ ა ხ ვ ი ლ ი ქ მ ნ ი და ხ ს ე ნ ე ბ უ ლ და პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ა ს; რომ მასდარის სახეობაში უთუოდ მასდარის -რა სუფიქსის ა ხ მოვანს მოუდიოდა მახვილი (შდრ. აჩარა), ხოლო მიმღეობა-სუბსტანტივში ამავე -რა სუფიქსის წინა ხმოვანს (შდრ. აჩარა).

უნდა ვიფიქროთ, ეს აიხსნება ერთი და იმავე ნაწარმოები ფუძის სხვადასხვა მახვილიანი სახეობების არსებობით ენაში. შემდეგ კი ეს ვარიანტული მახვილიანი ფუძეები ჩვეულებრივ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მნიშვნელობისა და ფუნქციის გამოხატვისას (ამდენადვე -რა სუფიქსი როგორც მიმღეობა-სუბსტანტივის მაწარმოებელი, ისე მასდარისეული ერთი და იგივე აფიქსია).

წარმოდგენილი ახსნა სარწმუნო ხდება ცალკეული „არაკანონზომიერი“ ფაქტების მიხედვითაც, რომლებიც დღემდე შემორჩენია ენას.

„წვა“ ზმნის ფუძის მიხედვით ერთმანეთს უპირისპირდება მნიშვნელობები: წ ვ ა, ნ ა მ წ ვ ი (ადგილი), ხ ა ნ ძ ა რ ი.

ნ. მარის ჩანაწერთა მიხედვით აბლგრა აღნიშნავს „წ ვ ი ს (ნამწვ) ა დ გ ი ლ ს“¹, მაშინ როცა წ ვ ა ზმნის მასდარული ფორმა პ. უსლარისა² და ნ. მარის³ მიხედვით არის აბლგრა; იგივე მასდარული ფორმა ამ სიტყვისა ბ. ჯანაშიას მიხედვით არის აბგლრა⁴; აბგლრა დ. გულიას თარგმნილი აქვს როგორც „поджег“, „сжечь“⁵, ხოლო ბ. ჯანაშიას მიხედვით „ცეცხლი“, „ხანძარი“ არის აბგლრა⁶, დ. გულია კი აბგლრა-ს თარგმნის, როგორც: „пожар“, „гореть“⁷.

¹ Н. Я. М а р р, Абхазско-русс. сл.

² П. К. У с л а р, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

³ Н. Я. М а р р, იქვე, გვ. 24^ბ.

⁴ ბ. ჯ ა ნ ა შ ი ა, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი.

⁵ Д. И. Г у л и я, Сборник абхазских пословиц, загадок, скороговорок, омонимов и омографов, народных примет о погоде, заговоров и наговоров. Сухуми, 1939, გვ. 105.

⁶ ბ. ჯ ა ნ ა შ ი ა, იქვე.

⁷ Д. И. Г у л и я, იქვე.

ამგვარადვე აბაზურშიაც ბგლრა-ს თარგმნიან როგორც „წვად“, ისე „ხანძრად“¹, თუმცა „(დიდი) ხანძარი“ გადმოცემულია ბლგრა სახეობითაც².

აღნიშნული ფუძის ჩვენება ამ მხრივ მეტად საყურადღებოა. ძირის ხმოვნური სახის თავისებურების გამო (ბლ, ბგლ, ბლგ, ბგლგ), მან შემოგვინახა მახვილის მხრივაც არსებული სიჭრელე და მათი ფუნქციური განაწილებისას არათანმიმდევრულობა.

მაგრამ ზემოთ განხილული ნორმიდან (აჩარა ~ აჩარა) გადახვევის ფაქტებს ენაში ვხვდებით ჩვეულებრივი ტიპის (ა-ზე დაბოლოებული) ზმნური ფუძის შემთხვევაშიც, მაგ., მასდარული ფორმა აფხაზურში „ცეხვისა“ არის ალაჰარა (შდრ. აბაზ. ლაჰარა), ხოლო მიმღეობა-სუბსტანტივი „საცეხველი“ – ალაჰარა. მოყვანილ შემთხვევაში ბოლომახვილიანი ფორმა (-რა სუფიქსისეულ ხმოვანზე მახვილით!) ენამ გამოიყენა მიმღეობა-სუბსტანტივი „საცეხველისათვის“ (შესაბამისად მასდარის ფორმაში აფხაზურში მახვილი გადანაცვლებულია ა-პრეფიქსზე).

ცხადია, ნაწარმოებ ფუძეში მახვილის დაუდევრობის გამო მივიღეთ მახვილის მიხედვით განსხვავებული ვარიანტები და ისინი შემდგომ ენამ გამოიყენა განსხვავებული ფუნქციით: ჩვეულებრივ ძირეულ ხმოვანმახვილიანი – ნაზმნარი არსებითი სახელისათვის (აჰაჰარა „შეკრული“), ხოლო ბოლოხმოვნიანი – მასდარისათვის (აჰაჰარა „შეკვრა“).

პრინციპულად აქ ისეთივე მოვლენა უნდა ვივარაუდოთ, რასაც ადგილი აქვს საერთო ფუძის ფონეტიკურად ცვლილ ვარიანტებში, რომელთაც ენა იყენებს უკვე შემდგომ განსხვავებული ფუნქციით. ასეთი ფონეტიკური ვარიანტები ერთი და იმავე ფუძისათვის ადნიშნულ ენებშიაც არაიშვიათად არის გამოყენებული სიტყვათა განსასხვავებლად. მაგ., აფხ.ში მთვარისა და თვის სახელებში სხვადასხვა ხმოვნური ვარიანტი (ე. ი. ვარიანტები, მიღებული რედუქციის სხვადასხვა ინტენსივობის შედეგად – ერთსა და იმავე მახვილის პირობებში!) გამოყენებულ იქნა განსხვავებული შინაარსით – ამა „მთვარე“, ამზ || ამგზ ← ამა) „თვე“ (შდრ. ნანჰ³ამზა „მარიამობის-თვე“, ესგ⁴მა „ყოველ-თვე“...); აშტ⁵ „საკლავი“ (დაკოდირი მამალი თხა“), მაგრამ აშტ⁶ „მო¹საკლავი“; შდრ. ასევე აბაზურში შთა - დაშტა - წინდებულები (იხ. აქვე, გვ. 213-214) და სხვ.

ამრიგად, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება აფხაზურ-აბაზურში მახვილის სიტყვათა და ფორმათგანმასხვავებელი ფუნქციის შესახებ მოითხოვს კორექტივს. უმეტეს შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მახვილის მიხედვით სიტყვათა შემთხვევით დაპირისპირებასთან (ისევე როგორც მახვილის მიხედვით შეიძლება ემ-

¹ Абаз.-русск. сл., გვ. 124.

² იქვე, გვ. 121.

თ ხ ვ ე ო დ ე ს კიდევ ერთმანეთს სრულიად განსხვავებული სიტყვები, როგორცაა, მაგ.: ათ^ა 1. „თივა“ და 2. „ჩირქი“; აც^ა 1. „სასიმინდე“ და 2. „ცხელი“ და სხვ.), ან კიდევ მახვილის მიხედვით ისეთ სიტყვათა დაპირისპირებასთან, რომლებიც ფონეტიკური ცვლილებების შედეგად გარეგნულად დაემსგავსნენ ერთმანეთს, თუმცა მომდინარე შეიძლება იყვნენ განსხვავებულ ძირთაგან, ან – საერთო ფუძეთა განსხვავებულ წარმოებათაგან.

ერთადერთი შემთხვევა, რომელშიაც თითქოს მახვილის ადგილის მიხედვით ხდება დაპირისპირება, ესაა მასდარისა და შესაბამისი მიმღეობა-სუბსტანტივის ფორმები აჩარა – აჩრა ტიპისა (თუმცა ასეთი დაპირისპირების წესი ყველა შემთხვევაში არ ტარდება, შდრ. აფხ. აჟრა „... ჰქედვა“, 2. „სამჰედლო“; ანაარა 1. „დახრა“, 2. „ფერდობი“; ჯაშარა 1. „ზარმაცობა“, 2. „სიზარმაცე“; ჯლაჰ^აარა 1. „გამოცხადება“, 2. „განცხადება“ და მრ. სხვ. მაგრამ არც აქ ამოსავალში ეს არ იყო დაკავშირებული მახვილის მნიშვნელობის განმასხვავებელ ფუნქციასთან.

სიტყვათწარმოებისა და ფორმათცვლილებისას აფხაზურსა და აბაზურში მახვილის მოძრავი ბუნების გამო წარმოიქმნა ერთი და იმავე ფუძის მახვილის მიხედვით განსხვავებული სახეობები, რომლებიც შემდგომში გამოყენებულ იქნა ხან ფუნქციონალურად (თუმცა ერთიანი წარმოშობის) კატეგორიების გასარჩევად (როგორცაა მაგ., მიმღეობა-სუბსტანტივი და მასდარი), ხან კი, იშვიათ შემთხვევაში, სიტყვათა განსასხვავებლად, რომელთაც ამოსავალში საერთო ფუძე ჰქონდათ (როგორცაა, მაგ., აფხ. აწ^აცა „ჭიქა“ და აწ^აცა „ბროლი...“) მსგავსად ფონეტიკურ ვარიანტთა განსხვავებული გამოყენებისა.

გარდა ამისა ქვემოთ გვინდა განვიხილოთ ზოგი ისეთი ფაქტი (თუმცა არათანამიმდევრული ხასიათისა), როცა ზოგ ზმნურ წარმოებაში მახვილი თითქოს დაისმის გარკვეული ლოგიკური ნიუანსის გამოსახატავად.

ა) დადგენილია, რომ აფხაზურისა და აბაზურის ზმნურ ფორმებში ი- (ა¹გ¹-) პრეფიქსი გვევლინება ორი ფუნქციით: ერთი მხრივ, ი- (ა¹გ¹-) გამოხატავს III პ.-ს ნივთთა კატეგორიის მხ. რ.-სა და მრ. რ.-ს ნომინატივის რიგში (ა-ცრატ „ის (ნ) მიდის“; „ისინი მიდიან“; აგრგოატ „ის (ნ) მიაქვთ, მიჰყავთ“; „ისინი მიაქვთ, მიჰყავთ“); მეორე მხრივ, იგი გამოხატავს ნაცვალსახელოვან-მიმართებით პირს (და ამაზე დაფუძნებით კითხვითაც) ზმნის ინფინიტურ წარმოებაში იმავე ნომინატივის რიგით: აჯცო „ის, რაც, რომელიც... მიდის“, აჯრგო „ის, რაც, რომელიც... მიაქვთ“¹.

¹ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ძირითად დროთა წარმ., გვ. 201.

ორსავე შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, ერთი და იგივე აფიქსი გვაქვს, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ფუნქციით, ასევე ზმნურ წარმოებათა გაფორმების ხასიათის მიხედვით. პირ-კლასის პრეფიქსი **ი-** (**აქ-**) ზმნის წინ სუბიექტის სახელისა (გარდაუვალი ზმნა) და უახლოესი ობიექტის (გარდამავალი ზმნა) სახელის უშუალოდ დასმისას გაუჩინარდება ხოლმე (შდრ. აჩგ ცოდტ – მცოდტ აჩგ „ცხენი მიდის“; აჩა რგოდტ და – მგ-რგოდტ აჩა „მიაქვთ პური“...), მაშინ როცა **ი-** (**აქ-**¹) მიმართებით-ნაცვალსახელური პრეფიქსი (რომელიც არ ასხვავებს არც პირს, არც კლასს, არც რიცხვს საერთოდ) ზმნის ფორმაში მუდამ არის წარმოდგენილი, იმის მიუხედავად რა პოზიციაშია თვით სახელი ზმნის ფორმასთან (შდრ. აჩგ მგ-ცო „ცხენი რომელიც მიდის...“, აჩა მგ-რგო „პური, რომელიც მიაქვთ...“ და სხვ.).

მიმართებით-ნაცვალსახელური **ი-** (**აქ-**) პრეფიქსიან ზმნურ ფორმას ამ მიმართებითობის გასახსნავად ხვდება ერთგვარად ლოგიკური მახვილი, რასთანაც დაკავშირებული გამოდის აფხაზურში ჩვეულებრივ დინამიკური მახვილის გადმოწევა მიმართებით-ნაცვალსახელურ **ი-** პრეფიქსზე¹, შდრ. **ი-ჰჰჰ** „ის (ნ) თქვი შენ (მ)“, მაგრამ – **რ-ჰჰჰ** „ის, რაც შენ (მ) თქვი“; **ი-მ-თახჰ** „ის უნდა მას (მ)“, მაგრამ **რ-მ-თახჰ** „ის, რაც მას (მ) უნდა“, **რ-ჰ-თახჰ** „რა გინდა შენ (მ)?“ (ზედმიწევნით, „რაც შენ (მ) გინდა, რა არის?“); **ი-ჰჰჰ** „ის (ნ) შენ (მ) შეჭამე“, მაგრამ – **რ-ჰჰჰ** „რაც შენ (მ) შეჭამე...“ და მისთ.

ამავე დროს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ყოველთვის როდი გადადის დინამიკური მახვილი მიმართებით-ნაცვალსახელოვან **ი-** პრეფიქსზე, მაგ., „ჰაჰ რიმბაც“-ის („უხილავი“, ზედმიწევნით: „რაც ჯერ ადამიანს არ უნახავს“) გვერდით არის „ჰაჰ იმაჰაც“ („გაუგონარი“, ზედმიწევნით: „რაც ჯერ ადამიანს არ სმენია“) და სხვ.

ბუნებრივია, თუ მიმართებით-ნაცვალსახელურ **ი-** პრეფიქსზე მახვილის დასმა სისტემატურ ხასიათს იღებს ისეთ ზნურ ფორმათა დაპირისპირებისას, როგორცაა: **რ-ზბაჰ** „რაც მე ვნახე“ და **იზბაჰ** „რომელმაც ის (ნ) ნახა“; **რ-ზგჰ** „რაც მე დავწერე“ და **იზგჰ** „ვინც ის (ნ) დაწერა...“² და სხვ.

ჯერ კიდევ პ. უსლარი აღნიშნავდა, რომ მახვილის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან „ვინ წვავს?“ – იზბლჰადა? და „ვის ვწვავ მე“ – რზბლჰადა?-ო: თუმცა თვითვე მიუთითებდა, რომ ამ მხრივ გამონაკლისს ქმნის იზბლჰადაზ (ნამყო შეუსრულებელი) და იზბლჰადა (მყოფადი განუსაზღვრელი)³.

¹ იქვე.

² დ. გ. უ. ლ. ი. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 104.

³ პ. უ. ს. ლ. ა. რ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 51.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აბაზურ დიალექტებში არ დასტურდება მსგავს შემთხვევებში მახვილის მიმართებით-ნაცვალსახელო ო-პრეფიქსზე გადაწევის ფაქტი, და, მაშასადამე, დინამიკური მახვილის მიხედვით არ უპირისპირდებიან ერთმანეთს „მე რაც ვნახე“ (იზბაზ, შდრ. აფხ. რზბაზ) და „რომელმაც ის ნახა“ (იზბაზ), მაგ., ტაპ.: ფხვზთი იზბაზ აუტმ სკპენ – ტ. ტ. 47,³⁰ – „სიზმრად რაც ვნახე, ესაა“; იუბაზ, იუაჟაზ ჰასგრჰპ – ტ. ტ. 71,³³ – „რაც ნახე, რაც გესმა“, გვითხარი“ (= გვათქმევინე!“, არ ალგაჟა იუბაჟა, – ib. 102⁸ – „ეს ბერიკაცი, რომელსაც ხედავ...“, სან ილჰაზ ისგრჰრაპ – ib. 33,¹¹ – „დედა ჩემმა რაც თქვა, მას მოვამზადებ (შევასრულებ)“...

აშხ.: ჟარა იზბუ, არგმ ის სუ... ჟარა იუტგ-შთა იუჰპპ – აშხ. ტ. 59,⁹ – „შენ რომელსაც გხედავ, ეს რაც მაცვია... შენად იტყვი“; სარს არგმ იუბგჟრ მაკ-აჰს საგ ენამამ... – ib. 34,²⁵ – „მე, ამას რომელსაც [მ]ხედავ, ერთ მტკაველსაც ვერ ვაღწევ (ერთ მტკაველზე მეტიც არა ვარ); არგმ აფჰგსფანი იზბოჟა... – ib. 31²⁰ – „ამ ქალიშვილს, რომელსაც თქვენ ხედავთ...“; ისთაჯჟ ჟიმ ოპ – ib. 29,¹¹ – „რაც მიხდა, ესაა...“...

ასე რომ, ამ შემთხვევაში მახვილის მიხედვით დაპირისპირებას საერთოდ ადგილი არ ჰქონია. იგი ჩასახულა ზოგი დიალექტის ზოგ ზმნურ ფორმაში და სისტემის სახით გატარებული არ არის.

ბ) ზმნური ფორმები კითხვით წარმოებებში -მა სუფიქსის მეშვეობით (სათანადო კითხვით ინტონაციასთან ერთად) ინარჩუნებენ დინამიკურ მახვილს, დამახასიათებელს ამა თუ იმ დროის ფორმისათვის, მაგ., ეგლგრმტ „მას (ქ) იმ მიაქვს“, კითხვითი: ეგლგრმა? „მას (ქ) ის მიაქვს?“; ეგგეგტ „მან (ქ) ის წაიღო...“, კითხვითი: ეგლგამა? „მან (ქ) ის წაიღო?“ და სხვ.

აშხარულ დიალექტში და ასევე აბჟურ დიალექტის ჯგერდულ თქმაში სათანადო შემთხვევებში დასტურდება -მა კითხვითი სუფიქსის მიერ დინამიკური მახვილის გადაწევა (თავისებურ კითხვით ინტონაციასთან ერთად): ეგლგამა?, ეგლგომა? და სხვ.¹

გ) ბრძანებითი კილოს დადებით ფორმაში მახვილი ჩვეულებრივ იმავე ადგილასაა რა ადგილასაც თხრობით კილოს შემთხვევაში, შდრ. ეყაჟნედტ „შენ (მ) ის გააკეთე“, ბრძ.: ეყაჟა! „გაკეთე!“ და სხვ.

ამასთანავე გვხვდება შემთხვევები, როცა ბრძანებითის ფორმაში მახვილი ფუძის მოსალოდნელი ბოლო ნაწილიდან გადმოინაცვლებს წინ, რის შედეგადაც ცვდება ფუძეც ზმნისა, – რედუქცია მოსდის უმახვილოდ

¹ აშხ. დ., გვ. 187-188.

დარჩენილ ბოლოკიდურ ხმოვანს, – მაგ., აფხ. **დგჳ!** (←||დგა!) „ჭამე ის!“, **დასგ!** (||←დააგა!) „მოიტანე ის აქ!“ და მისთ.

6. მახვილის მოქმედების ნიადაგზე (მისი არსებობის პირობებში) მომხდარი ხმოვნის რედუქცია².

უმახვილო აიკარგება წინამავალი მახვილიანი მარცვლის მომდევნო პოზიციაში:

- აფხ. აგჳწრა ← აგჳწარა, შდრ. ტაპ. შ⁰გწარა „ილია“ და ამავე მნიშვნელობით აფხაზურშივე აგჳგწა (= ჳგ (=ჳგ(←*შ⁰ა) „ილია“, -წა „ქვეშ“, „ფსკერი“).
- „ აწწა *აწწა „ქვედა დოლაბი“ (= -წა „ქვეშ“, „ფსკერი“, -ჳა-სთვის შდრ. ახ-ჳა „ზედა დოლაბი“).
- „ ამხნგზა „ყანაში მომუშავე“, მრ. რ. ამხგზც^ა ამხნგზაც^ა.
- „ აჩრღ⁰ „მწყემსის ფიცარ-მაგიდა“ ← *აჩრღა-ღ⁰გ (= აჩრღა „პურობა“, აღ⁰გ⁰ „ფიცარი“).
- „ აცჳარაჳ⁰ აგჳგ „მოციქული“ ← აცჳარა-აჳ⁰ა-ჳ⁰აგჳგ (შდრ. აცჳარა „შეთვლა“, აჳ⁰ა „სიტყვა“ *აჳ⁰აგჳგ „მთქმელი“).
- „ სამგსთა (ტაპ. შამსთა) „აზნაური“, მრ. რ., სამგსთც^ა ← სამგსთაც^ა.
- „ აკგჳმაც⁰ „ძუძუს თავი, ცერი“ აკგჳა + მაც⁰ა (= აკგჳა „ძუძუ“, ამაც⁰ა „თითი“).
- „ აგარლარა „აკვანში ჩაწოლა“ ← *აგარა-ლარა „= აგარა „აკვანი“ -ლა ძირ-სუფიქსი) და სხვ. მრ.

ამ ნიადაგზე წარმოქმნილ სხვადასხვა ფონეტიკურ ცვლილებებს მთელი მარცვლების ამოგდებაც კი მოჰყოლია და ისე შეუცვლია ფუძის სახე, რომ მისი ამოსავლის დადგენაც ჭირს. ასე, მაგ., აფხ. ა დ კ ა ნ რ ა „გატოლება“ (დ-დ-ეჳკან⁰ტეჳტ „იში (ად) მას (მ) ეტოლება“) იგივე ფუძე უნდა იყოს, რაც ა-კაჳან-რა („აწონა“): იკაჳან⁰ტეჳტ („იგი (მ) მას წონის“). ამ ფუძეზე ად- პრეფიქსის დართვით ზმნის ფორმაში მახვილის წინ გადაწევას გამოუწვევია ჰ-ს მომდევნო უმახვილო ხმოვნის რედუქცია, რამაც წარმოქმნა აფხაზურისათვის შეუთავსებელი *ჰნ კომპლექსი (*დდჳკაჰნ⁰ტეჳტ), რომელიც გამარტივდა ჰ-ს დაკარგვის გზით და მივიღეთ: დ დ ე კ ა ნ ტ ე ტ.

ასეთივე ცვლილების შედეგად უნდა იყოს მიღებული გაცვეთილი ზმნური ფორმა შორისდებულად ქცეული (რასაც, ალბათ, ხშირმა ხმარე-

¹ ფონეტიკურად არაზუნებრივ პოზიციაში ამდაგვარი გადანაცვლება მახვილისა აღარ მოხდება, შდრ. დგჳჳჳჳ „ჭამეთ ის!“.

² აღნიშნულ საკითხზე იხ. Н. В. Аршба, Характер ударения и его роль в фонетических процессах абхазского языка. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, თბილისი, 1971.

ბამაც შეუწყო ხელი) – ჯ ო ო შ ო || ჯ ო შ ო (ჰად ჯ ო შ ო! – „ეჰ ბეჩავ!) იგი უნდა მომდინარეობდეს „(ა)ჯ ო ო შ ო ე ო ო“ („შენ ის გაიკვირვე“) ზმნური ფორმისაგან. მასში წინამავალმა მახვილმა შეკუმშა ფუძე, ამოვარდა მთელი უმახვილო ემ დიფთონგი, ამ გზით მიღებულ ჯ ო ო შ ო → ჯ ო ო შ ო სახეობაშიაც ბოლო შ ო-ს ერთად შეყრით მოხდა ასიმილაციაც და მივიღეთ **ჯ ო ო შ ო**.

უმახვილოდ დარჩენილი მთელი დიფთონგის ამოვარდნის პროცესი ფართოდ არის გავრცელებული აფხაზურის დიალექტებში II მყოფადის წარმოებისას, რომელიც დღეს **-შ ო ო** რთული სუფიქსით არის წარმოდგენილი: დცაშ ო ო („უთუოდ წავა“) და მისთ. იგი მომდინარეა **-შ ო ო ო** ← **შ ო ო-ო ო** სახეობიდან.

ამ ტიპის ა ხმოვნის რედუქცია, როგორც უკვე აღნიშნულია¹, ძალზე გავრცელებულია სიტყვის ბოლოს ბ ო ო ი ფ ო ო რ დ ი ა ლ ე ქ ო შ ი, მაგ.:

აბჟ.	აშარგ ო ო წა	ბზ.	აშარგ ო ო წ	„ფეხისგული“
„	ამჟანგ ო ო	„	ამჟანგ ო ო	„საგზალი“
„	აცგ ო ო აბა	„	აცგ ო ო აბ	„ხვადი კატა“
„	აჯაშ ო ო	„	აჯაშ ო ო	სამშაბათი“ (და ასევე სხვა დღის სახელები)
„	აღასა	„	აღას'	„მატყლი“
„	ამაწა	„	ამაწ	„კალია“
„	აჩაგა	„	აჩაგ	„თოხი“
„	აქამსა	„	აქამს	„ბანჯგვლიანი“ და სხვ.

უმახვილო ა იკარგება მომდევნო მახვილიანი მარცვლის წინა პოზიციისში.

ანაც ო ო ო ო „ტაპ. მაც ო ო ო ო“ „ნევი“ (← ამაც ო ო ო ო || ანაც ო ო ო ო, -ო ო ო ო...).

ანაც ო ო ო ო (ტაპ. მაც ო ო ო ო) „ცერი“ (← ამაც ო ო ო ო || ანაც ო ო ო ო ო ო...).

აჩგარა „მარხვა“, ტაპ. ჩგარა „შიშშილი“ (← *ა-ჩა-გარა, შდრ. ა-ჩა-რა „ჭამა“, ა-ჩა-რა „პურობა“ და ა-გა-რა „წაღება“).

აჟ ო ო ო ო „ექეჩა“, „თექა“ (← აჟ ო ო ო ო „ნაბადი“, -ც ო ო ო ო „ტყავი“, „კანი“).

აშაწ ო ო ო ო „ქალამნის თასმა“ (← *აშაწა-ო ო ო ო, შდრ. აშაწ „ფეხსაცმელი“, ო ო ო ო „შეკვრის“, „შეხვევის“ ძირი, აქ: „შესაკრავი“. შდრ. ადლა-ო ო ო ო ო „ნაკრავული“ და მისთ.).

ტაპ. ჩფარ „კეთება“ ← *ჩაფარ (შდრ. აფხ. ა-ჩაფარა „გაჭედვა“; „შეკაზმვა“...).

აშაწ ო ო ო ო „ფეხსაცმლის ლანჩა“ ← *აშაწა-ო ო ო ო (შდრ. ა-შაწ „ფეხსაცმელი“, -ო ო ო ო „ბრტყლად გამოდებული, დასაფარავი“. შდრ. ახწა „პირი“, მაგ. ბალიშისა და მისთ. აწ ო ო ო ო „სარჩული“, „შალითა“...).

¹ ქ. ლ ო ო ო ო ო ო ო ო, ძირ. დრ. წარმ., გვ. 220-221.

აჟახხნს „ვახშამი“ (← *ა-ჟახა-ხნს ← აჟაჯა-ხნ) (შდრ. ჟახს || (ტაპ. ჟაჯა) „ამადამ“, -ხნ „კერძის“ მნიშვნელობით, შდრ. შეჟხნ „საუზმე“) და მრ. სხვ.

უმახვილო (მახვილგადანაცვლებული) გიკარგვის მახვილიანი მარცვლის მომდევნო პოზიციაში. ანარც' ← ანარც' „საიქიო“, შდრ. ნარც' „საიქიო“.

აკ „ერთი რამ (განსაზღვრული)“ (← *აკ ← *ა-კე) გამოთქმაში: ანგ აკ სთ! „ეს ერთი მომეცი!“, შდრ. აკ „ერთი რამ“.

აჟგა „სახარშავი (ჭურჭელი)“ ← || აჟგა... და სხვ.

უმახვილო (მახვილგადანაცვლებული) გიკარგვის მახვილიანი მარცვლის წინა პოზიციაში.

აშაპჰარშ' ← *აშაპჰ-ჰარშ' „კვანტი“ (შდრ. აშაპჰ „ფეხი“, ა-ჰარშ'რა „გამოდება“; შდრ. ამის საპირისპიროდ – აშაპჰაწ' „სავათი“ = „ფეხმართო“).

აჩავაკ ← აჩავ – ვაკ „მარჯავა ცხენი“.

აკგ' „არაფერიც“ = „რამეც“ ← *აკგ-გ' (აკგ „ერთი, გ' ნაწილაკი – „ც“) და მრ. სხვ.

მახვილიანი ახმოვნის გადასვლა გხმოვანში დახურულ მარცვალში (ანთანხმოვანთ შორის).

აძგმცა || აძანმცა „კვესი“ (შდრ. აძან „რკინა“, ა-მცა „ცეცხლი“).

ა-ჩგს ← || ტაპ. ჩას „ჭამადი“ (შდრ. ა-ჩა-რს „ჭამა“).

აყ'გწრა || აყ'წრა „თავის დანებება“: ჟოყ'გწ! „თავი დაანებე მას (ნ)“, მაგრამ: ჟესყ'აწ! „თავი დამანებე!“...

ბზ. ა-ყაჟგრ ← || აბჟ. ა-ყაჟარ, შდრ. ქართ. „ყავარი“.

ჟებგს || ჟებას „ასე“.

ნარც' (← *ნარც') „გაღმა“ (შდრ. ნარც'გ', ანარც' „საიქიო“).

აჟაგწა ← || ბზ. აჟაგწა „სასა“... და მრ. სხვ.

მახვილიანი ახმოვნის გხმოვანში გადასვლა ბოლოკიდურ ღია მარცვალში.

აშტ' „საკლავი“ („დაკოდლილი მამალი თხა“), შდრ. აშტ' „მოსაკლავი“ (ამ შემთხვევაში ზმნის ფუძეს ერთვის „განკუთვნილების“ -ტ' სუფიქსი, რომელიც ზოგ წარმოებასა და ზოგ დიალექტშიაც კარგად არის დაცული ამოსავალი – ტ' სახეობით – და რომელსაც წარმოუქმნია -ტ'გ → ტ' სახეობებიც).

ახწახა → || ახწახ „მონაჭერი“, „მონაკვეთი“ (ამ შემთხვევაში ზმნურ ფუძეს ერთვის -ხა სიტყვათ-წარმოებითი ელემენტი, რომელსაც მოეპოვება -ხგ, ზოგჯერ კი -ხ, სახეობები).

აფსენწრ (← *აფსენწ[ერა] || აფსენწრ „დღეგრძელობა“. აქ ჩვენ გვაქვს ზემოთ განხილული (იხ. აქვე, გვ. 115) -რა სუფიქსი, რომლის მახვილიანი ახმოვანი გადასულა გხმოვანში. ფუძის შემდგომი გართულები-

სას მახვილის გადანაცვლების შედეგად ეს უმახვილოდ დარჩენილი **გ**-ც გაქრება, შდრ. აფსენწერ-კ'აჟა „დღემოკლე“) და სხვ.

ზემოთ განხილული პროცესის ნიადაგზე ადვილი გასათვალისწინებელია მთელი რიგი სიტყვების ამოსავალი ხმოვნური სახეობა. ასეთებს განეკუთვნება უნდა ვიფიქროთ ად'გ ← *ად'ა („მინდორი“), აშაპგ ← *აშაპა („ფეხი“) და ბევრიც სხვა.

ბოლო მახვილიანი **ა**-ს **გ**-ში გადასვლა განსაკუთრებით დამახასიათებელია ბზიფური დიალექტისათვის¹, მაგ.:

ბზ.	აჩ:თრგ	აბჟ.	აჩ:თრა	„საჯინიბო“
„	აგ'აწ'გ	„	აგ'აწა	„ღვიძლი“
„	აცლამჰ'გ	„	აცლამჰ'ა	„ნიკაპი“
„	ამანანგ	„	ამანან	„ხერხი“, „ფანდი“
„	აფწგ	„	აფაწა	„ულვაში“
„	ძჰ'გ	„	ძჰ'ა!	„თქვი!“
„	აპ'გენწ'რგ	„	აპ'გენწ'რა	„ლილი“
„	ღგ	„	ღგა	„წაიღე!“, მთელი რიგი ზმნის ფორმები და სხვ.

7. მახვილის მიხედვით სხვაობა დიალექტებში. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მახვილის საერთო ტიპისა და მისი გამოყენების მხრივაც ძირითადად ერთიანობა გვაქვს აფხაზურსა და აბაზურს შორის, ოღონდ მახვილის მოქმედების ცალკეული შედეგი დიალექტებში განსხვავებული გამოდის. კერძოდ, უმახვილოდ დარჩენილი ხმოვანი ყველა დიალექტში ექვემდებარება რედუქციის პროცესს, მაგრამ ერთსა და იმავე შემთხვევაში ერთ დიალექტში შეიძლება უმახვილო ხმოვანს მოუვიდეს რედუქცია და მეორეში არა.

ასე, მაგალითად, ყველა დიალექტში მოხდა რედუქცია ჩვენებით ნაცვალსახელთა ფუძეებში ბოლოკიდური **ა** ხმოვნისა, რომელიც **ა** ნაცვალსახელოვან ფუძეს ახლდა და აგრეთვე მახვილის მატარებელი **ა** ხმოვანი იმავე ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძის **-რა** სუფიქსისა ნაწილობრივ რედუქციით დავიწროვდა **გ** ხმოვნად, მაგრამ ამავე ფუძეთა **-ბა**- ელემენტის დამახასიათებელი **ა** ხმოვანი (უმახვილო) ტაპანთურმა შემოგვინახა ურედუქციოდ, ხოლო აფხაზურმა (ზოგჯერ აშხარულმა დიალექტმაც) იგი შეკვეცა. მივიღეთ: აფხ. აბრგ, ტაპ. აბარგ ← *აბარაგ[რა] „ეს“; აფხ. აბნგ, ტაპ. აბანგ ← *აბანაგ[რა] „აგე ის“ და ასევე სხვა ნაცვალსახელებიც.

რჩება ერთგვარი შთაბეჭდილება, თითქოს ტაპანთურში მახვილიანი ხმოვნის წ ი ნ ა უმახვილო ხმოვანი (თუ ხმოვნები) შედარებით ნაკლებ ექვემდებარება რედუქციას, თუმცა არც თუ იშვიათად შეიძლება ტაპან-

¹ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. ძ. მ. ი. რ. წ. არმ., გვ. 191.

თურმა სწორედ ასეთ პირობებში განახორციელოს უმახვილო წინამავალი ხმოვნის რედუქცია და სხვა დიალექტებში კი ურედუქციო სახეობას ვადასტურებდეთ.

ცალკეულ შემთხვევებში ხან ერთმა დიალექტმა შემოგვინახა ურედუქციო ფორმა და ხან მეორემ¹. მაგ.:

ურედუქციო ² სახეობები		ნარედუქცივი სახეობები	
დიალექტი:		დიალექტი:	
ტაპ., აშხ.	ზანგ	აბჟ., ბზ.	ზნგ „ერთხელ“
„ „	კარა	„ „	ა-კრგ (ა-კვრ) „რამე“
აბჟ.	ა-ფაწ	ტაპ., ფწა;	ბზ. ა-ფწ „ულვაში“
აშხ.	შაყა	აბჟ., ბზ.	ტაპ. შაყა „წიგნი“
			ა-შაყა
	ბზ. აძაბა, აბჟ. აძაბა	ტაპ.	აჰა „უფროსი“
	ბზ. (ა-)ყანგ	აბჟ.	(ა)-ყნგ „(მას)-თან“
აბჟ., ბზ.	ა-მაყა	ტაპ.	მყა „ქამარი“
აშხ.	ტასა	ტაპ., აბჟ., ბზ.	(ა)-ტას „ტყვია“
აბჟ., ბზ.	ა-კალათ	ტაპ.	კალათ „კალათი“
„ „	ა-კადგრა	„ „	კადგრა „უნაგირი“
ტაპ.	ზაძგრა	აბჟ., ბზ.	აძგრა „ვინმე“
„ „	შაგრა	„ „	ა-შაგრა „ილია“
„ „	აბარასა	„ „	აბარასა აბას, ბზ. აბარს' აბას „ასე“, „ამგვარად“
ტაპ., აშხ.	მანჩა	„ „	ამანჩა „აქლემი“
„ „	აბა	„ „	აბა „მამა“ (შდრ. მრ. რ. აბაცა!)
ტაპ., აშხ.	შამსარგა	აბჟ., ბზ.	ა-შამსარგა „ცოცხი“
ბზ.	ა-წამლა	აბჟ.	ა-წამლა, ტაპ. წამლა „ლურ-სმანი“
„ „	ა-ხგლაფა	ტაპ.	ხგლაფა, აბჟ. ა-ხგლაფა „ქუდი“
ტაპ., აბჟ.	ა-რაცა	ბზ.	ა-რაცა „ნახშირი“
აბჟ., ბზ., აშხ.	აგა	ტაპ.	(ზოგჯერ) აშხ.-ც) აგა „ორნი“
„ „ „	ა-ქტა	„ „	ქტა „სოფელი“
აბჟ., ბზ.	ა-გნაჰა	ტაპ.	გნაჰა „ბრალი“, „ცოდვა“
აბჟ.	ა-ლადა	ბზ.	ა-ლადა „დაღმართი“, „ქვემოთ“ და მრ. სხვ.

¹ ქ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ძ. დრ. წარმ., გვ. 220-221; მისივე, ანგარიში საზაფხ. მივლ. ლიხნში, გვ. 291; მისივე, აშხ. დ., გვ. 48-50...

² „ურედუქციოს“ რომ ვამბობთ, ამ შემთხვევაში სხვა დიალექტურ ფორმასთან შედარებას ვგულისხმობთ, თორემ ზოგი რთული ფუძე რამდენიმე საფეხურის რედუქციის შედეგად შეიძლება იყოს მიღებული.

ზოგ დიალექტში შეიძლება ჭარბობდეს ამა თუ იმ პოზიციაში დასმული მახვილი ძალა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბზიფური დიალექტისთვისაა განსაკუთრებით დამახასიათებელი აუსლაუტში მოქცეული უმახვილო ა ხმოვნის რედუქცია მახვილის წინამავალ მარცვალზე არსებობისას.

ასევე ბოლო ღია მარცვალში უმახვილოდ დარჩენილი ხმოვანი დადებითი ბრძანებითი კილოს ფორმაში ჩვეულებრივ იკვეცება აფხაზურში, შდრ. უგგლ! უგნგლა! „ადე!“; უნახ უნახა! „გასწიე!“ = „გაიწიე“, ძლგთ! ძლგთა! „მიეცი მას (ქ)!“ და მისთ.¹

გასათვალისწინებელია აგრეთვე ერთსა და იმავე სიტყვასა თუ ფორმაში განსხვავებულ ადგილას დასმა მახვილისა სხვადასხვა დიალექტში, რასაც ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ხმოვნის რედუქციის მხრივაც განსხვავებული შედეგები მოჰყვეს, მაგ., ტაპ. ანასა, აფხ. ანს „აი ეგრე“, ტაპ. აბარათ, აფხ. აბარათ „ესენი“; აბჟ. აკამერშაშა, ბზ. აკამერშაშა (← *აკამერშაშა) „ლოკოკინა“, აბჟ. აკ ტწწრა, ბზ. აკ ტწწარ „საქათმე“ და სხვ.

მსგავსი ფაქტები ერთსა და იმავე დიალექტშიაც არაა უჩვეულო, მაგ., ერზნაკ (მარაზნაკ) და ერაზნაკგ (მარაზნაკგ) „ერთბაშად“, ესტუახა (მასტუახა) და ესტუახა (მასტუახა) „ყოველ ღამ“, ზაანაწ და ზაანაშგ „ადრითვე“, ესქწნაგ (მასქწნაგ) და ესქწნაგ (მასქწნაგ) „მუდამ“ და სხვ.

მთელ რიგ სახელთა ფუძეებში, რომლებშიაც ტაპანთურ დიალექტში შენარჩუნებულია სრულხმოვნიანი, ურედუქციო სახეობა, ხოლო აფხაზურში მომხდარა რედუქცია (როგორიცაა აფხ. აშრა, ტაპ. მარა, აშარა „მზე“; აფხ. ა-ზნა, ტაპ. ბაგა, ა-ზაგა „მელა“ („მგელი“...) გარკვეული როლი შესაძლოა ენიჭებოდეს ამა თუ იმ მახვილიანი სახეობის გ ა ვ რ ც ე ლ ე - ბ უ ლ ო ბ ა ს ა ც. აფხაზურში წინ მახვილგადმონაცვლებული განსაზღვრული ფორმის განზოგადებამ სიტყვის სალექსიკონო ფორმად, საფიქრებელია, ხელი შეუწყო თავკიდურ მახვილიანი სახეობის გაბატონებას, რასაც (ე. ი. მის ხშირ გამოყენებას) მოჰყვა რედუქციაც მომდევნო უმახვილო ხმოვნისა და „სიტყვის თავში“ თანხმოვანთა შეჯრაც (მაგ.: მრ., ბგ...). ამავე მიზეზით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება აიხსნას „თავკიდურ“ თანხმოვანთა შეჯგუფებები ისეთ სიტყვებში, როგორიც არის აშშა (ტაპ. აშგ) „დე“ ← *მაშა, აშზ (ტაპ. ბზგ) „ენა“ ← *ზა (← *მაზა?!), აშჯა (ტაპ. აშა) „გზა“ ← *მაშა და მსგავსნი, რამდენადაც ტაპანთურშიაც და საერთო აფხაზურ-აბაზურ ამოსავალ სახეობაშიაც ამ სიტყვების თანხმოვან-შეჯრილ ფუძეებს არ შეიძლებოდა ჰქონოდა თავკიდურად ხმოვანი (ისიც მახვილიანი!), რომელსაც ჯერ კიდევ ამოსავალ მდგომარეობაში გამოეწვია ხმოვნის რედუქცია. ამ ფუძეებში რედუქცია გამოწვეული უნდა ყოფი-

¹ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ძირ. დრ. წარმ., გვ. 190-192.

ლიყო სწორედ მომდევნო (ბოლო) მახვილიანი მარცვლის შემკუმშველი ძალის მოქმედებით (მშგ || ← მშა ← *მამა და ა. შ.).

თვით ის ფაქტი, რომ აფხაზურში ზოგად ფორმაში (და ტაპანთურში – განსაზღვრულ ფორმაში) აღნიშნულ ფუძეებს მახვილი თავკიდურად მოუდის და მახვილის წინ გადმოწევა მსგავს თანხმოვან-შეჯრილ ფუძეებში უფრო დამახასიათებელიც არის, ერთგვარად, შესაძლებელია, თანხმოვანთა შეჯრის წარმოქმნის „დეძლევითაც“ იყოს გამოწვეული.

მახვილის მარედუცირებელი როლი მეტად თვალსაჩინო ხდება სხვადასხვა დიალექტთა მიხედვით სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებში.

წინამავალი მახვილის ძლიერი მოქმედების შედეგი ჩანს აბჟუურ დიალექტში პარალელურ სახეობად აორისტის ფორმაში -ლა-ზე დამთავრებულ ფუძეებში (სხვა ა-ზე დამთავრებულ ფუძეთაგან განსხვავებით) -ე-ღ (← -ა-ღ) დიფთონგის სრული გაქრობა. შდრ. დრგშთალტ || ← დრგშთალეღტ „ის (ად) მათ გამოედევნა“, ძკკ დნგჭფუნგელტ || ← ...დნგჭფუნგელეღტ „ის (ად) მდინარის ნაპირს მიადგა“; ავნგ ირგგლტ || ← ...ირგგლეღტ „მან (მ) სახლი ააშენა (დადგა)“; დგჭრღაწა დააყალტ (|| ← ...დააყალეღტ) „ის (ად) მხიარული დარჩა“ და სხვ.¹.

საგულისხმოა, რომ -ლა-ზე დამთავრებული იგივე ზმნა აბჟუურში ამ რიგის ფორმას აღარ მოგვცემს, როცა მახვილი ბოლოს მოუვა (იმავე ა ხმოვანზე), მაგ. დყალეღტ (< დყალაღტ) „ის (ად) გახდა, იქცა...“ (შდრ. აქვე: დააყალტ) და მისთ.

ასევე ბზიფურში (აბაზურ დიალექტებში და უფრო იშვიათად აბჟუურშიაც) წინამავალმა მახვილმა გაცვითა ხმოვნური (დიფთონგური) და-ბოლოება აორისტში ე. წ. თანხმოვანზე დაბოლოებულ (თუ მათთან გათანაბრებულ) ფუძეებშიაც: დკგლსტ ||← დკგლსგღტ „ის (ად) შიგ გაძვრა“. დხჭგტ ||← დხჭგგღტ „მან (ად) იფიქრა“, დგძტ ||← დგძგღტ „ის (ად) დაიკარგა“ და მისთ.²

დიალექტთაგან შედარებით უფრო სუსტი ჩანს მახვილის მოქმედება და ამდენადვე უფრო შემორჩენილიცაა სრულხმოვნური ფუძეები აშხარულსა და აბჟუურ დიალექტებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტაპანთური, რომელშიაც თვალში საცემია თანხმოვანთ შეყრა და რომელშიაც მახვილის, მის მოძრაობას (წინ დასმას თუ გადმოწევას გარკვეულ ფორმებში) არსებითად დაურღვევია ვოკალური სახე ზმნური ფუძეებისა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის, რომ ზმნურ წარმოებებში მახვილის წინ დასმას ხშირად არ მოჰყოლია ის ცვლილებები არც ერთ სხვა დიალექტში, რაც ტაპანთუოში. ა ბოლოხმოვნის ზმნურ ფუძეებს დიდ წილ შემთხვევაში მახვილხმოვნის წინდებულის ან საურთიეთრო და სამი-

¹ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ძირ. დრ. წარმ., გვ. 217-219.

² ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ძირ. დრ. წარმ., გვ. 217-219.

მართებო თუ სხვა პრეფიქსის დართვისას ა ჩამოშორებია და არსებითად შეცვლილია სახე ფუძისა (გათანაბრებული გამოდის ბოლოთანხმოვნიან ფუძეებთან). მაგ.:

აფხ. ა-გა-რს „წაღება“	ეგრგე-მტ „წაიღეს“
ტაპ. გა-რს „	ეგრგა-ტ „
მაგრამ:	
აფხ. ანგა-რს „მოტანა“	დაარგე-მტ „მოიტანეს“
ტაპ. შანგ-რს „	დაარგ-ტ ¹ „
აფხ. ა-ჭა-რა „ჭამა“	ეგრგე-მტ „შეჭამეს“
ტაპ. ჭა-რა „	ეგრგა-ტ „
მაგრამ:	
აფხ. ა-მბაჭა-რა „ურთიერთ ჭამა“	ეგრგე-მტ „ერთმანეთი შეჭამეს“
ტაპ. აბჭა-რა „	ეგრგა-ტ „
აფხ. ა-ცა-რს „წასვლა“	დცე-მტ „წავიდა (ად)“
ტაპ. ცა-რს „	დცა-ტ „
მაგრამ:	
აფხ. აშარაცა-რა „ნადირობა“ (ნადი- დშარაცე-მტ „ინადირა“ რობად წასვლა“)	
ტაპ. შარაც-რა „	დშარაც-ტ „
აფხ. ა-ცა-რა „დაძინება“	დცე-ე-მტ „დაძინა“
ტაპ. ცა-რს „	მაგრამ: დცე-იტ „ და სხვ.

ამავე წესის საფუძველზეა, რომ ზმნური მიქცევითი მიმართულების -ლა სუფიქსი ტაპანთურში ლ- სახით გვაქვს².

როგორც ვიცით -ლა სუფიქსი მიქცევითი მიმართულების გამოხატვის ფუნქციით ერთვის ფუძე-წინდებულის მქონე ზმნურ ფუძეებს³. ეს ფუძეები თვით არიან მახვილის მატარებელი (მით უმეტეს წინდებულთა დართვისას). მათზე დართულ -ლა სუფიქსს კი არ შესწევს უნარი მიიზიდოს მახვილი, ამიტომაც ყველა ამ სუფიქსით ნაწარმოები ზმნა ტაპანთურში თავის უმახვილო ა ხმოვანს იკვეცს და ვიღებთ: ადწალრა (← ადწალარა), შდრ. აფხ. ადტალარა „მიჯდომა“; ადგალრა, შდრ. აფხ. ადგალარა „მიტანა“; ადკვლრა, შდრ. აფხ. ← ადკვლარა „მიღება“, „მიტანება“...; აფგწწალრა, შდრ. აფხ. აფგწწალარა „მიჯდომა ნაპირას“, აფწალრა შდრ. აფხ. ახაფწალარა „ახტომა ზემოთ“; ანფწალრა, შდრ. აფხ. ანფწალარა „მიხდომა (რაზედმე)“ და მრ. სხვ.

¹ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე, ტაპ. დ., გვ. 148.

² ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე, ტაპ. დ., გვ. 141, შენ. 1.

³ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე, რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში. იკვ. ტ. IV, 1952, გვ. 11, 114.

იგივე მოსდის **-ლა** ძირ-სუფიქსს¹, მაგ., ტაპანთურში არის: ფგლრა (ავხ. აფგლარა) „შეხვედრა“; თალრა (ავხ. ათალარა) „შიგ შესვლა“; ნაშგლრა (ავხ. ანაშგლარა) „(შენობაში) შესვლა“; ძგქგლრა (ავხ. ადგქგლარა) „გზას გადგომა“; ცგლრა (ავხ. აცლარა) „თან ხლება“; კალრა (ავხ. ახალარა) „ზე-ასვლა“; მნალრა (ავხ. ავნალარა) „სახლში“ შესვლა“... და მრ. სხვ.²

ამრიგად, აღნიშნულ ზმნებში **ა** ხმოვანი ისეა ჩამოშორებული ყველა ფორმაში, რომ ისინი გათანაბრებული არიან ე. წ. თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნებთან, შდრ. დგქგლტ („იგი (ად) გაემართა“), დგქგლპ („გაემართება“) და მისთ.³

ასეთსავე ბედს იზიარებს ზმნა „გგლრა“-ც, შდრ. აფხ. აგგლარა „(ა)დგომა“.

რედუქციის აღნიშნულ წესს არ ექვემდებარება ...**ლა** ბოლოკიდურის მქონე **-ტლა** (ჭატლარა „გახსნა“ გარდაუვალი, რტლარა „გახსნა“ გარდამავალი, ადგრტლარა „ახსნა“, ჩგრტლარა „გახდა“...) და **-პლა** (აქპლარა „ზედ ცვენა“, ალპლარა „გაბნევა“, ადგრპლარა „გამოზნევა“, „გადმოცვენა“, აკპლარა „გაბნევა“, კაპლარა „ძირს დაბნევა“, შაპპლარა „შიგნიდან გადმოცვენა“, შანაპგქაპლარა „ხელიდან გაცვენა“...) ფუძეები. **-ლა** თითქოს აქაც გამოიყოფა (შდრ. ცალკეც არსებული **ტ** და **პ** ძირები: აფხ. ა-ტ-რა, შატ-ტ-რა „ხსნა“, აფხ. აამ-პ-რა „გაფანტვა“...), მაგრამ იგი შორდება ზემოთ განხილულ მიქცევითი მიმართულების გამომხატველ **-ლა**-ს, რამდენადაც გვხვდება ჩვეულებრივ სწორედ ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო , უ კ უ ქ ე ვ ი თ ი მიმართულების მქონე ზმნებშიც.

მას რომ რედუქცია არ მოსდის მახვილის წინ დასმისას, ეს იმით ჩანს გამოწვეული, რომ **-ლა** მარცვალს უშუალოდ წინ უდგას თანხმოვანი (ან თანხმოვნები) და არა ხმოვანი. თანხმოვანთა შეჯრამ ამ გარემოში ხელი შეუშალა ლა სუფიქსისეული **ა** ხმოვნის რედუქციას⁴.

¹ იქვე. გვ. 91, 104.

² თითქოს ანალოგიური მოვლენა გვაქვს აბჟურშიც: დდგქგლტ „გაემართა“ (იხ. ზემოთ, გვ. 104), მაგრამ სხვაობა მაინც მნიშვნელოვანია. აბჟურში რედუქცია ამ შემთხვევაში ხდება მ ხ ო ო დ აორისტში. მასდარსა და სხვა ფორმებში იგივე ფუძე ინარჩუნებს **ა** ხმოვანს, შდრ. დგქგლარა, დდგქლომტ ← დდგქგლაუემტ... დდგქლაპ... და მისთ.

³ იშვიათად ტაპანთურშიაც ასეთ ბოლო **ა**-ხმოვან მოკვეცილ ზმნათა პირის ფორმებში შეიძლება შეგვხვდეს ურედუქციო **ა**-ხმოვნიანი სახეობებიც. ეს პარალელური სახეობები შეიძლება ერთი და იმავე მთქმელის ენაში დავადასტუროთ, შდრ. მაგ., ძმალნაპადა – ტ. ტ. 112,13 – „მან (ნ) მას (ქ) უთხრა“ და ძმალნაპა – ib. 110,23 – „მან (ნ) მას (ქ) უთხრა“; ჯოფ ილთატ || ილთტ – 49,36 – „მან (ქ) მას (მ) პასუხი გასცა; დშადგად || დშადგ – ib. 57,26 – „მან (მ) ის (ად) მოიყვანა“...

⁴ ასევეა ეს სათანადო შემთხვევებში აბჟურის დიალექტის აორისტის ფორმაშიც.

ამ შემთხვევაში ურედუქციო სახეობის შესანარჩუნებლად რომ წინ უშუალოდ ხმოვნის უქონლობას და თანხმოვანთა შეჯრას აქვს მნიშვნელობა, ცხადი ხდება სტატიკურ ზმნათა ხოლმეობითის -ლა სუფიქსიანი ფორმებითაც ტაპანთურში, რომელსაც წინ უძღვის -ზ სუფიქსი და -ზლა კომპლექსში უკვე ვეღარ ხორციელდება რედუქცია, შდრ. ჰმაზლარა „ქონა-ყოლა“, აცაზლარა „ყოფნა“ და მისთ.

ეგევე დაბრკოლება რედუქციისთვის აღიმართება ხოლმე სხვა შემთხვევებშიც, შდრ. ჰაგრა „მოტანა“ და ძ⁰გლგარა „გარეთ გატანა“; შ⁰არაგრა „სანადიროდ წასვლა“, მაგრამ – ძ⁰გლცარა – „გარეთ გაგდება“ და მისთ.

VI.

კონსონანტური სისტემა

1. **ზოგადი შენიშვნა.** აფხაზურ-აბაზურის კონსონანტური სისტემა თავის საფუძველში იგივეა, რაც იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო სისტემა, რომელიც შედარებით მარტივი სახით წარმოდგენილია ქართულ-ქართველურ ენებში. ამ ამოსავალი საერთო სისტემის დამახასიათებელია, როგორც ცნობილია, სონანტა ცალეულობა, სპირანტა წყვილეულობა და ხშულთა (როგორც მარტივთა, ისე – აფრიკატთა) სამეულობა.

აფხაზურსა და აბაზურში ეს სისტემა ცალკეულ სპირანტთა და ხშულთა რიგებში გართულებულია პალატალიზაციით, ველარიზაციით, ლაბიალიზაციით..., რის საფუძველზედაც იქმნება დაპირისპირება რბილ და მაგარ, არალაბიალიზებულ და ლაბიალიზებულ... სახეობათა შორის.

დიალექტებისა და თქმების მიხედვით აფხაზურ-აბაზური კონსონანტური სისტემა მეტად ჭრელ სურათს წარმოადგენს. ეს სიჭრელე შედეგია ფონეტიკურ სისტემაში მომხდარი დიდი ცვლილებებისა, რის გამოც ქვემოთ თანხმომავნ ფონემათა სისტემის ანალიზისას მოგვიხდება მთელ რიგ ფონეტიკურ პროცესებზედაც შეჩერება.

2. **სონანტები.** სონანტთაგან აფხაზურსა და აბაზურში გვაქვს: **ჟ, მ** (იხ. ზემოთ), **მ ნ რ.** სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა სათანადო ფონემებისაგან განსხვავებით ისინი განსაკუთრებით თავისებურს არაფერს შეიცავენ, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში მათს წარმოთქმაში შეინიშნება ნაწილობრივი გადახრებიც.

მ. იგი აფხაზურსა და აბაზურში ქართულის მსგავსი ნაზალური ბილაბიალური ბგერაა, ოღონდ ქართულის **მ**-სთან შედარებით მისი გამოთქმისას შეინიშნება ბაგეების ოდნავ უფრო ვიწროდ და დამაბულად შეხება.

გვხვდება სიტყვებში: ა-**მჟ** „შეშა“, ა-**მჩ** „ძალა“, ა-**ლგმჟა** „ყური“, ა**მაზარა** (ტაპ. ამაზლარა) „ქონა-ყოლა“, ა-**მაჟ** (ტაპ. მაჟგ) „სიძე“, ა-**ფსლგმ** „სილა“ (ტაპ. „ჟაობი“), აფხ. ა-**თაჟკგმ** „მუშტი“ და სხვ.

იგი ძალზე გავრცელებულია თავკიდურ პოზიციაში (შდრ. ა-**მმ** „დათვი“, ა-**მმ** „დღე“, ა-**მცა** „ცეცხლი“, ა-**მჯა** „გზა“ და სხვ.), რაც მის გაქვავებულ, პრეფიქსულ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს.

მ სიტყვის ბოლოს იშვიათად გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზმნური ფორმის ბოლოს მოქცეულ უარყოფითობის სუფიქსს (და ასეთი წარმოების საფუძველზე მიღებულ სახელებსაც, მაგ., აფხ. ა-**ტგმ**

„უცხო“ (= „არა თავისი“) და მისთ., რედუქციის ნიადაგზე ხმოვან-ჩამოშორებულ ფუძეებს (მაგ. ტაპ. არგამ, აფხ. არგამა „ცხადად“, „ახდილად“ და ნასესხებ სიტყვებს (მაგ., ალგმ „ლომი“, ტაპ. „ვეფხვი“, ტაპ. ყომ „ბევრი“, „ბლომად“...).

მ გვხვდება ძირეულ ელემენტადაც (მაგ., დღმან მას (ქ) ის (ად) ჰყავდა“...) და მოქმედ აფიქსადაც (შდრ. პრეფიქსები ზმნაში: წინდებ. – ამხრა „მოძრობა“, „წართმევა“... უნებურობის მაწარმოებელი – დამხაც ემტ „მას (ად) ჩაემინა“... უარყ. აფიქსი და სხვ.).

ნ. ნაზალური ნ სონანტის წარმოთქმისას ქართულის სათანადო ნ ბგერასთან შედარებით მეტი დამაბულობა შეინიშნება.

ზოგჯერ, სიტყვის ბოლოს აფხაზურში ნ თითქოს ოდნავ სილბოს იძენს. ასეთი ნ ჩვენ დაგვიდასტურებია სიტყვებში: ამჟან → ამჟან „გზად“, აწჟან → აწჟან „სარი“... ამ კონკრეტულ შემთხვევებში მისი ერთგვარი შერბილება შეიძლება ჯ-ს მეზობლობაში მყოფი ახმოვნის გაუმლაუტებით აგვეხსნა¹.

ნ გვხვდება სიტყვებში ან „დედა“, ანცა „ღმერთი“, ა-ნჯყ არა „სიარული“, ა-ნხარა „ცხოვრება“, „სახლობა“, ტაპ. „მუშაობა“, ა-ფგნწა „ცხვირი“, ანგშ „მიწა“ და სხვ. იგი ხშირად მოქცეულია სიტყვის ბოლოს: ა-ფხგნ „ზაფხული“, შგბჟრნ „შუადღისას“, აფხ. ა-მჟან „გზად“, ტაპ. არბაჟთგნ „მამლის ყივილობა“ და მისთ., სადაც იგი გარკვეულად სიტყვით მაწარმოებლის როლს ასრულებს.

ნ გამოდის ძირეულ ელემენტადაც (იხ ზემოთ ან „დედა“...) და ფართოდ გამოიყენება ზმნურ პრეფიქსებშიაც (მაგ., ნა-, ნ- პრეფიქს-წინდებულები; ან- ზმნური საგარემოებო ელემენტი და სხვ.).

ლ. ლატერალური სონანტი აფხაზურ-აბაზურს ერთი აქვს. ეს არის თავისი ბუნებით მაგარი ლ. მისი წარმოთქმისას წინა ენის ზურგი ებჯინება მაგარ სასას შედარებით უფრო უკან და უფრო მტკიცედაც, ვიდრე მაგ., ქართული სალიტერატურო ენის ლ-ს წარმოთქმისას.

აფხაზურში ლ-ს ეს „სიმაგრე“ განსაკუთრებით თავს იჩენს ი (იგ) და ე პალატალურ ხმოვანთა მეზობლობაში, რამდენადაც იგი ვერ ჰგუობს შერბილებას. ამითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ აფხაზური სამწერლობო ენის პრაქტიკაში ასეთ შემთხვევებში – მაგ., ზმნის დროთა ფორმებში – ლ-ს მომდევნო ა ხმოვანი როცა ე-დ იქცევა, ლ-ს მომდევნოდ სიმაგრის ნიშანს (თუ გასათიშავ ნიშანს) წერდნენ ხოლმე (შდრ. ერთი მხრივ, ძყალაპ – „იქნება“, „მოხდება“, და, მეორე მხრივ, – ძყალე-ემტ „გახდა“, „მოხდა“).

სამწერლობო ენაში ტრანსკრიფციულად აფხაზურში გვხვდება რბილი ლ-ს ნიშანი ლь, რუსულის გზით შემოსული სიტყვებისათვის, თუმცა

¹ მ. ა. რ. ი. სხვა შემთხვევებშიაც მიუთითებდა რბილ ნ-ს არსებობაზე აფხაზურში და ამისთვის საგანგებო ნიშნის შემოღებასაც თვლიდა საჭიროდ. იხ. მისი, О записывании абхазских текстов. კრბ. О языке и истории абхазов. М.-Л., 1938, გვ. 154.

წმინდა აფხაზური გამოთქმისას რბილი **ლ** არც ამ სიტყვებში ისმის.

აბაზურშიაც საკუთარ ლექსიკურ ფონდში მხოლოდ ერთი „მაგარი“ **ლ** არის, ოღონდ აქ ნასესხებ სიტყვებში გვხვდება ადიღურ ენათაგან თავისებურად გადმოღებული ლატერალები. ერთი მათგანი (მჟღერი ლატერალი **ლ'**) ნასესხებ სიტყვებში **ლ'**-ს (ე. ი. რბილი **ლ**-ს) სახით წარმოგვიდგება (შდრ. აბაზ. ამალ და აფხ. ამალ „ქონება“)¹.

ლ არის სიტყვებში: ლარს „ის (ქ)“, ა-ლაბს „ჯოხი“, ა-გგლარა, ტაპ. გგლრა „(ა)დგომა“, ა-ლაშარა „სინათლე“, ამპვლ „ბურთი“, ა-ლვა, ტაპ. ლშა „კვამლი“, ალ, ტაპ. ალჭგ „თხმელა“...

აბსოლუტურ ბოლო პოზიციამი **ლ** იშვიათია საკუთარ ლექსიკურ ფონდში. **ლ** გამოდის ძირეული ელემენტის როლშიაც (იხ. ზემოთ) და აფიქსადაც (მაგ., III პ. ქალთა კატეგ. პრეფიქსი – **ლ**-, წინდებ. **ლა**-; სუფიქსი –**ლა**, რომელსაც ტაპანთურში ხშირად ა ხმოვანი ეკვეცება, და სხვ.).

რ. აფხაზურ-აბაზურის **რ** სონანტი ქართულის **რ**-სთან შედარებით შესამჩნევად უფრო მთრთოლი ბგერაა. იგი არის სიტყვებში: ა-რგვჰს, ტაპ. რაფჰა „ფილტვი“, ა-რახ² „საქონელი“, ა-რახ³ გვ, ტაპ. რაჰა „ძაფი“, ხარს, ტაპ. ჰარა „შორი“, „შორს“, ა-რხა, ტაპ. რჰა „დაბლობი“, „ველი“, აბრს, ტაპ. აბარს „აქ“, ა-გ³რ „ნემსი“ და სხვ.

რ გვხვდება მთელ რიგ ამჟამად განუყოფელ ფუძეთა შემადგენლობაში, გამოდის თითქოს ძირეულ ელემენტადაც ზმნაში (მაგ., არრა „წყალში გასვლა“ და სხვ.); მას ფართო გამოყენება აქვს როგორც აფიქსს – გაქვავებულსაც და მოქმედსაც (შდრ. „პრეფიქსული“ წარმომავლობის არ- სიტყვებში: არფეს „ყმაწვილი“, არბად „მამალი“...; კაუხატივის პრეფიქსი – **რ** || **რგ** ← ***რა**-; სუფიქსები – განყენებული სახელისა და მასდარისა –**რა**, პირობითი კილოს მაწარმ. და სხვ.).

დიალექტურ და პარალელურ სახეობათა შეპირისპირების ნიადაგზე ხერხდება მისი ფართო მონაცვლეობის დადგენა მთელ რიგ ბგერებთან (თვით აფხაზურ-აბაზურის შიგნით).

კერძოდ, შენიშნულია მისი მონაცვლეობა: **ლ**, **ა**, **ჰ**, [**ყ**], **ძ**...სთან, შდრ. -აფგ³ა- || ტაპ. არგ³ა- „ახლო“; მყოფადის წარმოებაში დიალექტურად მონაცვლე სახეობები – **რა** || **ლა-გ** || ჰა (→ აა)²; სპორადული ფაქტები დადასტურებული აშხარულ დიალექტში – **რ** || **ყ**³; აფხ. ა-ძტორა, ტაპ. რატრა

¹ ამიტომ გაუგებარია, რას ემყარებოდა მ. მარი, როცა აფხაზურის ბგერითს სისტემაში შეჰქონდა **ლ**-ს რბილი სახეობა (l'). იხ. მისი, О записыв. афх. текстов. აღსანიშნავია, რომ თვით ნ. მარს, რომელსაც ყველა ბგერის ხმარების სათანადო ნიმუშიც აქვს დასახელებული, რბილი **ლ**-ს შემცველი მაგალითი არ უჩვენებია.

² ქ. ლომთათიძე, აშხ. დ., გვ. 148-152; მისივე, აფხაზური ზმნის ძირითად დრო-კილოთა სისტემა. ივე, ტ. VII, 1955, გვ. 219-222.

³ აშხ. დ., გვ. 47.

„დნობა“: აფხ. ასგ მჭთიტ, ტაპ. ასგ რათეგტ „თოვლი გადნა“¹ და სხვ.

აფხაზურსა და აბაზურში სონანტებს შესწევს უნარი **განსაზღვრულ გარემოში** გამოიწვიოს წინამავალი თანხმოვნის (მხოლოდ გარდამავალ ზმნათა სუბიექტის ნიშნის) გამჟღერება; ამ მხრივ ისინი უტოლდებიან მჟღერ ჩქამიერებს.

ვ. ალენი განიხილავს რა აბაზურის ზმნურ კომპლექსში პირის ნიშანთა გამჟღერების საკითხს, მიდის შემდეგ დასკვნამდე: გამჟღერების პროცესი მხოლოდ მაშინ წარმოებს, როცა რადიკალის საწყისი „დისტინქტიურად“ მჟღერია, ე. ი. როცა იგი მინიმალურად განსხვავდება სხვა არტიკულაციისაგან მჟღერობით: ამრიგად, იგი არ გამოიყენება ნარნარა, ნაზალურ და ხმოვნის ტიპის რადიკალის საწყისის წინ.

მაგ., (64) **დსწყჳჯდ** „მან გამომიწვია მე“, სადაც **ს** = [ს]-სო².

ს პირის ნიშნის ამ შემთხვევაში გაუმჟღერებლობას ვერ ავხსნით, როგორც ამას ვ. ალენი ფიქრობს, ნ-ს „დისტინქტიური მჟღერობის უქონლობით“.

როგორც უკვე ცნობილია, აფხაზურში და ასევე აბაზურშიაც, პირის ნიშნების (I მხ. რ და მრ. რ. – **ს**, **ჰ**, II მრ. რ. – **შ**) გამჟღერება ხდება **მხოლოდ** მაშინ, თუ ეს პირის ნიშნები **გარდამავალი** ზმნის სუბიექტს გამოხატავს და უშუალოდ დგას მჟღერი ბგერით დაწყებული ასეთი (ე. ი. გარდამავალი) ზმნის ძირის წინ (აქვე, მჟღერებში შემოდის სონანტებიც, როცა სათანადო პირობები იქმნება)³.

ვ. ალენის მიერ თავისი დებულების საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითი „**დსწყჳჯდ**“ („მან გამომიწვია მე“) ამ თვალსაზრისით იწვევს რიგ შენიშვნას. ჯერ ერთი, ეს ზმნა **არ არის გარდამავალი** და ამიტომაც მასში **ნ** ვერ გამოიწვევდა **ს**- პირის ნიშნის გამჟღერებას (ისევე, როგორც ვერც ერთი სხვა მჟღერი თანხმოვანი).

გარდა თქმულისა, თვით ალენისეული გადმოცემაც ამ ზმნური ფორმისა არ შეესაბამება სინამდვილეს. აქ ერთგვარად, ვფიქრობთ, თავი იჩინა აბაზურის ზმნურ კომპლექსთა ხმოვნური შედგენილობის შესახებ ალენის მიერ წამოყენებულმა დებულებამ, რომ ზმნურ კომპლექსში მხო-

¹ ქ. ლომთათიძე, რიწა სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1947, გვ. 12.

² (f) The voicing process is applicable only when the radical initial is distinctive: y' voiced, i. e. when it is minimally distinguished from another articulation by voice¹: it is thus not applicable before radical initials of liquid², nasal, or vocalic type³.

e. g. (64) dsnq'wəq'd 'He challenged me'. where s=[s] ob. W. S. Allen, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

³ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში. ენიმკის მოამბე, ტ. XII, 1942, გვ. 9-11, მისივე, ტაპ. დ., გვ. 123-124.

ლოდ ერთი მარცვალი არსებობს, – მხოლოდ მახვილიანი.

მის მიერ მოყვანილი ზმნური ფორმა ბუნებრივი იქნებოდა გამოთქმისა (და შედგენილობის) შესაბამისად გადმოგვეცა ასე: „დსანყ აყ დ“, მაშინ ისიც აშკარა იქნება, რომ მოყვანილ საილუსტრაციო მაგალითში არც მეორე პირობა – პირის ნიშანი უ შ უ ა ლ ო დ უნდა იდგეს ძირეული მქლერის წინ – არის დაცული. აქ ს- პირის ნიშანსა და ნ-ს შორის დგას ა ხმოვანი, რომელიც უბრალო „გახმოვნება“ როდია (რომელიც შეიძლება გამოტოვებულ იქნეს), არამედ პ რ ე ფ ი ქ ს უ ლ ი ელემენტია ირიბი ობიექტის ს- პირის ნიშნის მომდევნოდ მდგომი.

ვ. ალენი იქვე შენიშვნაში მიუთითებს, რომ პირის ნიშანს არ ამქლერებს ნარნარა ლ-ო და საილუსტრაციოდ მოჰყავს ზმნური ფორმა **დსლაგად** („მე დავფქვი იგი“)¹.

ასეთი ამოსავალი, უასიმინაციო ფორმა აღნიშნული ზმნისა როგორც პარალელური სახეობა შეუძლებელი არ არის, მაგრამ იგი არც ერთადერთია და არც დამახასიათებელი.

სხვა სონანტთა, კერძოდ უ სონანტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (შდრ. აფხ. ა-ჟ-რან „ქმნა“: ი-ზ-ჟ(ჟ)ეღტ ← *ი-ს-ჟ(ჟ)ეღტ „მე ვიქმ, ვშვები მას“), მოულოდნელი არ უნდა იყოს პირის ნიშნის გამქლერება გამოიწვიოს ლ სონანტმაც და, მართლაც, სწორედ ალენის მიერ მოყვანილი აბაზ. ლ ა - გ ა რ ა ს (აფხ. ო-ლ ა გ ა რ ა) „ფქვა“ ზმნა გამოდგება ამის საილუსტრაციოდ.

I პირის ფორმაში ჩვეულებრივ არის: აფხ. ი-ზ-ლაგრატ, ტაპ. ი-ზ-ლაგრატ (← ი-ს-ლაგრატ...) „ვფქვავ მას (ნ)“ და სხვა პირებიც ასევე.

მაგ.: „არრ, საბა დგფსგნ, ფსკრ მზგყასწარნგს იზ ლ ა გ ა რ ა ნ გ ს ააზგე...“ – „სარგჯ საბა დგფსგნ, იზ ლ ა გ ა რ ა ნ გ ს შფგუთვ ააზგე... ედლაჰწაჰ-შთა ძ ა ა ლ ა გ ა რ ა ს“-იჰჟ... – აშხ. ტ. 67¹⁵⁻¹⁸ – „ეს, მამაჩემი მოკვდა და მისი სულის მოსახსენებლად, რ ა თ ა დ ა ვ ფ ქ ვ ა, მოვიტანე...“ – „მეც, მამაჩემი მოკვდა და, რ ა თ ა დ ა ვ ფ ქ ვ ა, ორი ფუთი მოვიტანე... შევაერთოთ და დ ა ვ ფ ქ ვ ა თ ო -თქვა“... და სხვ.

ლ სონანტით დაწყებული გარდამავალი ზმნა არის აგრეთვე ო-ლ ა - ჰ ა რ ა, ტაპ. ლ ა ჰ ა რ ა „ლეწვა“; „ცეხვა“, მაგრამ ამ ზმნაში ლ სონანტი აღარ იწვევს გამქლერებას. არის: დგ-ს-ლაჰრატ, ტაპ. დგ-ს-ლაჰრატ „ვლეწავ“; „ვცეხვავ“ და ა. შ.²

ეს ზმნები (ო-ლაგარა „ფქვა“ და ო-ლაჰარა „ცეხვა“, „ლეწვა“) თითქოს ერთგვარი აგებულებისა და კონსტროუქციისაა, მაგრამ ერთში გარდამავა-

¹ „... there is thus no voicing before l (e. i. y s l a g á d 'I ground it'). იქვე, შენ. 2.

² მხოლოდ ერთმა ჩვენმა აზხარელმა მთქმელმა ჩათვალა შესაძლებლად მისი გამქლერებული პარალელური სახეობა: „ი-ზ-ლაჰრატ“, თუმცა სხვა მთქმელებმა იგი უარყვეს.

ლი ზმნის თავკიდურმა **ლ** სონანტმა გამოიწვია სუბიექტური პირის ნიშნის გამჟღერება და მეორეში – არა.

უნდა ვიფიქროთ აქ ან **ლ(ა)** თავკიდური ელემენტი ფუძისა ძირეული არ არის და იმიტომ მოხდა პირის ნიშნის გამჟღერება, იგი ეგების ფუძეს შეზრდილი ნააფიქსარი (თუ სახელის ფუძიდან მომდინარე) ელემენტია (შდრ., აქვე, ქვემოთ, რა-|| ლა-), ან – ა-ლ ა გ ა რ ა ზმნაში, თუ იგივე ელემენტი გვაქვს, გამჟღერება პირის ნიშნისა გამოიწვია არა **ლ-** სონანტმა, არამედ ეგების, შორეული ასიმილაციით ძირისეულმა **გ** მჟღერმა.

მაგრამ ეს უკანასკნელი ვარაუდი (ე. ი. **გ-ს** გავლენა) რომ გამორიცხულია, ეს ნათელი ხდება იმავე **ა-ლ ა გ ა რ ა** ზმნის (ლ ა ბ ი ლ უ რ ი კონსტრუქციის ზმნის) **გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი** ვარიანტის მიხედვით, რომელშიაც მსგავსი ფონეტიკური გარემოს მიუხედავად, პირის ნიშნის გამჟღერებას არა აქვს ადგილი, არის მხოლოდ: სლაგომატ „ვფქვავ საერთოდ“ (უობიექტოდ) და ა. შ. (იხ. აქვე, გვ. 213).

ცხადია, ი-ზ-ლაგრატ ფორმაში გარდამავალი ზმნის სუბიექტის პირის ნიშნის გამჟღერება გამოიწვია **ძირეულ** ელემენტად შეფასებულმა **ლ** სონანტმა, ისევე როგორც სხვა მჟღერი ჩქამიერების შემთხვევაში ხდება.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ამ ორი – **ლ ა გ ა რ ა**, **ლ ა ჰ ა რ ა** – ზმნის თავკიდური **ლ**-ს ერთგვაროვანი წარმომავლობის გამორიცხვა (აფხაზურ-აბაზურის ძირთა ტიპის მიხედვით, – თუ ნასესხებ მასალასთან არა გვაქვს საქმე) შეიძლება ამთავითვე გაგვიჭირვებოდა. შეუძლებელი არ არის საქმე გვკონდეს აღნიშნული ელემენტის ფუძეში შეზრდის ნაწილობრივ განსხვავებულ ხარისხთან: -ჰა ძირეული კომპონენტი, მოსალოდნელია, უფრო „ცოცხლად“, გამოკვეთილად არის აღქმული მეტყველის მიერ.

როგორი კვალიფიკაციაც არ უნდა მიეცეს ამ ზმნებს, ერთი უდავოა, **ლაგარა** („ფქვა“) ზმნა აფხაზურ-აბაზური ენობრივი ცნობიერების მიერ გაგებულია **ლ ძირისეული** ლატერალული სონანტით დაწყებულ გარდამავალ ზმნად და მისი ამ მხრივ **ლაჰარა** ზმნასთან გათანაბრება არ შეიძლება.

ვ. ალენი თავის ზემოთ მოყვანილ დებულებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ შენიშვნაში ამბობს: მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენ აქ განვიხილავდით ნახევარხმოვნურ არტიკულაციასაც, მაგრამ ჩვენ შეგვხვდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, სადაც P₂-ის. (ე. ი. იგულისხმება „ერგატივის რიგის“ სუბიექტის ნიშანი და არა საერთოდ ალენისეული P₂! – ქ. ლ.) ნიშანი უშუალოდ წინ უსწრებდა ნახევარხმოვნური რადიკალის საწყისს, და ამ შემთხვევაშიაც იგი სინამდვილეში მჟღერი იყო – **აჟზესურაა** „რა უნდა გიყო შენ?“, სადაც **ს = [ზ] [ჟ]** რადიკალის წინ... თუ შემდგომი მაგალითები

ამას ზოგად კანონად აქცევენ¹, საჭირო იქნება **ხ°/ხ´** ავხსნათ როგორც **მ/ტ**, რაც ქმნის „კორელაციურ წყვილებს“ **მ/ტ-სთან**².

ამ მსჯელობაში ერთგვარი ფონოლოგიური სქემატიზმით გატაცებასთან გვაქვს საქმე. გარდამავალი ზმნის **ტ** ძირეულ ელემენტს რომ შესწევდეს უნარი პირის ნიშნის გამჟღერებისა, ამისთვის სრულებით არ არის საჭირო გვექონდეს ამ ენებში მისი ისეთი „კორელაციული წყვილი“, როგორსაც ამას **მ, ტ**-სთან დასაპირისპირებლად პოულობს ვ. ალენი **ხ´** და **ხ°** ფონემების სახით, რომელთაც იგი განმარტავს, როგორც **მ/ტ-ს**.

ხ° და **ხ´**, როგორც ცნობილია, აბაზურში შეთვისებულია ადიღურ ენათაგან; გვხვდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში და აბაზური ენის ორგანულ კუთვნილებას არ წარმოადგენს.

მათთან დაპირისპირებით რომ არ შეიძლება განვიხილოთ **მ, ტ** სონანტების მჟღერობის საკითხი იქიდანაც ჩანს, რომ აფხაზურში არ არის ზემოხსენებული **ხ´** და **ხ°** ფონემები (ადიღური წარმომავლობისა), მაგრამ ენის ფონოლოგიურ სისტემაში **მ, ტ** სონანტებს იგივე ადგილი უჭირავს, რაც აბაზურში, და ისევე შეუძლია გამჟღერება **ტ-ს**, როგორც სხვა სათანადო ჩქამიერ მჟღერებს.

რაც შეეხება **მ, მ, ნ, რ** სონანტებს, ისინი ფაქტობრივად არ უნდა გვხვდებოდნენ საკუთარი წარმომავლობის გარდამავალ ზმნათა ძირებად და მხოლოდ ამდენადვე არ უნდა გვექონდეს მათ წინ პირის ნიშნის გამჟღერების შემთხვევა (თითო-ოროლა გამონაკლისი შეინიშნება გვიან შეთვისებულ ზმნურ ძირებში).

თითქოს არის რამდენიმე გარდამავალი ზმნა, რომელთაც სუბიექტის ნიშნის მომდევნოდ **რ, ნ** სონანტები აქვთ და გამჟღერება მაინც არ ხდება პირის (ე. ი. სუბიექტის პირის) ნიშნისა. ესაა: **ა-რაშარა** (ტაპ. || ლაშარა) „მარგვლა“: **მგ-ს-რაშრეტ**, ტაპ. **იგ-ს-რაშრტ** || **მგ-ს-რაშრტ** || **იგ-ს-ლაშრტ** „ვმარგლავ“, **ა-რამარა** „წურვა“: **მგ-ს-რამრეტ**, ტაპ. **მგ-ს-რამრტ** „ვწურავ“ (სითხეს) და მისთათანი, მაგრამ აქ რომ გამჟღერება არ ხდება, უნდა აიხსნებოდეს, იმით, რომ **რ** მათში ძირეულ ელემენტს არ წარმოადგენს. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ამ **რა-** პრეფიქსული ელემენტის **ამ-** სახეობა (იხ. აქვე, გვ. 98) **ა-რაშარა** ზმნაში (შდრ. აშხ. **ამ-შარა!**). მათში **რა-** ან ხსენებული აფიქსური ელემენტია, ან რაიმე

¹ „One might expect the semivocalic articulations to be included here. Only one example occurred in which a P₂ exponent immediately preceded a semivocalic radical initial, and in that case it was in fact voiced – **ywzll'swraya** ‘What am I to do with you?’ where **s**=**[z]** before the radical **[w]**... If further examples confirmed this as a general rule, it would suggest an interpretation of **čʷ** **[xɸ]/ čʷ** **[ɕ]** as **y | w**, forming ‘correlative pairs’ with **y | w**...“ იხ. იქვე, შენ. 3.

² უნდა შევნიშნოთ, რომ ამ რიგის ძირეული **ტ, მ** არცა გვაქვს ენაში. – ქ. ლ.

სახელური ძირია ფუძეს შეზრდილი. ძირეულ ელემენტად ფუძის მეორე კომპონენტი უნდა ვივარაუდოთ.

ასეთსავე ექვს აჩენს ნ-თი დაწყებული ა-ნგჰარა („დალოცვა“) გარდამავალი ზმნა აფხაზურში. გამჟღერება არც აქ ხდება სუბიექტის ნიშნისა, შდრ დგ-ს-ნგჰედტ „მე ის (ად) დავლოცე“. ნგჰარა აბაზურშიაც გვხვდება „დაფიცების“, „ფიცის მიცემის“, „ლოცვის“ მნიშვნელობით. აქ ძირეული იყო -ჰა (რთული ფუძის ბოლო ნაწილი), ნგ- უნდა იყოს არა-ძირეული ელემენტი, კერძოდ, სახელის ნაშთი შეზრდილი ძირთან. იგი, საფიქრებელია, ცალკე არსებული ა-ნგხა „ხატის“ აღმნიშვნელი იყოს და მის ნაშთსაც წარმოადგენდეს. საგულისხმოა, რომ ტაპანთურში (საერთოდ აბაზურში) „ნგხა ჰარა“ „ფიცის მიცემის“, „ლოცვის“ მნიშვნელობით დღესაც იხმარება. *ნგხაჰარა-საგან ხ-ს მომდევნო უმახვილო ა-ს რედუქციით უნდა მიგველო *ნგხჰარა, ხოლო აქედან – ხჰ კომპლექსის გამარტივებით – ნგჰარა (ა-ნგჰარა).

ავხაზურსა და აბაზურში გამჟღერების მოქმედი წესების მიხედვით ასეთი წარმომავლობის ნ კი, რა თქმა უნდა, ვერ გამოიწვევდა პირის ნიშნის გამჟღერებას.

3. ხშულები

ა. ხშულთა სისტემა.

ხშულები მარტივნი და რთულნი (აფრიკატები) ერთად აფხაზურსა და აბაზურში (კერძოდ: აბჟურ, აშხარულ და ტაპანთურ დიალექტებში) წარმოდგენილია ადგილწარმოების მიხედვით ექვს ძირითად სამეულად სხვა, მთელ რიგ იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად. ეს რიგები არსებითად ეფარდება ქართულის სათანადო ხშულებს. ბზიფურ დიალექტში კი (უფრო ზუსტად მის ლიხნულსა და ოთჰარის თქმებში) მას უფრო რთული სახე აქვს, სისინ-შიშინა (ნახევარ-შიშინა) აფრიკატა სამეულის არსებობის გამო. აქ გვაქვს შვიდი ძირითადი რიგი.

აღნიშნულ ძირითად ხშულ სამეულთა სისტემებში ზოგ რიგს მოეპოვება პალატალიზებული, ველარიზებული და ლაბიალიზებული კორელატებიც.

ამრიგად (ბზიფურის მონაცემთა ჩათვლით) არის ხშულთა შემდეგი მთავარი რიგები:

ბ ფ ჰ

დ თ ტ

დ° თ° ტ°

ძ ც წ

ძ° ც° წ°

ძ' ც' წ'
 ჯ ჩ ჭ (= ჯ' ჩ' ჭ')
 ჯა ჩა ჭა
 ბ ქ კ
 ბ' ქ' კ'
 ბ° ქ° კ°
 – [ჯ] ყ
 – [ჯ°] ყ°
 – – ყ'

ბ. წყვილბაგისმიერი ხშულები **ბ ფ ჰ**.

ბ. მჟღერი **ბ** არის სიტყვებში: ბარ „შენ (ქ)“, ა-ბზ „ცოცხალი“, ა-ბნა „ტყე“, ა-ბელრ „წვა“, აბ, ტაპ. აბა „მამა“, ა-ბარ „ნახვა“ და სხვ. გვხვდება აფიქსადაც (II პ. ქალთა ქვე-კლასის ნიშანი **ბ**...) და ძირეულ ელემენტადაც როგორც სახელებში, ისე ზმნებში.

იგი ფართოდ არის გავრცელებული თავკიდურ პოზიციაში (ა-ბზგა „კარგი“, ბჟბა „შვიდი (რამ)“, ა-ბღღ „ფოთოლი“, ა-ბჯ „სპილენძი“) ჩვეულებრივ მჟღერ გარემოცვაში.

ფ. ფშინვიერი **ფ** არის სიტყვებში: ა-ფა „ვაჟიშვილი“, ა-ფარ „წვანა“, „ქსოვა“, ფშბა „ოთხი (რამ)“, აფხარა „წაკითხვა“, აფფ „გაზაფხული“, ა-თფ „ადგილი“, ა-ჰგნაფ „თავი“ და სხვ.

ძალზე გავრცელებულია თავკიდურ პოზიციაში (ჩვეულებრივ ფშინვიერთა გარემოცვაში): ა-ფსგ „სული“, ა-ფსრ (ბზ. ა-ფს'რ) „სიკვდილი“, ა-ფშარ „ყურება“, ა-ფხა „ყურება“, ა-ფხა „თბილი“ და სხვ.

ჰ. მკვეთრი წვერი ამ სამეულისა მჟღერი და ფშინვიერი წვერებისაგან განსხვავებით არ გვხვდება თავკიდურად და „ჰარმონიულ“ კომპლექსთა (ე. ი. მკვეთრებთან) გარემოცვაში (მხედველობაშია საკუთარი ლექსიკური ფონდი). თითო-ოროლა შემთხვევაში, როგორცაა აბაზ. პჰჰ „წითელა“¹, ან აფხ. აჰყარა „ცემა“... იგი პარალელურ სახეობად გამოდის; იქვე ან რომელიმე სხვა დიალექტში ცნობილია მათივე **ბ** მჟღერიანი ამოსავალი, შდრ. იქვე, ან აფხაზურში არსებული ა-ბჰჰ „წითელა“, აბაზ. ა-ბყარა „ცემა“. ასეთივე გზა შეუძლებელი არაა ვივარაუდოთ აფხაზური სიტყვებისთვის: აჰყა „წერო“, „ფარანდა“, აჰყაშ „კობრი“, აჰგრჰყარა „უხვად მიჰკურება“...

რამდენადაც ითვლება, რომ **ჰ** იშვიათი ბგერაა ამ ენებში², ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვადგინოთ ის ფუძეები, რომლებშიაც იგი მონაწილეობს. ასეთებია, მაგ., აფხ. აჰპ „წვრილი“, აჰაშ „მოტვლეპილი“, აჰაშ° „ჩათეთრებული“, ა-ჰარჰან || აჰარჰგნ „სალამური“,

¹ იხ. Абаз.-русск. сл., გვ. 402.

² იხ. აფხაზურისათვის А. Н. Генко, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

აჭყარაპატ „ორთითი“, აჭერპე „წვრილი, ხურდა, ფული“, ახპაჟა „პატარა კუნძი“, აპაჟა „პატარა, მცირერიცხოვანი“, აპაჟა „ტკიპა“, „ჯღიბა“, ახაპ „სიმღერის დასაწყისი“, ახდაპარა „ქერი“, ახემპალ „ისარი“, ალაპყნ „ტარო“, აპელპათ „წუმპე“, „ტლაპო“, აცხარპ „უცეცხლო თაფლი“, ახგჰამპლაჯ „ოქროს ზოდი“, ამპელ „ბურთი“, ატაპსცგ „პემვი“, აპაპგჩ „უსაქუსრო წაღა“, ატაპცნ „ქეჩა“, აპრა „ცინდლების დაყრა“, არაპარა „ტკეპნა“, „მოთელვა“ (აქედან ასრაპა „თოვლის გუნდა“), მაპ „უარი“, ადმპპრა „გაფანტვა“...

აფხაზურ-აბაზურში საერთო: ანაპე „ხელი“, ამაპე „ფეხი“, აწღგჰა, ტაპ. წმგჰა „ქეჩა“, ატაპა „ნაბადი“, აშპა „მსხვილი“, აჟპა „სქელი“, ააპკრა, ტაპ. შაპკრა „გაცოფება“, აპამპალ „მოხარშული კვერი“...

აბაზურში აგრეთვე: ავპლარა „დაცვენა“ (სხვა წინდებულებითაც!), აქგრპაპარა „გაჭყლეტა“, „გასრესა“, ალაპატარა „არევ-დარევა“ (მაგ., ამინდისა), ამპარა „ახტომა“ (მოქნილი რამისა)...

აქ არ მოვიყვანეთ ისეთი აშკარად ნაწარმოები ფუძეები, როგორცაა: მაგ., აფხ. აშაპჰარშ „კვანტი“, ამპკრა „უარის თქმა“, „უარყოფა“ და მისთ. აგრეთვე აშკარად ნასესხები ფუძეები, როგორცაა: აფხ. აკოპტემრა „გამოკოპიტება“, აჭაპან „ჭიპი“, შდრ. ქართ. „ჭაპანი“ („ჭაპან-წყვეტა“), აპემპემრა „გაპიპინება“, „გავსება“, აპარპანტ „ბურღი“, აპატლა „ვადა“ (შდრ. ადილ. პალნ „ვადა“!), აპატარა „ბოდვა“, აპატყალემრა „ტიტინი“ (შდრ. „პარტყალი“), ა პგხ „კურტუმო“ (შდრ. მეგრ. პუხუ), ა-პატაურა „მოდრაობა“ (შდრ. ადილ. მპპატრაჟნ „ტრიალებს“)....; აბაზ. ლაპყ „ჯიში“ და სხვ., თუმცა ზემოთ მოყვანილ ლექსიკურ ფონდშიაც საერთო წარმომავლობის პ მეორდება (მაგ., ანაპე, ამაპე; აპრა, გემპპრა და სხვ.) და გამორიცხული არაა ზოგი ფუძე ნასესხები იყოს.

აქ წარმოდგენილი მასალის მიხედვით პ თითქოს არც თუ ისე იშვიათად გვხვდება ამ ენებში: გვაქვს ძირეული ელემენტად (შდრ. აპრა...), გამოდის აფიქსის როლში, კერძოდ, -პ სუფიქსი გვაქვს სტატიკურ ზმნათა აწმყოში, დინამიკურ ზმნათა მყოფადში (ფინიტურ წარმოებაში). ამ ფუნქციით იგი ერთადერთია აფხაზურში, აფხაზურს ამ მხრივ მხარს უჭერს აშხარული დიალექტი. ტაპანთურ დიალექტში კი ამ ფუნქციით გვევლინება ზ მჟღერი სახეობა, თუმცა იქვე პარალელურად პ-ც დასტურდება, რასაც უეჭველს ხდის ჩვენ მიერ შეკრებილი ტაპანთური დიალექტის მასალა¹.

¹ ამიტომ ვერ გავაზიარებთ ა. გ ე ნ კ ო ს მოსაზრებას ამის თაობაზე: „В принятой системе орфографии пп (= პ. – ქ. ლ.) служит графической заменой произносимого в действительности б в окончаниях некоторых глагольных форм“, იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

მიუხედავად ამისა, მთელ რიგ შემთხვევაში ჩნდება ეჭვი ჰ-ს თავდაპირველობისა. ზოგჯერ იგი შეიძლება ზ-ს ნაცვალის იყოს (შდრ., მაგ., ა-ჰაჰა და მეგრ. ბაჰა „ტკიპა“, ასევე ტაპ. კედღრჰწელრა „მიჩყლეტა“, ალბათ შეიცავს ზწ-ს, რომელიც გვხვდება არზწრა „გასრესა“, „გაჩყლეტა“ ზმნაში, შდრ. ქართ. „ნაბიჭვეი“...).. ზოგჯერ კი იგი თავისთავად მეორეული ჭ კბილბაგისმიერი სპირანტის ნაცვალისა (ასეთია, მაგ., აფხაზური სალიტერატურო ენის, მეტ წილ აბჟუელთა მეტყველებისა და ბზიფური დიალექტის ა-ჰა „წვრილი“)¹; ზოგჯერ მომდინარეა ყ-საგან (მაგ., აშაპგ, ანაპგ... სიტყვებში)².

ზმნაში სუფიქსად გამოყენებული -ჰ კი მეშველი -ა-კ- („ყოფნა“) ზმნის -კ-დან მომდინარე უნდა იყოს ლაბიალიზებულ ხშულთა (ყ, კ...) ბაგისმიერად შერწყმის პროცესის ნიადაგზე³.

გ. ენაკბილისმიერი ხშულები: **დ თ ტ** სამეული, ისინი იწარმოებიან ენის წვერის ზემო კბილებთან ხშვით (ემთხვევა ქართულის სათანადო სამეულს).

დ მჟღერი წვერი ამ სამეულისა გვხვდება აფიქსადაც (III პ. ადამიანთა კატეგორიის პრეფიქსი ნომინატივის რიგში...) და ძირეულ მასალადაც. არის სიტყვებში: ა-დს „მარღვი“, ა-დარს „დაცხრომა“ (მაგ. სიმსივნისა), დარს „ისინი“, ა-დარდგ, ა-დარდღ, ტაპ. დარდღ „თითისტარი“, ა-დაღ, ტაპ. ადა „ბაყაყი“, ა-დგუ „დიდი“, ა-დგრრა „ცოდნა“, „ცნობა“, ა-ხდა, ტაპ. ჯდა. „კისერი“, ა-ყგდ „ლობიო“... ფართოდ გამოიყენება წინდებულად ზმნებში, გვხვდება უარყოფითის მაწარმოებლად სახელებში და სხვ.

თ ფშვინვიერი წვერი სამეულისა გამოდის ზმნის წინდებულად თა-/თ-ს სახით, გვხვდება ძირეულ ელემენტად. არის სიტყვებში: ათარა „მიცემს“, ა-თაცა „პატარძალი“, ა-თაჰაჰ, ტაპ. თაჰ „დედაბერი“... ა-თბაა, ტაპ. თბჰა „ფართო“, „განიერი“, ა-თძ „კედელი“, ტაპ. „სახლი“, ა-თგ „ვერძი“ ა-თშა „ვიწრო“, ა-თახხარა, ტაპ. თაჯხარა „მონდომება“... აფხ. ა-მათ „გველი“ და სხვ.

ტ მკვეთრი წვერი სამეულისა გამოიყენება ზმნის დროთა წარმოებაში -(ე)ტ სუფიქსის სახით (ტაპანთურში პარალელურად ამ ფუნქციით მისი მჟღერი -(ე)დ სახეობაც არის); იგი გვხვდება ძირეულ მასალადაც. არის

ჰ-ს გამოყენებას აღნიშნულ დროთა ფორმებში იმდენად აქვს საფუძველი, რამდენადაც თვით ტაპანთელთა მეტყველებაში მჟღერი ზ-ს გვერდით ჰ-ს მკვეთრის გამოთქმაც ფ ა ქ ტ ი ა.

¹ К. Ломтатидзе, Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах. СМამ, ტ. III, №8, 1942, გვ. 862.

² ქ. ლომთათიძე, ხელისა და ფეხის აღმნიშვნელი ფუძეების უძველესი სახეობებისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში და ზოგი ქართული ფუძის ანალიზის საკითხი. ივე, ტ. XV, 1966.

³ ქ. ლომთათიძე, ფინიტობის -ჰ სუფიქსის წარმომავლობისათვის აფ-რაზურში. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, B, 6-7 (№ 151-152), 1974.

სიტყვებში: ა-ტტ „ბუ“, ა-ტატა „რბილი“, „თოთო“, ა-ტრა „გახსნა“ (სხვადასხვა წინდებულებით), ა-ტლარა, ა-რტლარა „გარღვევა“ (სხვადასხვა წინდებულებით), ა-ტტარა „გაფხრეწა“..., ა-ტარა „სითხის ამოსხმა, ამოხაპვა“...; ა-ტსა „ტყვია“, ა-ტტვშია, ტაპ. ტშ^ეშ „გოგირდი“, ა-ტტყ, ტაპ. ტტგ^ე „ყუა“ (ცულისა, ნაჯახისა), ა-ლტმტ „ჭუჭყი“...

აფხაზურში აგრეთვე: ა-ტტშ^ა „უფსკრული“, ა-ტარრა „მოქნილობა“, ა-ტტყრა „მიბეგვა“, ა-ტტხრა „აოშვა“, ა-ხერტტატარა „გადაქექვა“, აკატ-კატარა „ფამფალი“, ამატრა „ძაბრი“, აშ^ეტტჰა || აშ^ეტტა „დალურჯებული ადგილი“... აბაზურში: ტუფ „ანწლი“, ტტლა „თვალ-დაბერილი“ (ტტ-დან!?)...

დ. ენაკვილისმიერი ხშულები: ლაზიალიზებული დ^ე თ^ე.

ენაკვილისმიერ დ თ ტ ხშულთა სამეულს აფხაზურში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან განსხვავებით, ახასიათებს ლაზიალიზებული რიგიც. ამ მხრივ აფხაზურს (ისტორიულად: აფხაზურ-აბაზურს) მხარს უჭერს მხოლოდ უზბეკური ენა.

ლაზიალიზებული დ^ე თ^ე ხშულთა სამეული დღეს ჩვეულებრივია აბჟურული და ბზიფური დიალექტებისათვის, ზოგი მთქმელის ენაში ვადასტურებთ აშხარულშიაც, აღარ მოეპოვება ტაპანთურ დიალექტს.

ლაზიალიზაცია აფხაზურში მთელ რიგ სხვა ბგერებისთვისაც არის დამახასიათებელი, მაგრამ თავისი ბუნებით დ^ე თ^ე ხშულებში ლაზიალიზაცია განსხვავებულ სახეს იღებს. ლაზიალური მომენტი, რომელიც შეიძლება ბილაზიალური „ჟ“-ს სახით წარმოვიდგინოთ, აღნიშნულ ხმულ-მსკდომ დ თ ტ ბგერებთან შერწყმისას წარმოშობს ტუჩების ძლიერ ვიბრაციას ისე, რომ იქმნება ერთგვარი „ლაზიოვიბრანტიზებული“ დ თ ტ¹, დაახლოებით ერთად შერწყმული დბ, თფ, ტპ კომპლექსის მსგავსი.

დ^ე არის სიტყვებში: ად^ე „მინდორი“, არდ^ეგნა „შაშვი“, აყ^ეარდ^ე „ჯორკო სკამი“... მიუხედავად იმისა, რომ დ^ე გამოყენებულია ზმნაში წინდებულად და ამავე დროს შედის მთელი რიგი ფუძეების წარმოებაში (როგორცაა, მაგ.: ად^ეტლა „მატარებელი“ = „მინდვრის გემი“, ად^ეტბა „მელა“ = „მინდვრის მგელი“, ად^ეამა „ყამირი“, ად^ეკარშ^ერა „ვაკე“, „ბარი“, ად^ეჰ^ეტშ^ეშ^ე „მცირე მინდორი“, ად^ეყ^ეშ^ერა „ტრიალი მინდორი“ და მისთ.), იგი მეტად იშვიათი გავრცელების ბგერაა აფხაზურში.

თ^ე არის სიტყვებში: ათ^ე 1. „ცაცხვი“, 2. „ჩირქი“, 3. „თივა“, ათ^ეარა „დნობა“ (ცხიმეულისა, ლითონისა), ათ^ე „სავსე“, -ათ^ე- „შეფერება“: ათ^ეამ „არ შეფერება“, ათ^ეჰ^ე „შელოცვა“, ათ^ეჰ^ეარა „შებერვა“, ათ^ეერლ^ე „ხის ნიჩაბი“, აცთ^ე „ამბავი“, არტ^ეთ^ე „მარწუხი“, ასტ^ეთ^ეჰ^ეარა „ქარბუქი“ (შდრ. ათ^ეჰ^ეარა!)

¹ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, აფხაზურის თანხმობან ფონემათა კლასიფიკაცია. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 399.

ტ° არის სიტყვებში: ატ°არა „ჯდომა“, ატ°გ „მონა“, „საკუთარი“, ატ°გმ „უცხო“, ატ°გლა „ქვეყანა“, ატ°ამბარა „აბუჩად აგდება“, ატ°ანმაარა „აჯაბა-ჯად სიარული“, ა-ტ°ან „ნახარში“, „წვენი“, ატ°გვა „რქა“ (და მისგან ნაწარმოები სიტყვები: ატ°ჟასრა „ბუსკნაობა“, ატ°გჟაზაწ° „მარტორქა...“), აყ°არტ°რა „სახსარი“, ატ°რგფსარა „ფესვის გადგმა“, ატ°ჟან „ქარები“ (რეგმატული დაავადება).

-ტ°(ა)- → ტ°(გ)- ძირი ფართოდ გამოიყენება რთულ ზმნათა ფუძეებში (აბტ°რან „მაკინტლობა“..., ახ°შ°ტ°რან „მკურნალობა“...), აფხასტატ°რან „გაფუჭება“... ატ°ა „საჭმელი“, აჟ°გტ° „ძველად“... ატ°ა „საოცრება“ („ჯერ არ ნახული“...) და მრ. სხვ.

აღნიშნული სამეულიდან ფუძეებში შედარებით უფრო გავრცელებულია ფშვინვიერი თ°, ძალზე შეზღუდულია დ° და შედარებით შეზღუდულია ტ°, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფართოდ გამოიყენება ფუძეთა წარმოებისას.

დ° თ° ტ° ხშულთა სამეულს გარკვეული ცვლილებები მოსვლია დიალექტებში.

აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში (იგულისხმება კუვინსკისა და აფსუის კილოკავები) აქა-იქ გვხვდება დ° თ° ტ° ლაბიალიზებულ ხშულთა სამეული უმთავრესად (დღეს უკვე აფსუის კილოკავში) უფროსი თაობის მეტყველებებში. რაც შეეხება უმცროსი თაობის წარმომადგენლებს, მათ ენაში მომხდარა დ° თ° ტ° სამეულის სრული დელაბიალიზაცია¹:

ჟდ°გქ°გლ! → ჟდ°გქ°გლ! „გაემართე, გაემგზავრე“!

ათ°ან → ათან „თივა“.

ჟტ°ან → ჟტან! „დაჯექ!“ და სხვ.

ერთი და იმავე პირის ენაში ჩვენ თავის დროზე (ორმოციან წლებში) დადასტურებული გვაქვს როგორც ლაბიალიზებული, ისე დელაბიალიზებული მათი სახეობები – დ°|| დ, თ°|| თ, ტ°|| ტ – ერთსა და იმავე ფუძეში².

დ° თ° ტ° ხშულთა სამეულის ცვლილებების ფაქტი ჩვენ დავადასტურეთ ადიღეში გაფანტვით მოსახლე აშხარელთა მეტყველებაშიაც, ოღონდ აქ ცვლილება სხვა გზით წარმართულა – დ° თ° ტ° აქაც მოშლილა, მაგრამ შემორჩენილა ბგერის გვარობის მიხედვით განსხვავებული ლაბიალური კომპონენტი – ბ ფ ჰ ხშულთა სახით (შესაბამისად)³.


ამრიგად, აშხარული დიალექტის თქმებში აქა-იქ ჯერ კიდევ შემონახულ ლაბიალიზებულ დ° თ° ტ° ხშულთა გვერდით არსებობს მათი

¹ შდრ. А. Н. Генко, Абаз. яз., გვ. 25, მისივე, Фонет. взаимоотнош., გვ. 179, 182 და შემდეგ.

² ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აშხ. და., გვ. 7-11.

³ К. В. Ломтатидзе, Некоторые вопросы фонетической системы абхазско-адыгских языков. XXV Междун. конгресс востоковедов. Доклады делегации СССР. М., 1960, გვ. 5-8.


ცვლის ორგვარი რეფლექსი:



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ[∘] თ[∘] ტ[∘] სამეული ტაპანთურ დიალექტს არ მოეპოვება.

ტაპანთურში მათ ადგილას გვხვდება ლაბიალიზებული „სისინა“ და „შიშინა“ აფრიკატები ძ[∘] || ჯ[∘] (←დ[∘]); ც[∘] || ჩ[∘] (←თ[∘]); ჭ[∘] || ჭ[∘] (←ტ[∘]), რიგი ფონეტიკური ვარიანტის მქონე.

ტაპანთური დიალექტის ერთ-ერთ კილოკავში, რომელსაც ჩვენ ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავად გამოვყოფთ, მომხდარა ზემოხსენებულ აფრიკატთა დელაბიალიზაცია, რის შედეგადაც, ერთი მხრივ, როგორც ფსიჟში, ისე კრასნი ვოსტოკში (აქ მხოლოდ უმცროსი თაობის მეტყველებამი) მიგვიღია მაგარი შიშინა აფრიკატები – ჯა, ჩა, ჭა, ხოლო მეორე მხრივ, უფრო იშვიათად კრასნი ვოსტოკშივე – სპორადულად ზოგი სხვა სოფლის წარმომადგენელთა მეტყველებამიაც – სრული დელაბიალიზებული – ძ ც წ.



ტაპანთური დიალექტი დ[∘] თ[∘] ტ[∘] სამეულის უქონლობით უპირისპირდება ყველა სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტს, მაგრამ თვით ტაპან-

¹ ყველა შესაძლო ვარიანტი აქ არაა მოცემული (ფრჩხილებში ჩასმულია შედარებით იშვიათი ვარიანტები). დაწვრილებით, იხ. ქ. ლომთათიძე, ტაპ. დ., § 5 (გვ. 16-28; 222-224).

თური დიალექტის მონაცემები, კერძოდ ის ცვლილებები, რაც აღნიშნულ $\chi \parallel \chi', \text{ჩ} \parallel \text{ც}, \text{ჭ} \parallel \text{წ}$ აფრიკატთა დელაბიალიზაციის საფუძველზე მიგვიღია ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავში, უტყუარი საბუთია იმისა, რომ ტაპანთურ დიალექტსაც ამოსავალში $\text{დ} \text{თ} \text{ტ}$ სამეული ჰქონდა.

საყურადღებო აქ ის არის, რომ ტაპანთურ დიალექტს სხვა წარმოშობის, ყველა აფხაზურ-აბაზური დიალექტისთვის საერთო ლაბიალიზებული ძ (ტაპ. $\parallel \chi'$), ც (ტაპ. $\parallel \text{ჩ}$), წ (ტაპ. $\parallel \text{ჭ}'$) აფრიკატებიც აქვს, მაგრამ, სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავში დელაბიალიზაცია მოსდის მხოლოდ იმ $\text{ძ} \parallel \chi', \text{ც} \parallel \text{ჩ}, \text{წ} \parallel \text{ჭ}'$ ლაბიალიზებულ აფრიკატებს, რომლებსაც სხვა დიალექტებში $\text{დ} \text{თ} \text{ტ}$ შეეფარდება და არა პირვანდელ $\text{ძ} \text{ც} \text{წ}$ (ტაპ. $\chi' \text{ჩ} \text{ჭ}'$) აფრიკატებს.

ასევე რიგ კრასნივოსტოკელ მთქმელთა მეტყველებაში იმ $\text{ძ} \text{ც} \text{წ}$ -საგან ვიღებთ ოდნავ ლაბიალიზებულ $\text{ძ}' \text{ც}' \text{წ}'$ სახეობებს და მათი სრული დელაბიალიზაციით $\text{ძ} \text{ც} \text{წ}$ -ს, რომლებიც $\text{დ} \text{თ} \text{ტ}$ -საგან მომდინარეობენ¹.

ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავში ასეთი კანონზომიერებით დადასტურებულ დელაბიალიზაციის პროცესში თავი იჩინა იმ ფაქტმა, რომ ამჟამად ტაპანთურ დიალექტში ბგერობრივად ერთმანეთთან გათანაბრებული ლაბიალიზებული აფრიკატები $\text{ძ} \parallel \chi', \text{ც} \parallel \text{ჩ}, \text{წ} \parallel \text{ჭ}'$ სხვადასხვა წარმოშობისა ყოფილან.

¹ აღნიშნავენ, თითქოს დელაბიალიზაცია კრასნი ვოსტოკის კილოკავში მოსდიოდეს ყოველგვარ ლაბიალიზებულ შიშინა აფრიკატს, ე. ი. თავდაპირველი, საერთო აფხაზურ-აბაზური $\text{ძ} \text{ც} \text{წ}$ -საგან მომდინარე $\chi' \text{ჩ} \text{ჭ}'$ -საც და დასახელებულია საილუსტრაციოდ ისეთი სიტყვები, როგორცაა „ერთი ვინმე“ – (ზ)აჯგ, „ხარი“ – აჩა, „ვაშლი“ – აჭა.

პირველად ასეთი შეცდომა მოსვლია ა. გენკოს (იხ. მისი, Абаз. Яз., გვ. 14. 48). ამასვე შემდეგ იმეორებს გ. სერდიუჩენკო (იხ. მისი, Об абазинских диалектах. Сборник памяти акад. Н. Я. Марра, 1938, 33. 249). მასაც სწორედ ზემოხსენებული მაგალითები აქვს მოყვანილი. მაგრამ სწორედ ამ სიტყვებისთვის არაა დამახასიათებელი $\text{ძ} \parallel \chi', \text{ც} \parallel \text{ჩ}, \text{წ} \parallel \text{ჭ}'$ -ს სრული დელაბიალიზაცია და $\chi' \text{ჩ} \text{ჭ}'$ რეფლექსი. ამის შესახებ არა ერთგზის ყოფილა აღნიშნული ჩვენ მიერ (იხ. ჩვენი, ტაპ. დ., გვ. 16-28; 222-224; ჩვენივე, Некоторые замечания на работы проф. Г. П. Сердюченко по абазинскому языку, აკად. ნ. მარის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მრომები, ტ. XXIII, 1949, სოხუმი, გვ. 173-175).

ამის შემდეგ გაოცებას იწვევს, რად მოჰყავს აღნიშნული კილოკავის ფონეტიკური თავისებურების საილუსტრაციოდ თ. თაბულოვს ისევ მცდარი და არარსებული ფაქტები: აჯგ „ერთი ვინმე“, ხგრჭგ „მაწონი“ და მისთ. (იხ. Т. З. Табулов. Об абазинских диалектах, Труды Черкесского научно-исследовательского института, вып. II, 1954. გვ. 52-53). ავტორს რაიმე სანდო დოკუმენტაცია ამის დამადასტურებელი არ მოუყვანია. რამ შეუწყო ხელი ასეთს „ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ შეუსაბამობას“, ეს მკითხველისთვის შეიძლება ნაწილობრივ ნათელი გახდეს, თუ იგი ქრონოლოგიის დაცვით ახლოს გაეცნობა ზემოთ დასახელებულ სპეციალურ ლიტერატურას და იქ გამართულ მსჯელობას ამ საკითხზე.

ტაბახთური დიალექტი

ფსოუკრანსოვოსტოკის კილოკავი

(კრანსოვოსტოკის
ერთ-ერთი თემი)

აბე, მზ., აშხ.

ძ: ამ'გ („ერთი ვიწვე“)
ღ: ღ' („წინდებული“)

↔

ზამ'ზ || ზაჯ'ზ
ძ'ზ- || ჯ'ზ- → ჯ'ზ

↔

(|| ძ' → ძ)

ც: აც'ა („ტყუვი“)
თ: ათ'ა („თივა“)

↔

ც'ა || რ'ა
ც'ა || რ'ა

↔

ჩაა

↔

(|| ც' → ც)

წ: აწ'ა („ვაშლი“)
ტ: ტ'ა („ჯღომა“)

↔

წ'ა || ჭ'ა
წ'ა || ჭ'ა

↔

ჭაა

↔

(|| წ' → წ)

მართალია, მათი სისინა და შიშინა ლაბიალიზებული სახეობები დიალექტში არეულია, ეს არეული სახეობები დასტურდება ფსიქ-კრასნი-ვოსტოკის კილოკავშირით, მაგრამ როგორც ირკვევა, ცალკეულ მთქმელთა მეტყველებაში ფონეტიკურ ვარიანტთა გარკვეული შეფარდება და მათ გამოყენებაში გარკვეული სისტემა ყოფილა დაცული. ჩვენ, კერძოდ, ს. კრასნი ვოსტოკში შევნიშნეთ ოთხი ასეთი სისტემის არსებობა ერთი ოჯახის წევრთა შორისაც კი¹.

აღნიშნულ ცვლილებათა კანონზომიერების საფუძველზე უდავო ხდება, რომ ტაპანთურ დიალექტს ამოსავალში **დ° თ° ტ°** ფონემები ჰქონდა სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა მსგავსად, ოღონდ აქ ისინი ქცეულან ლაბიალიზებულ აფრიკატებად, — საფიქრებელია შიშინა სახეობებად, რომლებიც შემდეგ აირივნენ „სისინა“ სახეობებთან, — ამის შემდეგ კი მომხდარა მათი სრული დელაბიალიზაცია. ამით აიხსნება სწორედ კრასნი ვოსტოკის თქმაში ესოდენ პოლარული ვარიანტების არსებობა: ერთი მხრივ, — **ჟ** და, მეორე მხრივ, **წ**... და სხვ. მათ რეფლექსად აღნიშნულ კილოკავში საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა შიშინა მაგარი აფრიკატები (**ჯ**, **ჩ**, **ჭ**). ისინი დამკვიდრდა უმცროსი თაობის ენაში.

დ° თ° ტ° ფონემების დელაბიალიზაციის მხრივ გარკვევით საერთო ტენდენცია შეინიშნება აზხარული დიალექტის თქმებშიც (იხ. ზემოთ, გვ. 153) ტაპანთურის ფსიქ-კრასნივოსტოკის კილოკავთან, თუმცა შედეგებს ვიღებთ განსხვავებულს.

მიუხედავად იმისა, რომ **დ° თ° ტ°** სამეული ტაპანთურისთვისაც არის ამოსავალში სავარაუდო და ისინი საერთო აფხაზურ-აბაზურ ფონემებად უნდა ჩავთვალოთ, მაინც ეჭვი ჩნდება მათი პირველადობის შესახებ.

კერძოდ, ირკვევა, რომ ამ სამეულის **დ°** თითქმის მხოლოდ ნასესხებ ფუძეებში გვხვდება და ამ ფუძეებში იგი **დუ** კომპლექსის შერწყმის შედეგს წარმოადგენს. ასეთია, მაგ., ის ძირითადი ლექსიკური ერთეული **ა-დ°გ**, რომელიც პრევერბადაც გამოიყენება ზმნაში — **-დ°გ-** (ტაპ. → **ძ° || ჯ°-**) „გარეთ“..., და რომელიც შედის მთელი რიგი ახალი სიტყვების ფუძეებში (იხ. ზემოთ, გვ. 142). თვით ეს ფუძე უნდა მომდინარეობდეს ქართველურ ენებში გავრცელებული **დორ-**, **დოლ-** ფუძიდან (შდრ. ქართ. მი-ნ-დორ-ი, მეგრ. დოლო „მ-დელი“...). აფხაზურში საერთო წესისამებრ **ო-ს უა-** მოუცია და ამ ნიადაგზე **დოლ-** (დორ-)-იდან უნდა მიგველო ***ა-დუა[ლ/რ]** ბოლოკიდური სონანტის მოკვეციტ, ხოლო შემდეგ ***ა-დუა** → ***ა-დუგ** → ***ა-დ°გ** „მინდორი“.

¹ ქ. ლომთათიძე, ტაპ. დ., გვ. 26-28; К. В. Ломтатидзе, К вопросу о звуковых соответствиях в речи мельчайшего языкового коллектива. კრბ. Вопросы социальной лингвистики, Л., 1962.

ამავე გზით წარმოქმნილია **დ°ად°ქან** („დუქანი“) სიტყვაში.

ასევე „შაშვის“ სახელწოდება **არდ°გნა** შეიძლება უკავშირდებოდეს ბერძნულიდან ქართულში შემოსულ **იადონ**-ს (შდრ. გურ. გაიდონა). მართალია, ისინი სხვადასხვა მაგალობელ ჩიტს გულისხმობენ, მაგრამ ორივესათვის სწორედ **გალოზაა** დამახასიათებელი და ერთის სახელის მეორეზე გადატანა ამდენადვე არც შეუძლებელია.

რაც შეეხება ფუძის ფონეტიკურ ცვლილებას, თავკიდური **აა**-სა და **არ**-ის მონაცვლეობის ფაქტები, როგორც ვნახეთ, უჩვეულო არაა აფხაზურში (იხ. ზემოთ, გვ. 84). ამრიგად: -დონ(ა) → *დუან(ა) → -დუგნ(ა) → -დ°გნა.

ამ ფუძის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც არ არის გამორიცხული. ჩვენ მიერ ზემოთ (გვ. 91-92) ფრინველთა სახელების **არ-ც-ნა**, **არ-ხ-გ-ნა** და მისთ. ანალიზის საფუძველზე შეიძლებოდა „არ-დ°გ-ნა“-ც თავკიდურ **არ**-და ბოლოკიდური **-ნა**-თი მათ რიგში განგვეხილა. მაშინ **-დ°გ-** ფუძეში ჩართული ელემენტი ისევ „მინდორ“ სიტყვის ძირს დაუკავშირდებოდა (შდრ. ზემოთ მოყვანილი – ად°გბა „მინდვრის მგელი“...) და იგი უნდა გავვეგო როგორც „მინდვრის დედალი, ქათამი“, თუმცა სემანტიკურად ეს მთლად შესატყვისი არ იქნებოდა (იგი „მწყერს“ უფრო მიუდგებოდა).

იმ ძირითადი ლექსიკური ფონდიდან, რომელშიაც **დ°** გვევლინება (მხედველობაში არა გვაქვს ზოგი ხმაბაძვითი ზმნისართ-შორისდებული) ერთადერთი აყ°**არდ°** („ჯორკო სკამი“, მეგრ. „კველა“) სიტყვა რჩება, რომლის **დ°**-ს წარმომავლობა ნათელი არ არის (საგულისხმოა, რომ ტაპან-თურში ეს სიტყვა არ მოგვეპოვება).

თჷ კომპლექსის შერწყმით მიღებული **თ°** უნდა გვექონდეს ნასესხებ ა-თ°**ს** სიტყვაში, რომელიც იგივეა, რაც ქართ. თ ი ვ ა (ი ხმოვნის რედუქციით: ა-თჷ**ს** → ა-თ°**ს**).

მიუხედავად ამისა **თ°** და **ტ°** ფონემათათვის ანალოგიური ამოსავალი აუცილებელი არაა ყოველთვის ვივარაუდოთ. იმავე ნასესხებ მასალაში აფხაზურის **ტ°**, მაგალითად, შეეფარდება ადილურ ენათა მკვეთრ **ლ** ლატერალს: აფხ. აჷაჷგ^ტჷგსა (ტაპ. ჰ°გჷჷგს) „ადამიანი“ თავის მეორე ნაწილად უნდა შეიცავდეს ადილ. „ლღ ღ°გს ა“-ს.

სხვა შემთხვევაში ქართულიდან შესული სიტყვა „წვენი“ აფხაზურში წარმოგვიდგა „ა-ტ°ან“-ს სახით, ე. ი. ქართ. **წვ**-ს შეეფარდა ამ შემთხვევაში **ტ°**.

წვ-ს **ტ°**-დ გადაღების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აფხ. **ს ლ ტ°ჷჷა** „ლავიწი“, „ლავიწის ძვალი“. ეს ფუძე მარტივი არა ჩანს თავისი თანხმოვანთა თავყრილობითაც. იგი კომპოზიტიური შედგენილობისაა. მასში აშკარად შედის მეორე ნაწილად **ჷჷა** „მხარი“. პირველი ნაწილია ა-**ლტ°**-. ასეთი კომპლექსი (**ლტ°**) არ არის აფხაზურისათვის დამახასიათებელი.

ლი. იგი წარმოქმნილია მახვილის მოქმედების ნიადაგზე ხმოვანთა ჩავარდნით (რაც ბუნებრივი პროცესია ამ ენებში რთულ ფუძეთა წარმოებისას). ამდენადვე, საფიქრებელია, იგი უკავშირდებოდეს ქართ. **ლავიწ** ფუძეს, რომელშიაც აფხაზურ ნიადაგზე უნდა ჩავარდნილიყო უმახვილო **ი** და **ა** ხმოვნები და მიგველო – ***ა-ლვწ**. აფხაზურისთვის უჩვეულო კომპლექსებში, იგულისხმება, ერთი მხრივ, **ლვ (ლუ)** თანამიმდევრობა და, მეორე მხრივ, **ჟწ (ვწ)** თანამიმდევრობა, ბუნებრივი გზა ჩანს **ლჟწ-ს ლწჟ**-დ გადასმა და აქედან **წჟ-ს (წვ-ს) ტ°**-დ გადაქცევა, რასაც თავის მხრივ ალბათ ხელი შეუწყო **წ-ს ლ-ს** მომდევნოდ დასმამაც.

აღნიშნული სიტყვა ტაპანთურში აქ განხილულ პირველ ელემენტს არ შეიცავს. იქ გვაქვს **ჟჭაყაფს**, ე. ი. „მ ხ რ ი ს ფ ო ს ო“. გამოდის, რომ იმავე „ჟჭ“-ს „მხარს“ მეორე ელემენტად აქ ერთვის ყაბარდ. „ჟაფს“, „ფოსო (ძვლისა)“.

რთულ სიტყვათა აგებისას აფხაზურსა და აბაზურს შორის ამ რიგის სხვაობა, ე. ი. როცა აფხაზური აგებულებით ქართულს უდგება, ხოლო აბაზური მას შორდება, ან ადიღურს მიჰყვება, სხვაც არა ერთი გვხვდება.

ამრიგად, ამ შემთხვევაშიაც **ტ°** შეეფარდა **წ** (< **წჟ**)-ს.

აღნიშნული სამეულის ფშვინვიერ და მკვეთრ წევრებს (**თ°, ტ°-ს**) უფრო მრავალფეროვანი ამოსავალი უნდა ჰქონდეთ, ვიდრე მის მჟღერ წევრს (**დ°-ს**).

ე. წინაენისმიერ სისინა აფრიკატთა სამეული **ძ ც წ**.

აღნიშნული სამეული ქართულის სათანადო აფრიკატთა სამეულს ხვდება.

ძ ყველა დიალექტისათვის საერთო ძირთა მცირე რაოდენობაში გვხვდება. ესენია: ა-ძგ „წყალი“ (და მისი მონაწილეობით შედგენილი ფუძეები), ა-ხძარა, ტაპ. ხგძარა „დაწევა“ (იგივე -ძა ძირი სხვა წინდებულებითაც) და მასთან დაკავშირებული -ნძა „-მდე“ თანდებული, ინტენსივობის -ძა სუფიქსი და სხვ.

აფხაზურში აგრეთვე: აძარა „აღზრდა“ (შდრ. ტაპ. ზაზარა), ახძგ „ცილა“, აფსგძ „თევზი“, ახძ (ტაპ. ხგზ) „სახელი“, ზზ. ა-ჰემძ (აშხ. ჰემძ) „ჰა“ და სხვ. (შდრ. ქვემოთ, ძ').

ც ყველა დიალექტისათვის საერთო ასევე ფართოდ არაა გავრცელებული. გვხვდება სიტყვებში: ა-ცჰა „ხიდი“, ამცა „ცეცხლი“, აცა „სასიმიწდე“, აცხა „თაფლი“, არგცჰა „საბრალო“, „საცოდავი“, ა-ცლამჰა „ნიკაპი“, „ყბა“ (ტაპ. „ყბა“), ახაფგც (ტაპ. ფგც) „უბილი“, ა-მაცარა „მარტო“, „ოდენ“ და ზმნური სუფიქსი (განსაკუთრებით ტაპანთურში).

აფხაზურში აგრეთვე: არახგც „მაფი“ (შდრ. ტაპ. რაჯა), აცაფხა „გასალები“ (შდრ. ტაპ. წაფხა!), და სხვ. (შდრ. ქვემოთ, ც'!).

წ ყველა დიალექტისათვის საერთო ხშირად არ გვხვდება. არის სი-

ტყვებში: აწა „ფსკერი“ (და მისი მონაწილეობით შედგენილი ფუძეები), აწლა „ხე“, აწა (მდრ. ტაპ. ცჰაშე) „ყინული“, აქწარა „ზედ დადება“ (და მსგავს რთულ ზმნებში; მდრ. აგრეთვე აფხ. აყაწარა „გაკეთება“), აყგწრა „ჩამოშორება“ (და მთელ რიგ ზმნებში ე. წ. ძირ-სუფიქსი -წ-) და სხვ. (მდრ. ქვემოთ, წ’).

ვ. შიშინა აფრიკატთა სამეულეი.

აფხაზურსა და აბაზურს შიშინა აფრიკატთა ორი რიგი ახასიათებს – რბილი **ჟ, ჩ, ჭ** და მაგარი **ჯ, ჩა, ჭა**.

ფონემურად აფხაზურ-აბაზურის რბილი **ჟ, ჩ, ჭ** (ე. ი. **ჯ’, ჩ’, ჭ’**) სახეობები უდგება ქართულის აფრიკატთა სათანადო სამეულს (ამიტომაც დამატებით სილბოს ნიშანს აღარ ვიყენებთ მათ გადმოსაცემად), თუმცა ბგერობრივად მათ შორის სხვაობას მაინც აქვს ადგილი. აფხაზურ-აბაზურის **ჟ, ჩ, ჭ** უფრო რბილად გამოითქმის, ვიდრე ქართულისა, რაც, ალბათ, შეპირობებულია მაგარ **ჯა, ჩა, ჭა** კორელატთა არსებობით აღნიშნულ ენებში.

a. რ ბ ი ლ შ ი შ ი ნ ა **ჟ, ჩ, ჭ** ა ფ რ ი კ ა ტ თ ა ს ა მ ე უ ლ ი. მათი წარმოთქმისას წინა ენის ზურგი უფრო ბრტყლად ებჯინება მაგარ სასას, ვიდრე სათანადო ქართული აფრიკატების წარმოთქმის დროს.

-**ჯ** არის სიტყვებში: აჯ (ტაპ. **ჯჰე**) „მუხა“, აჯმა „თხა“ (და მისი მონაწილეობით შედგენილი კომპოზიტები), აჯემშ, ტაპ. ჯემსა „წარბი“, ჯგჯა, ტაპ. ჰგჯ „ორი“ (ვინმე)“, აჯაშარა „გაკვირვება“, აჯაჯა 1. „მსხვილი“, „ხამი“; 2. „ხორკლიანი“; ტაპ. „ხუჭუჭა“; აჯემშე „ხახვი“... აფხაზურში აგრეთვე: აჯშარ „წყალობა“, აჯბარა „მაგარი“, „ცხარე“; „ფიცხი“...

ჩ არის სიტყვებში: აჩარ „ჭამა“ (და ჩა ძირიდან ნაწარმოები სხვა ფუძეები), აჩაფარა „ჭედვა“, „შეკაზმვა“, ტაპ. ჩფარ „კეთება“, აჩჰარა „მოთმინება“, აჩჩარ „სიცილი“, აჩჩ „ძალა“, აჩრ „დასიება“, აჯგჩარა „შემკობა“, „მოკაზმვა“, ტაპ. ჰგჩარა „ჩაცმა (სხვისა)“...

ჭ არის სიტყვებში: აჭაფშარა „ღამის თევა (ავადმყოფის გასართობად...)“, აჭაჭა „თირკმელი“, აჭაშა „კიოფი“, აჭგშა ტაპ. ჭგშე „მისაქსელი“...

აფხაზურში ასევე: აჭარ „დახდა (მაგ. წნელისა)“, აჭკგნ (მდრ. ტაპ. ჩკგნ) „ყმაწვილი“... ტაპანთურში: ჭაგა „პური“...

ფართო გავრცელება არც ამ სამეულს აქვს აფხაზურ-აბაზურის ძირითად ლექსიკურ ფონდში. ისინი ხშირად გვხვდება ნასესხებ სიტყვებში: აფხაზურში უმთავრესად ქართულიდან, აბაზურში უმთავრესად ადიღურ ენათაგან.

ბ. მაგარ შიშინა **ჯა, ჩა, ჭა** აფრიკატთა სამეული.

ამ ხმულთა სამეულის წარმოთქმისას წინა ენა აიზნიქება ზემოთ და ებჯინება მაგარ სასას რაც შეიძლება ღრმად.

ჯა გვხვდება სიტყვებში: აჯგრ „ფოლადი“, აჯგშ „ნიორი“ (თუმცა ამ

სიტყვაში იგი შეიძლება მეორეული წარმოშობისაა)¹.

აფხაზურში აგრეთვე: აჯა „კანის ჭუჭყი“ (შდრ. ტაპ. ლემტ), აჯადრა გამოთქმაში: „ალემჰა ჯადრა“ „დიდ-ყურა“, აჯაშა „წყალმანკი“, აჯაბ „ჯემუხი“, ჯაჯა „მოსავლიანობის ქალღმერთი“, რომელიც, თუ თავი არ შეაწყალე, ზიანს აყენებს ნათესს“², ჯარჯარ გამოთქმაში: „აფშა ჯარჯარტა ითაგლოჰუპ“ „სიმინდი გახარებულია“³ ახჯაჯა „ძირკვი“, აბგალაჯა „მგლისა და ტურის საშუალი რაღაც მხეცი“⁴, ამამერჯაგ „ძერა“, „ყურბი“, ამმარჯახრა „მოღუშვა“, აქაჯამაჯარა „თავმომწონედ სიარული“, ბზ. ანაჯა „მთიანი ადგილი“⁵...

ტაპანტურში: ალაბეჯა (ალაბეჯარა) „შებინდება“...

ჩა არის სიტყვებში: აჩა „ცხენი“ (და ამ ძირიდან ნაწარმოები რთული ფუძეები), აჩად „სახედარი“, აჩანგ, აჩაგნ „იმ დღეს“, აფჩარ „გატეხვა“, აჩაგრა „ჭირნახული“, დაჩა „სხვა“, აჩაბგა (ტაპ. ჩაბგა) „ცელი“, ჩა- უკუქცევითობის ელემენტი ზმნაში და სხვ.

ჭა არის სიტყვებში: აჭა, ტაპ. ჭა „პირი“ (და მისი მონაწილეობით შედგენილი სახელისა და ზმნის ფუძეები), ა-ჭა „ახალი“, „ახალგაზრდა“, აჭახარა (ტაპ. შაჭახარა) „გა(მო)ღვიძება“, ამჭა „შეშა“ და სხვ.

ჯა იშვიათად გვხვდება. ჩა და ჭა საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა სხვადასხვა ძირთა დიდი რაოდენობა არც ამ შემთხვევაში გვაქვს (მრავლად არის ნაწარმოები ფუძეები).

ზ. სისინ-შიშინა (ნახევარ-შიშინა) აფრიკატთა სამეული დ'ც'წ'.

სისინ-შიშინა აფრიკატთა წარმოებისას წინა ენის შუა ნაწილი მიემართება ნუნას. ამავ დროს შეინიშნება მცირეოდენი მომრგვალება ქვემო ბაგისა. აკუსტიკურად, როგორც ამას პ. უსლარი შენიშნავდა, იქმნება შთაბეჭდილება სათანადო სისინა და შიშინა ბგერათა შორის მდებარე საშუალო ბგერისა⁶, რითაც გამართლებული ჩანს მათი სახელწოდება „სისინ-შიშინა“, „შიშინ-სისინა“, ან „ნახევარ-შიშინა“, „ნახევარ-სისინა“⁷.

¹ Г. В. Рогова, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, 1956, გვ. 17.

² ბ. ჯ ა ნ ა შ ი ა, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი.

³ იქვე.

⁴ ბ. ჯ ა ნ ა შ ი ა, იქვე.

⁵ Х. С. Бгажба, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

⁶ П. К. Услар, დასახ. ნაშრ., გვ. 13; 62.

⁷ საგულისხმოა, რომ სხვა ენაზე მეტყველთათვის აკუსტიკურად, როგორც ჩანს, მათში შიშინის მომენტი ჭარბობს. ერთ-ერთი პირი, არა აფხაზი, მაგრამ ბზიფურად ამეტყველებული, სათანადო სისინ-შიშინა სიბილანტების ადგილას შიშინა სიბილანტებს გამოთქვამდა.

აღნიშნული სისინ-შიშინა აფრიკატები, სათანადო სპირანტებთან ერთად ახასიათებს მხოლოდ ბზიფურ დიალექტს და ისიც მის ლიხნისა და ოთჰარის თქმებს. არა აქვს ბზიფურის მთელი რიგი სოფლების მეტყველებას, როგორც ააციის თქმისას, ისე სხვა ბარის სოფლებისას.

არც ერთ სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტში არ მოიპოვება ეს აფრიკატები და მათი რიგისავე სპირანტები. ამით ბზიფური დიალექტი (დღეს მხოლოდ მისი ლიხნ-ოთჰარის თქმები) უპირისპირდება ყველა სხვა დანარჩენ აფხაზურ-აბაზურ დიალექტსა და თქმას.

სისინ-შიშინა ძ' ც' წ' აფრიკატებს ფართო გავრცელება აქვს ფუძეებში.

ბზიფური დიალექტის (ე. ი. ლიხნ-ოთჰარის თქმათა) ძ' ც' წ' აფრიკატთა ადგილას სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში სისტემებზე გვხვდება სისინა ძ ც წ აფრიკატები.

ძ' არის სიტყვებში:

ბზიფ. (ლიხნ. ოთჰ.)	აფ.	აშხ.	ტაბ.
აძ'რა	აძრას	ძრას	ძრას „წვა“
აფხ'აძ'არა	აფხ'აძარა	ფხ'აძარა	ფხ'აძარა „დათვლა“
აძ'ახრა	აძახრა	ძახრა	ძახრა „კერვა“
აძ'ამვა	აძამვა	ძამშ'(/ჯ)ა	ძამშ'ა „ლოყა“, „ლაწვი“
აკანძ'არა	აკანძარა	კანძარას	კანძარას „დაჭკნობა“
აძ'აძ'	აძაძ'	ძაძე	ძაძე „სადგისი“
არგ'მძ'	არგ'მძა	რგ'მძა	რგ'მძა „გრძელი სკამი“
აძ'ენ	აძენ	ძენ, ძნე	ძნე ძენ „ზამთარი“, აშხ., ტაბ. „შემოდგომა“
აძ'ს'	აძს	ძსე	ძსე „თიკანი“
აწ'გძ'	აწ'გძ	ჯ'გძ	ჯ'გძ „ლომი“, „მარცვალი“
აძ'ჯერა	აძჯერა	ძერშ'(/ჯ)რა	ძერშ'რას „მოსმენა“

ც' არის სიტყვებში:

ბზიფ. (ლიხნ. ოთჰ.)	აფ.	აშხ.	ტაბ.
აც'არას	აცარას	ცარას	ცარას „წასვლა“
აძ'ც'	აძ'ც	ძ'ცე	ძ'ცე „სიცრუე“
აძ'ც'გ → (ა)ეც'გ	აძ'ც'გ → (ა)ეც'გ	აძ'ცგ	აძ'ცგ „გუშინ“
აძ'გ'გ	აძ'გ'გ	ც'გ'გ	ც'გ'გ „კატა“
აკ'ანც'	აკ'ანც	კ'ანც	– „ხორცი“ (საჭმელი)
აწ'გც'რა	აწ'გცრა	ჯ'გცრა	ჯ'გცრა „ფიქრი“

ჩვენ აქ ტერმინს „სისინ-შიშინას“ ვრჩებთ, „სისინა“ პირველ ადგილას დასმით, სხვა დიალექტებში მათი უფრო გავრცელებული შესატყვისის მიხედვით.

ახ ² ც'	ახ ² ც	ხ ² ც	ხრიხ ² ც „ისარი“
არ ² ც'ნა	არ ² ცნა	არ ² ცნა	არ ² ცგნა „დედალი“ (ქათამი)
ათ ² ც'ა	ათ ² ცა	თ ² ცა	თაცა „პატარძალი“, „რძალი“
ც'-	ც-	ც-	ც- „თან“ (წინდებ. ზმნაში)
აწ ² ც'ა	აწ ² ცა	(ა)წ ² ცა	წ ² გცა ჭ ² გცა „ჭიქა“ „შუშა“ (აბაზ. „შუშა“) და სხვ.

წ' არის სიტყვებში:

ბზიფ. (ლიხნ. ოთჰ.)	აბჟ.	აშხ.	ტაპ.
აწ'აარს	აწაარს	წაარს წჰაარს	წჰაარს „(შე)კითხვა“
აფ ² გწ'	აფგწა	ფგ ² წა	ფგწა „ცხვირი“
აწ'აზგერგ	აწაზგერგ	წაზგერგ ²	წაზგერგ ² „სიმართლე“
აფ ² წ'ბ	აფწ ² ბ	აფწ ² ბ	აფწ ² ბ „უმცროსი“
ახაწ'ა	ახაწა	ჰაწა	ჰაწა „კაცი“, „მამაკაცი“
აწ'აარს	აწაარს	წაარს წჰაარს	წჰაარს „დამარილება“
აწ'რს	აწრს	წრს	წრს „დრო-ჟამის გასვლა“
არბ(გ)წ'რა	არბ(გ)წრს	რბ(გ)წრს	რბწრს „გაჭყლეტა“...
აწ'აღს	აწაღს	წაღს	წაღს „თხელი“, „წყალ-წყალა“ (აბაზ. საერთოდ „თხელი“). და მრ. სხვ.

აღნიშნული სისინ-შიშინა აფრიკატა სამეული (სათანადო სპირანტებთან ერთად) არა ჩანს სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში, მაგრამ ისინი ახასიათებს უბიხურ ენას, და, როგორც ირკვევა, ჰქონდა ადიღურ ენებსაც. ამ ენებში ეს აფრიკატები გადასულან სისინ-შიშინა სპირანტებში, რის საფუძველზედაც წარმოქმნილა თავისებური სისინ-შიშინა მკვეთრი ს' სპირანტი.

საყურადღებოა, რომ ეს საერთო-ადიღური ს სპირანტი აბაზურს ადიღურიდან ნასესხებ სიტყვებში გადმოცემული აქვს ლაბიალიზებული მკვეთრი აფრიკატით (იხ. აქვე, ქვემოთ, გვ. 209).

თ. წინაენისმიერ ლაბიალიზებულ აფრიკატთა სამეული ძ²ც²წ².

აღნიშნულ აფრიკატა წარმოებისას წინა ენის ზურგის მხარე მიმართულია ზემო კბილების შიგნით ნუნასთან. ქვემო ზაგის კიდურის შიგნითა ნაწილი კი მიემართება ზემო კბილების ბოლოს. თვით ქვემო ზაგე ოდნავ გადმოწეულია წინ და გარედან შეზნეულია იმ ადგილას, სადაც მას შიგნიდან ზემო კბილების ბოლო ედება. ზემო ზაგე საერთოდ ისე აქტიური არ არის, მაგრამ ქვემო ზაგეს ზემო კბილებისაკენ აწევის შესაბამი-

სად ისიც აიწვევა ზემოთკენ (ისე რომ, ჩანს ზემო წინა კბილები), წარმოიქმნება ვიწრო ნაპრალი განხშული მომრგვალებული ტუჩებით.

ძ არის სიტყვებში: აძ^გ, ტაპ. || ზაძ^გ (მათი შიშინა სახეობების შესახებ იხ. ქვემოთ) „ერთი ვინმე“, აძ^ძ არა „რეცხვა“, „ბანა“, აძ^{არ} „ღებინება“; ტაპ.-ში აგრეთვე: ძ^ძგ^გ || ჯ^ჯგ^გ „ნერწყვი“, ჰაძ^ძ || ჰაჯ^ჯ „ზვინი“ (შეთვისებული ადიღურიდან).

იგი ძირითა მეტად განსაზღვრულ რაოდენობაშია (თითქოს მხოლოდ აქ მოყვანილი ფუძეებით განისაზღვრება).

ც არის სიტყვებში: აც^გ (ტაპ. ც^გ || ჩ^გ) „ხარი“, აც^ა არა „ლაპარაკი“, აც^{ან} „კანი“, „ტყავი“, აც^ა „ძილი“, აც^{არ} „წოვა“, აც^რ „გათლა“, აც^გ ან „ცუდი“, „ავი“ (ტაპ. „ავი“), ანგ^ც, ტაპ. ნგ^ც ან || ნგჩ^ა „კანაფი“ და სხვ.

წ არის სიტყვებში: აწ^ა „ვაშლი“, აწ^გ არა „ტირილი“, აწ^ა ან (ტაპ. წ^ა ან || ჭ^ა ან) „სარი“, აწ^ა ანრა (ტაპ. ყაწ^ა ანრა || ყაჭ^ა ანრა) „შენახვა“, ახარწ^გ (ტაპ. ხგრწ^გ || ხგრჭ^გ) „მაწონი“ და სხვ.

ძ ც წ ლაბიალიზებულ აფრიკატთა სამეული ყველა აფხაზურ-აბაზურ დიალექტს მოეპოვება, ოღონდ ზოგჯერ დიალექტთა მიხედვით და დიალექტებში კი მთქმელთა მიხედვით შეინიშნება ნაწილობრივი სხვაობა გამოთქმამი. ეს სხვაობა, ერთი მხრივ, ეხება მათ სისინა-შიშინობის მიხედვით ცვლას, მეორე მხრივ, ლაბიალიზაციის ხასიათის მიხედვით ცვლას.

ძ ც წ ფონემები სათანადო **ძ ც წ** აფრიკატთა უბრალო ლაბიალიზაცია არ არის. ისინი სრულიად ახალ ფონემებს წარმოადგენენ იქაც კი, სადაც შედარებით უფრო სტაბილურ სახეს ატარებენ. აქა-იქ მათ ოდნავი შიშინის ელფერიც ახლავთ.

განსაკუთრებით მრავალფეროვანი სახეობები აქვთ მათ ტაპანთურ დიალექტსა და მის კილოკავ-თქმებში. აქ ისინი ზოგის ენაში უფრო სისინა სახეობისკენ გადახრილი გვხვდება, ზოგის ენაში კი – შიშინა სახეობისკენ.

ეს ტაპანთურისთვის პირვანდელი, ე. ი. საერთო აფხაზურ- აბაზური **ძ ც წ** აღრეულია ამ დიალექტში **დ თ ტ** დენტალ- ლაბიალიზებული სამეულის აფრიკატიზაციის ნიადაგზე წარმოქმნილ აფრიკატებთან, – რომლებიც, ალბათ, შიშინა სახეობისანი იყვნენ, – ე. ი. **ჯ რ ჭ**-სთან, და ფონემური დაპირისპირების მოშლის ნიადაგზე ტაპანთურ დიალექტში ო რ ი ვ ე რ ი გ ის ბგერების არსებობის შემთხვევაში ერთნაირად აღრევით გამოიყენება როგორც სისინა, ისე შიშინა სახეობები: ძ^ძ || ჯ^ჯ, ც^ც || ჩ^ჩ, წ^წ || ჭ^ჭ¹.

ამ ნიადაგზე, მაგ., ა-წ^ა „ვაშლი“ ტაპანთურში არის როგორც წ^ა, ისე ჭ^ა და ჭ^ა („დაჯექი!“)-საგან აფრიკატიზაციით მიღებული ვარიანტიც წარმოგვიდგება ორივე სახით: ჭ^აწ^ა! || ჭ^აწ^ა!

¹ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. ტაპ. დ., § 5.

ასეთივე ვითარება გვაქვს ტაპანთურში თავდაპირველ **ც**, **ძ**-სა და **დ**, **თ**-ს აფრიკატიზაციით მიღებულ, **ჯ** || **ძ**, **ჩ** || **ც**-ს შემთხვევაში¹.

შიშინა ლაბიალიზებული აფრიკატები სხვა აფხაზურ-აბაზურმა დიალექტებმა არ იცის.

ტაპანთურ დიალექტში ამავე დროს შესამჩნევია მათი ლაბიალიზაციის ბუნების შერყევაც. კიდევ უფრო სუსტდება ზემო ბაგის მონაწილეობა და ეს ბგერები ნახევრად ლაბიალიზებული აფრიკატების სახეს იღებს, რის გამოც ჩვენ ტაპანთური დიალექტური ტექსტების ფიქსაციისას ვიყენებით შეუკრავ ც წრეს (**ძ**, **ჯ**, **ც**...).

მიუხედავად ამ სხვადასხვა წარმოშობის ლაბიალიზებულ აფრიკატთა ტაპანთურში აღრევისა (როგორც ეს უკვე სხვა ადგილას გვაქვს გარკვეული), ტაპანთურისავე ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავში აღნიშნულ აფრიკატთა შემდგომს ფონეტიკურს ცვლილებაში (რაც გამოიხატა ს რ უ ლ ი დ ე ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი ის ფაქტში) თავი იჩინა სხვადასხვა წარმომავლობის ლაბიალიზებულ აფრიკატთა განსხვავებულმა ცვლილებამ: **დ** **თ** **ტ**-საგან მომდინარე **ჯ** || **ძ**, **ჩ** || **ც**, **ჭ** || **წ** აფრიკატებმა გარკვეულ მთქმელთა ენაში მოგვცა სრულიად დელაბიალიზებული მაგარი შიშინა **ჯ**, **ჩ**, **ჭ**, ხოლო ზოგი მთქმელის ენაში კი – სრულიად დელაბიალიზებული სისინა **ძ** **წ**: (იხ. აქვე, ზემოთ, გვ. 145-147).

ხსენებულ აფრიკატთა სრული დელაბიალიზაციის ერთ-ერთ წინა საფეხურად გვესახება ჩვენ მიერ ზოგი კრასნივოსტოკელი მთქმელის ენაში დადასტურებული თავისებური, ოდნავ ლაბიალიზებული სისინა აფრიკატები, რომელთაც ჩვენ შესაბამის ტექსტებში გადმოვცემდით ო ნიშნით: **ძ**, **ც**, **წ**. ისინი ფონოლოგიურად აღნიშნულ თქმაში მიემართებიან იმ **ძ** || **ჯ**, **ც** || **ჩ**, **წ** || **ჭ** აფრიკატებს, რომლებიც ამოსავალში **დ** **თ** **ტ** ხმულებს გვავარაუდებინებს და არა პირვანდელ, საერთო აფხაზურ-აბაზურ **ძ** **ც** **წ** აფრიკატებს.

ეს თავისებურად, ოდნავ ლაბიალიზებული სისინა აფრიკატი ფონე-

¹ აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის არსებულ ბგერათა შესატყვისობების ფაქტთა აღრევაზეა დამყარებული გ. სერდიუჩენკოს მტკიცება, თითქოს ტაპანთური დიალექტის **ჯ**-ს **ჯ** არა („რეცხა“, „ბანა“) ზმნისას აშხარულ დიალექტში შესატყვისებოდეს **ძ** (**დ**): ადუდუარა (a-двдвара). იხ. მისი „Словарные расхождения в диалектах абазинского языка (с параллелями из абхазского)“, კრებ. Языки Северного Кавказа и Дагестана, ტ. 2, გვ. 13. ამის შესახებ იხ. ჩვენი, აშხ. დ., გვ. 341.

ფაქტების შემდგომს „თანამიმდევრულ“ დამახინჯებას აქვს ადგილი თ. თაბულოვის ზემოთ დასახელებულ სტატიაში („ინ აბაზინских диалектах“, გვ. 52), სადაც იგი ასევე პირველადი ტაპანთური **ჭ**-ს (ე. ი. || **წ**-ს) შესატყვისად აშხარულში ასახელებს **ტ**-ს შემდეგ სიტყვებში: ხერჭე („მაწონი“), ყაჭახარა („შენახვა“). მის მიერ მოყვანილი ვითომ აშხარული: „ხერტე“ და „ყატახრა“ არარსებული, გამოგონილი სახეობებია. ამ საკითხთა შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 155, შენშ. 23.

მები ძ, ც, წ მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სწორედ იმავე მთქმელთა ენაში დადასტურებულ სხვა ლაბიალიზებულ აფრიკატთაგან. ამ თავისებური ძ, ც, წ აფრიკატთა არტიკულაციისას: ზემო ბაგე კიდევ უფრო ინტენსიურად არის აწეული ზემოთ და რაც შეიძლება შორდება ქვემო ბაგეს: ზემო კბილები უახლოვდება ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილს რაც შეიძლება ღრმად, თითქმის ძირამდე; ქვემო ბაგის ეს ნაწილი შეწეულია შიგნით, ხოლო ბაგის ზემო ნაწილი გამოწეულია წინ (გარეთ); ლაბიალობა მინიმალურია.

საერთო აფხაზურ-აბაზური ძ ც წ აფრიკატთა სამეული თუმცა ხშირად შეეფარდება სხვა მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა სისინა აფრიკატს ლაბიალურ კომპლექსში (მაგ., ხუნძ. წტა, აფხ. ააწა „ვარსკვლავი“¹, ქართ. მწვანე აფხ. ააწა; ქართ. ცვილი. აფხ. აცა...), მაგრამ აფხაზურში მათი საფუძველი, საფიქრებელია, არ ყოფილიყო სისინა აფრიკატი (და მითუმეტეს — შიშინა)², არამედ — სისინ-შიშინა აფრიკატი ლაბიალურ გარემოცვაში (შდრ. აქვე, ლაბიალიზებული სპირანტები).

ი. უკანაენისმიერი ხშულები

უკანაენისმიერი ხშულების სამი რიგია აფხაზურსა და აბაზურში: მარტივი გ ქ კ (საერთო სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან); პალატალიზებული გ ქ კ და ლაბიალიზებული გ ქ კ.

ა. უკანაენისმიერი ხშულთა სამეული გ ქ კ ბგერობრივად უდგება ქართული ენის შესაბამის სამეულს.

გ არის სიტყვებში: აგარა „წაღება“, წაყვანა „აგარა აკვანი“; აგღლარა, ტაპ. გღლრა „ადგომა“, აგდგ, ტაპ. გდი „დოლა“, აღღგ „სულელი“ (ტაპ. „მონა“), აწაზბრგ „სიმართლე“...

გ შედის იარაღის გამომხატველ -გა სუფიქსში (მაგ. აჩაგა „თოხი“ და სხვ.).

ქ არის სიტყვებში: აქტა, ტაპ. ქტ „სოფელი“, აქდგ „მორი“. აფხაზურში აგრეთვე: აქჯაქჯჯრა „ცახცახი“, აქამსა „ბანჯგვლიანი“, აკაზბქ „საშვილოსნო“, აკაზარჯბქ „ჭლაკვი ხახვი“, აყაქ! „დარტყმის ხმა“... ტაპანთურში: ქაცარა, ქაშარა „ქანაობა“, ქამსა „წიგნარა (მცოხნელი საქონლისა)“, შდრ. აფხ. აქამსა „სტომაქი“...

საერთოდ ქ მეტად იშვიათად გვხვდება ძირებში.

კ არის სიტყვებში: აკრა „ჭირა“, აკანძარა „დაჭკნობა“, აკგ, ტაპ. || ზაკგ „ერთი რამ“, აკათა „ბადე“, აკკვა „ძუძუ“...

¹ П. К. Услар, Этнография Кавказа. Языкознание. ПТ. Аварский язык. Тбилиси, 1889, მეორე განყოფილება, გვ. 247.

² თუმცა ზოგჯერ ისინი შიშინა აფრიკატთა (ლაბიალური კომპლექსის) ფარდევ გამოდის, მაგ. ქართ. ჭიქა ← *ჭვირქა, აფხ. აწცა „ჭიქა“, „შუმა“...

აფხაზურში აგრეთვე: აზგმკამს, აზხ. ჩკლამს „ჭიანჭველა“, აკაპანრა „აწონა“... ტაპანთურში აგრეთვე: კაზკაზრა „ბრწყინვა“ (შდრ. აფხ. აკაზკაზ „გამჭვირვალე“)...

კ თითქოს მეტად ხშირად გვხვდება ამ ენებში, რამდენადაც კა- || კ- პრეფიქსი ერთვის მთელ რიგ ზმნურ ძირებს; ასევე ერთეულის გამომხატველი -კ და „ჭერა“ ზმნის ძირი. -კ აწარმოებს არა ერთს რთულ ფემეს, მაგრამ კ, როგორც ფონემა, საკუთარ ძირითად ლექსიკურ ფონდში მაინც იშვიათია.

ბ. უკანაენისმიერ ხშულთა ლაბიალიზებული სამეული გქკ. მათი წარმოებისას დამახასიათებელია ორივე ბაგის მომრგვალება. ისინი წარმოადგენენ ძირითადი გქკ ხშულების ბილაბიალურ უსთან შერწყმულ რთულ ბგერებს (თანაც – გქკ მარტივ სახეობებთან შედარებით ოდნავ უკან გადაწეულთ). ეფარდებიან სხვა ენათა უკანაენისმიერების ლაბიალურ კომპლექსებს (შდრ. აფხ. ამგ, ქართ. მოგვი, აფხ. აჯგქრჲ „სიმინდი“, ქართ. ჯიქურა და მისთ.).

გ არის სიტყვებში: აგზ „გული“, აგშმ „ჭიშკარი“, აგგშმ, ტაპ. გშმ „წალი“, აგგლა, ტაპ. გლა „მეზობელი“, აგგრ, ტაპ. გრგ „ნემსი“, აგრწა „ნაჯახი“, აგგზ „კატა“...

დიდი გამოყენება აქვს გზ „გულის“ აღმნიშვნელ ძირს როგორც ზმნურ პრევერბს და მრავალრიცხოვან კომპოზიტთა შემადგენელ კომპონენტს.

ქ არის სიტყვებში: აქწ „წვიმა“, აქლა „ტოლი“, აქრწ „დაფიცება“, აქც (|| აცქ) „წვერი“, „კენწერო“ (შდრ. ტაპ. ქგ „სახურავი“, „ზევითა ნაწილი“), აქგგმა „მგელი“...

ქგ ძირი მნიშვნელობით „ზევით“ ფართოდ გამოიყენება წინდებულად ზმნაში და რთული ფუძეების საწარმოებლად; -ქა სუფიქსი გამოიყენება მრავლობითის გამოსახატავად სახელებშიაც და ზმნებშიაც.

კ არის სიტყვებში: აკზაარა (ტაპ. აკგზლარა) „ყოფნა“, აკა „უბე“, აკადგრ (ტაპ. კდგრ) „უნაგირი“, აკაბარა „დაბანა“, აკადა „ხელცული“ (ტაპ. კადა „ნაჯახი“), აკაჰარა (ტაპ. კჰარა) „მოხელა“, აკკრწ „ჩეჩა“ (მატყლისა), კა- წინდებულადაც გამოდის ზოგი ზმნის ფუძეში (მაგ. აკაშარა „ცეკვა“...) და სხვ.

ც. უკანაენისმიერ პალატალიზებული ხშულთა სამეული გქკ გქკ ხშულებთან შედარებით უფრო წინ არის ნაწარმოები.

გ არის სიტყვებში: აგაჟ „ბორბალი“, ტაპ. გაჟ „მრგვალი“, აცგა „ცული“, ავი „...-გზე კავშირ-ნაწილაკი („ც“, „კიდეც“) და სხვ.

ქ არის სიტყვებში: აქრწ „კვენესა“, „ოხვრა“, აქგშმ „ბაგე“, „ტუჩი“ (შდრ. ტაპ. ქგშმთა „ენაჩლიუნგი“, „ენაჩლიფინა“), აცქა „სუფთა“, ზქგ „ათასი“...

კ არის სიტყვებში: აკგრკზერა, ტაპ. კკრრა „ხვიხვინი“, „ჭიხვინი“, ცგკა „ადრე“, ალაკაკარა „შესობა“, შდრ. ტაპ. კკა ათა გგლრა „თითის

წევრებზე დგომა“ და სხვ.

ხშირად ადგილი აქვს არაპალატალიზებულ გქკ ხშულთა და პალატალიზებულ გქკ სახეობათა მონაცვლეობას დიალექტთა მიხედვით, მაგ., აზჟ. აწკეს || აცკეს („ნაცვლად“, „შედარებით“) ბზიფურსა, აზხარულსა და ტაპანთურ დიალექტებში მარტივი კ-თია წარმოდგენილი – აწკეს || აცკეს; აფხ. ადგმარა, ტაპ, ადგმარა „დაზოგვა“, აფხ. აქამსა, ტაპ. ქამსა (იხ. ზემოთ, გვ. 156) და სხვ.

პალატალიზებული გქკ ხშულები საკუთარ ლექსიკურ ფონდში არ არის მაინცადამაინც გავრცელებული, თუმცა ძალზე ხშირად გვხვდება სხვა ენათაგან (განსაკუთრებით ქართულ-ქართველურიდან, ადიღურიდან, თურქულიდან) შესულ სიტყვათა ფუძეებში. სხვა ენათაგან მომდინარე სიტყვებში ისინი, ბუნებრივია, მაშინ გვაქვს, როცა მათ მოსდევს ამ ენებში ი ან ე ხმოვანი, მაგ., როგორიცაა: აფხ. აგმამ, ქართ. „გემო“, აფხ. აჰასკენ („ბალახი“), ქართ. ასკილი, აფხ. ადგელ, ქართ. ადგილი, აფხ. აბაგალ („ცხენის ძუისაგან ან თხის ბალნისაგან დაწნული თოკი“). შდრ. ბაგირი, აფხ. ასქარ, თურქ. asker, აფხ. ამქა „მაქური“ (შდრ. მეგრ. მაქე) და მისთ. თუმცა პალატალიზაციას მაშინაც აქვს ადგილი, როცა თითქოს შესაბამისი გარემო ამ ბგერათა მომდევნოდ არ არის, მაგ., აფხ. აქალაქ „ქალაქი“, აფხ. ამართაქ „ლარტყა“ (შდრ. „მუ[რ]თაქა“), აფხ. აგაბანაქ „გვაბანაკი“, აფხ. აპარკ „პარკი“, აფხ. ალგკ „ლამი“, შდრ. მეგრ. ლეკი „სილა“. აქ შეიძლება გვეფიქრა ქართული ენის სახელობითის -ი სუფიქსმა მოახდინა გავლენა (ზოგჯერ ეგებ მართლაც გაჭირდეს ამ გავლენის გამორიცხვაც), მაგრამ ყველა შემთხვევა ამით არ შეიძლება აიხსნას, შდრ. მაგ., აფხ. აბაქმაზ „ბაქმაზი“ და მისთ.

კ. ფ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ი ხ შ უ ლ ე ბ ი

ფარინგალურ ხშულთა რიგი აფხაზურ-აბაზურშიაც დეფექტურად არის წარმოდგენილი. თანაც ეს რიგი იმდენად შერყეულა აფხაზურ-აბაზურშიაც, რომ თითქმის ყველა მის წევრს განუცდია ასეთი თუ ისეთი ცვლილება დიალექტთა მიხედვით.

აფხაზურის აბჟურ დიალექტსა და სალიტერატურო ენაში ისეთივე ვითარებაა, როგორიც ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართული ენის ბარის კილოებში. ამ რიგის ბგერათაგან გვაქვს მხოლოდ მკვეთრი წევრი (ყ), გვაკლია ფშვინვიერი და მჟღერი წევრები.

როგორც სავარაუდებელია, მჟღერი ფარინგალური ხშული წევრი (პირობით: ღ) უნდა ჰქონოდა ქართველურ ენებს¹ ფარინგალურ სამეულში, ასევე აფხაზურ-ადიღურ ენებს² და საერთოდაც იბერიულ-კავკასიურ

¹ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1936, გვ. 133.

² გ. რ ო გ ა ვ ა, ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურ ენებში, იკე, I, 1946.

ენებს, მაგრამ ეს მჟღერი ხშული ადრევე მოშლილა და დაკარგულა და, როგორც ფიქრობენ, სხვადასხვა რეფლექსის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი გარკვეულ სიტყვათა ფუძეებში¹. დაკარგვის ნიადაგზე შეიძლება იგი, ერთი მხრივ, გადასულიყო სპირანტში, მეორე მხრივ, – ხშულში. უფრო გავრცელებულ რეფლექსთა მიხედვით მაინც მისი სპირანტიზაციაა სავარაუდებელი.

ფშვინვიერი წვერი სამეულისა (ჭ) მეტნაკლები ცვალებადობით ხასიათდება იბერიულ-კავკასიურ ენებში. აშკარა დაკარგვის ტენდენციას ავლენს ის, მაგ., ქართველურ ენებსა და აფხაზურში. ქართველურ ენათაგან კარგად დაუცავს სვანურს, ადრევე დაუკარგავს ზანურს (რომელშიაც იგი ხ სპირანტს შერწყმია); კარგად იყო დაცული ჯ ძველ სალიტერატურო ქართულში, თუმცა ამჟამად იგი აღარ მოეპოვება არც სალიტერატურო ქართულს და არც ქართული ენის ბარის კილოებს. ჯ შემოუნახავს ქართული ენის მთის კილოებს (ფშაურს, ხევსურულს, მოხეურს... ნაწილობრივ – კახურს და სხვ.). სხვაგან კი მის ადგილას გამოდის ხ სპირანტი (შდრ. ძვ. ქართ. ჳელი → ხელი...).

ჯ ხშულის ცვლილების მხრივ ანალოგიას ქართულთან ვპოულობთ აფხაზურის აბჟურ დიალექტში (და, ამდენადვე, სალიტერატურო ენაში). აფხაზურის ხსენებულ დიალექტშიაც ჯ მოშლილა და გადასულა ხ სპირანტში, ე. ი. დამთხვევია იმ ხ სპირანტს. რომელიც ენაში უკვე არსებობდა.

ჯ ხშულის დაკარგვის ტენდენცია ბზიფურ დიალექტსაც ახასიათებს. იგი აქაც მოშლილა და გადასულა სპირანტში, მაგრამ აქ მას წარმოუქმნია ახალი, თავისებური ფარინგალური (ენის ძირისმიერი) სპირანტი ფონემა – ხ².

დღემდე კარგად შემოუნახავს ფარინგალური ფშვინვიერი ჯ ხშული აშხარულსა და ტაპანთურ დიალექტებს (თითო-ოროლა შემთხვევაში ბზიფურის მსგავსი მისი ხ რეფლექსი აქაც შეიძლება შეგვხვდეს)³.

ჯ აბაზურში არის სიტყვებში: ჳა (ბზ. ახე) „თავი“ (იგივე ფართოდ გამოიყენება წინდებულად ზმნაში, ფუძეთა საწარმოებლად და სხვ.), თაწრა (ბზ. ა-თახრა) „ნდომა“, ჳარა (ბზ. ხარა) „შორს“, ჳაწა (ბზ. ა-ხაწა) „კაცი“, „მამაკაცი“, აწა (ბზ. აწეხა) „იმ დამეს“ და სხვ.

ჯ ფარინგალურ ხშულს მოეპოვება ლაბიალიზებული კორელატი ჳა აბაზურ დიალექტებში. იგი არის სიტყვებში: ჳა „წილი“, „კერძი“, წაწა „კუდი“, „ბოლო“, ჳაწა „წამალი“, ჳაწრა „ფიქრი“ და სხვ. შესაბამისად ბზიფურ დიალექტში არის იგივე, თავისებური ფარინგალური ლაბიალიზე-

¹ გ. როგავა, იქვე, გვ. 5.

² სწორედ ამ თავისებურ, ბზიფურ ხ სპირანტს მიიჩნევდა ჰ-ს ბგერინაცვლად ს. ჯანაშია, იხ. ჩვენი, ტაპ. დ., გვ. 29.

³ ქ. ლომთათიძე, ტაპ. დ., გვ. 30; მისივე, აშხ. დ., გვ. 16.

ბული **ხ** სპირანტი, ხოლო აბჟურ დიალექტსა (და ავხაზურ სალიტერატურო ენაში) **ხ** სპირანტი.

პალატალიზებული სახეობა არ მოეპოვება არც ფარინგალურ ფშვინვიერ **ჯ** ხშულს და არც მის სპირანტულ **ხ** რეფლექსს.

სავარაუდო ფარინგალურ ხშულთა სამეულის მკვეთრი **ყ** წევრი დაცულია ავხაზურის დიალექტებსა, აშხარულ დიალექტსა და ნაწილობრივ ტაპანთურ დიალექტშიაც.

ავხაზურსა და აშხარულ დიალექტში იგი არის სიტყვებში: აყაზაარა „ყოფნა“, აყაფშ „წითელი“, აყგა „სატეხი“, აყაწარა „გაკეთება“, აყრყგ „ხორხი“, თანდებული -ყნ „-თან“ („-ზე“, „-ში“), ადგილის საგარემოებო ელემენტი -(ა)ყ- პრეფიქსად და სხვ.

მონათესავე ადიღურ და ქართველურ ენათა მსგავსად შერყეულია ამ სამეულის მესამე წევრის პოზიციაც ავხაზურსა და აბაზურშიაც.

ავხაზურ სასაუბრო ენაში იგი ისმის ზოგჯერ როგორც **ქ** ლარინგალური სპირანტიოდი და ზოგჯერ სულაც იკარგვის?!¹ (იხ. აქვე, აა; უ), მაგრამ ეს პროცესი უბრალო ბგერათმონაცვლეობის ფარლებს არ სცილდება, იქვე იხმარება იმავე ფორმათა **ყ**-ს შემცველი სახეობები. რაც შეეხება ტაპანთურ დიალექტს, იქ ფარინგალური **ყ** ხშული რიგ ფუძეში დარჩენილია უცვლელად (მაგ., ყგა, ყრყგ, ყაფშგ...), ზოგ შემთხვევაში კი იგი გადასულა **ქ**-ში სისტემებრ ისე, რომ ჩამოყალიბებულა მისგან ახალი ფონემა **ქ** (იხ. აქვე, უ).

ფარინგალურ მკვეთრ **ყ** ხშულს აქვს ლაბიალიზებული და პალატალიზებული კორელატები – **ყ**, **ყ**.

ლაბიალიზებული **ყ** არის სიტყვებში: ანყარა „სიარული“, ალაყრა, ტაპ. ნაყრა „დადაბლება“, ჩამოქვეითება: „დაშვება“, აყგდ „ლობიო“, აყგჭრა „ჭმუჭნა“...**ყ**- გამოყენებულია ზმნურ წინდებულად და სხვ.

პალატალიზებული **ყ** შედარებით **ყ**-სთან წარმოების ადგილის მიხედვით უფრო წინაა წამოწეული.

პალატალიზებული **ყ** არის სიტყვებში: აყაყა „ბრტყელი“, აყარა „ქნევა“, აყანტაზ „შიშველი“, ახჩხყა, ტაპ. ჯხყა „ბალიშისპირი“, აყაშრა, ტაპ. ყშრა „დასვრა“ და სხვ.

ამრიგად, ფარინგალურ ხშულთა სამეული დეფექტურად არის წარმოდგენილი ავხაზურსა და აბაზურში. პირველ რიგში აქაც დაკარგულა სავარაუდო მჟღერი წევრი (მისი კვალის მიგნება ჭირს), დაკარგვის გზას ადგას, როგორც ვნახეთ, **ჯ**-ცა და **ყ**-ც დიალექტთა მიხედვით.

ამ სამეულის მოშლის შედეგად თითოეული მათგანი შეიძლება გადასულიყო ან არსებულ ხშულებში (წინ გადმოწევით) ან – სპირანტებ-

¹ ავხაზურ სასაუბრო ენაში **ყ**-ს დასუსტება შენიშნული ჰქონდა ჯერ კიდევ გ. როზენს. იხ. მისი Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung. über das Mingrelische, Suanische und Abchasische, ბერლინი, 1846, გვ. 72.

ში, თანაც შესაძლებელი ჩანს წარმოქმნილიყო ამ ცვლილების გზაზე სპირანტების ახალი სახეობებიც.

ცვლილების ორივე გზა დასაშვებია, ოღონდ სისტემის სახით გატარებული ჩანს აფხაზურ-აბაზურში სპირანტებით მათი შეცვლა. მეტად საგულისხმოა ამ ცვლილებათა მხრივ ჯ, ჯ⁰ ფარინგალურ ფშვინვიერ ხშულთა ბზიფურისთვის ნიშანდობლივი რეფლექსი: მათი ქცევა თავისებურ ფარინგალურ ხ, ხ⁰ სპირანტებად. ჯ ხშულს (ასევე ჯ⁰-ს) სპირანტიზაციის გზით ენაში წარმოუქმნია სპირანტის ახალი სახეობა – ხ. უნდა ვიფიქროთ, ასეთივე გზა განვლო ჯ-ს ცვლილებამ აბჟურ დიალექტშიაც, მაგრამ აქ მისი შემდგომი ცვლილების ნიადაგზე იგი დაემთხვა ენაში არსებულ ხ სპირანტს.

აფხაზურის დიალექტებში დადასტურებულ ფარინგალური ფშვინვიერი ჯ ხშულის ცვლილების გზა ანგარიშგასაწევია ქართველურ ენებში ამ მხრივ ჩატარებული პროცესის ისტორიისათვისაც. მართალია, ქართულში არაა ფიქსირებული ჯ → ხ ცვლილებების გზაზე გარდამავალი ფარინგალური ხ სპირანტის არსებობა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ასევე წარიმართა ეს ცვლილება აქაც, ე. ი. ჯ ჯერ იქცა ხ-დ, ხოლო იგი შემდეგ დაემთხვა ენაში არსებულ უკანაენისმიერ ხ სპირანტს.

მკვეთრი ყ წევრის ცვლილებაც სპირანტიზაციის გზით წარიმართა; აქაც წარმოიქმნა მანამდე ენაში არ არსებული სპირანტოიდი ყ (ტაპანთურ დიალექტში), ოღონდ აქ მიმართულება არის საპირისპირო. თუ ჯ-ს სპირანტიზაციისას ადგილი აქვს არტიკულაციის წინ გადმოწევას (ჯერ წინა ფარინგსში, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო წინ), ყ-ს შემთხვევაში, მისი მოშლისას არტიკულაცია ინაცვლებს უკან ლარინგისაკენ¹, წარმოიქმნება თავისებური მკვეთრი ბუნების მქონე სპირანტოიდი, რომელიც სრული გაუჩინარების გზაზე იმავე რეფლექსს იძლევა, რასაც სხვა ლარინგალური სპირანტები ზ, ზ⁰ (იხ. აქვე, აა).

რაც შეეხება არშენახული მჟღერი *ღ წევრის ცვლილებას, ისიც საერთო ტენდენციის მიხედვით სპირანტად უნდა ქცეულიყო², მაგრამ დგება კითხვა, რომელ სპირანტში გადავიდა იგი, უფრო წინ ნაწარმოებში, ე. ი. ღ-ში (ან მის მაგვარ რაიმე სახეობაში, როგორც ეს ჯ-ს ცვლის შემთხვევაში გვექონდა), თუ უფრო უკან ნაწარმოებში, ე. ი. ზ ლარინგალურ სპირანტში (დაახლოებით ისე, როგორც ყ-ს: ცვლილების შემთხვევაში მივიღეთ).

საფიქრებელია, მჟღერ ფარინგალურ ხშულს ცვლილების ის გზა გაეგვლოს, რაც ჯ-ს, ე. ი. გადასულიყო უფრო წინა წარმოების სპირანტში³, რაც შეეხება ყ-ს საწინააღმდეგო მიმართულებით, უკან, ლარინგისაკენ


¹ ერთეულ ფუძეში ჯ ხშულის შემთხვევაშიაც შეიძლება დავადასტუროთ ფშვინვიერ ლარინგალურ სპირანტში გადასვლა, მაგრამ ამას წესის სახე არ მიუღია.

² აქა-იქ სამეულის ყოველ წევრს შეიძლება ხშულიც შენაცვლებოდა.

³ ერთეულ შემთხვევებში მის ლარინგალურ სპირანტად ქცევის შესაძლებლობაც არ არის გამორიცხული.

გადაწევას **ქ**-ს წარმოქმნისას, ეს უნდა აიხსნებოდეს იმ გარემოებით, რომ **ყ**-ს წინ გადმოწევით ვერ წარმოიქმნებოდა შესაბამისი სპირანტი, სპირანტულ რეფლექსს კი ამ შემთხვევაში აპირობებდა **ყ**-ს ბგერითი გარემოცვა.

ამრიგად, სავარაუდო ფარინგალურ ხშულთა სამეულის ცვლილება ასე გვესახება:



ლარინგალური

ქ (→ || **წ**)

ფარინგალურ ხშულთა სამეულიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, ორი – ფშვინვიერი **ჟ** და მკვეთრი **ყ** წევრია შემონახული დღეს დიალექტებში. მათში პალატალური კორელატი აქვს მხოლოდ **ყ**-ს : **ყ**.

ჟ ფარინგალურ ხშულს პალატალიზაცია არ ახასიათებს (ასევე მის **ხ** რეფლექსს ბზიფურ დიალექტში). საფიქრებელია, ამ მხრივ ფარინგალურმა **ჟ** ხშულმა შემოგვინახა ის უძველესი ვითარება, როცა ამ ენებში ჯერ კიდევ არ იყო პალატალიზებული ფონემები (აღნიშნული რიგისა, ყოველ შემთხვევაში). ფ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ი რ ი გ ი ს ა თ ვ ი ს პ ა ლ ა ტ ა ლ ი ზ ა ც ი ა არ უნდა ყოფილიყო შესაგუებელი და დამახასიათებელი (რაც შეეხება პალატალური **ყ**-ს: არსებობას, იგი საგრძნობლად წინ არის გადმოწეული, და, უნდა ვიფიქროთ, თვით ფარინგალური სამეულის მოშლის ნიადაგზე **ყ**-ს ბუნებაც ნაწილობრივ შეიცვალა)¹.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კერძოული ხასიათის ფაქტები, როცა ერთი დიალექტის **ჟ**-ს მეორე დიალექტში პალატალიზებული **ხ** (ან რომელიმე სხვა პალატალიზებული ბგერა) შეესაბამება, მაგ., ტაპ. აფჟა, აფხ. აფხ^ა „წინ“² და სხვ.

¹ ა. გენკოს აზრით: „Отсутствие хъь (ე. ი. ჟ) вызвано, возможно, случаем ностью“ (ხაზგასმა ჩვენია! – ქ. ლ.), იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

² ქ. ლომთათიძე, ტაპ. დ., გვ. 63.

4. სპირანტები

ა. სპირანტთა სისტემა.

აფხაზურსა და აბაზურ ენებს, ისევე როგორც ქართველურსა და საერთოდ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებს, ახასიათებს სპირანტთა წყვილ-ლეული სისტემა მჟღერი და ფშვინვიერი წევრებით.

ცალკეულ დიალექტში ამა თუ იმ შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს კენტად მდგომი სპირანტიც, მაგრამ ირკვევა, რომ ეს ამჟამინდელი ვითარება მეორეულია.

სპირანტთა წყვილულ სისტემაში თავისებურად გამოიყურება კბილ-ბაგისმიერ **ვ ჭ ჭ** სპირანტთა სამეული. ცხადი ხდება, რომ ეს არ არის სპირანტთათვის ნიშანდობლივი და აქაც მეორეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

აფხაზურ-აბაზურ ენათა დიალექტების საკუთარ ფონოლოგიურ სისტემას ახასიათებს სპირანტთა შემდეგი ძირითადი რიგები:

ვ ჭ ჭ

ზ ს

ჟ შ

ჟ შ

ჟ შ [ჟ შ]

ზ ს

ზ ს

ღ ხ

ღ ხ

ღ ხ

[ღ ხ]

ჟ ჰ [სპირანტოიდი ე]

ჟ ჰ

ბ. კბილბაგისმიერ სპირანტთა სამეული **ვ ჭ ჭ**.

ქართველურ და ასევე მთელ რიგ იბერიულ-კავკასიურ ენათაგან განსხვავებით აფხაზურს ახასიათებს ენაკბილისმიერი სპირანტები, თანაც სამეული აღნიშნული სპირანტებისა: მჟღერი **ვ**, ფშვინვიერი **ჭ** და მკვეთრი **ჭ**.

მსგავსი ფონემები ახლო მონათესავე ენათაგან აქვს აგრეთვე ყაზარდოულ ენას.

ისინი გამოითქმის ქვემო ბაგის (მისი შიგნითა ნაწილის) ზემოკბილეთან მიმართებით მჭიდროდ შეხებამდე. იქმნება გაგრძელებული თანხმოვნის, ერთგვარად დაყოვნებული სპირანტის შთაბეჭდილება. ბაგეკბილის უფრო ჭყლეტილი შეხება, ჭყლეტის ადგილიდან გვერდებში იმ ჰაერნაკადის დინებით, რაც პირის, ღრუში იმყოფება, შეინიშნება **ჭ**

მკვეთრი წევრის წარმოთქმისას.

ვ და **ჭ** დაახლოებით ისეთივე სპირანტებია, როგორც რუსული ენის **в**, **ч**, ოღონდ უფრო დაჭიმულად გამოთქმული.

კბილბაგისმიერი სპირანტთა სამეული დიდად გავრცელებული ფონემები არ არის აფხაზურში (აფხაზურ-აბაზურში), შედარებით უფრო ხშირად გვხვდება მისი ფშვინვიერი წევრი **ჭ**, უფრო იშვიათია მჟღერი **ვ**, ხოლო მკვეთრი **ჭ** გვხვდება ერთადერთ სიტყვაში¹.

ამ მხრივ სხვაობას აქვს ადგილი დიალექტთა მიხედვით.

აღნიშნული სამეულიდან ტაპანთურ დიალექტს საკუთარ ლექსიკურ ფონდში მხოლოდ ფშვინვიერი **ჭ** აქვს. აფხაზურ სალიტერატურო ენაში არის ფშვინვიერი და მჟღერი – **ჭ**, **ვ** – წევრები. ასეთი ვითარებაა დღეს ბზიფურ დიალექტში და ნაწილობრივ აბჟუურ დიალექტში.

სამივე წევრი – **ვ** **ჭ** **ჭ** – დღეს აქვს მხოლოდ აბჟუური დიალექტის ზოგ თქმას და აშხარულ დიალექტს.

როგორც ირკვევა, **ვ** **ჭ** **ჭ** სპირანტთა სამეული აფხაზურს (და აბაზურს) თავდაპირველად არ უნდა ჰქონოდა. ისინი წარმოქმნილა გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებათა ნიადაგზე.

ამ სამეულში ფშვინვიერი (**ჭ**) წევრი ორი რიგისა ჩანს.

ერთი რიგის **ჭ**, შედარებით ადრინდელი წარმოშობისა, საერთო აფხაზურ-აბაზური, წარმოქმნილია ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე და დაუცავს კიდევ დღემდე ყველა აფხაზურ-აბაზურ დიალექტს (ტაპანთურის ჩათვლით). ასეთი **ჭ** გვხვდება სიტყვებში: აჭარა „ჭამა“, აჭვჭ (ტაპ. **ჭჭ**°) „სუნი“... იგი ცალად გამოიყურება სათანადო სისტემაში.

მეორე რიგის **ჭ** კი გვერდში უდგას **ვ** **ჭ** სპირანტებს და მათი წარმოქმნის ფორმაციისაა. იგი სამეულის წევრია. ამ რიგის **ჭ**, მსგავსად **ვ** **ჭ** სპირანტებისა, არ მოეპოვება ტაპანთურ დიალექტს².

ასეთი **ჭ** აბჟუურ-ბზიფურ-აშხარულ დიალექტებში გვაქვს, მაგალითად, საკუთარ სიტყვებში: **ჭ**ბა „ექვსი“, ა**ჭ**გ „ჭეჭა-ქუხილი“, „ელჭეჭი“; „ჭეჭა-ქუხილის ღვთაება“.

მჟღერი **ვ** აბჟუურ-ბზიფურ-აშხარულში არის „გვერდის“ აღმნიშვნელ ფუძეში **ვა**- ძირის სახით – ავარა („გვერდი“) და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში: ავანზა „ნალველი“, ავაწვს „ნეკნი“ (ასეთია აგრეთვე აფხაზურში: აანდავგხ „ყუაფიცარი“, „ნავვერდულა“) და სხვ.

ვა- „გვერდის“ აღმნიშვნელი ძირი გამოყენებულია ლოკატიურ წინ-

¹ დაწვრილებით იხ. К. Ломтатидзе, Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах. Сб. III, 1942, № 8; ქ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. ტაპ. დ., გვ. 31-38; 224-225.

² ტაპანთურ დიალექტშიაც გვხვდება ისინი, ოღონდ მხოლოდ ნასესხებ მასალას შემოყოლილი (**ვ**, **ჭ** რუსულიდან, **ვ**, **ჭ**, **ჭ** – ყაბარდოულიდან).

დებულად ზმნათა ფუძეებში (მაგ., და-ვო-ჟჷპ „მის (ნ)გვერდით არის“ = „მიჰყვება“ მაგ. მდინარეს, ჯგაგელარა „გვერდით დგომა“, ჯგატ^არა „გვერდით ჯდომა“ და მისთ.) და ამ ზმნათაგან ნაწარმოებ სახელებშიაც. ამდენადვე იგი ხშირად მეორდება ენაში, მაგრამ ძირი მაინც ერთია.

ვ-თი შეიძლება იყოს გადმოღებული (რუსულისა და ყაზარდოულის გარდა) სხვა ენათა ბაგისმიერებიც. ასე, მაგ., აფხ. ქვტემჷ, რომელსაც მ ა - ი ს ი ს ძველ სახელწოდებად ასახელებენ, ქართულიდან შესული „ქ ვ ე ლ - თ ო ბ ი ს ა“ („აგვისტო“) უნდა იყოს.

საყურადღებოა აქ ქართულის **ვ**-ს აფხაზურში კბილბაგისმიერი **ვ**-თი გადმოცემა.

აქა-იქ იგი **ბ**-ს ნაცვალაც გამოდის ისევე ნასესხებ მასალაში, მაგ., აჩავრს || ← აჩაზრს „ცხვირსახოცი“ (შდრ. ჩ ა დ რ ი), აშ^ავ^აზ „კარის ჩარჩო“. იგი შედგება აფხ აშ^ა („კარი“) სიტყვისა და ვაზ ← *ზ ა ზ-ისაგან, რომელიც იგივე ჩანს, რაც ქართულში დადასტურებული ბ ა ზ ო.

ვ დასტურდება ზოგ გეოგრაფიულ სახელში (მაგ., გუდაუთის რაიონში ჩავიწერეთ მთის სახელწოდებად – პჯვაშხა).

ვ აქა-იქ გამოვლინდება ხმაბამვით ზმნისართთა ფუძეში, მაგ., ავერ-ჰ^ა („შ^აგალბაკ ზდგრ^ან, ახა ახ^აშგბა ა ვ ე რ ჰ^ა ანსძგვას, ზეგ^ა სხანარშ-თიტ^ა აჰ^აეღ არდ^აგნა – ანდაზა – „ასი გალობა ვიცოდი, მაგრამ მიძინომ (ქორმა) რომ გვერდი გამკრა, ყველა დამავიწყდა“ თქვა შაშვმა). ჰ^ავევე-ჰ^ა „სწრაფად...“.

მაგრამ აქაც ძნელია ვიფიქროთ, რომ იგივე „გვერდ“ სიტყვის ძირი არ მონაწილეობდეს.

მკვეთრი **ჰ** საკუთარი ლექსიკური ფონდის ერთ ა-ჰ^ა („წვრილი“) სიტყვაშია¹. რამდენადაც იგი აბჟუური დიალექტის მხოლოდ ზოგ თქმას ახასიათებს და ისიც ერთ სიტყვაში, რომელსაც პარალელურ სახეობად იმავე დიალექტში, ზზიფურის მსგავსად, აჰ^ა-ც მოეპოვება, ბუნებრივია, აფხაზურ სალიტერატურო ენაში მან ასახვა ვერ პოვა.

ჰ, როგორც ჩანს, ამ ერთადერთ სიტყვაში დაკარგვის გზაზეა აბჟუურშიაც. აშხარულში ასეთი რამ არ შეინიშნება ალბათ იმიტომ, რომ მას გვერდს უმაგრებს ყაზარდოულიდან შემოსული **ჰ** შემცველი სიტყვები.

აბჟუურის გზა უნდა განეწყო ამ მხრივ ზზიფურსაც, ე. ი. მასაც აშხარულისა და აბჟუურის მსგავსად დასახელებულ ფუძეში უნდა ჰქონოდა

¹ აფხაზურ დიალექტებში იგი არც ნასესხებ მასალაშია, ვინაიდან ამ რიგის მასალა (სათანადო კონტაქტის უქონლობის გამო) არც არის ნასესხები. აფხაზურში, კერძოდ ტ ა პ ა ნ თ უ რ შ ი **ჰ** გვხვდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში (ბოლო ხანებში შეინიშნება ტენდენცია იგი არ იქნეს ასახული წიგნის ენაში და გადმოცემულ იქნეს პ ხშულით შდრ., ამ მხრივ Абаз.-русск. сл.).

ტაპანთურმა მხოლოდ ნასესხებ მასალას შეყოლილი **ვ** და **ჰ** იცის. ამ მხრივ საგანგებო ძიებას მოითხოვს „კუზიანის“ აღმნიშვნელი ვ ა გ^ა სიტყვა ტაპანთურში.

ჭ, რომელიც გადასულა კ ხშულში.


ირკვევა, რომ აშხარულ-ბზიფურ-აბჟურ დიალექტებისათვის ერთნაირად დამახასიათებელი ყოფილა, თავის მხრივ მეორეული წარმომავლობის, ვ ჭ ჭ სპირანტთა სამეული.

იმ საკუთარ ავხაზურ-აბაზურ ლექსიკურ მასალაში, რომელშიაც აშხარულს, აბჟურსა და ბზიფურს ვ ჭ ჭ კბილბაგისმიერ სპირანტთა სამეული მოეპოვება, ტაპანთურს სათანადო გვარობის აფრიკატები აქვს.

აშხ.-აბჟ.-ბზ.	ტაპ.	
ვ: ავარა	ძ: *ძა(რა), ძა(რთა)	„გვერდი“
	წინდებ. ძჯა	„გვერდით“
ჭ: { ჭბა	ც: { ცბა	„ექვსი“
{ აჭგ	{ აც	„ელჭექი“...
ჭ: აჭა	წ: წა	„წვრილი“

ასეთი შესაბამისობა აღნიშნულ დიალექტებში ვ : ძ ; ჭ : ც ; ჭ : წ შემთხვევითი ხასიათისა არ არის. იგი გარკვეულ კანონზომიერებაზე მიუთითებს. კერძოდ, გვავარაუდებინებს, რომ საერთო ამოსავალ მასალას დიალექტთა ერთ რიგში ერთი რეფლექსი მოუცია – კბილბაგისმიერი სპირანტი. – მეორეში – კი სხვა – შესაბამისი გვარობის აფრიკატი.

ამ საერთო მასალის არსებულ რეფლექსთა ხასიათის მიხედვით, ამოსავლად გვესახება სათანადო აფრიკატთა ლაბიალიზებული სახეობები – *ძ°, *ც°, *წ°¹, რომელთა ცვლილების ერთ რეფლექსად წარმოგვიდგება დელაბიალიზაცია იმავე აფრიკატებისა (ბუნებრივია, რომ ამ მიმართულების პროცესმა თავი იჩინა ტაპანთურში, რომელსაც ეს ტენდენცია ახასიათებს), ხოლო მეორე რეფლექსად – ლაბიალიზაციის მომენტი ყელის არტიკულაციის შერწყმით:



ამ გზით წარმოქმნილა ახალი რიგის ვ ჭ ჭ სპირანტთა სამეული აბჟურ-ბზიფურ-აშხარულ დიალექტებში². უფრო ძველი ვითარება დაუცავს (ამოსავალ სახეობასთან მეტი სიახლოვის თვალსაზრისით) ტაპან-

¹ ჩვენ აქ ზოგადად გავხაზავთ ამოსავალში ლაბიალიზებულ აფრიკატებს (სისინა სახეობისკენ გადახრილთ, – ტაპანთურის რეფლექსის მიხედვით), თუმცა ძნელია იმის მტკიცება, განსხვავდებოდნენ თუ არა ისინი თანამედროვე ძ° ც° წ° ლაბიალიზებულ აფრიკატთაგან, ან რამ განსაზღვრა მათი ასეთი შეზღუდული ცვლილება – ერთეულ ძირებში.

² ასეთი წარმომავლობა აქვს მათ ყაბარდოულშიაც.

თურ დიალექტს, რომელიც უპირისპირდება ყველა სხვა დიალექტს და რომელშიაც ხსენებულ სპირანტთა სამეული არ ჩამოყალიბებულა.

რომ მართლაც ხშულთა სამეული უდევს საფუძვლად ვჭჭ სპირანტთა სამეულს, ეს აშკარა ხდება ამ სამეულის მკვეთრი ჭ წევრის მიხედვით. თავდაპირველი მკვეთრი სპირანტი უცხოა როგორც ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა, ისე აფხაზურ-ადიღურ ენათა კონსონანტური სისტემისთვის. მკვეთრი სპირანტის წყაროდ ხშულთა სამეულის მკვეთრი წევრი გამოდის ხოლმე.

რომ აფხაზურის (აშხარულის ჩათვლით) ვჭჭ სპირანტთა სამეულს საფუძვლად ედო ლაბიალიზებული აფრიკატები, ეს მართლ შესატყვისობის სისტემის მიხედვით თეორიული დანასკვი არ გამოდის. ფაქტობრივად, თვით აფხაზურ მასალაშიაც დადასტურდა (თუ ჩვენი ეტიმოლოგიური ძიებანი სწორია) ამოსავალი აფრიკატის ლაბიალიზებული სახეობა. კერძოდ, აჭჭ (ტაპ. აც) („ელჭეჩი“ „მეხი“ ← „ცეცხლი“) სიტყვის ამოსავალი ლაბიალიზებული აფრიკატი ც⁰ ძირი შემონახული აღმოჩნდა „ელვის“, „ელჭეჩის“ გამომხატველ „ამაც⁰სრა“ ზმნაში, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „(ელვის), მეხის დარტყმას“. მასში შემავალი რთული ფუძე მაც⁰ შეიცავს მა- გაქვევებულ პრეფიქსს (შდრ. ამცა „ცეცხლი“) ც⁰გ (←*ცა)¹ ძირეულ ელემენტზე დართულს.

ამრიგად, ჭ სპირანტის ამოსავლად ნავარაუდევია ც⁰ აფრიკატი რეალურადაც მოგვეპოვება ენაში.

ამ ფაქტს პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ფონოლოგიის ზოგადი საკითხების რკვევისას. დადასტურდა, რომ ენაში სპონტანური ფონეტიკური პროცესის საფუძველზე წარმოიქმნა ახალი ფონემა (არა უბრალო ფონეტიკური ნაირსახეობა) და ამავე დროს შენარჩუნებულ იქნა (თითქმის იმავე ბგერითს გარემოცვაში) ეს ამოსავალი ფონემაც.

რაც შეეხება იმ ჭ-ს, რომელიც აღნიშნულ სამეულში არ შედის, კენტად გამოიყურება და სამეულისაგან განსხვავებით აქვს ყველა აფხაზურ-აზერულ დიალექტს, ე. ი. ტაპანთურსაც, იგი უდაოდ უფრო ადრე ჩამოყალიბებული კბილბაგისმიერი სპირანტია, ასევე უთუოდ მომდინარე ლაბიალიზებული რთული ბგერიდან, თუმცა ძირითადი თანხმოვნური ელემენტი ამ ლაბიალიზებული ბგერისა სხვა შეიძლება ყოფილიყო.

გ. წინაენისმიერ სისინა სპირანტთა წყვილები.

წინაენისმიერი სისინა სპირანტები მჟღერი ზ და ფშვინვიერი ს და ახლოებით უდგება ქართული ენის სათანადო სპირანტებს.

¹ იგივე ამოსავალი ც⁰ შეიძლება გვეპოვდეს აფხაზურში „ცისარტყელას“ სახელწოდებაში პირველ ელემენტად – აცა-ყა.

ზ არის სიტყვებში: აზნა „სავსე“, აზნა „ცოცხალი“, აზნა, ტაპ. ბზგა „კარგი“, აზნ (ტაპ. ბზგ) „ენა“, აზნა (ტაპ. ბზგ) „მთვარე“. ამაღაზნ, ტაპ. მაღაზნა „სათითური“..., აზნ „ათასი“ და სხვ. **ზ** აფიქსადაც გვევლინება.

ს არის სიტყვებში: სარა „მე“, აზნ „საქმე“, აზნა „ცხვარი“, ასას „სტუმარი“ (ტაპ. სასგ), აზნ „სული“ და სხვ. **ს** გამოიყენება პრეფიქსად და სუფიქსადაც.

ნასესხებ მასალაში სხვა ენათა სათანადო სპირანტები ჩვეულებრივ ემთხვევა მათ.

დ. წინაენისმიერ შიშინა სპირანტთა წყვილები.

შიშინა აფრიკატა მსგავსად არსებობს შიშინა სპირანტთა ორი წყვილი: რბილი – **ჟ შ** და მაგარი – **ჟ შ**. წარმოთქმის მიხედვით მათ შორის იგივე დაპირისპირება არსებობს, რაც სათანადო რბილ და მაგარ აფრიკატთა სახეობებს შორის (იმ განსხვავებით, რომ ესენი ნაპრალოვნები არიან).

a. წინაენისმიერი რბილი შიშინა **ჟ, შ** სპირანტები შეეფარდება ქართულის სათანადო სპირანტებს (ქართული ენის **ჟ შ** ჩვეულებრივ სწორედ ამ რბილი სახეობებით გადმოიცემა, იშვიათად უნდა გვქონდეს მაგარ სახეობებთან მათი შეფარდების ფაქტებიც), ოღონდ აფხაზურ-აბაზურის **ჟ შ** საგრძნობლად უფრო რბილად გამოითქმის.

ჟ არის სიტყვებში: აჟარა „მოტყუება“, აჟა „კურდღელი“, ბჟა „შვიდი (ნ)“, აჟარა „გადაგდება“, აზჟ „ხმა“ და სხვ.

შ არის სიტყვებში: აშნ „სისხლი“, აშა, ტაპ. აშნ „მმა“, აშნა, ტაპ. შჟა „მთა“, ფშაპ „ფეხი“, აჟაშ (ტაპ. აჟაშ) „წითელი“ და სხვ.

b. წინაენისმიერ შიშინა მაგარ სპირანტთა (**ჟ შ**) წარმოებისას, წინა ენა ენერგიულად აიზნიკება მაგარი სასის მიმართ.

ჟ არის სიტყვებში: აჟაპარა (ტაპ. აჟაპარა) „ცოხნა“, აჟარა „თხრა“, აჟა (ტაპ. აჟა) „ივანი“, აზჟა „ნახევარი“ და სხვ., თუმცა მას დიდი გავრცელება არა აქვს.

შ არის სიტყვებში: აშარა „გაყოფა“, „გათენება“, აშაგლა „ფქვილი“, აშა (ტაპ. აშა) „მწარე“, აჟაშ „ნიორი“ და სხვ. იგი საკმაოდ გავრცელებული ფონემაა. **ჟ შ** გვხვდება რუსულიდან და ადიღური ენებიდან შესულ სიტყვებში.

შიშინა სპირანტებში გაერთიანებული უნდა იყოს სხვადასხვა წარმოშობის ფონემები; ერთი რიგი, კერძოდ, ლატერალებიდან მომდინარეა (იხ. აქვე, გვ. 202-203).

ე. სისინ-შიშინა (ნახევარ-შიშინა) სპირანტთა წყვილები – **ზ' ს'**.

მათი წარმოებისას წინა ენის შუა ნაწილი მიემართება ზემო კბილე-

ბის ნუნასთან შეერთების ადგილას საკმაოდ დაჭიმულად და ფართოდ. იქმნება სათანადო სისინასა და შიშინას საშუალო სპირანტი.

სისინ-შიშინა **ზ' ს'** სპირანტები არის მხოლოდ ბზიფურ დიალექტში (ამყამად, კერძოდ, მის ლიხნ-ოთჰარის თქმებში). სხვა დიალექტებში, სათანადო აფრიკატა მსგავსად, სისინ-შიშინა **ზ' ს'** სპირანტების ადგილას გამოდის სისინა სპირანტები.

ზ' (ბზიფ.)	ზ (აბჟ.)	(აშხ.)	(ტაპ.)
აკა ზ' კა ზ'	აკა ზ კა ზ	კა ზ კა ზ	კა ზ კა ზ „გამჭვირვალე“ (აბაზ. „ბრწყინვალე“).
აყ ანტაზ'	აყ ანტაზ	ყ ანტაზ	ყ ანტამაზ „ტიტველი“
ზ'	ზ-	ზ-	ზ- ქცევის, პოტენციალისის პრეფიქსი

როგორც ქცევის პრეფიქსი, იგი ფართოდ გამოიყენება ზმნურ წარმოებებში.

ს' (ბზიფ.)	ს (აბჟ.)	(აშხ.)	(ტაპ.)
ას გ'	ას გ	ს გ	ს გ „თოვლი“
ას გ '	ას გ ს	ს გ ს	ს გ ს „ბატკანი“
აბას ' ...	აბას...	აბარსა...	აბარასა... „ასე“, „ამგვარად“
ას რა	ას რა	ას რა	ას რა „ცემა“
აფ ჰგ '	აფ ჰგ ს	ფ ჰგ ს...	ფ ჰგ ს... „ქალი“
ას ლას'	ას ლას ა	ლას ს	ლას ს „მატყლი“ და სხვ.

სისინ-შიშინა **ს'**, ფართოდაა გავრცელებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სისინ-შიშინა ბგერები არაერთ ნასესხებ ფუძეშიაც გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბზიფური დიალექტის სისინ-შიშინა სპირანტებსა და აფრიკატებს სხვა დიალექტებში ჩვეულებრივ სათანადო სისინა სპირანტ-აფრიკატები შეესატყვისება (იხ. აქვე, **ძ' ც' წ'...**), **ს'** სისინ-შიშინა სპირანტის შემთხვევაში **ს-**ს გვერდით შესატყვისად გვევლინება აგრეთვე მაგარი შიშინა **შ** სპირანტი¹. სხვა სისინ-შიშინათა შესატყვისად ასეთი ორგვარი რეფლექსი არ დასტურდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სისინ-შიშინა **წ'** აფრიკატის შესატყვისობაში ისეთ შემთხვევას, როგორც არის ბზ. **წ'**-ს ადგილას **ჭ** „ახალ“ – **ჭგც** სიტყვაში (მდრ. ბზ. **წ'გც'**). აქაც თითქოს **წ'** : **ჭ** შეფარდება გამოდის, თუმცა გასათვალისწინებელი რჩება ამ კონკრეტულ მაგალითში სისინ-შიშინა **ც'** აფრიკატის მონაწილეობა – ბზ. **წ'გც'** ხომ არ მომდინარეობს **ჭგც'** ამოსავლიდან?

ბზ, **ს'**-ს შესატყვისად **შ** სხვა დიალექტებში გვაქვს, პირველყოვლი-სა, ზმნურ ვითარების საგარემოებო ელემენტად: დგ**ს'**ბაყოჟ || → დგ**ზ'**ბა-

¹ ქ. ლ. მ. თ. თ. ი. ძე, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა აფხაზური ენის შესასწავლად ლიხნში. ენიმკის მოამბე, ტ. II,3, გვ. 290, 291.

ყოფ? „როგორ არის (ად)?“, დს'გყოფ || → დზ'გყოფ „როგორც არის (ად)“, შდრ. სხვა დიალექტებისა – დგშოფყოფ, დგშეყოფ და მისთ.

ს'-ს შ-სთან ასეთივე შეფარდება გვაქვს აბჟ. აშეშკამს, ბზ. ას'გს'კამს || ას'გს'კლამს („ჭიანჭველა“), აბჟ. აშექ'ს, ბზ. ას'გქ'ს („წელიწადი“) და ზოგ სხვა ფუძეში, მაგრამ აქ ბგერათა ამოსავალი შესაბამისობის საკითხი გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული.

რამდენადაც ხსენებულ ფუძეებში ადგილი აქვს სპირანტთა თავმოყრას, გამორიცხული არაა ასიმინაციის პროცესიც.

ბზ. „ას'გქ'ს“-ის გადმოცემა აბჟურში აშექ'ს-ით ან ტაპანთურში სექ'შა-თი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ბზ. ს'-ს ორგვარი რეფლექსის გამოვლინება: ერთი მათგანი, კერძოდ თავკიდური ს' აბჟურში გადმოცემულ იქნა ს' : შ შესატყვისობის ფორმულით (შდრ. ბზ. დს'გყოფ – აბჟ. დშეყოფ), ხოლო მეორე, ბოლოკიდური ს' კი – ს' : ს შესატყვისობის ფორმულით (შდრ. ბზ. ას'გ – აბჟ. ასგ „თოვლი“) ან, პირიქით, საწინააღმდეგო თანამიმდევრობა ამ შესატყვისობისა წარმოგვიდგა ტაპანთური სექ'შა სახეობის შემთხვევაში.

ამავე დროს არ არის შეუძლებელი თვით ბზ. ას'გქ'ს'-ში ერთ-ერთი ს' მიღებული იყოს მეორესთან ასიმინაციით და სხვ. მათი ამოსავალი და ბგერითშეფარდებითი ხასიათიც ნათელი გახდება სათანადო ფუძეთა სახდო ეტიმოლოგიის საფუძველზე.

ვ. წინაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები.

როგორც უკვე ვნახეთ, ყველა აფხაზურ-აბაზურ დიალექტს აქვს წყვილულ სპირანტთა სისინა და შიშინა რიგები; შიშინა რიგებში კი, თავის მხრივ – რბილი და მაგარი კორელატები. გარდა ამისა, ბზიფურ დიალექტში არის სისინ-შიშინა სპირანტთა წყვილი.

დასახელებულ სპირანტთა რიგებს შეეწყობა სათანადო აფრიკატთა სამეულები. შესაბამისობა სისტემაში სრულია:

ზ ს	ძ ც წ
ჟ შ	ჯ ჩ ჭ
ჟ ^ა შ ^ა	ჯ ^ა ჩ ^ა ჭ ^ა
(ბზ.) ზ' ს'	ძ' ც' წ'

მაგრამ ეს შესაბამისობა დარღვეულია ლაბიალიზებული რიგებში.

აფრიკატებთან შედარებით, რომლებშიაც ერთი რიგის ლაბიალიზებული ძ' ც' წ' აფრიკატები გვაქვს (ტაპანთურის ჯ' ჩ' ჭ' აშკარად ახალი წარმონაქმნია და ისიც დ' თ' ტ' ხშულთა სამეულის აფრიკატიზაციით), სპირანტებში განსხვავებული ვითარება დასტურდება. აქ ორი რიგის ლაბიალიზებული სპირანტების წყვილები გვხვდება ხოლმე,

თუმცა ყველა დიალექტში ამჟამად ერთნაირი ვითარება არ არის: აფხაზურ სალიტერატურო ენასა და მის ფუძე დიალექტში – აბჟურში – გვაქვს წინაენისმიერ ლაბიალიზებულ სპირანტთა ერთი რიგი **ჟ, შ**. ისინი (ასეთი თუ ისეთი ვარიაციით) გვხვდება ყველა დიალექტში.

აღნიშნულ ლაბიალიზებულ სპირანტთა წარმოთქმისას ქვემო და ზემო კბილები უახლოვდებიან ერთმანეთს, მონაწილეობას იღებს ორივე ბაგე (ქვემო ბაგე უფრო აქტიურად), წინა ენა ქვემო კბილებისაკენ არის მიმართული, ხოლო მისი ზურგი აზნექილია წინა მაგარი სასისაკენ, წარმოიქმნება მოგრძო-მომრგვალო ნაპრალი.

ბზიფურ დიალექტში ამათ გვერდით მოიპოვება მეორე წყება ლაბიალიზებული სპირანტებისა **ზ° ს°**, რომელთა გადმოსაცემად ხშირად პირობით გამოიყენება **ზ° ს°**, მსგავსად სათანადო ლაბიალიზებული (**ძ° ც° წ°**) აფრიკატებისა.

რა თქმა უნდა, **ზ° ს°** (ე. ი. **ზ° ს°**) არ უდრის **ზ, ს** + ლაბიალიზაციას, ისევე როგორც **ძ° ც° წ°** არ არის **ძ ც წ** + ლაბიალიზაცია.

ზ° ს° ლაბიალიზებულ სპირანტთა წარმოთქმისას წინა ენა უახლოვდება ზემო კბილების ძირთან ნუნას, ქვემო ბაგის შიგნითა ნაწილი მიემართება ზემო კბილებს, ქვედა ბაგე ოდნავ გარეთ გადმოიწევა, ზემო ბაგე ოდნავ ზევით (ცხვირისკენ) აიხრება ისე, რომ ჩანს ზემო კბილები და წარმოიქმნება ვიწრო ნაპრალი¹.

ბზიფურ დიალექტში აბჟური დიალექტის მსგავსად დაწყებულა **ზ° ს°** ლაბიალიზებულ სპირანტთა დაკარგვის პროცესი (ისინი გადასულან შიშინა **ჟ° შ°** სპირანტებში), კერძოდ, ისინი აღარ გვხვდება ბზიფური დიალექტის **ლ ი ხ უ რ** კილოკავში².

ბზიფურ დიალექტში, სადაც **ზ° ს°** დაცულია, ლაბიალიზებულ სპირანტთა (**ჟ, ზ°, შ, ს°**) ასეთი განაწილებაა:

ჟ° არის სიტყვებში: **ჟ°**აბ „ათი“, **აჟ°** „ძველი“, **აჟ°**ლა „თესლი“. იგი მაცადამაინც არაა გავრცელებული.

ზ° არის სიტყვებში: **ზ°**ბა „ცხრა“, **აზ°** „ძროხა“, **აზ°**ა „სიტყვა“, **აზ°**ჯან „ცა“, **აზ°**რს „ხარშვა“, **აკ°გმზ°გ°** „ჩოხა“ და სხვ. იგი საკმაოდ გავრცელებული ფონემაა.

შ° არის სიტყვებში: **აშ°** „კარი“, **აშ°**არახ „ნადირი“, **აშ°**აფგჯაფ „მცენარეულობა“ და სხვ.

ს° არის სიტყვებში: **ს°**არა „თქვენ“, **ას°** „წიფელი“, **ახს°ას°**ა „ცივი“, **ას°**გრ „ხილი“, **ალას°** „ბრმა“ და სხვ.

¹ შდრ. კ. უ ს ლ ა რ ი, დასახ. ნაშრ., 53: 12, იხ. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, საანგარიშო მოხსენება ბზიფ. კილოზე მუშაობის შესახებ, გვ. 237.

² ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ანგარიში საზაფხ. მივლინ. ლიხნში, ენიმკის მოამბე, II₃, 290; მისივე, საანგარიშო მოხსენება ბზ. კილ. მუშ., გვ. 236.

აღნიშნული განაწილება ამ ფონემებისა მოშლილია აბჟურ დიალექტში: **ზ° ს°** სპირანტები დამთხვევია **ჟ° შ°** შიშინა სპირანტებს.

აშხარულ დიალექტში სისტემის მხრივ ძირითადად დაცულია ამ ბგერათა ის ფონემატური დაყოფა, რაც ბზიფურისთვის არის დამახასიათებელი (ძირითადად, იმიტომ ვამბობთ, რომ ცალკეული მთქმელის ენაში შეიძლება დაირღვეს ეს თანამიმდევრულობა). აქაც, კერძოდ, აშხარული დიალექტის კუვინსკის თქმაში **ჟ° შ°** და **ზ° ს°** დაახლოებით იმ განაწილებით გამოიყენება, როგორც ბზიფურში.

რაც შეეხება აშხარული დიალექტის აფსუსის თქმას, მასში დასტურდება სრულიად იგივე ფონემური დაყოფა, რაც ბზიფური დიალექტისა და კუვინსკის კილოკავისთვის არის ნიშანდობლივი, ოღონდ აქ შიშინა ლაბიალიზებული სპირანტები **ჟ°, შ°** პარალელურად მეტად მაგარი **ჟჟ°, შშ°** სახეობებითაა წარმოდგენილი¹. ამ მხრივ აშხარული დიალექტის აფსუსის კილოკავის მეტყველება განსხვავებული ჩანს ყველა სხვა კილო-თქმათაგან.

ტაპანთურ დიალექტში ვითარება საკმაოდ რთულია. აქ სხვადასხვა მთქმელის ენაში არის ან შიშინა, ან „სისინა“ სახეობები ლაბიალიზებული სპირანტებისა (ისევე როგორც ლაბიალიზებული აფრიკატებისა) ისე, რომ საერთოდ ტაპანთური დიალექტის მიხედვით იგივე, ორივე სახეობის ბგერები გვაქვს, როგორც ბზიფურში (ე. ი. **ჟ° შ°** და **ზ° ს°**), ოღონდ ფუნქციურად განუსხვავებელი: შესაძლოა ერთი მთქმელი როგორც „ძველს“, ისე „ძროხას“ გამოთქვამდეს **ზ°** ბგერით, მეორე კი – ორივეს **ჟ°** ბგერით და ა. შ.

ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრასნივოსტოკის მეტყველებაში ამ ფონემათა ფუნქციური სხვაობა მტკიცეადაა გატარებული მათი გამოყენების სისტემის მიხედვით ამა თუ იმ მთქმელის ენაში, თუმცა „სისინა“ და შიშინა სახეობები მთლიანად კილოკავის მიხედვითაც არაა ფონემატურად დაპირისპირებული.

ლაბიალიზაცია ტაპანთურში შერყეულია. ზოგჯერ შეინიშნება მეტად სუსტი, ოდნავ ლაბიალიზებული ბგერები. ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავში ზოგი მთქმელის ენაში სრულ დელაბიალიზაციას აქვს ადგილი.

სრული დელაბიალიზაცია მოსდის იმ **ჟ°||ზ°-სა** და **შ° || ს°-ს**, რომელთაც ბზიფურსა და აშხარულში შეეფარდება შიშინა **ჟ°** და **შ°**. თანაც ერთი რიგის მთქმელთა (კრასნი ვოსტოკში – უმცროსი თაობის) მეტყველებაში დელაბიალიზაციის შედეგად ვიღებთ მაგარ შიშინა სპირანტებს – **ჟჟ°, შშ°-ს**²,

¹ დაწვრილებით იხ. ქ. ლომთათიძე, აშხ. დ., § 2.

² სპეციალურ ლიტერატურაში, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიაც მცდარად არის წარმოდგენილი საქმის ვითარება. სრული დელაბიალიზაციის ფაქტი მიეწერა ისეთ

შლისა (შდრ. ბზიფურისავე ლიხნური კილოკავი, ტაპანთური დიალექტის მონაცემები), შეიძლება ვივარაუდოთ მათი არსებობა ისტორიულად აბჟურ დიალექტშიაც. აქაც „სისინა“ **ზ**, **ს** დამთხვევია შიშინა **ჟ**, **შ**-ს. ამის კვალობაზე საერთო ამოსავალი ჩანს აფხაზურ-აბაზურისათვის ორი რიგის წინაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები – **ჟ შ** და **ზ ს** 6 (=ზ ს). მათი ცვლილების სქემა ასეთია დიალექტთა მიხედვით (იხ. გვ. 162).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დადგენილად გვეჩვენება საერთო აფხაზურ-აბაზურში ორი რიგის წინაენისმიერ ლაბიალიზებულ სპირანტთა არსებობა, შემდგომ ძიებას მოითხოვს ამოსავალ ძირითად სპირანტებთან (და აფრიკატებთანაც) მათი მიმართების საკითხი.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს აფსუის კილოკავში შიშინა რიგისათვის დადასტურებული მაგარი **ჟ**, **შ** სახეობები და მათი მიმართება ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავში ამოსავალი **ჟ შ**-ს დელაბიალიზებულ რეფლექსად მიღებულ მაგარ **ჟ** და **შ** სახეობებთან.

ზ. უკანაენისმიერი სპირანტები.

უკანაენისმიერ წყვილულ სპირანტებში გაირჩევა მარტივი წყვილი **ღ, ხ**, მათი პალატალიზებული – **ღ', ხ'** და ლაბიალიზებული – **ღ'', ხ''** რიგები.

ღ, ხ დაახლოებით ქართულის მსგავსი სპირანტებია, თუმცა **ხ**-ს გამოთქმაში შეინიშნება ერთგვარი ხრინწი. იგი უფრო დაჭიმულად გამოითქმის და თითქოს უფრო წინაც იწარმოება, ვიდრე ქართული.

ღ არის სიტყვებში: აღა „მტერი“, აღრა „ჭრელი“, აღბა „გემი“ (ტაპ. „მატარებელი“), აზღა „ზურგი“... ღრა- შედის რთულ ზმნებში წინდებულად და სხვ.


ხ არის სიტყვებში: ახგ „ტყვია, ხგა „სამი (ნ)“, ახარწგ „მაწონი“, ამხგ „ყანა“, ანხარა „დარჩენა“, ცხოვრება“. (ტაპ. „მუშაობა“), აფხა „რკინა“ და სხვ. (შდრ. აგრეთვე კ).

პალატალიზებული **ღ', ხ'**-ს წარმოთქმისას (გარდა იმისა, რომ ისინი უფრო წინაც არიან წამოწეული) ნაპრალი უფრო გრძივია.

ღ' არის სიტყვებში: არღა, ტაპ. აღმა „მარჯვენა“, აღარა „ხნული“, „აღმონაცენი“ (შდრ. ტაპ. ღაწრა „აღმოცენება“), აღღარა „ფხეკა“, აზღგ „ფოთოლი“ და სხვ.

ხ' არის სიტყვებში: ახთა „სიცივე“, ახრა „ტკივილი“, ახგმ (ტაპ. ხზგ) „სახელი“, აფხარა „კითხვა“ (ტაპ. „სწავლა“-ც), ახგ (ტაპ. ხაფმ) „ოქრო“... **ხ'(ა)**- გამოიყენება ზმნაში წინდებულადაც და სხვ.

პალატალიზებული **ღ' ხ'** ხშირად გვხვდება ნასესხებ ლექსიკურ მასალაში, როცა გამსესხებელ ენაში **ღ, ხ**-ს მომდევნოდ **ი, ე** ხმოვნებია.



ლაზიალიზებული **ღ**, **ხ**, სათანადო მარტივ **ღ**, **ხ**-ზე ბილაზიალური ჟ-ს დართვისა და ერთ ბგერა-კომპლექსად შერწყმის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ღ არის სიტყვებში: აღ^ე „ფიცარი“, ღ^ღა „ძლიერი“ (ტაპ. „პირდაპირი“, „სწორი“), აც^ღარა „ხვანა“ და სხვ.

ხ არის სიტყვებში: ხ^ზა „ხუთი“ (ნ), ახ^გ „გორაკი“ (ტაპ. ხ^ა „მთა“), აახ^{არა} (ტაპ. ხ^{მარა}) „ყიდვა“, ახ^{რა} „დაჭრა“, „დაკოდვა“, ახ^{შა} „ერბო“, არახ^ბ „საქონელი“ და სხვ. (შდრ. აგრეთვე ჳ^ე).

თ. ლ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ი ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი.

ლარინგალურ სპირანტებში გაირჩევა მარტივი სახის სპირანტები და მათი ლაზიალიზებული რიგი. დიალექტთა მიხედვით მნიშვნელოვან სხვაობას აქვს ადგილი ლარინგალურ სპირანტებში.

მარტივი ლარინგალური სპირანტები **ჟ** **ჰ** აფხაზურ დიალექტებში და ნაწილობრივ აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში დეფექტურად არის წარმოდგენილი: აკლია მჟღერი ჟ.

ფშვინვიერი ჰ მნიშვნელოვნად განსხვავდება ქართული ენის ჰ-საგან. იგი ლარინგსში ნაწარმოები ძლიერ-ჰაერნაკადიანი (ძლიერამოსუნთქვითი) დაჭიმული სპირანტი ბგერაა. არის სიტყვებში: ჰარა „ჩვენ“, აცჰა „ხიდი“, აჰა „მსხალი“, აჰამპალ „მოხარული პატარა კვერი“, აჰარა „საქსულის გაბმა“, „ქსოვა“, აჰაფგ (ტაპ. ჰაჰაფგ) „გამოქვაბული“ და სხვ.

სხვა ენათა ჰ აფხაზურ-აბაზურში გადმოღებულია ჰ-თი (მაგ., აჰაჟა, შდრ. „ჰავე“, აფხ. აჰირ „ჰაერი“...), მაგრამ ამავე დროს ჰ-თი გადმოღებულია სხვა ენათა ხ-ც, მაგ. ქართ. კალმახი – აფხ. აკალმაჰ (აკამლაჰ), ქართ. ორხაო – აჟარჰაჟ || აჟარჰალ და სხვ.

მჟღერი ლარინგალური ჰ სპირანტი შემოუნახავს ტაპანთურ დიალექტს და აშხარული დიალექტის აფსუსის კილოკავს¹; სხვა დიალექტებსა და თქმებში მას მოუცია ორი ა (იხ. აქვე. გვ. 32-33).

ჟ არის სიტყვებში: აჟბა „რვა“, ჟადრა „მოსვლა“, წჟარა „შეკითხვა“, ჟაფსარა „დაღლა“, თბჟა „ფართო(დ)“, ბჟა „დამპალი“ და სხვ.

ჟა- მიმართულების წინდებულია და მეტად ფართოდ გამოიყენება ზმნათა ფუძეებში პრეფიქსად (ამავე ფუნქციით გვხვდება სუფიქსადაც) და სხვ.

ჟ-ს ცვლილება სპორადულად ტაპანთურშიაც მოსდის, ოღონდ აქ ცვლილება სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა ცვლილებისაგან განსხვავებულად წარმართულა. აქ მისი ასეთი სპორადული ცვლილებისას (უფ-

¹ იხ. А. Н. Генко, Абаз. яз., გვ. 43; მისივე, Фонет. взаим., გვ. 178; К. В о u d a, Das Abasinische..., გვ. 236; ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ტაპ. დ., გვ. 28-29; 64-65; მისივე, აშხ. დ., გვ. 11-15.

რო ტაპანთული დიალექტის ფსიჟ-კრასნოვოსტოკის თქმაში) **ჟ**-ს მოუცია **ღ**¹, საფიქრებელია, ადიღურ ენებში ადრე მომხდარი სავარაუდო **ჟ** → **ღ** პროცესის მსგავსად და ამავე ენათა გავლენით.

ადიღურ ენათაგან შესულ სიტყვებში, რიგ შემთხვევაში დღევანდელი ადიღური ენების **ღ**-ს ადგილას ტაპანთურში არის **ჟ**, მაგ.: ადიღ. **ყაწ'აღ**, ტაპ. **ყაწ'აჟ** „ხელობა“, ყაბ. **ხ'გლ'ხ'გღ** – ტაპ. **ხ'გლ'ხ'გჟა** „მამაკაცი“ და სხვ. მაგრამ რიგ შემთხვევაში იმავე ადიღური ენების **ღ** **ღ**-თივეა გადმოცემული ტაპანთურში, მაგ., ყაბ. **ბღარგს'ვ** – ტაპ. **ბ(გ)ღარგწ'ა** „ცხენის მოსართავი, სამკერდე“, ადიღური **ნგბღას'** „ხბო“ – ტაპ. **ნაბღაშ'** „კვიცი“ (ორიდან სამ წლამდე), ადიღური **ღაჭეჟ** – ტაპ. **ღაჭეჟ** „მონაცელზე ამოსული ახალი ბალახი“ და სხვ.

ასეთი დიფერენცირებული მიდგომა ადიღურ ენათა **ღ**-სადმი ნასესხებ მასალაში გვაფიქრებინებს, რომ ის **ღ** ადიღური ენებისა, რომელიც **ჟ**-თი გადმოუღია ტაპანთურს, ზოგჯერ ამოსავალშიაც **ჟ**-საგან მომდინარეობდეს.

ტაპანთურს ამ მხრივ რიგ ნასესხებ მასალაში უნდა ჰქონდეს შემონახული ადიღურ ენათა ძველი ვითარება. ადიღურ ენებსაც უნდა ჰქონოდა **ჟ** ლარინგალური მჟღერი სპირანტი².

ლ ა რ ი ნ გ ა ლ უ რ ი ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ს პ ი რ ა ნ ტ ე ბ ი **ჟ**³, **ჟ**³.

მარტივი ლარინგალური სპირანტთა წყვილეულის მსგავსად, მათს ლაბიალიზებულ კორელატებშიაც შეინიშნება მჟღერი წვერის მოშლის ტენდენცია. ფშვინვიერი წვერი შედარებით უფრო მტკიცედ გამოიყურება ყველა დიალექტში.

ჟ ლარინგალური **ჟ** სპირანტის ლაბიალიზებული სახეობაა. მისი წარმოთქმისას პირის ღრუ ღიაა, წინა ენა თითქმის უმოქმედოდაა დაშვებული ქვემო კბილების ღრმილთან, ენის ძირი ენერგიულად ეშვება ქვემოთ და აწარმოებს ნაპრალს ლარინგსში; ბაგეები მომრგვალებულია.

ჟ არის სიტყვებში: აჟ'არა „თქმა“, „თხრობა“, აჟ'ეს „ხბო“, აჟ'ა „ლორი“, აჟ'რა „ძოვა“, აჟ'გჟ' „მტრედი“, აჟ'გნაფ „თაგვი“, აჟ'გზა (ტაპ.ჟ'ასვა) „დანა“ და სხვ.

ჟ ფართოდ გამოიყენება.

სხვა ენათა **ხჟ** (← ხო) კომპლექსი არაიშვიათად გადმოიცემა **ჟ**, ლაბიალიზებული ლარინგალური სპირანტით (შდრ. ზემოთ, **ჟ**). მაგ. ხონთქარი – აფხ. აჟ'ენტქარ, ხოჯა – ტაპ. ჟ'აჯა (შდრ. აფხ. ახ'აჯა) და სხვ.

ლარინგალური ლაბიალიზებული მჟღერი **ჟ** სპირანტი ისევე, როგორც მისი მარტივი **ჟ** სახეობა, ძირითადად კარგად არის დაცული ტაპანთურ დიალექტში (და აშხარული დიალექტის აფსუსის კილოკავში). იგი **ჟ**-ს წყვილია და დაახლოებით მსგავსადვე გამოითქმის.

¹ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ტაპ. დ., გვ. 28-29; 42.

² გ. რ ო გ ა ვ ა, მჟღერი ლარინგალური სპირანტი **ჟ** ადიღურ ენებში, ენიმკის მოამბე, 1941, X, გვ. 271-278.

აფხაზურ დიალექტებში და ნაწილობრივ აშხარულ დიალექტშიაც (უმთავრესად კუვინსკის კილოკავში) შერყეულია მჟღერი ლარინგალური **ჭ** სპირანტის სპირანტული ელემენტი, თუმცა ნაწილობრივ მოდუნებულ ლარინგსში ნაწარმოები ლაბიალიზებული სპირანტი მაინც არის შემონახული. **ჭ** ფონემის აფხაზურ დიალექტებსა და აშხარულში ბგერობრივად ნაწილობრივ შეცვლილ სახეობას გამოვხატავთ **ჯ** ასოთი.

ჭ (აფხ. **ჯ**) არის სიტყვებში: **ჭ**ბა „ორი“ (ნ), ა**ჭ**აჟ „ყვითელი“, ა**ჭ**არა „ხმობა“, ა**ჭ**რს „წერა“, ა**ჭ**ა „გზა“, აჟ**ჯ**ან, ტაპ. ა**ჭ**ანდ „ცა“, აბამ**ჭ**ა „ლოყა“ და სხვ. იგი ფართოდ გამოიყენება.

ჭ ლარინგალურ სპირანტს სხვადასხვა სახის ცვლილებები მოსდის დიალექტებში.

აფხაზურ დიალექტებში, როგორც აღვნიშნეთ, იგი სახეცვლილი გვევლინება; სხვადასხვა პოზიციაში, განსაკუთრებით ბზიფურ დიალექტში, იგი გაუმლაუტებული ლაბიალური ჟ-ს სახით წარმოგვიდგება, ან **ძ**-ს სახეს იღებს (და ზოგჯერ სულაც იკარგება), მგ. ჯგბა → ბზ. ა**ჭ**ბა „ორი“, აბჯანგა → ბზ. აბ**ჭ**გა(ა) „საგზალი“, აჯგმსაგ → ბზ. ა**ჭ**მსაგ → აბმსაგ „ცოცხი“, ადგრ**ჯ**გ → ბზ. ად**ჭ**რგ || → ადგრ**ა**გ... „კვლავ“ და სხვ.¹

განსაკუთრებით გაცვეთილია და სახეცვლილი იგი გამოთქმისას (ხშირადხმარებულ) რიცხვით სახელებში, მაგ., ჯგნჯეჟა ისმის, როგორც **ა**გნეჟა „ორმოცი“ და სხვ. რიცხვით სახელებში ასეთი ცვლილება მისი ჩვეულებრივია როგორც ბზიფურში, ისე აბჟურში.

სპორადული ცვლილებები **ჭ**-ს ტაპანთურ დიალექტშიაც (უმთავრესად კრასნი ვოსტოკის მეტყველებაში) მოსდის. აქა-იქ აფხაზური დიალექტების მსგავსად მისი **ჯ** სახეობა აქაც შეიძლება შეგვხვდეს, ხოლო ადამიანთა კატეგორიის „სამ“ რიცხვით სახელში **ჭ** ტაპანთურში საერთოდ შეიძლება შეგვხვდეს **ა**გ-ს სახით (ხგ**ა**გ „სამი (ად)“).

მეორე მხრივ, ტაპანთურში მეტწილად ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავში, **ჭ** ზოგჯერ გადადის **ღ**-ში (შდრ. ზემოთ, **ჭ** → **ღ**).

აფხაზურს დიალექტებში **ჯ**-ს ახასიათებს პალატალიზაცია (იხ. აქვე, გვ. 49-50). ამით არის კიდევ შეპირობებული მისი ცვლილებების გზაც, კერძოდ, ბზიფურ დიალექტში (იხ. ზემოთ). ნაწილობრივ პალატალიზაცია აფხაზურში **ჭ**-ს გამოთქმასაც ახასიათებს, მაგრამ აბაზური **ჭ**, **ჭ**-ს დაპირისპირება აფხაზურის **ჯ**, **ჭ**-სთან პალატალიზაციით, როგორც ა. გენკო ვარაუდობს², გადაჭარბებულად გვეჩვენება; ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ ერთმანეთს ვერ გავუთანაბრებთ ვერც თვით აფხაზურისავე **ჭ**-სა და **ჯ**-ს.

¹ Н. Я. Март, О записывании абхазских текстов, МЯЯ, 1. პეტერბ. 1918, გვ. 15-16; ქ. ლ. ო. მ. თ. ო. მ. ე. ანგარიში საზაფხ. მივლინ. ... ლიხნში., გვ. 290.

² იხ. მისი, დასახ. ნამრ., გვ. 44.

ადილურ ენათა ღ¹-ს ადგილას ნასესხებ მასალაში მუდამ არის ზ¹.

ი. ლარინგალური **ქ** სპირანტოიდი ტაპანთურ დიალექტში.

ზემოთ ფარინგალურ ხშულთა განხილვისას აღვნიშნეთ, რომ ამ სავარაუდო სამეულში მოშლის გზას დასდგომია მისი მკვეთრი **ყ** წევრიც და მისგან ჩამოყალიბებულა ლარინგსში გადაწევით ახალი მკვეთრი სპირანტოიდი **ყ**. **ყ**-ს გარკვეულს გამოთქმებში შესუსტებისა, **ქ**-დ ქცევისა ან სრული გაქრობის შემთხვევებს აფხაზურის დიალექტებშიაც ვადასტურებთ, მაგრამ მისი **ქ**-დ ცვლა სისტემის სახით, ისე რომ **ფონემა** ჩამოყალიბებულიყო, ეს მხოლოდ ტაპანთური დიალექტისათვის არის დამახასიათებელი.

ქ ტაპანთურში უდავოდ **ყ**-ს რეფლექსია, მაგრამ განსაზღვრას მოითხოვს მისი ფუნქციონირება-განაწილების საკითხი ტაპანთურში, რამდენადაც იმავე ტაპანთურში **ყ**-ც მოგვეპოვება საკუთარ ლექსიკურ ფონდში.

ქ-ს შესახებ კ. ბოუდა აღნიშნავდა, რომ იგი გვხვდება აბაზურში. (უფრო ზუსტი იქნებოდა – ტაპანთურში! ქ. ლ.) ადილურ ენათაგან ნასესხებ სიტყვებში ადილ. **ქ**-ს გადმოსაცემად; რომ იგი არა აქვს აფხაზურს და აბაზურში გამოდის აფხაზურის **ყ**-ს ადგილას ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: „ყოფნა“ ზმნის ძირი **ყა** : **ყა**, ზაყა : ზყა(-რა) „რამდენი, შაყა : შყა „ბოძი“, შყ² : შყა „წიგნი“, „წერილი“².

ა. გენკო თვლის, რომ **ქ** აბაზურისა (უფო სწორად – ტაპანთურისა! ქ. ლ.) შეესატყვისება აფხაზურის **ყ**-ს, ხოლო აბაზურშივე ამის გვერდით არსებული **ყ** ფონემა (სხვა ფუძეებში) წარმოქმნილია ყაბარდოული ენის გავლენით³.

ა. გენკო ამ მსჯელობაში სადავოა ყაბარდოული ენის გავლენით აბაზურში **ყ**-ს წარმოქმნის დებულებაც და **ქ**-ს მქონებლობით ტაპანთური დიალექტის აშხარულ დიალექტთან (ა. გენკოს ტერმინოლოგიით „ზელენჩუკის“, ე. ი. იენჯუგის, კილოკავთან) გაერთიანებაც. ა. გენკო მაგ. **ქ**-ს შესახებ წერს, რომ იგი წარმოდგენილია აბაზურ ენაში და აფხაზური ენის იენჯუგის კილოში; აფხაზური ენის პირაქეთა კილოებში იშვიათ შემთხვევაში ფაკულტატიურად ენაცვლება **ყ**-სო⁴.

აშხარულ („იენჯუგის“) დიალექტს არა თუ საკუთარ ლექსიკურ მასალაში არა აქვს **ქ** ფონემა, იგი მას არც ადილურ ენათაგან ნასესხებ სი-

¹ იხ. K. B o u d a, Das Abasin., გვ. 235-236; A. H. Генко, იქვე, გვ. 44 (თუმცა ა. გენკოს მოსაზრება, თითქოს ისეთივე შეფარდება გვექონდეს. ყაბ. ღ-სა და აბაზ. ზ-ს შორისაც, როგორც ყაბ. ღ¹-სა და აბაზ. ზ¹-ს შორის, სრულ სურათს არ ასახავს); ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე, ტაპ. დ. გვ. 65.

² K. B o u d a, დასახ. ნაშრ., გვ. 234, 237.

³ A. H. Генко, Фонет. взаим..., გვ. 181.

⁴ იქვე, გვ. 185.

ტყვეებში გააჩნია¹ მაშინ, როცა აშხარულშიაც ადიღურ ენათაგან ნასესხებ სიტყვებს თან შეჰყოლია ადიღურ ენათათვის დამახასიათებელი არა ერთი ბგერა (მაგ., ლატერალები, შუანისმიერი სპირანტები). ადიღური ენების φ -ს ნასესხებ მასალაში აშხარული დიალექტი ან φ -თი გადმოსცემს, ან კიდევ სულაც კარგავს. მაგ., ადიღ. φ ს'აღწ („ხელობა“, „სპეციალობა“) აშხარულ მეტყველებაში გვხვდება ან „ყაწ'აღა“-ს ან „აწ'აღა“-ს სახით (თუმცა ტაპანთურშია – φ აწ'აწა!) და ა. შ. შეიძლება აშხარელმა ამ ადიღ. სიტყვის φ აწ'აღა (φ აწ'აწა) სახეობაც იხმაროს, მაგრამ ეს უკვე აშხარული დიალექტის დამახასიათებელი ფაქტი აღარ იქნება. იგი აბაზური სალიტერატულო ენის (ე. ი. ტაპანთურის) გავლენას მიეწერება.

ამრიგად, აშხარული დიალექტი φ ფარინგალური მკვეთრი ხმულის მიხედვით ერთიანდება აფხაზურთან; მასში φ ფონემა არ წარმოქმნილა.

როგორც აღინიშნა, φ -ს ასეთი თუ ისეთი ცვლილება (მათ შორის φ -ში გადასვლა) გარკვეულს შემთხვევაში და ისიც სპორადულად აფხაზურის დიალექტებსა და აშხარულშიაც შეინიშნება (თუმცა აშხარულში φ -ს φ -თი შენაცვლება კიდევ უფრო იშვიათია). მაგრამ ტაპანთურს ამ მხრივ განმხოლოებული პოზიცია უჭირავს: φ -ს φ -დ ქცევა აქ სისტემად არის გატარებული. თან აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სხვაგვარი ცვლილება φ -სი (კერძოდ სხვა დიალექტებში არსებული მისი φ რეფლექსი) ტაპანთურისთვის არაა დამახასიათებელი.

საერთო აფხაზურ-აბაზური φ -ს ტაპანთურ დიალექტში ხან φ -თივე გადმოცემა (მაგ. ყტგა „სატეხი“, ბყარა „ცემა“...) და ხან – φ -თი (მაგ., მყა „ქამარი“, ზყარა „რამდენი“...) ან იმით უნდა აგვეხსნა, რომ აქ წარმოშობით სხვადასხვა φ ფონემასთან გვაქვს საქმე (როგორც, მაგ., ყბარდოულში, სადაც თავდაპირველი საერთო ადიღური φ გადავიდა φ -დ, ხოლო პრერუპტივისაგან მომდინარე φ დარჩა უცვლელად), ან კიდევ პოზიციური ცვლილების საფუძველზე φ -მ მოგვცა φ (არა შესაბამის პოზიციაში კი იგივე φ ფონემა დარჩა უცვლელად).

ძნელი დასაშვები ხდება ტაპანთურში და საერთო აფხაზურ-აბაზურში ორი განსხვავებული φ ფონემის არსებობა, რამდენადაც არც წარმოების ადგილის მიხედვით და არც გვარობის მიხედვით ფონეტიკურს სისტემაში ამ რიგის განსხვავებული ფონემები საერთოდ არა ჩანს სავარაუდებელი საერთო აფხაზურ-აბაზური ამოსავალი ვითარებისათვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ პოზიციური გარემო განსაზღვრავდა φ ფონემის ზოგ შემთხვევაში უცვლელად გადარჩენას და ზოგში კი – მის φ -დ ცვლას. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ φ ბგერის არც პალატალიზებული და არც ლაბიალიზებული სახეობები არ ცვლილან და

¹ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ე. აშხ. დ., გვ. 24-25.

არ მოუციათ ყ-ს მსგავსი ვარიანტები¹.

თქმულის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ ყ-ს ყ მოუცია გ ა რ კ ვ ე - უ ლ ს პ ო ზ ი ც ი ა შ ი.

ის ჭრელი მასალა, რაც ამჟამად ენაშია წარმოდგენილი, ერთმანეთის საპირისპირო ხასიათს ატარებს. ამ მასალის ანალიზმა საჭირო გახადა გამოირიცხოს სხვა ენათაგან მომდინარე ლექსიკური ფონდი, რომელშიც ყ გვხვდება, რამდენადაც ნასესხებ მასალაში ყ-ს პოზიციას ძირითადად განსაზღვრავს თვით ამ (გამსესხებელ) ენათა ფონოლოგიური კანონზომიერება.

აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სხვადასხვა ეპოქის ფაქტები სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი ტაპანთურში ნასესხებ მასალაშიაც და არც მთქმელები ამჟღავნებენ ერთგვარობას მათს გადმოცემაში (ცალკეულ შემთხვევაში არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი მთქმელის თავისებურება მისი კონტაქტის მხრივ).

არსებული მასალის გამოწვლილვითს ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ყ-საგან ტაპანთურში ყ მაშინ მიგვიღია, თუ ძველ აფხაზურ-აბაზურ ლექსიკურ ფონდში (ამაში შეიძლება ძველად ნასესხები ფუძეც აღმოჩნდეს) ივარაუდება ა ხმოვანთშორისი პოზიცია: აყა → აყა.

ეს პოზიცია შემდგომში მნიშვნელოვნად შეცვლილა: ან წინამავალი ა ხმოვანი დავიწროებულია და ქცეულა ჯ-დ→გ-დ და სულაც დაკარგულა, ან მომდევნო ა ხმოვანს მოსვლია იგივე ცვლილებები და დღეს ამ ამოსავალი აყა → აყა პოზიციიდან შეიძლება გვქონდეს: გყა... ყა, აყგ... აყ... გყგ... ყ(გ)... სახეობები, მაგრამ ამოსავლის აღდგენა ხერხდება როგორც თვით ტაპანთური დიალექტის მონაცემთა საფუძველზე, ისე სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა ჩვენებების მიხედვით.

ამის დადგენას კი, თავის მხრივ, შეუძლია გაგვირკვიოს ფონეტიკურ ცვლილებათა მიმართულება და სათანადო ფუძის უძველესი შემადგენლობა.

ყ-ს აგან (ამოსავალ აყა პოზიციისა) მომდინარე ყ ტაპანთურში:

1. ...ყ... (...ყა) გვხვდება ა დ გ ი ლ ის საგარემოებო პრეფიქსად ზმნაში. მას ჩვეულებრივ ა ხმოვანი მოსდევს და ხშირად ყა-ს სახით წარმოდგედება: შ¹ყაღალაკ² ნწრაკ შ¹აუტ² – „ს ა დ ა ც თქვენ წახვალთ, ხანგრძლივი სიცოცხლე (მრავალჯამიერ) გერგოთ (შეგხვდეთ, დაგებდეთ)“...

რომ ა ხმოვანი ადგილის საგარემოებო ელემენტს ყ(ა)-ს (← ყა-ს) წინაც მოუდიოდა, ამას ადასტურებს სხვა დიალექტებიც, კერძოდ აყ- პრე-

¹ დაწვრილებით იხ. ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ლარინგალური ყ ფონემის გენეზისისათვის ტაპანთურში, ივე, ტ. XVIII, 1973.

² თჰაღწებ² ბემკ (აბზურ ენაზე). ჩერკესკი, 1966, გვ. 96.

ფიქსის სახით იგი უჩვეულო არ არის არც აფხაზურის დიალექტებში¹, ხოლო აშხარულის კილოკავებში. განსაკუთრებით აფსუსის კილოკავში ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა².

სრულხმოვნისანი აჟა- სახეობა იშვიათად თვით ტაპანთურში შეიძლება შეგვხვდეს — უნჟაცაჟა სარგჯ სნეჟაშით — ტ. ტ. 102²⁴ — „შენ (მ) ს ა დ ა ც წახვალ, მეც წამოვალ“ და სხვ.

აღნიშნულ აფიქსში რომ ჟ-ს ა მოსდევდა (სხვა არგუმენტთა გარდა), ამას ისიც ადასტურებს, რომ იგი ეტიმოლოგიურად უკავშირდება -ჟა (→ -ჟა) ადგილის თანდებულს.

ასევე მიუცილებელი იყო მისთვის ა თავკიდურადაც. საგარემოებო პრეფიქსებს საერთოდ უნდა ჰქონოდა საგანგებო პრეფიქსი ა-, როგორც უნდა გამოვყოთ ა-ნ- „როცა“, ა-ხ- „სადაც“, ა-შ- „როგორც“ საგარემოებო პრეფიქსებში. ასეთი ა- ერთვოდა -ჟა- პრეფიქსსაც და ამ ა- პრეფიქსმა შეწყვეტა ჟა-სთან (-აჟა-), შექმნა საფუძველი აჟა პროცესისათვის (რომლისგანაც შემდეგ მივიღეთ სხვა სახეობებიც: ჟა → ჟგ).

2. ჟა ძირი „ოდენობის“ გამომხატველი. იგი კითხვით ფორმაში ჩვეულებრივ ჟა-ს სახით გვხვდება — ზეჟარა, რომლის ამოსავალი სახეობაა ზაჟარა ← ზაჟარა, რაც სხვა დიალექტებში დღესაც კარგადაა დაცული ზაჟარა(რა)-ს სახით („რამდენიც“). ეს ურედუქციო სრულხმოვნისანი სახეობა აქა-იქ ტაპანთურშიაც გვხვდება: აქჯჟმა ზაჟარა აჟგრაჟალაკგრი აზნალა იფშიტ³ „მგელს რამდენიც (უნდა) აჟამო, მაინც ტყეში იყურება“.

ზ პრეფიქსის გარეშე „აჟარა“-ს სახით ეს სრულხმოვნისანი ფუძე ტაპანთურშიაც ჩვეულებრივია „ოდენობის“ გაგებით, რაც ჩანს სხვადასხვა პირის ფორმაში: რ-აჟა-რა „მათი ოდენი“. დ-აჟა-რა „მისი (მ) ოდენი“ და სხვ.

აქაც ძირეული უნდა იყოს (-ჟა) → -ჟა, მაგრამ წინამავალი ა- ხმოვანი ამ ფუძის განუყოფელი ნაწილი გამოდის. მას წარმოშობით (ზოგი ზმნისართის მსგავსად) გარკვეული მორფოლოგიური ფუნქცია უნდა ჰქონოდა, შემდეგ ფუძეს შეზრდია. რის ნიადაგზედაც აქაც მივიღეთ აჟა → აჟა.

3. -ჟა ადგილის თანდებული. იგი მომდინარეა -ჟა სახეობიდან, რაც დაუცავს კიდევ ამ სახით სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს. მის წინ დღეს არც ერთ დიალექტში ა ხმოვანი არა ჩანს, თუმცა მის მონაცვლე -ხ (ა) თანდებულს კი ახლავს ა, შდრ., აფხაზ. დიალექტების – დარს რ-ა-ხ (ა) „მათვენ“.

ტაპანთურში -ჟა თანდებული დღეს უკვე ცოცხალი და მოქმედი თანდებული აღარ არის. იგი აღარ დაერთვის სახელის ფუძეებს, არამედ

¹ რემაჰ³ აყნგ („მათ სიძესთან“) იხ. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. IV, გვ 173, შენ. 2.

² ქ. ლოთათიძე, აშხ. და., გვ. 164-167.

³ Т. З. Табулов. Абазинские загадки и пословицы. Труды Черкесского научно-исследовательского Института, выпуск II, 1954 (Пословицы № 177), გვ. 312.

გვხვდება მხოლოდ გაქვავებული სახით ა ხმოვანზე დაბოლოებულ ადგილის ზმნისართებში. ეს ადგილის ზმნისართებია: არსყა „აქ“, ანსყა „აგე იქ“, ატყა „იქ“ და მათი ვარიანტები.

აქ იგი მუდმივად და განუყოფელად ა ხმოვნის მომდევნო პოზიციაშია.

4. „ყოფნა“, „არსებობა“ ზმნის ფუძე. ჩვეულებრივ ზმნის ძირულ ელემენტად გამოდის -ყა (რომელიც ტაპანთურში -ყა-ს სახითაა წარმოდგენილი), მაგრამ ამ ფუძეს პირ-კლასიან ფორმებში წინ მახვილიანი ო ხმოვანი მიუძღვის: აფხ. – სტყაჟჷპ, ტაპ. – სტყაპ/ზ „ვარ“, „ვიმყოფები“, „ვარსებობ“.

ტაპანთულ დიალექტში ო ხმოვნიანი სტყაპ/ზ სახეობის გვერდით გვხვდება ა ხმოვნიანი სახეობაც – ლ‘აჩა დაყუმა? ლაშო დაყუმა? ყაჩა დაყუმა?-ჰა¹ „კოჭლი არის? ბრმა არის? ცალ-ხელა არის? თქვა“.

ტაპანთული დიალექტის მონაცემები ნათელს ხდის, რომ ამ ფუძის ამოსავალი სახეობა აფხაზურ-აბაზურში უნდა ყოფილიყო ა-ყა (და არა გ-ყა). სწორედ ამიტომაც მოგვცა მან ტაპანთურში ც(აყა)².

5. „მდგომარეობის“ აღმნიშვნელი ნაზმნარი სახელი აყაშა. იგი ნაწარმოებია ზემოთ განხილული: „ყოფნა“. „არსებობა“ ზმნის აყა- → აყა- ფუძიდან -შა „გვარობის“, „სახეობის“ გამომხატველი სიტყვა-წარმოებითი სუფიქსის დართვით. ზედმიწევნით ნიშნავს: „არსებობის, ყოფნის გვარობა, სახეობა, ნაირობა“. აფხაზურ დიალექტებში იგი გადმოიცემა იმავე აყა- ფუძის -ზაა-სუფიქსით გართულებული (სახეობით): აყაზააშა (ტაპანთურში შესაბამისად მოველოდით „აყაზლაშა“-ს).

6. უქონლობის -დყა სუფიქსი. ტაპანთურში ხშირად გვხვდება უქონლობის რთული -დყა სუფიქსი: ფხენწეგმადყა, შაპდყა დეფსსჷტი, დეჷტი³ – „უფრთოდ, უფეხოდ ფრენს, დარბის“ და სხვ.

იქვე ჩვეულებრივია მისი სხვა, სრულხმოვნიანი სახეობებიც: -დგყა, -დწყა, -დაყა.

ა ხმოვანი ც-ს წინ უთუოდ იყო. ჯერ ერთი, ა ხმოვანი ახლდა ამ რთული სუფიქსის პირველ ელემენტს – „და“-ს, რომელიც უქონლობის შინაარსით ცალკეც გვხვდება ტაპანთურშიაც: აბგზ ბჷგ-და-პ, მათაჷჷ აჷტი⁴ – „ენა უძვლოა, რაც გინდა (მას) ამბობს“ და სხვ.

მეორე მხრივ, მომდევნო -ყა ელემენტი იგივე ძირია, რაც ზემოთ განხილული „ყოფნა-არსებობა“ ზმნაში გვექონდა⁵. იგი, საფიქრებელია, შე-

¹ აბაზა თურეხქა, გვ. 58.

² ამ ზმნის რადიკალად აბაზურში ვ. ალენს მითითებული აქვს აყა. იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

³ Т. З. Табулов, Абазинск. загад. и посл. გამოცანა № 25, გვ. 304.

⁴ იქვე, ანდაზა № 46, გვ. 307.

⁵ ქ. ლომთათიძე, აშხ. დ., გვ. 91.

იცავდა წინამავალ ა-ხმოვანსაც: და+(ა)-**ყა**. ნავარაუდები -დ ა **ყა** სახეობა ამ სუფიქსისა არც თუ იშვიათია ტაპანთურში: ჩ¹გმლადაყა ლგლ²რა ჯაფალ¹ „უკიბოდ სხვენზე (ა)მხტომი“ და სხვ.

მისი სრულხმოვნიანი ამოსავალი სახეობა -დაყა აქვს სწორედ დაცული აშხარულ დიალექტს².

7. **შყა** „სვეტი“. აქაც აშკარად რედუცირებულია **ყ**-ს წინამავალი ა ხმოვანი. ტაპანთურში მის ამოსავალ სახეობად უნდა გვქონოდა შაყა. თავდაპირველი სრულხმოვნიანი და **ყ** თანხმოვნის მქონე ვარიანტი დაცულია აფხაზურ დიალექტებში – **ა-შაყა** („სვეტი“, „ბოძი“). **შ**-ს მომდევნოდ მასში ა-ს არსებობას ის გამართლებაც აქვს, რომ იგი ეტიმოლოგიურად უკავშირდება **შა**- ძირს ა-**შა**-ჰგ („ფეხი“) სიტყვისა.

შ **ყა** (← შ ა ყ ა) რთული ფუძე მთლიანადაც გამოიყენება „ფეხის“ გაგებით „ქვეითად მავლის“ აღმნიშვნელ ა-შ **ყა შ**³ (აფხ. **ა-შაყაჰე**) სიტყვაში.

8. **მყა** „ქამარი“. მასშიაც რედუცირებულია ა ხმოვანი. ამოსავალი **ა-მაყ** ერთადერთი სახეობაა მისი აფხაზურში.

9. **შყა** „წიგნი“, „წერილი“, აქაც **ყ**-ს წინ ა ხმოვანი ივარაუდება. მართალია აფხაზურ დიალექტებში ამ შემთხვევაში გვაქვს ასევე ხმოვან-რედუცირებული სახეობა – აშ³ყ³, მაგრამ არც ამ დიალექტთა ეს სახეობაა თავდაპირველი. ჩვენ აბჟურ დიალექტშიაც კი შეგვხვდებოდა მისი ამოსავალი აშ³ყა სახეობა (სოფ. ახუწის მკვიდრთა ენაში).

შაყა ამოსავალი სრულხმოვნიანი ფუძე ჩვეულებრივია აშხარულ დიალექტში: აჰგ² შაყა იზგ²რჰგ² – აშხ. ტ. 315 – „ბატონს კი წერილი მისწერეს“, აშ³ყა სანააფხ³... – იბ; 6810 – „წერილი რომ წავიკითხე“ და სხვ.

ჟ. დიუმეზილს თურქეთის აფხაზთა მეტყველებაში **ას³ყ³**, **ას³ყ³** სახეობათა გვერდით მოჰყავს სრულხმოვნიანი **ას³ყა**-ც და აღნიშნავს მერყეობას მათ გამოყენებაში³.

ურედუქციო სახეობა ამ სიტყვისა ჩვენ შეგვინიშნავს ზოგი ტაპანთელის მეტყველებაშიაც: მარა **სვაყაშთა** იღ²დ – ტ. ტ. 122³⁹ – „მან წერილი (წერილად) დაწერა“, არ **ასვაყა** ჰაფნი ირგა! – ტ. ტ. 123¹ – „ეს წერილი ჩვენთან გაგზავნე!“ და სხვ.

ამრიგად, უდავო ხდება, რომ ტაპანთურ დიალექტში **ყ** წარმოქმნილა (საკუთარ ლექსიკურ ფონდში) **ყ**-საგან **ყა** პოზიციაში (როგორც ფონემა). სხვა პოზიციაში იგივე ძველი, საკუთარი ლექსიკური ფონდის **ყ** ტაპანთურში აღარ გადასულა **ყ**-დ, არის: ყაყრა „ღეჭვა“, ყაფშგ „წითელი“, ფყარა 1. „ჭრა“; 2. „ცემა“; ბყარა „ცემა“; „ფშენა“, ყგა „სატეხი“, რყაცარა „გაჭიმვა“. შამაყგ „მსხვილფეხა საქონელი“ და მისთ.

¹ Т. З. Табулов. Абз. зар. и посл. გამოცანა № 10, გვ. 303.

² ქ. ლომათიძე, აშხ. დ., გვ. 91.

³ Georges Du mé z i l, Études Abkhas..., გვ. 173, შენ. 37(1).

შამაყგ-ს შემთხვევა ამ რიგში საკმაოდ თავისებურია.

ყ-ს **ც**-ში გადასვლისას ჩვენ ზემოთ ყველგან მოგვიხერხდა ამოსავალი **აყა** აღგვედგინა. ხშირად ასეთი სრულხმოვნია სახეობა თვით ტაპანთურშიაც დასტურდებოდა (-დაცა, რ-აყარა, ძ-აყაბ...), ზოგჯერ კი გვემოწმებოდა სხვა დიალექტთა მონაცემები (მყა, შყა, შ^ჲყა...), რითაც ირკვეოდა, რომ ტაპანთურში რედუქციის ნიადაგზე დაკარგული იყო **ც**-ს (\leftarrow **ყ**) წინამავალი **ა** ხმოვანი, რაც, თავის მხრივ, შედეგი ჩანს მახვილის მომდევნო, ბოლო მარცვალზე დასმისა.

ამის მიხედვით აშკარა ხდება, რომ ხსენებულ ფუძეებში **ყ**-ს **ც**-დ ცვლისას ჯერ კიდევ არ ყოფილა მომხდარი ხმოვნის რედუქცია ტაპანთურში. იგი შემდეგდროინდელი ფაქტია.

რაც შეეხება „შამაყგ“-ს, ესეც სხვა დიალექტთა მიხედვით ამოსავალში გვაპარაუდებინებს ბოლო პოზიციაში **..აყა** წინა სახეობას – „შამაყა“-ს (**ა-შა-მაყა** = „ფეხ-მსხვილი“), მაყგ (\leftarrow *მაყა) ცალკეც არსებობს ტაპანთურშივე „ძლიერის“, „მსხვილის“ გაგებით. ამის კვალობაზე თითქოს ტაპანთურში ამ სიტყვაშიაც უნდა გვექონოდა **ყ**, მაგრამ ეს არ მოხდა. და არ მოხდა იმიტომ, რომ ტაპანთურში **ყ**-ს **ც**-დ ცვლის პროცესის ჩატარებისას ამოსავალ სახეობად იყო არა **შამაყა**, არამედ უკვე – **შამაყგ**. აქ უკვე **ყ** \rightarrow **ც** პროცესს დაასწრო ამ ფუძის ...**ა** ხმოვნის ...**გ** ხმოვანში გადასვლის პროცესმა. ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია ის, რომ აფხაზურ დიალექტებშიაც **აშამაყგ** სახეობა ჩვეულებრივია („აშამაყა“-ს გვეროდით).

საგანგებო განმარტებას მოითხოვს ისეთი შემთხვევები, რომლებშიც **ყ** არ გადასულა **ც**-დ, თუმცა ორ **ა**-ს შორის კი არის მოქცეული. ეს სულ სხვა რიგის შემთხვევები გამოდის. მათში უკვე **აყა** პოზიცია არ წარმოადგენს ფუძის განუყოფელ მონაცემს, არამედ ამჟამად ცოცხლად მოქმედ მორფემათა მექანიკური შეერთებაა. ასეთია, მაგ., ჯაყაფშ „თავწითელი“, „წითური“. შდრ. ჯა „თავი“. ყაფშ „წითელი“.

იგივე ითქმის **ყ**-თი დაწყებულ ფუძეებზე, როცა მათ წინ მიუძღვის განსაზღვრულობის ამჟამად მოქმედი **ა**- პრეფიქსი, მაგ., **ა-ყაფშ** და მისთ.

ტაპანთურ დიალექტში „შენახვა“ არის **ყაწ^ჲახრა** (**ყაწ^ჲახრა**). მას წინ შეიძლება ერთვოდეს სხვადასხვა წინდებული **ა** ხმოვნის შემცველი: **ლა-**, **თა-**...: **თაყაწ^ჲახრა**, **ლაყაწ^ჲახრა** და მისთ. ასე წარმოქმნილ **აყა** პოზიციაში **ყ** **ც**-დ არ იქცევა.

საგანგებო განმარტებას მოითხოვს თვით ტაპანთურ **ყაწ^ჲახრა** ზმნის **ყა**- ელემენტი. სხვა დიალექტებში ამ მნიშვნელობით არის **ა-წ^ჲახრა** (ე. ი. **ყა**-ს გარეშე).

საყურადღებო აქ ის არის, რომ ტაპანთურ დიალექტში თვით ამ

უ ხმოვანთ შორისაც და სხვა პოზიციაშიც¹.

5. ე. წ. გემინირებულ „თანხმოვანთა“ საკითხი. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ფონემული მნიშვნელობის მქონე „გრძელ“, „გემინირებულ“ თანხმოვანთა – უმთავრესად სპირანტთა და აფრიკატთა – არსებობაზე აბაზურში (resp. აფხაზურშიაც).

ა. გენკოს ასეთი ცამეტამდე „ფონემა“ აქვს დასახელებული (სს, შაშ, შშ, შშ°, ხხ, ღღ, ხხ°, ღღ°. ხხ°, ღღ°, ჩჩ, ჯჯ°, ჭჭ°) და იქვე აღნიშნავს, რომ სხვაც არისო². მართლაც, თავისი შრომის მომდევნო გვერდებზე მას ზოგი სხვაც (კერძოდ: ჟ ჟ°, ჟჟ, მმ, ჰჰ°, კ კ°, კკ, კ კ°, ძძ, ჭჭ, ჩჩ) აქვს გამოყოფილი³. მაგრამ შემდეგ, როცა საბოლოოდ აჯამებს ფონემათა რიცხვს, მაინც თორმეტამდე ასეთ „გრძელ“ (გემინირებულ) თანხმოვან ფონემას ასახელებს⁴.

აბაზურში თორმეტი გემინირებული თანხმოვან-ფონემის არსებობის შესახებ ა. გენკოს ამ დებულებას იმეორებს (წყაროს მიუთითებლად) გ. სერდიუჩენკო⁵.

როგორც აფხაზურში, ასევე აბაზურშიაც ადგილი აქვს ფართოდ გავრცელებულ ფუძეთა გაორკეცების წესს. ფუძეთა გაორკეცება გამოიყენება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება სიმრავლე-სიხშირის, პროცესის განმეორებისა და ინტენსივობის გამოსახატავად. ორკეცდება მთელი ფუძეებიც, ცალკე ძირები – ჩვეულებრივ რთული ფუძის მეორენაწილი – (ძირეულიცა და იშვიათად გარკვეული მოდალური შინაარსის მქონე სიტყვაწარმოებითი ელემენტიც⁶).

ამ შემთხვევაში, თუ მარტივი ძირეული თანხმოვნის შემცველი ფუძე გვაქვს, ბუნებრივია, განმეორებისას ორი ერთგვაროვანი თანხმოვანი მოიყრის თავს, მაგ., როგორიცაა: ა-ფ-ჩ-რს („გატეხა“) და – აფგ-ჩჩ-რს („დამსხვრევა“).

მეორე მხრივ, მთელი მარცვლის გაორკეცებისას, თუ ამ მარცვლის ხმოვანი უმახვილოა, პირველ კომპონენტში (ძირეული ელემენტის გაორკეცების შედეგად) დაიკარგება იგი და კვლავ შეიქმნება გარემო ორი ერთგვაროვანი თანხმოვნის თავმოყრისა, როგორც მაგ.. აფ-წა-

¹ დაწვრილებით აქ განხილულ საკითხთა შესახებ, იხ. ავტორისავე, ლარინგალურ უ ფონემის გენეზისისათვის ტაპანთურში. იკვ. ტ. XVIII, 1973.

² А. Н. Генко, Фонет. взаим..., გვ. 181.

³ იქვე, გვერდები: 36, 38, 40, 41, 42, 43 44, 45, 46, 47, 48, 49; მისსავე გამოკვლევაში – Фонет. взаимоотнош... – აფხაზურ-აბაზურში ამ რიგის 33-მდე ძირია გამოყოფილი.

⁴ А. Н. Генко, Абаз. яз., გვ. 50.

⁵ იხ. მისი. Об абазинск. диал., გვ. 248. აღნიშნული საკითხის თაობაზე იხ. ჩვენი: 1. ტაპ. დ., გვ. 39, 40; 2. Некоторые замеч. на раб. проф. Г. П. Сердюченко, გვ. 171; 3. აშხარ. დ., გვ. 20-21.

⁶ ქლომათიმე, რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში. ენიშვის მოამბე, ტდ. V-VI, 1940; მისივე, ტაპ. დ., გვ. 39-40; მისივე, აშხ. დ., გვ. 20-21.

რს („გაწყვეტა“) და — აფგ-წწა-რა (← *აფგ-წა-წა-რა) „დაწყვეტა (მრავლად)“ ან — დგუბდა (← *დგუ-ბადა) „ძალიან დიდი“ და მისთ.

მაგრამ თუ ეს მარცვალი ამა თუ იმ ფუძეში ჩვეულებრივ მახვილის მატარებელია, გაორკეცებას თუმც ექნება ადგილი, ოღონდ ორი ერთგვაროვანი თანხმოვანი ერთად ვეღარ მოიყრის თავს, რის გამოც გვაქვს ასეთი შემთხვევები: აქ-პაპა-რა „მრავლის მიყრა, მისხდომა რამეზე“, ალა თ-შაშა „თვალ-ჟუჟუნა“, ა-თ-ათა-რა „ბეგვა“ (მაგ. სიმინდისა), აბაზ. ჳაჳა „მოხრილი“, „მოღუნული“ (შდრ. იქვე ჳა ამ მნიშვნელობით) და მისთ.

ამრიგად, გაორკეცებული თანხმოვნების შემთხვევაში, იქნება ეს აშშარა-ს („ღობვა“) ტიპისა, თუ არშშარა („მრავალ ნაწილად დაპობა“, „დახდა ყავრისა“), აქყყარა („მრავლის გაყრა, გაცვენა რისგანმე“) ტიპისა, რაიმე თავისებური გემინირებული ფონემები კი არა გვაქვს, არამედ ჩვენ წინაა სახელისა თუ ზმნის ფუძის ნაწილის – ჩვეულებრივ ძირეულის – გაორკეცება სიმრავლე-სიხშირე-ინტენსივობის გამოხატვის ფუნქციით, რაც ხშირად ხმოვნის რედუქციის წყალობით თავს უყრის ორ ერთგვაროვან თანხმოვანს (ან იშვიათად იწვევს ხმოვნის გაორკეცება-გაგრძელებასაც კი აფხაზურში)¹.

რომ ხსენებულ შემთხვევაში ფუძის ძირეული (ან რომელიმე მოდალული შინაარსის მქონე) ნაწილის გაორკეცების ფაქტი გვაქვს და არა რაღაც საგანგებო „გემინირებული“ თანხმოვნები, ამას ადასტურებს აშხარული დიალექტი, რომელშიაც აქა-იქ კიდევ შემორჩენილა ამოსავალი, მარცვლოვანი გაორკეცებული ფუძე იქ, სადაც სხვა დიალექტებში თითქოს ე. წ. „გემინირებული“ თანხმოვანი გვაქვს. ასეთია მაგ., აფხ. ა-ძძა-რა, ტაპ. ძძარს || ჯჯარს („რეცხა“) ზმნის ფუძე, რომლის ძაძა (|| ძგძა) სახეობებიც დადასტურდა აშხარულში. სხვა შემთხვევებშიაც ამ დიალექტში ჩვეულებრივია გაორკეცებულ ფუძეთა შორის ხმოვნის არსებობა.

ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ: ასეთი გაორკეცებული თანხმოვანი შეიძლება პრინციპში იყოს ყველა. თუ ისეთ ფუძისეულ ელემენტად მოგვევლინება, რომელსაც ეგუება ზემოთ აღნიშნული „სიხშირე-სიმრავლე-ინტენსივობის“ გამოხატვა და სათანადო ფონეტიკური გარემოც (ხმოვნის რედუქციის მხრივ) წარმოიქმნება².

ამდენადვე, ე. წ. „გემინირებული თანხმოვანი“ გვექნება არა ოდენ თორმეტი (ან, თუნდაც, ოცდაორი ან ოცდაცამეტი), როგორც ამას ა. გენკო ფიქრობდა.

ჩვენ ხელთ ამჟამად არსებულ აფხაზურ-აბაზურ მასალაში ასეთი გა-

¹ ქ. ლომთათიძე, რედუქც. ფუნქც., გვ. 133.

² ქ. ლომთათიძე, აშხ. დ., გვ. 20-21.

ორკეცების მაგალითები გვაქვს შემდეგ თანხმოვნებზე¹:

ბბ: აფხ. აზბ „მტვერი“. ტაპ. ბზრა 1. „მტერის დადგომა“; 2. „ღრიალი“; აფხ. აც'გბბგლზ „გარუჯვა“ („შემოწვა“)...

ფფ: აც'გფფზ „ფხაჭნა“, „კაწრვა“; ალაფფრა „(ხელით) მარგვლა“, „გამოხელვა“; აზაზ. აცფფარა „დახეთქვა“ (მაგ. ხელისა)...

პპ: ამძპპრა „გაფანტვა“, ასევე სხვა წინდებულებით იგივე ძირი [ტაპ.-ში ეს ძირი ჩვეულებრივ -პლა-ა სახით გვხვდება]...

ჭჭ: ჩვეულებრივია აბსოლუტივის ფორმაში – ძგრჭჭაძა... „შორი-დან მოქნევი თ...“. ძკაჭჭა „სწრაფად“...

ვვ: ზმნისართი – ჭვევე-ჰა (ხმაბაძვითი) „სწრაფად“.

შდრ. ტაპ.-შიაც ავვა (ხმაბაძვა ფუტკრისა, მოტორისა...).

ჭჭ: აჭჭა-ჰა „სწრაფად, ერთი მეორის მიყოლებით“; აზაზ. ჯგრჭჭარა „წაჭრა“, „გაკრეჭა“ (მაგ. თმისა, ფრჩხილებისა...)...

დდ: ადდგ-ჰა „ერთად მრავლის მიცვენა რაზედმე გრუხუნით“; ტაპ. აზდდარა „შეკრება მრავლისა (ცოცხლისა); ტაპ. დდრა „ჭექა-ქუხილი“ (შდრ. აფხ. ადდდრა).

ტტ: ტტარა „ამოსხმა“ (შდრ. მარტივი ძირით შათტარა id)... ტაპ. ალატტარა „ჩამქვლევა“, „ჩახარშვა“..., ტაპ. შათერტტარა „ამოსხმა“ (შდრ. მარტივი ძირით შათტარა id)...

ზზ: აჩხარზზალარა „ქედმაღლობა“, „ყოყობა“; ძგზზაძა... „ზორ-ბად“, „უშველებლად“; აზაზ. ხარზზარა „ტრიალი“; აურბა ჟგ ცანუ ძხარზზიტ „არწივი სადაც ხორცია, იქ ტრიალებს“...

ზ'ზ': ზზიფ. აჩხარზ'ზ'ალარა „ქედმაღლობა“..., ხ'აზ'ზ'ს „გაბერილი“, „გასიებული“.

სს: ზზიფ. ასსა „წვრილი“, „წვნიკი“, აჰ'სსა „ქალები“; აფგწაფსსარა „ცხვირის მოხოცვა“...

ს'ს': ზზიფ. ას'ს'ა „წვრილი“, აფს'ს'არა „გაფცქვნა“, „გათლა“...

ძძ: დგტძძა „ძალიან დიდი“.

ძ'ძ': ზზიფ. ალძ'ძ'არა „ძალის გამოცლა“.

ცც: აცცაკრა „აჩქარება“, აცცგშ „ფერფლი“, აცც „ქინქლა“, აძმარცცრა „შექმუხვნა“; აზაზ. თერცცრა „გამოთხრა“, ალცცარა „მოქნევა“...

ც'ც': ზზიფ. აც'ც' „ქინქლა“...

წწ: აშხ. წწრა „კნაწუნი“ (მაგ. მზესუმზირისა).

ჯჯ: აჯჯა-ჰა „ჟივილ-ხივილით“; ათჯჯჯარა „(ამო)ელვარება“.

¹ იშვიათია ამის ფაქტები სონანტებში, რამდენადაც მათი ძირებად გამოყენება შეზღუდულია. (თუმცა თითო-ოროლა აქაც შეიძლება შეგვხვდეს, მაგ., ზზ. ალღგბაარა „ძირს ჩამოსვლა“. იხ. X. C. Бражда, დას. ნაშრ., გვ. 176), ასევე ზუნებრივია ტაპანთურში არ გვექნება გაორკეცებული ც მისი ინტერვოკალური წარმომავლობის გამო. სხვა შემთხვევაშიაც, – როცა რომელიმე თანხმოვანი ენის ძირითადი ლექსიკურ ფონდს არ ასახავს, ან ძალზე იშვიათია (მაგ. ჭ) და სხვ.

ჩჩ: აჩჩა-ჰა „შუმხუნით“; აბაზ. ჩჩარა „ბაგა“.

ჭჭ: აჭჭა-ჰა „ჭირალით“; არჭჭარა, ტაპ. აჭჭარა „დასკდომა“, „დახეთქვა“ (მაგ. კანისა)...

ჩჩ: აფგჩჩარა „დამსხვრევა“; აბაზ. ალანფჩჩარა (id)...

ჭჭ: აჭჭა-ჰა „ჭირიჭინით“. „ღრჭიალით“.

შშ: აშშარა „ხელის გადასმა“; არშშარა „დახდა“ (მაგ. ყავრისა), შდრ. არშარა „პობა“; აყანდაშშგრა „ძალიან თბილი ჰაერი, წყალი...“; აყდგრშშგრა „ამოლესილი ლობიო“; აბაზ. აწაშშრა „მიხობვა“: ადშშგლრა „შეჯგუფება“, „ერთმანეთზე მიკვრა“ და სხვ.

ჟჟ: აბაზ. ალჟჟარა „დაშლა, გაფანტვა“ (ხალხისა), ალჟჟარა „დაცხრომა (ტკივილისა)“; ჯგჟჟარა 1. „გამოფხიზლება“; 2. „გამოდარება“.

შშ: აშშა „წული ღობე“; აშშარა „ჩივილი“; აშშაგჟჟ „ყეფა“ („ყეფის ხმა“, შდრ. აშარა „ყეფა“); აბაზ. აწგშშარა „დახეთქვა, გახმობა (ქარისა-გან)“...

ჟჟ: აჟჟგ-ჰა „სწრაფი მოძრაობით“; აბაზ. შაჟგჟჟარა (სხვა პრევერბებითაც იგივე ძირი) „გამოდინება შიგნიდან სითხისა“...

შშ: არშშარა „ბერტყვა“; აწგბარშშარა „კუდის ქნევა“; აბაზ. შალშშარა „გამოყრა (მაგ. მუწუკებისა)“...

სს: ბზიფ. ასსარა „სტენა“; აწგბერსსარა „კუდის ქნევა“...

ჟჟ: აძლაჟჟარა „გაწეწვა“, ამძგჟჟარა, ტაპ ალაჟჟარა „დაგლეჯა“... აბაზ. ჟჟარა „ფარცხვა“...

ძძ: (ტაპ. || ჯჯ): აძძარა „რეცხვა“; აბაზ. ჯჯგ „ნერწყვი“; კაჯჯარა „დაფურთხება“...

წწ: (ტაპ. || ჰჰ): აწწარა „ზარი“, „ეყვანი“; აწწგ „მყავე“; აფგწწარა ტაპ. || ფჰჰარა „დაწყვეტა (მრავლისა)“... ტაპ. ალაკგლჰჰარა „გამოხვრეტა“, „დაჩხვლეტა რითიმე“...

ცც: (ტაპ. || ჩჩ): ალცცარა „ამოწოვა“...; აცცგ „ბურბუმელა“, „ნარანდი“...

გგ: აბაზ. აზგგარა „მოგროვება“ (მაგ. ფიჩხისა და მისთ.); ჩაზგგარა „თივის აღება“...

კკ: აკკარა „დიდი უძეძვეკლო ტყე“; აკკა-ჰა „კაკანის, წვრილი ხმის გამოცემით“...

გგ: აგგა-ჰა „გუგუნით“; აწგგგ „კავიანი მოკლე პალო (მიწაზე დასასობი)“...

კკ: ათრგკკარა „ამოწურვა“, აკკარა „ჩეჩვა“; აბაზ. ჰგკკარა „გამოდარება“; შაკაკკკარა „წვეთება“...

კკ: აბაზ. კკარა „ჭიხვინი“, შდრ. აფხ. აკერკერრა (იმავე მნიშვნელობით)...

ღღ: ა-ღღარა „ღრენა“; ა-ღღარა „სითხელე (წყლისა)“, ტაპ. ღღარა „ფო-

ნი“; აბაზ. აშ^გრღლარა „დაფშენა“, „დანამცეცება“; ალარგღლრა „დაფქვა, დაღერღვა მრავლად“...

ღღ: აღღარა „ფხეკა“; ათელღღარა „ამოფხეკა“; აბაზ. წღღარა „ჭყვივლი“...

ღღ: აღღა „ღონიერი“, აბაზ. ღღა „სწორი“, „გამართული“; აბაზ. აქ^გრღღარა „დაჭყლეტა“...

ხხ: არხხარა „მოჭიმვა“; აფგხხარა „დაღეწვა“, „დამსხვრევა“; ახეხხგლარა „წაჭრა (მაგ. მწვანელიისა)“; აბაზ. ბუახხრა „ჩქარა შერბენა“; ფხხარა „გასხვლა ხისა“, ხხრა „ჭრა“; „კაკანი (ქათმისა)“... (იხ. ჯჯ, ხხ).

ხზ: ახზ^ა-ჰა „ჩუხჩუხით“, „რაკრაკით“, „ჩხრიალით“.

ხზ: ახზ^ა (ალაბაზ ხზ^ა „გრძელი ჯოხი“); ახეხზ^აარა „ძალზე გავსება სითხით“; აბაზ. ხზ^ა „კარგი ტანისა“; აქ^გრხზ^აარა „დანამვა“, „დასხურება“ (მაგ. თეთრეულისა) (იხ. ჯჯ, ხ^ა).

ყყ: აფყყყარა, აბაზ. ფყყყა „მრავლად დაჭრა“; აბაზ. ალაფყყყა „ჩაჭრა, დანამცეცება რამეში მრავლად“...

ყყ: აბაზ. აჭყყყარა „დახსნა (ხორცისა)“.

ყყ: აყყყ^ა „ზედიზედ გასროლის ხმა“, „ბათქა-ბუთქი“.

ჯჯ (→ ბზ. ხხ): ახარხხ¹, შდრ. აბუახარხხ („ტახტის საფარი“), არხხარა „წევა“...

ჯჯ (→ ბზ. ხ^ა): ახ^ახ^ა-ჰა „ბათქა-ბუთქი“.

ჰჰ: აჭ^გცგჰჰარა „ახალთახალი“:

ჰჰ: აჰჰ^აარა „ყვირილი“; ათაჰჰ^აარა „გახვევა“, აჰჰ^აგა „ფოცხი“; აქ^გრჰჰ^აარა „მოყრა ფხვიერი რამისა“; აბაზ. წემჰჰ^აარა „დანალექი (სითხე-ში)“; ჩ^გჰჰ^გ „შიშველი“...

ჭჭ: აბაზ. ჯ^აჭჭარა „ბღავილი“; ჰ^აჭჭა ბუგ „ყვირილის ხმა“...

ჭჭ (აფხ. ჯჯ): ახაჯჯალა „უშნო მაღალი“; აბგჯჯარა „ბღულილი“; აბაზ. თეჭჭ^აარა „გადმოცვენა“; შალჭჭ^აერთა „მუწუკის გამონაყარი ადგილი“; შაჭჭ^აარა „სლოკინი“ და სხვ.²

6. სხვა ენათაგან შეთვისებული თანხმოვნები აბაზურში. აბაზურს (როგორც ტაპანთურ დიალექტს, ასევე აშხარულს)- დიდი გავლენა განუც- დია ადილური ენებისა. ამ ენების (ან მათი გზით შესულ) სიტყვებს თან შე- ჰყოლია არა ერთი თანხმოვანი ბგერა, თუმცა ისინი აბაზურის ფონემურ სისტემაში არ დამკვიდრებულან, მიუხედავად იმისა, რომ გადაღებისას მათ აბაზურ ნიადაგზე გარკვეული თავისებურებაც ახასიათებს.

ესენია ტაპანთურში და აქედან აბაზურ სალიტერატურო ენაში შე-

¹ X. C. Бгажба, დასახ. ნაშრ., გვ. 231.

² რა თქმა უნდა, ამით სრულებითაც არ ამოიწურება ამ რიგის გაორკეცე- ბულ ძირთა სახეობები (თანაც აქ ჩვენ საილუსტრაციოდ თითო-ორილა მაგალითი მოვიყვანეთ).

სული კბილბაგისმიერი **ვ ჭ** სპირანტები, ლატერალურ სპირანტთა სამეულ-ლი **ლ' ლ' ლ'** და შუაენისმიერი **ხ', ხ^{ა1}**.

ვ ჭ სპირანტები, როგორც ზემოთ ვნახეთ, აშხარულ დიალექტს თავის ლექსიკაშიც (ე. ი. საკუთარი წარმოშობისაც) აქვს, თუმცა აბაზურ სალიტერატურო ენაში ეს აშხარული სიტყვები არაა შესული. **ჭ** იშვიათად გვხვდება, **ვ კ** უფრო ხშირად (რამდენადაც მასთან არის გათანაბრებული რუსული ენის **в-ც**).

ლ' ლ' ლ' გვხვდება ორსავე დიალექტში: აბლ'აჰ^ა „გველემპი“, ლ'აჩა „კოჭლი“, ლუჰ^ააბა „ქვრივი კაცი“..., თუმცა ისინი ბგერობრივად სათანადო ადილურ ბგერებს არ ემთხვევიან სავსებით. მჟღერი ლატერალი აბაზურში გამოითქმის დაახლოებით ისე, როგორც რბილი **ლ'**, რომელთანაც გათანაბრებულია რბილი **ლ-ც** სხვა ენებისა (კერძოდ, რუსულისა). ფშვინვიერი და მკვეთრი ლატერალები **ლ' ლ' თლ, ტლ** კომპლექსებისკენ იხრებიან.

ორივე დიალექტში შესულა შუაენისმიერი სპირანტები **ხ' ხ^ა**, ოღონდ შუაენისმიერი მარტივი **ხ'** სპირანტს ადილურ ენათათვის დამახასიათებელი გამოთქმა შეუნარჩუნებია გარკვეულ შემთხვევებში (მაგ., რუსულ სიტყვებში, როგორიცაა **ხ'აზ(ა)ენ** „პატრონი“ და მისთ.), ხოლო თვით ადილურს ფუძეებში იგი იღებს პალატალიზებული **ხ'-ს** სახეს, მაგ., შდრ. **ხ'აზა**, ადილ. **ხ'აზაზ** „ჩვეულება“, **ხ'ა ხ'ა** (ადილ. **ხ'ახ'ა** „ძლიერი“) და სხვ.

საგულისხმოა, რომ აფხაზურსაც ამ რიგის ადილური წარმოშობის სიტყვებში პალატალიზებული **ქ'** ახასიათებს, მაშინ როდესაც მისი ლაბიალიზებული **ხ^ა** კორელატი აფხაზურში **ქ'**-თია გადმოღებული².

ბოლო ხანებში იშვიათი ხმარების გამო მკვეთრი **ჭ** და **ლ'** თანხმოვნების შემცველი ნასესხები სიტყვები ლექსიკონებში აღარ შესულა³.

¹ А. Н. Генко, Абаз. яз., გვ. 37, 38; 41-42; ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ტაპ. დ., გვ. 38-39; მისივე, აშხ. დ., გვ. 17-20.

² А. Н. Генко, Абаз. яз., გვ. 41-42; ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ტაპ. დ., გვ. 38-39; მისივე, აშხ. დ., გვ. 18.

³ იხ. Абаз.-русск. сл., ადრე კი ჭ გადმოიცემოდა **ქ|**-თი, ხოლო **ლ' - ლ'**-თი.

თანხმოვანთა ტაბულეზი
დიალექტთა მიხედვით

ა ბ ჟ უ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი ს

			ხ შ უ ლ ე ბ ი						
			მარტივი			აფრიკატები			
			მჟღერი	ფშვინ- ვიერი	მკვეთი	მჟღერი	ფშვინ- ვიერი	მკვეთი	
ბაგისმი- ერი	წყვილბაგის- მიერი		ბ	ფ	პ				
	კბილბაგის- მიერი								
წინაენისმიერი	ენაკბილსმიერი		დ	თ	ტ				
		ლაბიალიზე- ბულნი	დ°	თ°	ტ°				
	სისინა					ძ	ც	წ	
		ლაბიალი- ზებულნი				ძ°	ც°	წ°	
	ენაუნუსმიერი	მორთო- ლი							
			რბილნი				ჯ	ჩ	ჭ
		შიშინა	მაგარნი				ჯა	ჩა	ჭა
			ლაბიალი- ზებულნი						
		ლატერალური							
	შუაენის მიერი								
უკანაენის- მიერი			გ	ქ	კ				
	პალატალიზებულნი		გ´	ქ´	კ´				
	ლაბიალიზებულნი		გ°	ქ°	კ°				
ფარიზეა- ლური					ყ				
	პალატალიზებულნი				ყ´				
	ლაბიალიზებულნი				ყ°				
ლარიზეა- ლური									
	ლაბიალიზებულნი								

შენიშვნა: 1. ჟ გვხვდება ზოგი სოფლის მეტყველებაში.

თანხმაცანთა ტაბულა

სპირანტები			სონორები	
მჟღერი	ფშვინვიერი	მკვეთრი		ნაზალური
			ჭ	მ
ვ	ჭ	ჭ		
				ნ
ზ	ს			
			რ	
ქ	შ			
ქ ^ა	შ ^ა			
ქ ^ბ	შ ^ბ			
			ლ	
			ღ	
რ	ხ			
რ ^ა	რ ^ა			
რ ^ბ	რ ^ბ			
	ჰ			
ჟ	ჟ ^ბ			

ბ ზ ი ფ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი ს

			ხ შ უ ლ ე ბ ი						
			მარტივნი			აფრიკატები			
			მჟღერი	ფშვინ- ვიერი	მკვეთრი	მჟღერი	ფშვინ- ვიერი	მკვეთრი	
ბაგისმი- ერნი	წყვილბაგის- მიერნი		ბ	ფ	პ				
	კბილბაგის- მიერნი								
წინაენისმიერნი	ენაპილისმიერნი		ღ	თ	ტ				
		ლაბიალიზე- ბულნი	ღ°	თ°	ტ°				
		სისინა				ძ	ც	წ	
	ენაწუნისმიერნი	სისინ- შიმინანი	ლაბიალი- ზებულნი				ძ°	ც°	წ°
			ლაბიალიზე- ბული				ძ'	ც'	წ'
		მთრთოლი							
		შიშინანი	რბილნი				ჯ	ჩ	ჭ
	მაგარნი					ჯ°	ჩ°	ჭ°	
	ლაბიალი- ზებულნი								
		ლატერალური							
შუაენის- მიერნი									
უკანაენის- მიერნი			გ	ქ	კ				
	პალატალიზებულნი		გ˘	ქ˘	კ˘				
	ლაბიალიზებულნი		გ°	ქ°	კ°				
ფარიწვა- ლურნი					ყ				
	პალატალიზებულნი				ყ˘				
	ლაბიალიზებულნი				ყ°				
ლარიწვა- ლურნი									
	ლაბიალიზებულნი								

თანხმაცანთა ტაბულა

სპირანტები			სონორები	
მჟღერი	ფშვინვიერი		ნაზალურნი	
			ჟ	მ
ვ	ფ			
				ნ
ზ	ს			
				შენიშვნა: წარმოდგენილი სისტემა დამახასიათებელია დღეს მხოლოდ ოთჰარის კილოკავისთვის
ზ'	ს'			
ზ ^o	ს ^o			
			რ	
ქ	შ			
ქ ^o	შ ^o			
			ლ	
			ღ	
ლ	ხ			
ლ'	ხ'			
ლ ^o	ხ ^o			
	ც			
	ც ^o			
	ჭ			
შ	ჭ ^o			

ა მ ხ რ უ ლ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი ს

			ხ შ უ ლ ე ბ ი						
			მარტივნი			აფრიკატები			
			მჟღერი	ფშვინ- ვიერი	მკვეთრი	მჟღერი	ფშვინ- ვიერი	მკვეთრი	
ბაგისმი- ერნი	წყვილბაგის- მიერნი		ბ	ფ	პ				
	კბილბაგის- მიერნი								
წინაენისმიერნი	ენაკბილისმიერნი		დ	თ	ტ				
		ლაბიალიზე- ბულნი	(დ°)	(თ°)	(ტ°)				
		სისინანი				ძ	ც	წ	
	ენაწუნისმიერნი	სისინ- შინანი	ლაბიალიზე- ბულნი				ძ°	ც°	წ°
		მთრთოლი							
		შიშინა	რბილნი				ჯ	ჩ	ჭ
			მაგარნი				ჯ°	ჩ°	ჭ°
			ლაბიალი- ზებულნი						
		ლატერალური							
		შუენის- მიერნი							
პალატალიზებულნი									
უკანაენის- მიერნი			გ	ქ	კ				
	პალატალიზებულნი		გ°	ქ°	კ°				
ფარიწგა- ლურნი				ჯ	ყ				
	პალატალიზებულნი				ყ°				
	ლაბიალიზებულნი			ჯ°	ყ°				
ლარიწგა- ლურნი									
	ლაბიალიზებულნი								

თანხმოვანთა ტაბულა

სპირანტები			სონორები	
მჟღერი	ფშვინვიერი	მკვეთრი	ნაზალური	
			ჭ	მ
ვ	ფ	ჟ		ნ
ზ	ს			
ზ [◦]	ს [◦]			
			რ	
ჟ	შ			
ჟ [◦]	შ [◦]			
ჟ [◦]	შ [◦]			
[ლ']	[ლ']	[ლ]	ლ	
	[ხ']			
	[ხ']		ღ	
	[ხ [◦]]			
ღ	ხ			
ღ [◦]	ხ [◦]			
(ჭ)	ჭ			
(ჭ [◦])→ჯ	ჯ [◦]			

შენიშვნა:

1. ჟ[◦] შ[◦] მაგარი ლაბიალიზებული შიშინა სპირანტები დამახასიათებელია მხოლოდ აფსუის კილოკავისათვის.
2. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ფონემები გვხვდება მხოლოდ სხვა ენათაგან შეთვისებულ სიტყვებში.
3. მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული ფონემები მოშლის გზაზეა.
4. ადიღურ ენათა მჟღერი ლ' ლატერალი რბილ ლ'-ს უახლოვდება აბაზურში.

ტ ა კ ა ნ თ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი ს

			ხ შ უ ლ ე ბ ი					
			მარტივნი			აფრიკატები		
			მჟღერი	ფშვინ- ვიერი	მკვეთრი	მჟღერი	ფშვინ- ვიერი	მკვეთრი
ბაგისმი- ერი	წყვილბაგის- მიერი		ბ	ფ	პ			
	კბილბაგის- მიერი							
წინაენისმიერი	ენაკბილის მიერი	სისინა	დ	თ	ტ			
		ლაბიალი- ზებულნი				ძ	ც	წ
	ენაუნისმიერი	მთრთოლი						
			შინა					
		რბილნი				ჯ	ჩ	ჭ
			მაგარნი				ჯ ^ა	ჩ ^ა
	ლაბიალიზ.				ჯ ^ბ	ჩ ^ბ	ჭ ^ბ	
	ლატერალური							
	შუაენის- მიერი							
		პალატალიზებულნი						
უკანაენის- მიერი			გ	ქ	კ			
	პალატალიზებულნი		გ [~]	ქ [~]	კ [~]			
ფარინგა- ლური				ჯ	ყ			
	პალატალიზებულნი				ყ [~]			
ლარინგა- ლური				ჯ ^ა	ყ ^ა			
	ლაბიალიზებულნი							

თანხმოვანთა ტაბულა

სპირანტები			სონორები	
მჟღერი	ფშვინვიერი	მკვეთრი	ნაზალურნი	
			ჟ	მ
[ვ]	[ფ]	[ჟ]		ნ
ზ	ს			
ზ [°]	ს [°]			
			რ	
ჟ	შ			
ჟ [°]	შ [°]			
ჟ [°]	შ [°]			
[ლ']	[ლ']	[ლ]	ლ	<p>შენიშვნა: 1. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ფონემები შეთვისებულია სხვა ენათაგან (გვხვდება მხოლოდ ნასესხებ ლექსიკურ ფონდში).</p> <p>2. ლაბიალიზებულ სიბილანტთა სისინა და შიშინა რიგები ფონოლოგიურად დაპირისპირებულნი დღეს დიალექტებში არ არიან, მაგრამ ამოსავალში (და ცვლილებათა რეფლექსებში ზოგ თქმაში) ორი განსხვავებული რიგი ივარაუდება.</p> <p>3. ადიღურ ენათა მჟღერი ლ' ლატერალი რბილ ლ'-ს უახლოვდება აბაზურში.</p>
	[ბ']		ბ	
	[ბ']			
	[ბ [°]]			
ღ	ხ			
ღ [~]	ხ [~]			
ღ [°]	ხ [°]			
ჭ	ჭ	ც		
ჭ [°]	ჭ [°]			

VII.

ფონეტიკური პროცესები თანხმოვნებში

ფონეტიკურ პროცესებში უნდა გამოვყოთ სპონტანური და პოზიციური ხასიათის პროცესები.

1. **სპონტანური ფონეტიკური პროცესები.** ამ რიგის ფონეტიკურ პროცესებს მოუცავს თითქმის მთელი თანხმოვანთა სისტემა. გასარჩევია უძველესი სპონტანური ფონეტიკური პროცესები და სპონტანური ფონეტიკური პროცესები მოგვიანო პერიოდებისა (რამდენადაც დასტურდება პროცესთა საპირისპირო მიმართულებებიც).

საგულისხმოა, რომ აფხაზურ-აბაზურს ახასიათებს მრავალფეროვანი სპონტანური ხასიათის ცვლილებები. ეს, თავის მხრივ, შეპირობებულია რთული ბგერითი სისტემით, კერძოდ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რიგების არსებობით. სპონტანური პროცესების გავრცელების ხასიათი გარკვეულ მიმართებაში ჩანს პოზიციურ ბგერათცვლილებებთან.

ა. ლატერალების მოშლა წინარე აფხაზურ-აბაზურში.

აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებში ლატერალები ახასიათებს უბიხურს, ადიღურსა და ყაბარდოულს. ლატერალები უცხოა მხოლოდ აფხაზურ-აბაზურის ფონოლოგიური სისტემისთვის (აბაზურში ლატერალები მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში გვაქვს).

როგორც ვარაუდობენ (ნ. ტრუბეცკოი, ჟ. დიუმეზილი...) ლატერალები უნდა ჰქონოდა აფხაზურ-აბაზურსაც. ლატერალთა სისტემა მოშლილა, უნდა ვიფიქროთ, აფხაზურ-ადიღურ ენათა განვითარების გვიანდელ პერიოდში. ამ პროცესის შედეგებით სიახლეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში ხერხდება ერთგვარი რეგულარული ხასიათის ბგერათმესატყვისობის დადგენა აფხაზურ-ადიღურ ენებში. შდრ.:

აფხაზურ-აბაზური ადიღ.	უბიხ.
ა-ჟღ (← *ლ')	ლ'გ „ხორცი“
ბჟბა (,)	ბლა ← *ბლ'ა „შვიდი“
ა-ჟა (← ლ')	ლა ← *ლ'ა „კურდღელი“
ა-შა (← ლ')	ლ'ა „სისხლი“
ადაშა (,)	ჯილ'ა „ძმა“

ა-ყაფშ, აფშ (,,)	ფლ'გჟ	„წითელი“
ა-შაპჭ (,,)	ლ'წ, ლ'აჯ'წ, ლ'აპა	„ფეხი“
დგ-ფშ-ტყიტ (,,)	მა-ფლ'წ	„იყურება“
(ა-ფშ.რა)		„ყურება“

ადილურსა და უბიხურსაც ახასიათებს მკვეთრი ლ ლატერალი, რომლის შესაბამისად აფხაზურ-აბაზურში ისევე ფშვინვიერი სპირანტი გვევლინება (ამ რიგის მკვეთრი სპირანტის ენაში უქონლობის გამო):

ადილ. პლგ	}	აფხ ფშა	„ოთხი“
უბიხ. კლა			
ადილ. ლგნ		„ აშრა“	„მოკვლა“

უნდა ვიფიქროთ, რომ საერთო ამოსავალი ლატერალები აფხაზურ-აბაზურში შენაცვლებულ იქნა ენაში უკვე არსებული სათანადო შიშინა სპირანტებით. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ფშვინვიერი ლატერალის შესატყვისად აფხაზურ-აბაზურში ზოგჯერ შიშინა სპირანტის მაგარი სახეობაც ვლინდება, მაგ., ადილ. ფლ'წ აფხ.-აბაზ. ა-ფშ.რა „ყურება“. შესატყვისობის ასეთი არათანამიმდევრულობა კვლავ სვამს საკითხს ამოსავლის განსხვავებული ხასიათის შესახებ.

აფხაზურ-ადილურ ენებში შეიმჩნევა ლატერალთა რიცხვის შემცირება. უბიხურს, მაგალითად, სამეულის ნაცვლად ლატერალთა სისტემაში დღეს წყვილი (მკვეთრი და ფშვინვიერი) ახასიათებს. მჟღერი ლატერალი უბიხურში შენაცვლებულ იქნა სონორით. შდრ. აფხ.-აბაზ. ა-ჟ და უბიხ. ლა. ეს სიტყვა რომ დაცული იყოს ადილურ ენებში, ალბათ იქნებოდა *ლ'ა, ისევე როგორც „შვიდ“ რიცხვითი სახელის ფუძეში.

ბ. უკანა რიგის თანხმოვანთა (ლარინგალებისა და ფარინგალების) მოშლის ტენდენცია.

თანხმოვანთა სათანადო ჯგუფების განხილვისას გავეცანით იმ ცვლილებებს, რაც აღნიშნული რიგის თანხმოვნებს ახასიათებს აფხაზურ-სა და აბაზურში.

სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად მოშლის პროცესს ექვემდებარება ლარინგალური სპირანტებისა და ფარინგალური ხშულების ამოსავალი სისტემები. ნავარაუდევ მჟღერ ფარინგალურ ხშულს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, აბაზურ დიალექტებში დღემდე ხერხდება ამ ამოსავალ თანხმოვანთა რიგების დადასტურება პირვანდელი სახით და მათი სხვადასხვა ხასიათის ცვლილებების გათვალისწინება საერთოდ აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში.

გ. ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ა ც ი ა .

სხვადასხვა დიალექტურ მასალას თუ ერთად მოვუყვრით თავს, ამჟამად გვექნება ლაბიალიზაციის მქონე თანხმოვანთა შემდეგი რიგები:

ენაკბილისმიერი ხმულები	დ° თ° ტ°
სისინა აფრიკატები	ძ° ც° წ°
სისინ-შიშინა სპირანტები	ზ° ს°
შიშინა სპირანტები	ჟ° შ°
(ტაპანთურში) შიშინა აფრიკატები	ჯ° ჩ° ჭ°
უკანაენისმიერი ხმულები	გ° ქ° კ°
უკანაენისმიერი სპირანტები	ღ° ხ°
ფარინგალური ხმულები	ჭ° ყ°
ლარინგალური სპირანტები	ჭ° ჰ°

ასეთი სურათი თავდაპირველი ვითარების ამსახველი არ არის.

შიშინა ლაბიალიზებული აფრიკატები აფხაზურ-აბაზურს არ გააჩნდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კერძოდ აფხაზური სხვა ენათაგან ნასესხებ სიტყვებში ვერ ახერხებს სათანადო შიშინა აფრიკატთა ლაბიალურ კომპლექსში შენარჩუნებას: ჩვეულებრივ კომპლექსს ჩამოშორდება ლაბიალური კომპონენტი ან შეირწყმის „სისინა“ ლაბიალიზებულ აფრიკატად (შდრ. ქართ. **ჯვარი**, აფხ. **აჯარ**; ქართ. **მარჯვე**, აფხ. **ამარჯა** – გამამხნევებელი შემახილი –, ქართ. **ჩვენება**, აფხ. **აჩანაბა...**; ქართ. **ჭვირ-ფუძე** „ჭიქა“ სიტყვისა – „ჭვი[რ]ქა“, აფხ.-აბაზ. აწ°ცა „ჭიქა“...).

საგულისხმო ჩანს ამ მხრივ თვით აფხაზურის საკუთარი ენობრივი ფაქტები. „ერთი“ და „ორი“ რიცხვითი სახელების ფუძეებში არა რიცხვის ძირეულ ელემენტად, არამედ „ადამიანის“ კატეგორიის გამოხატვის ფუნქციით პირველ შემთხვევაში გვევლინება -ძ°გ ([ზ]ა-ძ°გ „ერთი ვინმე“), ხოლო მეორეში – ჯა (ჭ°გ-ჯა „ორი ვინმე“). აქ ერთსა და იმავე ძირეულ მასალასთან გვაქვს საქმე. ნიშანდობლივია, რომ ლაბიალიზებული სახით „სისინა“ ვარიანტია წარმოდგენილი – ([ზ]ა-ძ°გ, ხოლო არალაბიალიზებულით – შიშინა ჟ°გ-ჯ(ა).

შიშინა ლაბიალიზებული აფრიკატები (ჯ° ჩ° ჭ°) დღეს გვხვდება ტაპანთურში, მაგრამ როგორც დავრწმუნდით, ისინი მეორეული წარმოშობისაა და საგულისხმოა ისიც, რომ აქაც ისინი „გაუძლისი“ ჩანან – ლაბიალიზაცია მოშლის გზაზეა – და გარკვეულ შემთხვევებში სრულს დელაბიალიზაციას აღწევს.

რამდენადაც აფხაზურ-აბაზურის საერთო ამოსავალ ფონოლოგიურ სისტემაში აფრიკატთა შიშინა ლაბიალიზებული რიგის არსებობის საკითხი მოხსნილია, ბუნებრივად დგება კითხვა შიშინა ლაბიალიზებულ ჟ° შ°

სპირანტთა შესახებ.

ეს სპირანტები ყველა დიალექტში დასტურდება და მათი დაყენება შიშინა ლაბიალიზებული აფრიკატების (მაგ., ტაპანთურისა) დონეზე არ შეიძლება.

ამ მხრივ აფხაზურ-აბაზურის ფონოლოგიურ სისტემაში ერთგვარ ასიმეტრიულობას აქვს ადგილი: გვაქვს გარკვეულ სპირანტთა რიგი და არა გვაქვს შესაბამის აფრიკატთა რიგი!

არ არის გამორიცხული შესაძლებლობა შიშინა ლაბიალიზებულ სპირანტთა მეორეული წარმოშობისა. ამას ერთგვარად მხარს უჭერს მონათესავე ადიღური ენები, რომლებშიაც ლაბიალიზებული სპირანტები გვაქვს, მაგრამ შიშინა ლაბიალიზებული აფრიკატები – არა.

მოსალოდნელი არ ჩანს ამოსავალში აფხაზურ-აბაზურისათვის შიშინა ლაბიალიზებული სიბილანტები. ამ თვალსაზრისითვე საგულისხმოა ამ რიგის (ე. ი. შიშინა) სპირანტთა დელაბიალიზაცია ტაპანთურში მეორეულ შიშინა ლაბიალიზებულ აფრიკატთა დელაბიალიზაციის მსგავსად (იხ. ზემოთ, გვ. 135, 161).

ლაბიალიზაცია უფრო ბუნებრივად გამოიყურება ე. წ. „სისინა“, ან უკეთ – სისინ-შიშინა სიბილანტთა რიგში.

როგორც სათანადო ადგილას დავრწმუნდით, ბზიფურისთვის დამახასიათებელი სისინ-შიშინა ლაბიალიზებული სპირანტები **ზ° ს°** ყველა აფხაზურ-აბაზურ დიალექტს უნდა ჰქონოდა, ისინი უნდა ქმნიდნენ ერთ საერთო რიგს სისინ-შიშინა სიბილანტებისას, ე. წ. „სისინა“ **ძ° ც° წ°** აფრიკატებთან, რომლებიც ძნელია ჩავთვალოთ წმინდა სისინა სახეობებად.

მათი ბუნების ასეთი გაგების ნიადაგზე იხსნება ის უსწორ-მასწორობა, რასაც თითქოს ადგილი აქვს სიბილანტთა სისტემებში: გვაქვს:

ერთი მხრივ, თითქოს „სისინა“ **ძ° ც° წ°**

ხოლო მეორე მხრივ: $\left\{ \begin{array}{l} \text{შიშინა} \quad \text{ჟ° შ°} \\ \text{ან – სისინ-შიშინა} \text{ } \text{ზ° ს°} \end{array} \right.$

წმინდა „სისინა“ ლაბიალიზებული სიბილანტები (არც აფრიკატები და არც სპირანტები) არ ყოფილა ამოსავალში. ყურადღებას იქცევს ამ მხრივაც სხვა ენათა სისინა სიბილანტები ლაბიალურ კომპლექსში წარმოდგენილი. ისინი აფხაზურში გვამოგვვენ ერთ ლაბიალიზებულ სიბილანტებად შერწყმულ ბგერას, მაგრამ ეს არ არის ამოსავალ კომპონენტთა უბრალო ჯამი – სათანადო ლაბიალიზებული სისინა სპირანტ-აფრიკატები არ მიიღება –, არამედ ისინი გადმოიცემა **ძ° ც° წ° ჟ° შ°**-თი, რომლებიც აფრიკატთა შემთხვევაში უდგება ე. წ. „სისინა“ აფრიკატებს, ხოლო მეორე შემთხვევაში – შიშინა სპირანტებს (ენაში არსებული შესაძლებლობის მიხედვით), მაგ., შდრ. იგივე აწ°ცა (იხ. გვ. 187)... ქართ. ზუგდიდი, აფხ.-ში ჟ°გრგტ და სხვ. სისინა სიბილანტთა ლაბიალიზებული რიგები არ არსე-

ბობს.

მეორეულად გამოჩანს ენაკბილისმიერ ხშულთა დ° თ° ტ° ლაბიალიზებული სახეობები (იხ. გვ. 138...).

ლარინგალებში ლაბიალიზაცია წარმოგვიდგება ძირითადი თანხმოვნის ბილაბიალურ ჭ-სთან შერწყმის პროცესად. უკანაენისმიერებსა და ფარინგალებში ლაბიალიზაცია „მჭიდრო“ კომპლექსის შთაბეჭდილებას ახდენს.

დ. დელაბიალიზაცია. დასტურდება სისტემური ხასიათის მქონე დელაბიალიზაციის სპონტანური პროცესები. რამდენიმე ასეთი პროცესი შეიძლება აღვნიშნოთ.

პირველი, შედარებით უფრო ძველი დელაბიალიზაციის პროცესი უნდა მომხდარიყო ტაპანთურ დიალექტში, რომელშიაც სათანადო ლაბიალიზებულ აფრიკატაგან – ჩვენ მიერ პირობით ნავარაუდევ *ძ° *ც° *წ°-საგან – მიგვიღია მარტივი სისინა აფრიკატები – ძ ც წ, რომელთა შესატყვისადაც დანარჩენ დიალექტებში წარმოქმნილა ვ ჭ ჭ სპირანტები.

დელაბიალიზაციის მეორე პროცესი ჩატარებულა იმავე ტაპანთურში, კერძოდ, მის ფსიჟ-კრასნივოსტოკის კილოკავში: სიბილანტები, მომდინარე საერთო აფხაზურ-აბაზურ ჟ° შ° სპირანტაგან და დ° თ° ტ° ხშულთაგან (აფრიკატიზებულ ჯ° || ძ°, ჩ° || ც°, ჭ° || წ° სამეულის დელაბიალიზაციის შედეგად) მეტყველთა გარკვეული ჯგუფის ენაში იძლევა მაგარ სიბილანტთა სახეობებს – ჟ, შ, ჯ, ჩ, ჭ-ს, ხოლო სხვა მთქმელთა ენაში – საპირისპირო რიგს, – მარტივ სისინა სიბილანტებს – ზ ს ძ ც წ-ს (გარდამავალ სახეობათა გვერდით).

საერთოდ დელაბიალიზაცია ტაპანთურისთვისაა დამახასიათებელი.

დელაბიალიზაციის სპონტანური პროცესი მიმდინარეობს აშხარულშიაც: დ° თ° ტ° სამეულისაგან ამ გზით მიიღება დ თ ტ. (ცალკეული ფაქტები დელაბიალიზაციისა აქა-იქ შეიძლება დავადასტუროთ აფხაზურ დიალექტებშიაც).

ე. პალატალიზაცია. შიშინა სიბილანტები აფხაზურ-აბაზურში ქმნიან ორ რბილსა და მაგარ რიგს: ჯ ჩ ჭ ჟ შ და ჯ ჩ ჭ, ჟ შ. პირველი რიგი პალატალური რიგია.

პალატალიზებულად წარმოგვიდგება აფხაზურ-აბაზურში უკანაენისმიერი ხშულები (გ° ქ° კ°) და სპირანტები (ღ° ხ°). ფარინგალური მხოლოდ მკვეთრი ყ° არის პალატალიზებული. ფარინგალური არც ხშული ჭ (აბაზურში) და არც მისგან მიღებული ხ სპირანტი (ბზიფურში) პალატალიზებულ სახეობას არ იცნობს. ამ ვითარებაში პალატალური ყ°-ს არსებობა

სვამს კითხვას წარმოების ადგილის მხრივ მის წინ გადმოწევის შესახებ.

აღნიშნული რიგის პალატალიზებული თანხმოვნები უპირისპირდებიან სათანადო წარმოების ჩვეულებრივ სახეობებს (გ ქ კ ლ ხ ყ) და არა მათ მაგარ ვარიანტებს (ასეთი ვარიანტები არ არსებობს).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ დიდი წილი ლექსიკური ფონდისა, რომელიც აღნიშნულ პალატალიზებულ თანხმოვნებს (გ ქ კ ლ ხ ყ) შეიცავს აფხაზურ-აბაზურში ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი ჩანს. ისინი იმ ფუძეებში გვხვდება, რომლებშიაც გამსესხებელ ენას ძირითადი თანხმოვნის მომდევნოდ ე და ი ხმოვნები ახასიათებს. უნდა ვიფიქროთ, არსებითად ასეთი წარმომავლობისაა სათანადო პალატალიზებული უკანაენისმიერები და ყ, ხოლო შემდეგ თანდათან გაიკაფა გზა პალატალიზაციამ. ამ მხრივ საგულისხმოა დიალექტური განსხვავებანიც პალატალიზებულ და არაპალატალიზებულ სახეობათა არსებობაში რომ იჩინოს თავს.

აღნიშნულ პალატალიზებულ თანხმოვანთა მეორეულ წარმოშობას აფხაზურ-აბაზურში თავის მხრივ მხარს უჭერს ფარინგალური რიგის თანხმოვანთა ისტორიაც (იხ. ზემოთ, ყ. გვ. 151).

ვ. ს პ ი რ ა ნ ტ ი ზ ა ც ი ა. სპირანტიზაციის პროცესი კარგა ხანია ჩასახულა ფარინგალებში. იგი დიალექტთა მიხედვით მეტნაკლებად საყოველთაო ხასიათის მქონე ჩანს, თუმცა საბოლოოდ დამთავრებული არაა.

სპირანტიზაციის პროცესი შეჰხებია აფრიკატებსაც. ამის საფუძველზე შექმნილა აბჟურ-ბზიფურ-აშხარულ დიალექტებში კბილბაგისმიერ სპირანტთა სამეული.

გარდა აღნიშნულ სპირანტთა სამეულისა, უკვე საერთო აფხაზურ-აბაზურში (ე. ი. ტაპანთურის ჩართვით) წარმოქმნილა უფრო ძველი ფორმაციის ჭ სპირანტი ისევ რთული ლაბიალიზებული რომელიდაც ბგერი-საგან შერწყმა-სპირანტიზაციის გზით.

ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, როდინდელი პროცესია ეს, საერთო აფხაზურ-უბიხურ-[ადიღური] პერიოდისა, თუ კიდევ უფრო ძველიც – საერთო იბერიულ-კავკასიური ერთიანობისა. რამდენადაც ზოგ დაღესტნის ენაშიაც მოგვეპოვება ამ რიგის ჭ. ამ საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სპონტანურ ფონეტიკურ პროცესთა საერთო ხასიათიც. ანალოგიული პროცესის შედეგად, შესაძლოა, აფხაზურ-უბიხურ და დაღესტნის ენათა ფაქტებში მეორეულად წარმოქმნილი ვარიანტების დამთხვევასთანაც გვექონდეს საქმე.

ზ. ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა. სპონტანურად ჩატარებული აფრიკატიზაციის მთლიანი პროცესი დასტურდება ტაპანთურ დიალექტში, რომელშიაც დ ° თ ° ტ ° სამეულს მოუცია ჯ ° ჩ ° ჭ ° (||ძ ° ც ° წ °) და რომელთაც შემდგომ ცალკეულ თქმებში დელაბიალიზაციით მოუცია ჯ ° ჩ ° ჭ °... აშხარულ დია-

ლექტშიც, როგორც ვნახეთ, ამ **დ° თ° ტ°**-საგან დელაბიალიზაციით მიგვიღია **დ თ ტ**.

ჩვენ რომ სხვა დიალექტთა და თქმების მასალა არ გვქონდეს შესადარებლად და ეს პროცესი ჩამთავრებული იყოს ყველა მთქმელის ენაში, ალბათ ვიტყვით – აშხარულმა **დ თ ტ** ხშულებმა აფრიკატიზაციით ტაპანთურში მოგვცა **ჯ ზ ჭ**-ო. (მაშინ, როცა ტაპანთურში აფრიკატიზაცია მოხდა ჯერ ლაბიალიზებული ხშულებისა, ხოლო ამას მოჰყვა შემდეგ დელაბიალიზაცია).


ეს თავისთავად ანგარიშგასაწევი ფაქტია იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის შესატყვისობის დადგენის სირთულის თვალსაზრისით.

თ. შერწყმა. შერწყმა ისეთი ფონეტიკური პროცესია, როცა რთული (ლაბიალიზებული) მონაცემიდან ვიღებთ მარტივ ბგერას, რომელიც შერწყმულად წარმოგვიდგენს ორივე კომპონენტის თვისებებს.

ამ პროცესის ნიადაგზე მივიღეთ ზემოთ განხილული **ვ ჭ ჭ** სპირანტები გარკვეულ დიალექტურ წრეში.

შერწყმის ასეთი პროცესი მომხდარა **დ° თ° ტ°** ლაბიალიზებულ ხშულებშიაც. იმავე აშხარულის დიალექტის ერთ-ერთ თქმაში (ადიღეში მოსახლე აბაზების მეტყველება სოფ. ულიაფისა) **დ° თ° ტ°** ლაბიალიზებულ ხშულთაგან წარმოქმნილა **ბ ფ ჰ**-ს ახალი რიგი.

საყურადღებოა, რომ ორივე „ამოსავალ“ სამეულში, — იგულისხმება ლაბიალიზებული ***ძ° *ც° *წ°** და **დ° თ° ტ°** –, რომელთაც სხვადასხვა კილოთქმებში ორი განსხვავებული შედეგი მოუცია, ცვლის ერთნაირი პრინციპია:



ლაბიალიზებულთა შერწყმის ფაქტები სხვაც დასტურდება (იხ. პ), ოღონდ არასისტემურად გატარებული.

ი. სისინ-შიშინა სიბილანტთა მოშლა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ბზიფურ დიალექტში (და ისიც მხოლოდ მის ოთჰარალიხნის თქმებში) გვხვდება ფონოლოგიურად ფასეული სიბილანტთა სისინ-შიშინა რიგები **ზ' ს' ძ' ც' წ'**, რომელთა კვალი სხვა დიალექტებში არ ჩანს.

მათვე გვერდში უნდა ედგეს ლაბიალიზებული სპირანტები **ზ° ს°**, რომელთა არსებობა ისტორიულად ყველა დიალექტში სარწმუნოდ მი-

გვაჩნია.

საფიქრებელია, რომ სისინ-შიშინა სიბილანტები ჰქონოდა სხვა აფხა-ზურ-აბაზურ დიალექტებსაც.

ამას გვაფიქრებინებს ბზიფური დიალექტის თქმებში არა მარტო მათი ფონოლოგიური დაპირისპირების ფაქტი (შდრ. აფსგ „სული“ და აფს'გ „მკვდარი“...), არამედ აგრეთვე ამ სისტემის სიბილანტთა არსებობა ყველა სხვა აფხაზურ-ადილურ ენაში (უბიხურში, ადიღურში, ყაბარდოულში).

ამ შესაძლებლობას მხარს უჭერს ზოგი სხვა გარემოებაც.

კერძოდ, უდავო ხდება, რომ მათ ახასიათებს მოშლის ტენდენცია. ამას, სხვას რომ თავი დავანებოთ, ცხადყოფს ბზიფური დიალექტისავე მონაცემები: ბზიფური დიალექტის ერთ-ერთ თქმას, ლიხნურს, აშკარად დაეკარგა ლაბიალიზებული სისინ-შიშინა სპირანტები **ზ° ს°**, რომლებიც შემორჩენილია არა მარტო ბზიფურის სხვა თქმებში, არამედ სხვა დიალექტებშიაც (მაგ. აშხარულში).

მარტივ სისინ-შიშინა ბზიფურ სიბილანტებს ყველა სხვა აფხა-ზურ-აბაზურ დიალექტში ჩვეულებრივ შეესაბამება სისინა სიბილანტები – **ძ ც წ ზ ს**. გამონაკლისს ქმნის **ს'** სისინ-შიშინა სპირანტი. მას რიგ შემთხვევაში შეესაბამება ყველა სხვა დიალექტში **შ**. ასეთი ორმაგი ბუნება ამ შესატყვისობისა: **ს' < ^სშ** სვამს კითხვას ამ შესატყვისობათა სხვადასხვა წარმომავლობის შესახებ.

ამ მხრივ საყურადღებოა ა ა ც ის თქმის მონაცემები. იგი ყველა შემთხვევაში ბზიფ. **ს'**-ს ადგილას შესაძლებლად მიიჩნევს **ს**-ს გამოყენებას. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ამაში მყლავნდება სისინ-შიშინათა მოშლისას ა ხ ა ლ ი ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა გაუთანაბრდეს ყველა შემთხვევაში სისინა (**ს**) სახეობას.

სისინ-შიშინათა საკითხთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია აგრეთვე ადიღურ ენათაგან აბაზურში ამ რიგის ბგერათა სესხების ბუნება.

ადიღურ ენათაგან ნასესხებ სიტყვებში აბაზურ დიალექტებს საერთო ადიღური სისინ-შიშინა მარტივი **ზ' ს' ს'** სპირანტები (ასევე უშუალოდ ყაბარდოულიდან შესული დღევანდელი **ზ' ს' ს'**) გადმოუღია ლ ა ბ ი ა - ლ ი ზ ე ბ უ ლ ი **ზ° (ჟ°), ს° (შ°), წ° (ჭ°)** სიბილანტებით¹:

ადიღ.	აბაზ.
ძენჯ ზ'	აძენჯ ზ° „დევი“
ს'ჰაკ ^ჟ	ს°ჰაკ ^ა „საწყენი“
ჟაწ'აღა	ჟაწ ^ა აღა (აშხ. ყაწ ^ა აღა, აწ ^ა აღა...) „ხელობა“ და სხვ.

აბაზურში ადიღურის მარტივ სისინ-შიშინა სპირანტთა ლაბიალიზებული სიბილანტებით გადმოცემა იმით უნდა აიხსნას, რომ აბა-

¹ ქ. ლომთათიძე, ტაპ. დ., გვ. 42; მისივე, აშხ. დ., გვ. 22-24.

ზურმა ისინი სისინ-შიშინის მხრივ საკუთარ ლაზიალიზებულ სიბილანტებს გაუთანაბრა მარტივთა უქონლობის გამო¹. ამდენადვე, აბაზურის (და ასევე აფხაზურის) **ძ° ც° წ°** (რომ აღარაფერი ვთქვათ ბზიფურ **ზ° ს°**-ზე) აფხაზურ-აბაზური ენობრივი ცნობიერებისთვის სისინ-შიშინა თანხმონებია.

და თუ ვივარაუდებთ, რომ აფხაზურ-აბაზურში ლაზიალიზებულ სიბილანტთა სისინ-შიშინა სახეობები გვაქვს, შეუძლებელი არაა დავუშვათ მათივე არალაზიალიზებული, მარტივი კორელატებიც, მსგავსად ბზიფური დიალექტის მონაცემებისა. ე. ი. შეიძლება ვივარაუდოთ მათი მოშლა ჯერ სხვა დიალექტებში და ამჟამად ბზიფურშიაც (რამდენადაც ასეთი პროცესი უკვე მიმდინარეობს მასში).

2. პოზიციური ფონეტიკური პროცესები. თანხმონებში პოზიციური ფონეტიკური პროცესები აფხაზურ-აბაზურშიაც საკმაოდ გვხვდება, განსაკუთრებით ეს ითქმის ფუძეთა გაცვეთასთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა მხრივ შედარებით შეზღუდული გამოდის, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, ძირთა მარტივი შედგენილობით და, მეორე მხრივ, მდიდარი ფონოლოგიური სისტემის არსებობით (რაც თავის მხრივ, შესაძლოა, ადრე მომხდარი პოზიციური პროცესების შედეგიც იყოს). ზოგადად მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ მთელი რიგი პოზიციური ცვლილებები გამოწვეულია მახვილის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ხმოვნის რედუქციის შედეგად.

თუ რაირც შეუცვლია მახვილის მოქმედებას სრულხმოვნისანი ფუძე, წარმოუქმნია თანხმონთანა შეჯრის პირობა, გაუცვეთია იგი და გაუმარტივებია კომპლექსი, ამკარა ხდება აჰსა (ბზ. აჰს') „ქალები“ – სიტყვის ანალიზის საფუძველზე. აჰსა (შდრ. მხ. აფჰს' „ქალი“) მომდინარე ჩანს სრულხმოვნისანი *ა-ფა-ჰა-ს' ა-ს'ა სახეობიდან. მასში ძირეულ ელემენტებად გამოდის ფა- და ჰა-: ფა „შვილი“ (შდრ. ცალკე არსებული ა-ფა „შვილი“, „ძე“, „წული“), -ჰა- „ასული“, „ქალი“ (რომელიც გამოვლინდება კომპოზიტურ ფუძეებში ხან ლაზიალიზებული და ხან არალაზიალიზებული სახით: ადა-ჰა-შა „და“, აფ-ჰა „ასული“, „ქალიშვილი“. რომ ჰა- ა ხმოვნისანი იყო, ამას ადასტურებს აფჰა და აფჰს' „ქალი“ – სიტყვის ფჰას სახეობაც აბაზურ დიალექტებში არსებული). ამ რთულ ფა-ჰა- ფუძეზე დართული ჩანს სიმცირის გამომხატველი -სა (ბზ. -ს'ა). ამ ნიადაგზე მხოლოდ. რიცხვში უნდა მიგველო *(ა)-ფა-ჰა-ს'ა → (ა)-ფჰას'ა → აფჰს' (აფჰს').

განმარტებას საჭიროებს, რად დასჭირდა „ქალის“ აღმნიშვნელ ფუძეს სიმცირის გამომხატველი -ს (← ს'ა) ელემენტი, მაგრამ მისი ასეთი შე-

¹ ე. ლომათიძე, სისინ-შიშინა სიბილანტების ისტორიისათვის წინარე ადილურში. სმამ, XLVI, № 2, გვ. 38-39.

დგენილობა ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ მოყვანილი სიტყვის მრავლობითი რიცხვის წარმოების თავისებურებას და მის ამოსავალ სემანტიკას სათანადო კორელაციურ ფუძეებთან შეპირისპირებით.

მრავლობითის წარმოებისას მითითებულ ფუძეში გაორკეცებული სახით გვევლინება ბოლო **ს** (ზზ. **ს'**) ელემენტი და თან **ა** ხმოვანსაც იახლებს – აჰ²სა || აჰ²ს'ს'ა (იგი აჰ²ს'ს'ა-[ქ^ა]-ს სახით დადასტურებული აქვს პ. უსლარს¹. მისი ასეთი გაორკეცებულ სუფიქსიანი სახეობა დღესაც გვხვდება დიალექტებში).

როგორც გარკვეულია, ასეთი ტიპი გაორკეცებისა ახასიათებს მრავლობითი შინაარსის გადმოსაცემად ჩვეულებრივ ზმნის ძირებს და ზოგ მოდალური ფუნქციის – მაგ. ინტენსივობის -ძა, სიმცირე- სიწვრილის -ს'ა... – მქონე ნაწილაკებს; ამავე დროს გაორკეცებისას უმახვილო **ა** ხმოვანი პირველ მარცვალს ჩამოშორდება ხოლმე (შდრ. -ძა: შჟ-ძ^ა „დილით ადრე“ და გაორკეცებული იგივე -ძა – დჟ^აძ^ა „სულ დიდი“...)².

ამის კვალობაზე გაუორკეცებელ მხოლოობითი რიცხვის ფორმაში უნდა აღდგეს -ს'ა სუფიქსი (აფჰ³გს ← *აფჰ³გს'ა).

ფ- რომ **ფა**-საგან მომდინარეობს და იგივე ელემენტია, რაც **ა-ფა** („ვაჟიშვილი“ ← „შვილი“) სიტყვის ძირი, ეს უდავო ხდება არფგს (ზზ. არ-ფგს' || არფგს') „ყმაწვილი“ სიტყვის მიხედვითაც, რომელშიაც -ს (-ს'ა) ნაშინერთა მაწარმოებელი დემინუტივის სუფიქს-ნაწილაკია და დართულია „შვილის“ (ფგ ← ფა-) ძირზე: შდრ. [არ]-ფგს და ა-ფ-ჰ³გს (ისევე, როგორც ადა-შა „ძმა“ და ადა-ჰ³შა „და“!).

მრავლობითი რიცხვი „ქალ“ სიტყვის ფუძეს ფუძისეული ნაწილის გაორკეცებით აქვს ნაწარმოები (მრავლობითის სხვადასხვაგვარი წარმოებებია ცნობილი ამ ენებში).

თავდაპირველად, ისევე როგორც [არ]-ფგს („ყმაწვილი“), ა-ფჰ³გს უნდა ყოფილიყო „ყ მ ა წ ვ ი ლ ი ქ ა ლ ი ს“ აღმნიშვნელი, შემდეგ იგი განზოგადებულია საერთოდ „ქალის“ აღსანიშნავად და ახლა უკვე „ყმაწვილი ქალის“ გადმოსაცემად გამოიყენება -ბა („სიმცირე-სიპატარავის“ ← „შვილი“?) სუფიქს დართული აფჰ³გს ბ ა || აფჰ³გზ ბ ა (ტაპ. ფჰ³გსფა), ისევე როგორც არფგს („ყმაწვილი“) ფუძესაც აქვს დართული იგივე -ბა: არფგს ბ ა || არფგზ ბ ა. (თვით -ს' ← ს'ა ელემენტი, რომელიც ამ ორ – არფგს, აფჰ³გს ფუძეში გვხვდება, სემანტიკური სიახლოვის გარდა, ეგებ ეტიმოლოგიურადაც საერთო იყოს, მაგრამ აფჰ³გს სიტყვის მრავლობითში იგი „წვრილის“ აღმნიშვნელი სუფიქს-ელემენტის შესაფერისი გაფორმე-

¹ იხ. მისი, დასახ. ნაშრ., გვ. 153. დ. გულიას შენიშვნა უსლარის მიერ მოყვანილ აჰ²ს'ს'ა ქ^ა სახეობასთან დაკავშირებით რომ უნდა ყოფილიყო აჰ²ს ა ქ^ა-ო (იხ. მისი, Материалы..., გვ. 20), აბჟუური დიალექტის ვარიანტს გულისხმობს. ისე, რომ პ. უსლარის მიერ მოცემული აჰ²ს'ს'ა(ქ^ა) სწორიც არის და ისტორიულადაც ამოსავალი.

² ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რედუქტ. ფუნქც.

ბით ხასიათდება).

ამრიგად, ამოსავალი *(ა)ფა-ჰა-ს'ა ფუმიდან (რომელსაც მხოლოდ რიცხვში მახვილი ჰა ← ჰგ-ზე მოუდიოდა), მრავლობითის ფორმაში -ს'ა ელემენტის გაორკვეებისას უნდა წარმოქმნილიყო *(ა)ფა-ჰა-ს'ა-ს'ა¹, მაგრამ ამ ფორმაში მახვილის გადანაცვლებისას (მაგ., აფხაზურში ა-პრეფიქსულ ელემენტზე) უმახვილოდ დარჩენილი ხმოვნები ჩავარდა; ხმოვანთა რედუქციის ნიადაგზე შეჯგუფდა თანხმოვნები (*ა-ფჰსსა), რაც დაძლეულ იქნა კომპლექსის გამარტივებით. ამრიგად, ფჰსს გარემოცვაში ამოვარდა ფ, ხოლო შემდეგ ჰსს-ში ერთი ს-ც დაიკარგა.

პოზიციურ ფონეტიკურ პროცესებში გასარჩევია ისეთები, რომლებიც საყოველთაოდ გატარებულა და მისი ამოსავლის დადგენა უკვე ეტიმოლოგიის სფეროს განეკუთვნება (მაგ., მ გ ჟ და ა „უბედური“ ← *მგმ-და = „უდღეო“, „უდღეური“) და ისეთები, რომლებიც აქა-იქ გვხვდება როგორც შესაძლებელი ფორმა და რომელთაც ხშირად პარალელური ამოსავალი სახეობებიც მოეპოვება.

ჩვენ აქ შემოვიფარგლებით აღნიშნული ცვლილებების მხოლოდ ზოგი ნიმუშის მოყვანით.

ას ი მი ლ ა ც ი ა. ცალკეული ფაქტები გვხვდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაციისა, თანაც ზოგ დიალექტში ჭარბობს რეგრესული ასიმილაცია, ზოგში პროგრესული.

ასიმილაციის ნიადაგზე ადგილი აქვს ცალკეულ შემთხვევებში გამჟღერებას, გაფშვინვიერებას და სხვ. აფხაზურ დიალექტებში რეგრესული ასიმილაციის ნიადაგზე აფჰგსბა-საგან წარმოქმნილა აფჰგზბა (ზხ. აფჰგს'ბა → აფჰგზ'ბა) „ქალიშვილი“, აჰგსბა → აჰგ-ზბა, ზხ. აჰგზ'ბა ← აჰგს'ბა „დანა“... ასევე ზმნური საგარემოებო („როგორ“) კითხვითი ნაწილაკი ზზიფურ დიალექტში რეგრესული ასიმილაციით იძლევა -ზ'ბა- (← -ს'ბა) სახეობას და სხვ.

სხვაობას აქვს ადგილი ასიმილაციის მიმართულების მხრივ მოყვანილ შემთხვევებში სხვა დიალექტებში. მაგ., ტაპანთურში, პირიქით, გავლენა მოუხდენია წინამავალ ფშვინვიერს და არის. ფჰგსფა, ჰგსფა, შფა-

¹ ეს ამ ფუძის შემადგენელ ელემენტთა რეალურად ამოსავალი სახეა, რაც იმას არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ მრავლობითის ფორმა უთუოდ ასე გამოითქმოდა. რედუქციის სხვადასხვა სახეობა არის სხვადასხვა ეტაპზე და ენობრივ ერთეულში დასაშვებო: ან – ა-ფჰგსასა, ან – აფჰგსასა, ან – ა-ფაჰგსასა და სხვ. არას ვამბობთ საკმაოდ გავრცელებულ, მაგრამ არა ამოსავალ აფჰგსცა, აფჰგსქა... ფორმებზე, ა. გენკოს ტაპანთურისათვის ამ სიტყვის ა ფ ჰ გ ს ა სახეობაც აქვს მოცემული (იხ. მისი, Абаз. яз., გვ. 124). ჩვენ ასეთი სახეობა არ შეგვხვედრია.

საყურადღებოა, რომ აბაზურ დიალექტებს (ა)-ჰსსა ფუძეზე ისევ დაურთავს «სიმცირის» -სა სუფიქსი (ჩვეულებრივ «ქალიშვილების» მნიშვნელობით) და გვხვდება ჰსსსგა – ჰსსგა.

(← -შ.ბა-)... **შ.ფა-** არის ყველა სხვა (ბზიფურის საპირისპიროდ) დიალექტში; ასევე **ხფა** „სამი“ (← *ხა-ბა) და სხვ.

ასიმილაციურ გამჟღერებასთან დაკავშირებით ანგარიში უნდა გაეწიოს ზოგჯერ გრამატიკულ მხარესაც. თუ, ერთი მხრივ, ზემოთ მოყვანილი ასიმილაციური გამჟღერების ფაქტები ერთეული შემთხვევებით განისაზღვრება და ზოგ დიალექტში შეიძლება, მაგალითად, რეგრესული ასიმილაციური გამჟღერება არც მოხდეს, იგი დასძლიოს პროგრესულმა ასიმილაციამ (ან სულაც არავითარ ასიმილაციას არ ექნეს ადგილი), ზმნაში კი, როცა პირის პრეფიქსები (I და II პირებისა – **ს, ჰ, შ**) უშუალოდ ხვდებიან მჟღერით დაწყებულ გარდამავალი ზმნის ძირეულ თანხმოვნებს, ყველა დიალექტში მოხდება რეგრესული ასიმილაციის წესით გამჟღერება (პარალელურად უასიმილაციო სახეობებიც შეიძლება შეგვხვდეს თითქმის ყველა დიალექტში). რომ ამ შემთხვევაში ზმნის გარდამავლობის თავისებურებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა, ეს ნათელი ხდება ერთი და იმავე მჟღერით დაწყებული ზმნის გარდაუვალ და გარდამავალ ვარიანტთა შეპირისპირებით:

1. გარდაუვ.

ს-ძახუეძტ „მე ვკერავ“

ჰ-ძახუეძტ „ჩვენ ვკერავთ“

შ-ძახუეძტ „თქვენ კერავთ“

2. გარდამავალი:

ფ-ზ-ძახუეძტ „მე ვკერავ მას“

ფ-აა-ძახუეძტ „ჩვენ ვკერავთ მას“

ფ-ჟ-ძახუეძტ „თქვენ კერავთ მას“.

და მისთ.

ერთგვარი გრამატიზაცია ხდება აღნიშნულ შემთხვევაში გამჟღერების ფონეტიკური პროცესისა.

საყურადღებო ისიც არის, რომ გამჟღერებას ზმნის პირის ნიშნებში იწვევს არა ოდენ ჩქამიერი მჟღერები, არამედ სონანტებიც, კერძოდ **ლ, ჟ** (იხ. ზემოთ, გვ. 134-138). სხვა შემთხვევაში სონანტები ჩვეულებრივ არ ამჟღერებენ.

გვაქვს შორეული ასიმილაციის ფაქტებიც, მაგ., აცარდაღ'გ ← *აც'ართა-ღ'გ („ტახტი“ = „საწოლი ფიცარი“) და სხვ.

ასიმილაციის ფაქტები მარტო ბგერის გვარობის მიხედვით მიმსგავსებაში არ გამოიხატება. ცვლილება ასიმილაციისას ეხება სიმაგრე-სილბოს, ლაბიალიზაციას და სხვ., რაც ბუნებრივად გამოჩანს აღნიშნული ენებისთვის. მაგ., ასიმილაციის ფაქტი უნდა დავინახოთ ალაშც'არა („დაბნელება“) სიტყვის ფუძეში, რომელიც ყველა დიალექტში ამ სახით არის წარმოდგენილი.

„სინათლის“, „ნათების“ აღმნიშვნელი ფუძეა (ა)-**ლაშა**-რა. იგი ძირეული მაგარი **შ** თანხმოვნის შემცველია. მასზე „წასვლა“ ზმნის -**ცა** (ბზ. -ც'ა) ძირის დართვით იწარმოება ანტონიმი „ბნელი“, „დაბნელება“ (= „სი-

ნათლის წასვლა“) ალაშცარა¹ („აღშთან ლაშორდტ“ აფხზ ლაშცრდტ² – „მის უკან ნათ დება, მის წინ ბნელდება“). -ცა ძირის დართვას გამოუწვევია უმახვილოდ დარჩენილი შ-ს მომდევნო ა ხმოვნის რედუქცია, რის შედეგადაც შც ნაკლებშეთავსებადმა კომპლექსმა მოგვცა უფრო ასატანი რბილსახეობიანი შც ასიმილირებული კომპლექსი (საგულისხმოა, რომ ც, ც' აფრიკატებმა რბილი და მაგარი სახეობების დაპირისპირება არ იცის).

ასევე „დილის“ აღმნიშვნელ შშ(გ)ჟ, შშ(გ)ჟგმთან... და მსგავსი წარმოების სიტყვებში რბილი შ მიღებული ჩანს იმავე შა „გათენება“ ძირიდან მომდევნო რბილი ჟ-ს გავლენით.

საურთიერთო (რეგრესულ-პროგრესული) ასიმილაციაც არ არის იშვიათი მოვლენა. ზემოთ, მაგალითად, ვნახეთ როგორ დაემსგავსა სილბოს მიხედვით მაგარი შა მომდევნო რბილ ჟ-ს (აშჟგმთან...). თუმცა აქ ეს პროცესი ზოგიერთ დიალექტში არ შეჩერებულა. პროგრესული ასიმილაციის ნიადაგზე ამ სახეობიდან შემდეგ მიგვიღია – აშშგმთან(ნ), რომლის შემდგომი გამარტივების კვალობაზე დღეს აბაზურში გვაქვს შგმთა (აშგმთა) „დილა“.

ასეთი რთული საურთიერთო მოქმედების პროცესები მეტად აზუნდოვნებს ამოსავალი ფუძის საკითხს.

დისიმილაცია. გვხვდება დისიმილაციის ფაქტებიც. მაგ., აჭკუნ || ჭკუნ („პატარა“, „ყმაწვილი“) ფუძის ჩკუნ სახეობა საყოველთაოდ გავრცელებულია აბაზურში. ანაკძარა < || ანაგძარა³ („მიწვდენა“, „შესრულება“) ← ანაგაძარა, რაც დიალექტებში დღესაც არის დაცული: ...ინაჭგაძარა ჟთაჯგზარი... – აშხ. ტ. 202 – „თუ შენ (მ) მისი შესრულება გინდა...“.

საინტერესო გზა გაუვლია შათა ფუძეს დიალექტებში. იგი შედგენილია -თა ადგილის სემანტიკის მქონე ელემენტისა და ფეხის აღმნიშვნელ შა- ძირისაგან.

შათა

შათა		→ შთა „კვალი“ (აფხ.-აბაზ.), „ძირი“ (აფხ.)
„ფესვი“		„მერე“, „შემდეგ“ (აფხ.)
	↓	შტა „ძირი“ (აბაზ.)
		შა ←→ თა „მერე“, „შემდეგ“... – (აბაზ.)

ამოსავალმა (შათა→) შთა კომპლექსმა ამრიგად რიგი ცვლილებები განიცადა. შათა-საგან აფხაზურში მიღებული შთა- ნიშნავს „კვალს“, „ნა-

¹ შდრ. П. Ч а р а я, Об отношении абхазск. языка к яфетическим. 1912, §1020.

² აფხაზური პოეზია (აფხაზურ ენაზე). გვ. 93¹³.

³ შდრ. ...ნაკმატ° || ...ნაგმატ° – მათე, 25, 46 – «სრული» («სრულყოფილი»).

კვალევს“ და ასევე „ძირს“. იგი გამოიყენება ზმნის წინდებულად, მაგ., ერთი მხრივ. დეშთალოდტ „წვება (ძირს)“, და, მეორე მხრივ დაშთალოდტ „მისდევს, დაეძებს (= კვალზე მიდის)“...

იგი აბაზურში აწარმოებს აბსოლუტივს და ტაპანთურში განსაკუთრებით სახელთა გარდაქცევით ფორმას. მაგრამ ტაპანთურში, როგორც ზმნის წინდებული, განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. „კვალის“ შინაარსით გამოყენებული არის შთა-, ხოლო, როცა ასახულია წინდებულში „ძირს“, მაშინ არის – შტა- (შდრ. დეშტალიტ „წვება“, დაშთალიტ – „მისდევს“).

საფიქრებელია, კომპლექსში დისიმილაციის საფუძველზე (შ ფშინვიერის მიერ თ-ს ფშინვიერობის შთანთქმით?) მივიღეთ შტ შთ-საგან, ოღონდ ტაპანთურმა ეს ორი ფონეტიკურად განსხვავებული სახეობა (შთ და შტ) გამოიყენა თითქოს ორ განსხვავებულ წინდებულად.

იმავე შთა-ს უკვე კავშირად გამოყენებულს და აბსოლუტივისა და გარდაქცევითი ფორმის მაწარმოებელს სხვა ცვლილებებიც მოსვლია: გამარტივებულა, ჩვეულებრივ ჩამოშორებია შთ კომპლექსს შ და შემოგვრჩენია -თა, ან უფრო იშვიათად – ჩამოშორებია თ და შემოგვრჩენია -შა¹.

ამრიგად, სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს დაეკისრა სხვადასხვა ფუნქცია.

შთ კომპლექსი ზოგჯერ შტ-დ იქცევა ტაპანთურში ჯაშთღლრა (შდრ. აფხ. ახაშთრა) „დავიწყება“ ზმნაში. მაგ. ...ძალჯაშტღლზ აფშპალ'ჯნ... – ტ. ტ. 156 – „...მას (ქ) რომ ოქროს ბეჭედი დაავიწყდა...“ და სხვ.

დისიმილაციის ნიადაგზეა მიღებული აფხაზურში რიცხვითი სახელი ზეიჟ* („ცხრამეტი“) * „ზ“ეიჟ“ –ისაგან და სხვ.

დისიმილაციის ნიადაგზე აიხსნება მ ნ-ს მონაცვლეობა „ხელის“ აღმნიშვნელ სიტყვაში. როგორც ირკვევა, ან აპჯ („ხელი“) სიტყვისათვის ამოსავალი იყო *(ა)მ აყჯ (*← ა-მ აყა), რომელსაც ლაზიალიზებული ყ-ს პ-დ შერწყმით უნდა მოეცა *(ა)მ აპჯ. პ-ს შორეული, რეგრესული მადისიმილირებელი გავლენის შედეგად მ იქცევა ნ-დ და გვამღევს ნ აპჯ-ს. შემდგომში ა უმახვილო ხმოვნის რედუქციის გამო წარმოიქმნა ნპ კომპლექსი (ა)ნპჯ, მაგრამ ვერც ეს სახეობა ძლებს ნპ კომპლექსის შეუთავსებლობის გამო და მისგან ვიღებთ უფრო ასატან მპ უკვე ასიმილირებულ კომპლექსს. ამრიგად მპჯ სახეობა ამ ფუძისა, რომელიც დაუბრუნდა თითქოს ამოსავალ სახეობას ძირეული მ ელემენტის მიხედვით, თავის მხრივ წარმოადგენს ამოსავალი სახეობის მეოთხეულ ვარიანტს: ერთი და იგივე ძირეული მ ერთსა და იმავე სიტყვაში სხვადასხვა წარმო-

¹ ტაპანთურში (საერთოდ აბაზურში) ამ შთა ფუძის ასეთ ცვლილებებს აფხაზურისაგან განსხვავებით შესაძლოა ხელი იმანაც შეუწყო, რომ იგი ჩვეულებრივ თავკი-დური ა- პრეფიქსის გარეშე გამოდიოდა.

მ ა ვ ლ ო ბ ი ს ა გ ა მ ო დ გ ა¹.

დისიმილაციის ფაქტად შეგვეძლო გაგვეგო ჩვენ მიერ ტაპანთურში ერთხელ დადასტურებული „სიცილის“ ჩჩა ფუძის ჯჩა სახეობა (ულგმჰა ჯჩაჯა დაჰაზ... – ტ. ტ. 1216 – „შენს (მ) სასაცილო ყურს, რაც სმენია...“. მის რეალურობას საერთოდ გვიდასტურებდნენ). თუმცა გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ თვით ჩჩა საყოველთაოდ გავრცელებული აფხაზურ-აბაზურში არ წარმოადგენდეს გაორკეცებული ფუძის ნიმუშს და იყოს ამოსავალი ჯჩა-ს ასიმილირებული ვარიანტი.

ამ კონტექსტში არ შეიძლება არ მოვიგონოთ მეგრული შესაბამისი ფუძე ძიცა („სიცილო“). ხომ არ დაედო სწორედ ეს სახეობა საფუძვლად აფხ.-აბაზურ ჯ ჩ ა || ჩ ჩ ა ფუძეს?

დ ე ლ ა ბ ი ლ ი ზ ა ც ი ა. ცალკეული ფაქტები დელაბიალიზაციის (საერთო დელაბიალიზაციის პროცესის გვერდით) ყველა დიალექტში შეიძლება შეგვხვდეს, თუმცა უფრო დამახასიათებელია ტაპანთურისა და ბზიფურისათვის. ბზიფურში აჰარა („თქმა“) ზმნის ძირი ხშირად (უმთავრესად როცა ნაწილაკად გამოიყენება და როცა მეორდება...) დელაბიალიზებული ჰა-ს სახითაა ხოლმე; აბაზურში დელაბიალიზებული სახით არა-იშვიათად გვხვდება აფჰჰს, აფჰას „ქალი“ და სხვ.²

ა უ ს ლ ა უ ტ შ ი დ ა ყ რ უ ე ბ ა მჟღერისა. აუსლაუტში მოხვედრილი მჟღერი შეიძლება დაყრუვდეს, რის შედეგადაც მიიღება მკვეთრი სახეობა. ასე მოსდის, მაგ., ინფინიტური მყოფადის რთულ -ლა-გ, -ლაგ სუფიქსს, რომელსაც პარალელური -ლ ა კ || -ლ ა კ ვარიანტებიც მოუყვია.

ა უ ს ლ ა უ ტ შ ი ხ შ უ ლ ი ს ს პ ი რ ა ნ ტ ი ზ ა ც ი ა. აფხ. აგაჟ („მრგვალი“, „ბორბალი“, „წრე“) სიტყვაში ბოლოკიდური ჟ მომდინარეობს პალატალიზებული გ ხშულისაგან. იგი გაორკეცებული იმავე გ ა ძირის ხმოვანმოკვეცილი გასპირანტებული სახეობაა. ამოსავალი გ ა გ ა ამავე მნიშვნელობით დაცულია აბაზურში. უცხო ეს სრულხმოვნინი ფუძე არც აფხაზურშია, მაგ., არგაგა „წრე“.

რომ ბოლოკიდურმა პოზიციამ შეუწყო ხელი გ-ს ჟ-დ ქცევას, აშკარა ხდება სრულხმოვნინან სახეობაში ამოსავალი გ-ს შენარჩუნებით.

ა უ ს ლ ა უ ტ შ ი ე ნ ა კ ბ ი ლ ი ს მ ი ე რ ხ შ უ ლ თ ა დ ა კ ა რ გ ვ ა. შეინიშნება სიტყვის ბოლოს დენტალი ხშულების დაკარგვა. ამ ნიადაგზე საკმაოდ შერყეულია ფინიტური წარმოებები დროებისა, რომელთაც -ტ სუფიქსი მოუდის, განსაკუთრებით აშხარულ დიალექტში (იხ. აქვე, გვ. 52).

-ტ სუფიქსი აღნიშნულ წარმოებებში აფხაზურ დიალექტებშიაც ოდნავი ხშვის მომენტის სახით შეინიშნება.

¹ ქ. ლომთათიძე, ხელისა და ფეხის აღმნიშვნ. ფუძე...

² ქ. ლომთათიძე, ანგარიში საზაფხ. მივლ. ლიხნში, გვ. 291; მისივე, ტაპ. დ., § 20.

სასაუბრო ენაში აფხაზურში ფინიტობის -ტ სუფიქსი თითქმის, აღარ ისმის ზმნის უარყოფით ფორმებში ცტ (ზხ. ც'ტ) კომპლექსში (იყარემწაც ← იყარემწაცტ „ის მათ არ გაუკეთებიათ“). ამ ფონეტიკურ პროცესს აქ ხელს არ უშლის არც ის გარემოება, რომ ტ საგანგებო ფინიტობის გამოხატვის ფუნქციითაა აღჭურვილი და ფორმა უმისოდ ზოგჯერ შეიძლება ენფინიტურ წარმოებას დაემთხვეს.

-ნდ ბოლოკიდურ კომპლექსში დ ჩამოშორება აფხაზურში აჟჷან („ცა“) სიტყვის ფუძეს. იგი მომდინარეა ტაპანთურში დაცული ჟჷანდ სახეობიდან.

აქცესიური კომპლექსის სუპერაცია. მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ადამიანთა კატეგორიაში -ცა სუფიქსის დართვისას ჩ (← ჩა)-ზე დაბოლოებულ ფუძეებში ჩც კომპლექსის შეუფუებლობის ნიადაგზე (უფრო აფხაზურში) მიიღება -შც: ახჩა („მწყემსი“), მრ. ახშცა ← ახჩა-ცა („მწყემსები“)¹, აყარაჩ („ყარაჩელი“), მრ. აყარაშცა.

ბ გერათგადასმა. ბგერათა გადასმა უფრო გავრცელებულია სონანტთა მეზობლობაში: ადგრჯაგ ~ ადგრჯაგ („კვლავ“), დმტრიტ ~ დმტრიტ („ყური დაუგდო“). ახშთაარა ~ ახშთარა („კერა“)..., აქლაფად → აქლაფად („წინდა“). თვით ეს სიტყვა ნასესხებია ადიღურ ენათაგან, რომელთა ფშვინვიერი ლატერალი ლ' აფხაზურში გადმოიცემა ქლ კომპლექსით. ამდენადვე მისი გათიშვა არ უნდა ყოფილიყო ბუნებრივი, მაგრამ ქლ(ა) კომპლექსს ენამ ამჯობინა ქალ... თანამიმდევრობა.

ბგერათგადასმის ნიადაგზე უნდა აიხსნებოდეს აფხ. ა-ფ გ რ ღ გ' სიტყვის წარმომავლობა. იგი იმავე ფუძეს უნდა შეიცავდეს, რასაც ქართ. ღ ვ ე ლ ფ ი || ღ ვ ე რ ფ ი, რომლის სვანური ღგრფ სახეობა უნდა დასდებოდეს საფუძვლად აფხაზურ გადასმულ „ფ გ რ ღ გ'“-ს.

ბ გერათმონაცვლეობა. მონაცვლეობა უფრო სისტემურ ხასიათს ისევ სონანტებში იღებს. ნ-ს ენაცვლება ლ: ტნეი! = ტლეი! „მიდი!“; ლ:ნ მონაცვლეობა დასტურდება ისეთ წარმოებაში, როგორცაა: ალმენრაკ || ანმენრაკ „ყოველ ზამთარს“, ტაპ. ნაყ – აფხ. ლაყ „დაბალი“; აფხ. აკვლჷარა – ტაპ. კვლჷარა „ჭუჭრუტანა“...

რ:ლ მონაცვლეობს ტაპანთურის თქმებში რაშარა || ლაშარა („მარგვლა“) ზმნის ფუძეში. რ-ს, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. აქვე, გვ. 217-218), მთელი რიგი ბგერინაცვლები მოეპოვება.

ხშირია ზ:ძ მონაცვლეობის ფაქტები: აფხ. ააძარა – აბაზ. მაზარა „გაზრდა“, „მოვლა“; აფხ. ახგძ – აბაზ. ხზგ „სახელი“; აფხ. აშზ – აშზ. ამგძ „თვე“... მონაცვლეობს ჯ:შ: ჯოჷკგ || შოჷკგ (აფხ.) „ვინმეები“.

¹ ახჩ ა-დან ახშა მხოლოდობით რიცხვშიაც შეიძლება შეგვხვდეს. იგი უკვე სხვა თანამიმდევრობის კომპლექსის ცვლილების შედეგია (ხჩ → ხშ).

ც° → შ°. მრავლობითობის სუფიქსად ბზიფ.-ში ც°-ს ადგილას ხშირად ისმის შ°.

ასეთივე მონაცვლეობის შედეგი უნდა იყოს აშხარულში „ლაპარაკის“ აღმნიშვნელი ზმნის ფუძეში შ° ც°-ს ადგილას: აშხ. ა-შ°პრა – აფხ.-ტაპ. ა-ც°პრა (გარკვეული წილი ამ პროცესში ადილურ ენათა გავლენასაც უნდა ედოს).

არის შემთხვევები სპირანტთა მჟღერი და ფშვინვიერი სახეობების მონაცვლეობისა: აფხ. აჰრა – აბაზ. აჰრა „სმენა“, „გაგონება“; აფხ. ჰამთაკე („ერთხანს“), შდრ. აბაზ. ჰამთა, აფხ. აამთა „დრო“; აფხ. აჰმსაგ → აჰმსაგ „ცოცხი“...

მონაცვლეობენ პალატალიზებული და არაპალატალიზებული სახეობები უკანაენისმიერებში: აფხ. ახჩა „მწყემსი“, შდრ, ტაპ. უასახჩა („ცხვრის მწყემსი“, „მწყემსი“), აფხ. აწკჯს – ტაპ. აწკჯს... აცკჯს... („ნაცვლად“, „უფრო“); ზმნის ადგილის საგარემოებო პრეფიქსი ახ- ბზიფურში ჩვეულებივ არის ახ-ის სახით; მყოფადის ინფინიტური ფორმის სუფიქსში -ლაგ, -ლაკ-ის გვერდით დასტურდება -ლაგ, -ლაკ და სხვ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგ შემთხვევაში მომხდარი ბგერათმენაცვლება შესაძლებელია მიეწერებოდეს კომპლექსის ბუნებას.

ნ ს ო ნ ა ნ ტ ი ს გ ა ო რ კ ე ც ე ბ ა ხ მ ო ვ ა ნ თ ა შ ო რ ი ს ა შ ხ ა რ უ ლ დ ი ა ლ ე ე ქ ტ შ ი .

აშხარული დიალექტის ზოგი წარმომადგენელი ინტერვოკალურ პოზიციაში ნ-ს (ეს, ჩვეულებრივ, დროის საგარემოებო პრეფიქსული ნ არის) გაორკეცებულად გამოთქვამს: ამ' ანნგიზ°... – აშხ. ტ. 99⁸¹ – „მან (მ) წყალი როცა დალია“...; ანნააღლა – id. 99²⁴; – „როცა მოათავეს...“, ანნცარაკ – id. 99¹⁰ – „როცა დაიძინებს...“, ანნცა... – id. 102² – „როცა დაიძინეს“ და სხვ.

VIII

კომპლექსები

1. **კომპლექსთა ბუნებისათვის.** კომპლექსთა საკითხი მეტად თავისებურად დგას აფხაზურსა და აბაზურში. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ე. წ. „ორი თანხმოვნის“ კანონის მოქმედებისა (იხ. აქვე, გვ. 143), მათში არც თუ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს სამი, ოთხი (და ზოგჯერ მეტი) თანხმოვნისაგან შემდგარი (ერთ მარცვალში გაერთიანებული) კომპლექსები, როგორც ცალკეულ სიტყვებში (მაგ. ა-ფსთჰა „საწვიმარი ღრუბელი“, ა-ხ¹შტბ „ქორი“, „მიმინო“, აფხ. ა-ლტ²ჟჰა „ლავიწის ძვალი“...), ისე, და მით უმეტეს, ზმნურ ფორმებში (განსაკუთრებით აბაზურში, მაგ. ზაკგ¹ი გ²რალმჰ³ბტ⁴ – „მათ მან (ქ) აღარაფერი უთხრა“, ძგლსხხჰ ძგმცჰ³არა² – „გადავაჩვევ [= „გამოვუღებ“], გამოვაცლი მის ტყუილის თქმას“...), რაც ხშირად ხდება საბაზი მკვლევართა მიერ ამ ენებში საერთოდ ხმოვნის უგულებელყოფისა.

საჭიროა ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ე. წ. „პირვანდელი“. „ბუნებრივი“ კომპლექსები და კომპლექსები აშკარად მეორეული წარმოშობისა.

„პირვანდელ კომპლექსებს“ ვუწოდებთ ე. წ. „მტკიცე“ კომპლექსებს, რომლებიც მუდმივ ერთი და იმავე სახით წარმოგვიდგება სათანადო ძირში (რაც იმას არ ნიშნავს, რომ მათი ისტორიის გაღრმავებული რკვევის შედეგად არ მოხერხდეს აქაც რთული შედგენილობის ჩვენება).

ივარაუდება რა რთულ, შედგენილ ფუძეებში მახვილის სხვადასხვა ადგილას დასმით გამოწვეული ხმოვანთა რედუქციის ფართო გავრცელება, ბუნებრივია, აღნიშნულ ენებში თანხმოვანთა შეჯრაში და კომპლექსთა წარმოქმნაში დიდ როლს თამაშობდეს მახვილი.

ამოსავალი ძირები და ფორმანტები – მარცვლოვანი CV ტიპისა – იცვლებოდა ძირთა და ფორმანტთა შეერთებისას. იცვლებოდა როგორც ამოსავალი სრულხმოვნობა, ისე მარცვალში თანამიმდევრობა თანხმოვანხმოვნისა. ამას კი (ხმოვნის რედუქციის გარდა) ფუძეთა გაცვეთა მოჰყოლია თანხმოვანთა მხრივაც. შეცვლილა თანამიმდევრობა მარცვალში, მაგ., **აა-** პრეფიქსული ელემენტისა თავკიდურ პოზიციაში ან, ჩვეულებრივ, სხვა აფიქსების მომდევნოდ და მის ადგილას მიგვიღია მთელ რიგ

